

ძველი ქართული ენის ძეგლები.4.

ⴒⴓⴑⴓⴓⴓⴓⴓ
ⴒⴓⴑⴓⴓⴓⴓⴓⴓⴓⴓⴓⴓⴓ
ⴒⴓⴑⴓⴓⴓⴓⴓⴓⴓⴓⴓⴓⴓⴓ

978 წლის ხელნაწერის მიხედვით

ტ. I. ნაკვეთი 1.

დაბადებისაჲ. გამოსლვათაჲ

გამოსცა

აკაკი შანიძემ.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობა
თბილისი 1947

რედაქტორი ა. შანიძე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, ა. წერეთლის ქ. № 7
უკანასკნელი ფორმა ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.12.47. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 8.
სავეტორო ფორმათა რაოდენობა 10
ფე 13799 ზეკვ. 25 / ტირაჟი 1600.

ჭ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

პირველი ნაკვეთისათვის

ქართული ენისა და ლიტერატურის ძველ ძეგრთას ხელნაწერებს შორის მოიპოვება დიდი ორ-ტომიანი ხელნაწერი (I ტ. 532 ფ., II ტ. 428 ფ.), რომელიც შეიცავს ძველი ალექსანდრის წიგნებს და გადაწერილია ოშკის ლავრაში 978 წ. თორნიკე პატრიკისათვის, რომელმაც ის ათონის ქართველთა მონასტერს შესწირა.

ეს შესანიშნავი ხელნაწერი, რომელიც ამჟამად ათონზეა დაცული, დიდი ხანია იქცეოდა სპეციალისტების ყურადღებას. ჯერ კიდევ 1849 წ. პლატონ იოსელიანმა გამოიტანა ის ათონიდან და მოიტანა თბილისში, სადაც მთელი ტექსტი გადაწერეს ორ ცალად: ერთი — სამეგრელოს მთავრის დავით დადიანისთვის (ამჟამად S 422) და მეორე — სიონის ტაძრისთვის (ამჟამად A 471). გადაწერის შემდეგ ხელნაწერი კუთვნილებისამებრ ისევ ათონის მთაზე დაბრუნეს.

ცნობები ამ ხელნაწერის შესახებ საკმაოდ მოიპოვება სპეციალურ ლიტერატურაში: პირველად ის ა. ცაგარელმა აწერა 1863 წელს¹, შემდეგ მას შეეხო ნიკო მარი, რომელმაც თავის ათონზე ყოფნისას (1898 წ. ზაფხულში) ამოიწერა ზოგი ადგილი ვზღარდან, მთლად გადმოწერა ორი პატარა წიგნი (რუთისა და იონასი) და გადაიღო ფოტოპირები ნეშისას²; ა. ხაჩანაშვილმა, რომელმაც ათონის მთაზე დაყო 1902 წ. ივნისი და ივლისი, ამ ხელნაწერის შესახებ მოხსენება წაიკითხა არქეოლოგოსთა XII ყრილობაზე ხარკოვში³, ხოლო თ. ჟორდანიამ გავაცნო სიონისეული გამონაწერი პირი⁴. უკანასკნელ, ხელნაწერის ვრცელი აღწერილობა მოგვცა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა რ. ბლეიკმა⁵.

რაც შეეხება ტექსტს, აქამომდე ის მხოლოდ ნაწილობრივ იყო ცნობილი ბეჭდური სახით: ა. ცაგარელმა გამოაქვეყნა ქება ქებათა (1886 წ.)⁶ და

¹ Каталог грузинских рукописей и старопечатных книг Иверского монастыря, составлен в июне месяце 1883 года: Сведения о памятниках груз. письменности, т. I, стр. 69—75 (დადინისეული და სიონისეული ხელნაწერი აწერილია იქვე, გვ. 1—8)

² Из поездки на Афон: ЖМНП 1899, март, стр. 13.

³ Афонский список груз. библии 978 г. и его значение для исправления печатного текста: Богословский вестник, 1903, ноябрь, стр. 418—426.

⁴ Описание рукописей, II, (1902), 35—41.

⁵ R. P. Blake, The Athos Codex of the Georgian Old Testament (Harvard Theological Review, Vol. XXII, № 1, January 1929, pp. 33—56); აგრეთვე მისივე: Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la Laure d'Ivion au mont Athos [Extrait de l'Orient Chrétien, t. VIII, № 3 et 4 (1931—32), pp. 13—16].

⁶ Сведения, I, вып. 1, 1886, Приложение, стр. 17—56.

კ. ქეკელიძე—ეკლესიასტე (1920 წ.)¹. ორივე სარგებლობდა არა ათონის ხელნაწერით, არამედ მისგან გადმონაწერით: ა. ც ა გ ა რ ე ლ ი—დადიანისეული პირით, კ. ქეკელიძე—ამითაც და სიონისეულითაც.

მეოთხეტი ტექსტის გამოქვეყნებას აპირებდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც უკვე 1910 წელს მოუპოვებოდა ფოტოპირები ამ ხელნაწერისა. ეს ფოტოპირები აზიის მუზეუმში იყო დაცული. შედგა კომისია ქართულ-რუსული ლექსიკონის შესადგენად, რომლის ხელმძღვანელი იყო ნ. მარო, ხოლო წევრები: ივ. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე და ა. შანიძე. სალექსიკონო ჩასაღების ამოსაყრედ ერთ-ერთი მთავარი წყარო უნდა ყოფილიყო ათონის ბიბლია და ამასთან დაკავშირებით დიდივე საკითხი მისი გამოცემისა. საამისოდ მოწვეულ კრებაზე (1913 წლის შემოდგომაზე) პირველი სამი წიგნი მოხესი ასე განაწილა კომისიის წევრებს შორის სასტამბოდ დამზადებისათვის: დაბადებისა—ი. ჯავახიშვილს, გამოსლვათა—ა. შანიძეს და ლევიტელთა—ი. ყიფშიძეს. გამოცემის დასაჩქარებლად მოზრდილი წიგნები (მაგ., დაბადებისა, გამოსლვათა და სხვ.) შეიძლება ცალკე-ცალკე გამოსულიყო. განზრახული იყო, დაკლებული ადგილები მცხეთური ხელნაწერის ტექსტით შეგვევსო (A 51)². შეუუღებო კიდეც გადმოწერას და სასტამბოდ დამზადებას ჩემი ხედრისას, რომელიც აკადემიის სტანბას გადაეცა ასაწყობად. ომიანობის გამო შექმნილ პირობებში წიგნის წყობა გაქიანურდა: 1917 წლის დასაწყისისათვის დაბეჭდილი იყო მხოლოდ 64 სვეტი (გამ. 1,1—14,24) და აწყობილი იყო კიდეც 35 თავამდე (ამიანად)³. ამის შემდეგ წყობა და ბეჭდვა შეწყდა, რადგანაც 1917 წლის დიდმა ამბებმა უსწრო და მე თბილისს გადმოვიდი სამუშაოდ.

ინტერესი ჩვენი ხელნაწერისადმი საზღვარგარეთაც დიდი იყო. პროფ. რ. ბლეიკმა, რომელიც ოთხჯერ იყო ათონის მთაზე და დაწვრილებით აწერა იქაური ქართული ხელნაწერები⁴, გადაადებინა ძველი ალტჰიმის წიგნების ფოტოპირები და გამოიყენა ის მეოთხე ეზდრას განსხვავებული ადგილების საჩვენებლად იერუსალიმის ხელნაწერის ამვე წიგნის ტექსტთან შედარებით, რომელიც მას წინეთ ჰქონდა გამოცემული⁵. ამჟამად იგივე მეცნიერი გამოსაცემად ამზადებს წინასწარმეტყველების ტექსტს (იერუსალიმის ხელნაწერის ტექსტთან ერთად).

¹ თარგმანება ეკლესიასტისა მიტროფანე ხმარნელ მიტროპოლიტისა. თბილისი, 1920, გვ. 180—226 (ტექსტი გამოცემულია სამ სხვა თარგმანთან შედარებით: მცხეთის ხელნაწერისა, მოსკოვის გამოცემისა და პეტრიწონელი რედაქციის პირისაირ).

² Известия АН, 1913, № 18, стр. 1067.

³ წიგნი იწყობოდა ორ სველად, თოთხული სვეტი 3,5×12 კვადრატზე [მთელი გვერდის ზომა (გვერდის სათაურებისა და ხელნაწერის ფურცლების აღნიშვნით მარჯვნივ და მარცხნივ) იყო 8×12,5 კვადრატი], ჩხედრულად, ათონური ტექსტი—16 კვალის ასოებით, მცხეთური კი (შესავებ ადგილებში)—აკადემიური ციცეროთი. სათაურებად, საყუთარი სახელების ინიციალებად და თავების რაიების აღსანიშნავად აღმართი იყო მუგ ღოვანი ასოები.

⁴ Catalogue des manuscrits etc. (ნახე ზემოთ).

⁵ R. P. Blake, The Georgian Text of Fourth Esdras from the Athos Manuscript (Harvard Theological Review, XXII, 1929, pp. 57—105); The Georgian Version of Fourth Esdras from the Jerusalem Manuscript (იმავე ჟურნალში, XIX, 1926, pp. 299—375).

ამას უნდა დავსძინოთ, რომ ნ. მარი თავის შენიშვნებში საღ. წერილის შესახებ ძველი ალექსის წიგნების ქართულ-სომხური ვერსიების ურთიერთობას არაკვევდა ბერძნულ-სირიულ ვერსიებთან შედარებით და ქართ. ბიბლიის ბაქარისეულ გამოცემასთან ერთად (ზოგჯერ მცხეთურ ხელნაწერთანაც) ათონის ხელნაწერის ჩვენებასაც იყენებდა ხოლმე¹. ამას გარდა, ს. ჩხენკელმა დაბეჭდა გამოკვლევა საკუთარ სახელთა ბრუნების შესახებ მეფეთა წიგნების მიხედვით². ეს არის და ეს, რაც ჯერჯერობით გაკეთებულია იმ ხელნაწერის მეცნიერული შესწავლა-გამოცემისათვის, რომელიც სახელოვანმა ქართველმა მხედარმა, იმ დროს უკვე ბერად შემდგარმა თორნიკ-იოანემ გადააწერინა, იმ თორნიკმა, რომელიც სულ მცირე ხნის შემდეგ იძულებული გახდა, ისევე ხმალი აეღო ხელში, რომ სპასილარად გასძლიოდა დავით კურაპალატის მიერ მიცემულ ქართულ მხედრობას და მონაწილეობა მიეღო საბერძნეთის ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებულის ვარდა სკლეროსის (ანუ ვ. სკლიაროსის) ჯარების განადგურებაში ჰალისის პირად და ამით კონსტანტინეპოლი ეხსნა დიდი განსაცდელისაგან³.

ამჟამად ათონური ბიბლიის ტექსტი იცემა ისე, როგორც ხელნაწერშია წარმოდგენილი. დაკლებული ადგილების შევსებაზე ხელი ავიღეთ, რადგანაც შევსება არსებითად არც შეიძლება, იმიტომ რომ მცხეთური ხელნაწერი ბიბლიისა—მთლად თუ არა, უმეტესად მაინც—სხვა რედაქციისაა და ალაგ-ალაგ მისი ტექსტი (მაგ., გამოსლვითა წიგნის უკანასკნელი თავები 36, 37, 29, 39) ისეა დალაგებული, როგორც ებრაულში და არა როგორც ბერძნულ ჰებრაულ-მეკონტაში (სამოცდაათისეულში)⁴. სხვა ხელნაწერებიც ძალიან ჭრელ სლოათს იძლევა. მაგ., გამოსლვითა წიგნი გელათურ ხელნაწერში (ქუთაისის მუზ. № 33) ზოგან ათონის ტექსტს იძლევა, ზოგან მცხეთურს, ზოგან კი სულ სხვა რედაქციას გვიჩვენებს, ერთი სიტყვიერ, ნარევი შედგენილობისაა. ამიტომ საჭიროა თვითიული ხელნაწერის ინდივიდუალური შესწავლა. ცხადია, ასეთ პირობებში უმჯობესია, რომ ძველი ალექსის წიგნების გამოცემა უძველესი ხელნაწერით დაიწყეთ, რომელიც ყველა დანარჩენ ძველი ალექსის წიგნების ხელნაწერზე მეტია ჰოლოლონით თუ წინაშეწევით.

ათონის ხელნაწერში ტექსტი მიყოლებით სწერია, აქ კი ის თავებად და მუხლებად დაყავით. ზოგ შემთხვევაში მუხლების სათვალავი ორმაგია, რაც გვიჩვენებს, რომ მუხლების თანამდევრობაში განსხვავებაა ჩვენს ტექსტსა (რომე-

¹ Н. Я. Марр, Заметки по текстам св. Писания в древних переводах армян и грузин: Христианский Восток, II, 163—174 (§§ 1-24), 263-274 (§§ 25-37); III, 249-262 (§§ 38-46), IV, 229-245 (§§ 47-84).

² ს. ჩხენკელი, საკუთარ სახელთა ბრუნება ოსურთა ხელნაწერის მეფეთა წიგნებში: სტალინის სახელობის თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXV (1942), 153—208.

³ ამის შესახებ: გ. მთაწმიდელის „(ხოლოვან) იოვანესი და ეფთვიმესი“ (ძველი ქართული ენის ძეგლები, ა), თბ., 1946, თბ. 13—22 (გვ. 17—20).

⁴ განსხვავება იწყება 36-ე თავის მე-8 მუხლიდან. აქა-იქ ამ ხელნაწერში თავისუფალი ადგილებია დატოვებული შესავსებად (მაგ., გამ. 37, 19—29).

ლიც ბერძნულ სამოცდაათისეულს მისდევს) და ებრაულს შორის (ფრჩხილებში ნაჩვენებია ებრაული სათვალავი)¹.

ტექსტი იბეჭდება ფოტოპირების მიხედვით ისე, როგორც ხელნაწერში წარმოდგენილი, ოღონდ: ქარაგმები გახსნილია²; შეუძლებელი ფორმები გასწორებულია და ხელნაწერის წაკითხვა შენიშვნებშია ჩამოტანილი A ლიტერით³; გამოტოვებული აღგილები სამწერტილით არის აღნიშნული (...), ჩემ მიერ ჩამატებული სიტყვები და ასოები—კავებით []; ნაირ-ნაირი, მაგრამ შესაძლებელი ფორმები ხელ-უხლებელია: შუამდინარედ (დაბ. 28, 2; 28, 6) და შუამდინარედ (დაბ. 28, 5; 28, 7); იწრაფა (დაბ. 19, 29) და ისწრაფა (დაბ. 18, 6); ცხომდა (დაბ. 47, 28) და ცხონდა (დაბ. 50, 22), მოაძოგოს (გამ. 22, 5) და მოაძოოს (იქვე), მსტუარნი (დაბ. 42, 30; 42, 34) და მსტოვარნი, (42, 31) და მისთ.; ხელ-უხლებლად დავტოვეთ ზოგი თავისებურება, მაგ., სინტაქსურად უჩვეულო: განუფიცხა უფალმან გული ფარაოასი (გამ. 10, 27; 11, 10; შდრ.: განუფიცხა უფალმან გული ფარაოს, გამ. 10, 20 ან: განაუფიცხა უფალმან გული ფარაოასი, გამ. 14, 8).

დიდი სიჭრელეა და ზოგჯერ დიდი შეცდომებიც საკუთარ სახელებში, მაგრამ მათი გასწორება, საზოგადოდ, ჩემ მიზანს არ შეადგენდა. მაგალითები: სობალ (დაბ. 36, 20) და საბალ (დაბ. 36, 23), ბასემათ (დაბ. 36, 10) და ბასიმათ (დაბ. 36, 13), ბესეფონსა (გამ. 14, 2) და ბელსეფონსა (14, 9), აბიმელექ და აბიმელიქ (გამ. 21, 25; 21, 27), სინელნი (დაბ. 15, 19; მოსალოდნელი იყო: კენელნი), გოზომ (დაბ. 36, 23; მოსალოდნელი იყო: გოლომ), ლუკამ (დაბ. 36, 27; მოსალოდნელი იყო: ზუკამ). ორ უკანასკნელ შემთხვევაში შეცდომა წამომდგარია მთავრული ზ და ზ ასოების არევისაგან. მსგავსი მოვლენა ბევრია ხელნაწერში, მაგრამ ისინი საერთოდ ხელ-უხლებელია. მათი სათანადოდ გასწორება სხვა ვერსიებთან შეჯერებისა და სხვა ხელნაწერების ტექსტის გათვალისწინების შემდეგ არის შესაძლებელი.

აქა-იქ ნათლად ჩანს ბერძნული ტექსტის გავლენა: გემოჲ მახილვე მგბრისა მაგისგან იფქლისა (დაბ. 25, 30), რაც წარმომდგარია იქედან, რომ პაქრძ სიტყვის ნაცვლად (რაც „ცეცხლებრს“ ნიშნავს) პაქრძ („იფქლ“) წაუკითხავთ; ასევე არევა ერთი ბერძნული სიტყვისა მეორესთან ამ ადგილის თარგმნისას: სამსახურებელსა მას და საქმესა მას ძელით ხუროებისასა (გამ. 31, 5); მოსალოდნელი იყო: ქვის საქმესა მას და საქმესა მას ძელით ხუროებისასა (მაშასადამე, ლითონისა-ს ნაცვლად ლითონისა წაუკითხავთ)⁴.

¹ ამ შეთხვევაში მშველთა H. B. Swete-ის გამოცემა: The Old Testament in Greek according to the Septuagint. I, Cambridge 1909.

² იშვიათად (ტექნიკური პირობების გამო—ადგილის მოგების მიზნით) საჭირო გახდა მათი ხმარება, მაგ., რ (დაბ. 46, 18), რ (დაბ. 46, 30).

³ ამ ხელნაწერის აღსანიშნავად ნ. მარის შემოღებულ ნიშანს (O-) ის ნაკლი ახლავს, რომ ნულთან ირევა.

⁴ არ არის გამორიცხული, რომ არევა თვით ბერძნულ ტექსტში იყო.

ზოგან აშკარად ჩანს, რომ ტექსტი შერყვნილია: ეძიებდეს კაცსა წინამძღუარსა (დაბ. 19, 11), შეწამლეთა ანუ ზურგებით (გამ. 22, 18) და სხვა.

ჩვენი გამოცემის ტექსტს დიდი მნიშვნელობა აქვს ძველი ალექსის წიგნების თარგმნისა, რედაქციისა და ფილიაციის საკითხების გამოსარკვევად და სხვა საკითხების გასაშუქებლად. ეს ამ ორი წიგნიდანაც ნათლად ჩანს. მაგრამ ამ საკითხის განხილვა,—და ზოგი სხვისაც,—შეიძლება მერმისისთვის გადაიდოს, როცა მთელი ტექსტი ხელთ გვექნება დაბეჭდილი სახით.

ამ ნაკვეთის გამოშვებით განახლებულია ოცდაათი წლის წინათ შეწყვეტილი მუშაობა ოშკური ხელნაწერის კრიტიკული გამოცემისათვის¹. რაგინდ სასიხარულოც უნდა იყოს ეს ამბავი, არ შემიძლია მაინც დიდი გულის ტკივილით არ აღვნიშნო: ვაი რომ სამუდამოდ შესვენებულია ამ საქმის წამომწყები დიდი ნიკო (+ 1934 წ.) და ორი მისი თანამშრომელი: დიდი ივანე (+ 1940 წ.) და ნიკიერი იოსებო, რომელიც ადრე გამოეთხოვა წუთისოფელს (+ 1919).

ამ სტრიქონების დამწერს ვალად აძევს, განაგრძოს და ზოლომდე მიიყვანოს მათი სანუკვარი საქმე.

ა. შანიძე

1.11.1947.

თბილისი.

¹ ამ ნაკვეთის კორექტურების კითხვაში მშველოდნენ პროფ. ილია აბულაძე და დოც. ი. იმნაიშვილი, რომელთაც გულითად მადლობას მოვახსენებ.

ПРЕДИСЛОВИЕ

к первому выпуску

Среди особенно ценных древнегрузинских рукописей, находящихся в Грузии или за ее пределами, выделяется большая двухтомная рукопись (т. I—532 л., т. II—428 лл.), содержащая ветхозаветные книги и переписанная в Ошкской лавре в 978 г. для патрикия Торника, который пожертвовал ее Иверскому монастырю на Афоне.

Эта замечательная рукопись, и ныне хранящаяся на Афоне, давно привлекает к себе внимание специалистов. Еще в 1849 году известный историк П. И. Иоселиани вывез ее с Афона и доставил в Тбилиси, где она целиком была списана в двух экземплярах, из которых один был заказан владетельным князем Мегрелии Д. Л. Дадиани (ныне хранится в Музее Грузии, S 422), а другой—Сионским собором в Тбилиси (ныне в Музее Грузии, А 471)¹. После этого рукопись вернули обратно по принадлежности на Афон.

В специальной литературе имеются довольно подробные сведения об этой рукописи: впервые ее описал А. А. Цагарели в 1883 году²; затем ее коснулся Н. Я. Марр, который в бытность свою на Афоне (летом 1898 г.) сделал выборки из книги Ездры, списал целиком две маленькие книги (Руфи и Ионы) и снял фотокопии книги Неемии³; А. С. Хаханашвили, пробывший на Афоне июнь и июль 1902 г., сделал доклад об этой рукописи на XII археологическом съезде в Харькове⁴; Ф. Д. Жордания ознакомил публику с сионской копией⁵ и, наконец, Р. П. Блэйк дал довольно подробное описание рукописи⁶.

¹ მთხილთა წმინდათა და სბჭათა აღმოსავლეთისა ადგილთა ტომთესგან, ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსისა (С предисловием и примечаниями П. Иоселиани). Тбилиси, 1852, стр. 35.

² Каталог грузинских рукописей и старопечатных книг Иверского монастыря, составлен в июне месяце 1883 года: Сведения о памятниках груз. письменности, т. I, вып. 1, стр. 69—75 (Дадиян. вский и сион. кий списки описаны там же, стр. 1—8).

³ Из поездки на Афон: ЖМНП 1889, март, стр. 13.

⁴ Афонский список грузинской библии и его значение для исправления печатного текста: Богословский вестник, 1903, ноябрь, стр. 418—426.

⁵ Описание рукописей, II (1902), стр. 35—41.

⁶ The Athos Codex of the Georgian Old Testament: Harvard Theological Review⁷ Vol. XXII, № 1, January, 1929, pp. 33—56. Также: Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la Laure d'Iviron au mont Athos (Extrait de l'Orient Chrétien, t. VIII, 1931—32, pp. 13—16).

Что же касается текста, то он в печатном виде известен только частично: А. А. Цагарели издал *Песнь песней* (в 1886 г.)¹, а К. С. Кекелидзе—*Екклесиаст* (в 1920 г.)². При этом оба они пользовались не самой рукописью, а копиями: А. А. Цагарели—дадиановской, а К. С. Кекелидзе—обеими (дадиановской и сионской).

Издавать весь текст собиралась Академия Наук, которая в 1910 году уже располагала фотоснимками с рукописи, хранившимися в Азиатском Музее. Издание служило, в первую очередь, целям составления грузинско-русского словаря комиссией, во главе которой стоял Н. Я. Марр, а членами были И. А. Джавахишвили, И. А. Кипшидзе и пишущий эти строки. На заседании комиссии (осенью 1913 года), посвященном изданию афонской библии, как одного из основных источников для выборки слов, первые три книги Пятикнижия Моисея были распределены между членами комиссии след. образом: Бытие—И. А. Джавахишвили, Исход—А. Г. Шанидзе, Левит—И. А. Кипшидзе. Для ускорения издания более крупные книги (напр., Бытие, Исход) предполагалось издать отдельно. Кроме того, было принято решение восполнить недостающие места рукописи соответствующими текстами из Мцхетской рукописи (А 51)³. Я немедленно приступил к списыванию своей доли и, подготовив ее к печати, сдал в типографию Академии. В условиях войны набор и печатание затянулись, и к началу 1917 г. напечатано было только 64 столбца (книга печаталась в два столбца), а именно: Исх. 1, 1—14, 24; было набрано еще до 35-ой главы (включительно). После этого печатание приостановилось, так как разыгрались грандиозные события 1917 года, и я переехал на работу в Тбилиси.

Немалый интерес проявляли к нашей рукописи и за границей: проф. Гарвардского университета Р. Блэйк, 4 раза побывавший на Афоне и описавший там грузинские рукописи⁴, снял с нее фотокопии и использовал их для установления разночтений к грузинской версии четвертой книги Ездры, изданной им раньше по иерусалимской рукописи⁵. Тот же ученый в настоящее время готовит издание книг пророков (с привлечением и иерусалимского списка).

К этому надо добавить, что в своих „Заметках по текстам св. Писания“ Н. Я. Марр для решения вопросов взаимоотношений библейских текстов на грузинском, армянском, греческом и сирийском языках поль-

¹ Сведения, 1, вып. 1 (1886) Приложение, стр. 17—56.

² თარგმანება ეკლესიასტისა მიტროფანე მჭრნელ მიტროპოლიტისა (Commentarii in Ecclesiastem Metrophanis, metropolitanis smyrnensis). Тбилиси, 1920, стр. 180—226 (Афонский текст издан параллельно с тремя другими грузинскими переводами).

³ Известия АН, 1913, № 18, стр. 1067.

⁴ R. P. Blake, Catalogue de manuscrits géorgiens etc. (см. выше).

⁵ R. P. Blake, The Georgian Version of Fourth Esdras from the Jerusalem Manuscript: Harvard Theological Review. XIX, 1926, pp. 299—373; The Georgian Text of Fourth Esdras from the Athos Manuscript: ib., XXII, 1929, pp. 57—105.

зовался и данными афонского списка¹. Кроме того, С. Е. Чхенкели напечатал исследование о склонении собственных имен в древнегрузинском по книгам Царств². Вот все, что сделано до сих пор по изучению и критическому изданию рукописи, которую заказал знаменитый груз. полководец,—в то время уже постригшийся в монахи,—Торник-Иоанн, который вскоре после этого (весной 978 г.) принужден был снова взяться за меч, чтобы, став во главе грузинских войск, данных ему владетелем грузинской провинции Тао куропалатом Давидом, принять активное участие в разгроме Варды Склира, восставшего против центральной власти Византии и захватившего значительные территории в Малой Азии, и, таким образом, отвести неминуемую опасность от Константинополя.

Текст афонских ветхозаветных книг ныне издается так, как он представлен в рукописи. Идея восстановления недостающих мест рукописи текстом михетской библии оставлена, поскольку выяснилось, что михетская рукопись (А 51),—если не целиком, то в большей своей части,—дает текст иной редакции, чем афонская; к тому же местами этот текст в последовательности некоторых глав и стихов (напр., Исхода 36, 37, 38 39) следует не септуагинте, как наш список, а еврейскому тексту и соответствующим ему версиям. Другие рукописи также дают очень пеструю картину; так, напр., Исход по гелатскому Пятикнижию (Кут. Музей, № 38) в редакционном отношении следует то афонской библии, то михетской, а местами стоит совсем особняком; словом, показывает разнородный текст. Поэтому каждую рукопись следует изучать отдельно, с индивидуальным подходом³. Ясно, что при таком положении вещей издание древнегрузинских ветхозаветных книг, испытавших не меньше ревизий и пересделок, чем новозаветные, лучше начать с древнейшей рукописи, которая превосходит все другие и по объему, и по своему значению.

В нашей рукописи ветхозаветные книги писаны сплошным текстом, без деления на главы и стихи. В издании же введено обычное деление; в некоторых случаях счет стихов дается двойной, показывающий, что последовательность стихов по нашему тексту, в общем следующему за греческим текстом 70 толковников, не совпадает с последовательностью обычного издания еврейского текста (в скобках дается деление по еврейскому тексту)⁴.

¹ Заметки по текстам св. Писания в древних переводах армян и грузин: Христианский Восток, II, 163—174 (§§ 1-24), 263—274 (§§ 25—37); III, 249—262 (§§ 38—46); IV, 229—245 (§§ 47—84).

² С. Е. Чхенкели, Склонение собственных имен в „Книгах Царей“ по Ошской рукописи 978 г.: Труды Гблшисского госуд. университета им. Сталина, XXV (1942), 153—208.

³ Говоря это, мы имеем в виду и лекционария, включающие в себе чтения из ветхозаветных книг.

⁴ В этом случае работу облегчало нам кэмбриджское издание греческого текста: Н. В. Swete, The Old Testament in Greek. V. I. Cambridge 1909.

Текст печатается по фотографиям так, как он дан в рукописи, только титла раскрыты, пропуски отмечены многоточиями (...), поблекшие от времени еле видные слова и буквы заключены в круглые скобки (), а недостающие и восполненные нами — в квадратные [].

Колебания в орфографии фонетического и морфологического характера (иногда и синтаксического) сохранены, поскольку они остаются в пределах допустимых форм. Исправлены описки и явные погрешности, но все рукописные чтения указаны в примечаниях литерой А¹.

Большой разноречивостью показывают собственные имена (личные и географические), но исправлять их, с целью проведения единообразия, не входило вообще в наши задачи даже тогда, когда ясно было, что ошибка происходит от смешения букв на грузинской почве, как, напр., в случаях с Гозом (вм. Голом, Быт. 36, 23) и Лукам (вм. Зукам, Быт. 36, 27)². К исправлениям в подобных случаях можно приступить только имея в руках разночтения всех грузинских списков и при учете форм других версий, к которым тяготеет грузинский перевод.

В настоящем выпуске местами явно выступает влияние греч. текста. Отметим несколько характерных случаев: Γεῦσόν με ἀπὸ τοῦ ἐψέματος τοῦ πυρρός (Быт. 25, 30) გემოვ მიხილვე მებრისა მესხვან ოქქონა „дай отве-
датель эту (имеющуюся у тебя) пше ни цу“. Очевидно, ошибка произошла от смешения слова πυρρός („огненного цвета“) с созвучным πυρός „пшеница“³; καὶ τὰ λιθοουργικά καὶ εἰς τὰ ἔργα τὰ τεκτονικά τῶν ξύλων (Исх. 31, 5) სამსახურებელსა მს და საქმეს ძეგლთ ხუროებისასა („с служеб-
ное и дело плотничное по дереву“. Видимо, вм. λιθοουργικά („относящееся к каменному делу“) прочитано λιτοουργικά („служебное“). В одном случае предлог отнесен к следующему за ним слову: κατὰ τὸν ὄρειον Катерон, что представляет собой передачу греч. καθ' Ὁρώων πόλιν (Быт. 46, 28—29).

Есть места, явно искаженные под пером переписчиков (Быт. 10, 11; Исх. 22, 18 и др.).

Текст нашего издания имеет громадное значение для решения вопросов о переводе, редактировании и филиации ветхозаветных книг, равно как и для других вопросов историко-литературного характера. Это ясно и из двух книг данного выпуска. Но эти и другие вопросы следует отложить до того момента, когда весь текст рукописи будет напечатан.

Выходом настоящего выпуска возобновлена прерванная 30 лет тому назад работа над критическим изданием афонского списка грузинских библейских книг Ветхого Завета.

¹ Введенное Н. Я. Марром обозначение этой рукописи литерой О (= Ошкская рукопись) неудобно в том отношении, что она часто принимается за нуль.

² Ошибка произошла от смешения уставных груз. букв Ъ (ა) и Ь (ვ).

³ Возможно, что смешение имело место в греч. тексте.

Как ни отраднo это обстоятельство, тем не менее не могу не отметить с великим прискорбием, что, увы, давно почил инициатор этого издания, великий ученый Н. Я. Марр († 1934), равно как не стало и двух его сотрудников в этом деле: другого великого ученого И. А. Джавахишвили († 1940) и талантливого И. А. Кипшидзе, преждевременно сошедшего в могилу († 1919).

На пишушем эти строки лежит обязанность продолжить и довести до конца дело, близкое их сердцу.

А. Шанидзе

1. XI. 1947
Тбилиси

የገጊዘዘ

ሐዲሃገጌገጌ

ገበዳሃገጌገጌ

ገ

სადა-იგი ექმნა მას პირველად. და ჰხადა მუნ სახელსა უფლისა ღმრთისასა.

5. და ლოტთან-მოსრულ იყო აბრაჰამისა, იყო საცხოვარი და ზროხად და კარგები.

6. და ვერ იტევდა მათ ქუეყანად იგი დამკვდრებად ერთბამად, რამეთუ იყო მონაგები მათი ფრიად. და ვერ შემძლებელ იყვნეს დამკვდრებად ზოგად.

7. და იყო ლალეჲ შოერის (მწყემსთა მათ სა)ცხოვართა აბრაჰამისთა და შოერის მწყემსთა მათ საცხოვართა ლოტისთა. ხოლო ქანანელი იგი დაჰკვდრებულ იყო მას შინა ქუეყანასა მას.

8. ჰრქუა აბრაჰამ ლოტს: ნუ იყოფინ ლალეჲ შოერის ჩემსა და შენსა და შოერის ნწყემსთა¹ შენთა და ჩემთა, რამეთუ კაცნი ძმანი ვართ ჩუენ.

9. ანუ არა აჰა-ეგერა ყოველი ქუეყანად წინაშე შენსა? განმეშორე ჩემგან. ანუ შენ მარჯუენით და მე მარცხენით, ანუ მე მარჯუენით და შენ მარცხენით.

10. და აღიხილნა ლოტ თუალნი თჳსნი და იხილა ყოველი [2] სან. ხეები იორდანისაჲ, რამეთუ ყოველი იყო სარწყავ, ვიდრე დაქცევადმდე ღმრთისა მიერ სოდომისა და გომორისა, იყო ვითარცა სამოთხე ღმრთისაჲ და ვითარცა ქუეყანად ეგჳტისაჲ, ვიდრე მოსლვადმდე სეგორად.

11. და გამოირჩია თჳსა ლოტ ყოვე-

ლი სანახები იორდანისაჲ. და წარმოვიდა ლოტ აღმოსავლით და განმეშორა კაცად-კაცი დმისაგან თჳსისა.

12. და აბრაჰამ დაემკვდრა ქუეყანასა მას ქანანისსა და ლოტ დაემკვდრა ქალაქსა მას სანახეთასა³ და დაეშენა სოდომს შინა.

13. ხოლო კაცნი იგი სოდომელნი უკეთურ² და ცოდვილ იყვნეს წინაშე უფლისა ფრიად.

14. მაშინ ჰრქუა ღმერთმან აბრაჰამს შემდგომად განშორებისა მის ლოტისა მისგან: აღიხილენ თუალნი შენნი და იხილე მაგიერ აღგილით, სადა-ეგჳ ხარ შენ აწ, ბლუარად კერძო და ჩრდილოდ, აღმოსავლად და ზღუად.

15. ყოველსა ქუეყანასა რომელსა შენ ჰხედავ, შენ მიგცე იგი და ნათესავსა შენსა უკუნისადმდე.

16. და ვყო ნათესავი შენი ვითარცა. [ქჳშად]⁴ ქუეყანისაჲ. და უკუეთუ ვინმე უძლოს ქჳშად ქუეყანისაჲ აღრაცხად, ნათესავიცა შენი აღრაცხოს⁵.

17. აღდგე და მოვლე ქუეყანად, სიგრძელ და სივრცე მისი, რამეთუ შენ მიგცე იგი.

18. და აღილო კარავი თჳსი აბრაჰამ და მოვიდა და დაეშენა იგი მუხასა მას თანა მამბრესა, რომელ-იგი არს კებრონს, და აღაშენა მუნ საკურთხეველი უფლისაჲ.

14

1. და იყო მეფობასა მას ამარფალ მეფისა სენარისასა და არიოქ მეფისა სილლარისასა [v] და ქოდოლაგომორ მეფისა მის ელამისასა და თარგალ მეფისა მის წარმართთაჲსა.

2. და ყვეს ბრძოლად ბალაკის თანა, მეფისა სოდომელთაჲსა, და ბასაჲს თანა, მეფისა გომორელთაჲსა, და სინარ მეფისა ადამაჲსასა და სობომორ მეფისა სიბომომისა და მეფისა ბალაკისა: ესე-იგი არს სეგორი.

1 მწყემსთა A. 2 სანახეთასა A. 3 უკეთუ A. 4 ქჳშად]—A. 5 ანუ A (აქტიური ფორმით).

3. ესე ყოველნი შეითქუნეს ღელესა მის მარილოანსა, ესე-იგი არს ზღუად მარილთაჲ.

4. ათორმეტ წელ ჰმონებდეს ქოღოლაგომორს¹, ხოლო მეათცამეტესა წელსა განდგეს.

5. და მეათოთხმეტესა² წელსა მოვიდა ქოღოლაგომორ და მეფენი იგი მის თანა და მოწყვდნეს გმირნი იგი, რომელნი იყვნეს ასტაროთს³ შინა კარანისასა, და ნათესავნი ძლიერნი და სომშელნი იგი საეეს შინა ქალაქსა.

6. და ქორელნი იგი მათთა შინა სეირისათა, ვიდრე ბელეკუნადმდე ფარანისა, რომელ არს უდაბნოსა ზედა.

7. და მოაქციეს და მოვიდეს წყაროსა მას საშველისასა, ესე-იგი არს კადე⁴. და მოწყვდნეს ყოველნი მთავარნი ამაღლეკისანი და ამორეველი იგი, რომელ დამკვდრებულ იყვნეს ასასან თამარს⁵.

8. განვიდა მეფე სოდომისაჲ და მეფე გომორისაჲ და მეფე ადამაჲსა და მეფე სიზომისაჲ და მეფე ბალაკისაჲ, ესე-იგი არს სეგორი, და ეწყვნეს მათ ბრძოლად კეესა მას მარილოანსა:

9. ქოღოლაგომორს, მეფესა⁶ ელამისასა, და თარგალს, მეფესა⁷ [ვ] წარმართთასა, და ამარფალს, მეფესა⁸ სალაპარისასა, და არიოქს⁹, მეფესა¹⁰ სილაპარისასა—ოთხნი ესე მეფენი ხუთთა მიმართ.

10. ხოლო კეევი იგი მარილოანი მღვმენი იყვნეს მალთისანი. და იელტოდა მეფე სოდომელთაჲ და მეფე გომორელთაჲ და შეცკვეს მას შინა. და სხუანი იგი მთად კერძო (იელტოდეს).

11. და წარიღეს ყოველი ცხენები

სოდომისაჲ და გომორისაჲ და ყოველი საზრდელი მათი და წარვიდეს.

12. და წარიყვანეს ლოტცა, ძმის წული აბრაჰამისი, და ნაყოფი მისი და წარივიდეს, რამეთუ მკვდრ იყო იგი სოდომს შინა.

13. მო- ვინმე-ვიდა განრინებულთა-განი მიერ კერძო და უთხრა აბრაჰამს, რამეთუ იგი დამკვდრებულ იყო მუხასა მას თანა- მამბრძისა ოლმორს¹¹ ძმისა ესქოლისსა და ძმისა აენანისსა¹⁰.

14. ესმა აბრაჰამს, რამეთუ წარიტყუნა¹¹ ლოტ, ძმის წული მისი. აღირაცხნა თჳსნი სახლისა ნაშობნი მისნი სამას ათრვამეტნი და დევნა- უყო შემდგომად მათსა ვიდრე დანდმდე.

15. და დაესხა ღამე¹², იგი და მონანი, და მოსრნა იგინი. და წარიტყინა იგინი ვიდრე ქობალადმდე¹³, რომელ არს მარცხენით კერძო დამასკისა,

16. და მოაქცია ყოველი ცხენები სოდომისაჲ და ლოტ, ძმის წული თჳსი, მოიყვანა და ყოველი მონაგები მისი და დედანი და ერი.

17. გამოვიდა მეფე სოდომისაჲ შემთხვევად [ვ] აბრაჰამისა, მო- რაჲ-ქცეულ იყო იგი მოწყუდელისაგან ქოღოლაგომორისა და მეფეთა¹⁴ მათ, რომელნი იყვნეს მის თანა ღელესა მას საეესა¹⁵, ესე-იგი არს ველი მეფეთაჲ¹⁶.

18. და მელქიზედეკ, მეფემან¹⁷ სალემისამან, გამოართუა აბრაჰამს პური და ღვინო. ხოლო იყო ესე მღვდელი ღმრთისა მალისაჲ.

19. და აკურთხა აბრაჰამი და თქუა: კურთხეულ არს აბრაჰამი ღმრთისა მიერ მალისა, რომელმან დაჰბადნა ცანი და ქუეყანაჲ,

1 ქოღოლაგომორს A. 2 მეათოთხმეტესა A. 3 ასტაროთს A. 4 კადე A. 5 ასასან თამარს მათას სან თამარს A. 6 მეფესა A. 7 არიოქ A. 8 ასეა A. 9 ძმისა A. 10 აენანისა A. 11 წარიტყუნა A. 12 ღამე A. 13 ქუბადმდე A. 14 მეფეთა A. 15 საეესა A. 16 მეფეთა A. 17 მეფემან A.

20. და კურთხეულ არს ღმერთი მა-
ლალი, რომელმან მოგცნა მტერნი შენნი
ჯელთა შენთა. და მისცა მას აბრაჰამ
ათეულა ყოვლისაგან.

21. ჰრქუა მეღემან სოდომელთამან
აბრაჰამს: მომცენ მე კაცი, და ცხენები
მიიღე შენდაღ¹.

22. ჰრქუა აბრაჰამ მეფესა² სოდო-
მელთასა: განვიპყრე ჯელნი ღმრთისა
მიმართ მალღისა, რომელმან დაჰბადნა
კანი და ქუეყანაჲ.

23. უკუეთუ საბლითგან³ ვიდრე ჯაშ-
ლის ტეფადმდე—შესასხმელთამდე—მო-
ვილო ყოვლისაგან, რომელ არს შენი.
რადთა არა სთქუა, ვითარმედ: მე განვაჲ-
დილრე აბრაჰამი,

24. გარნა რომელ-რად ჰამეს ჰაბუჲ-
თა ამათ, და ნაწილი კაცთა ამათ, რო-
მელნი მოვიდეს ჩემ თანა: ესქოლ, აენან.
მაჲმრე⁴, ამათ მიიღონ ნაწილი.

15

1. ამის სიტყუა შემდგომად იყო სი-
ტყუად უფლისაჲ აბრაჰამისა მიმართ და
თქუა: ნუ გეშინინ, აბრაჰამ, მე შეგე-
წიო შენ და სასყიდელი შენი დიდ იყოს
ფრიად.

2. ჰრქუა აბრაჰამ: უფალო, რად მომცე
მე? და მე ესერა დატივებულ ვარ უშვი-
ლოდ, ხოლო ძმ მასეისი, სახლის წუ-
ლისა ჩემისაჲ, ესე დამასკელი ელიეზერ.

3. და თქუა აბრაჰამ: რამეთუ არა
მეც თესლი, ამან სახლის წულმან ჩემმან
დამიმკდროს მე.

4. და მე(ყსეულად ჯმად იყო) მისა და
ჰრქუა: არა დაგიმკდროს შენ მაგან,
არამედ რომელი ვამოვიდეს შენგან, მან
დაგიმკდროს შენ.

5. და გამოიყვანა გარე და ჰრქუა
მას: აღიხილენ თულანი შენნი ზეცად
და აღრაცხენ ვარსკელაჲნი, უკუეთუ
უძლო აღრაცხად მათი. და ჰრქუა: ესრე
იყოს ნათესავი შენი.

6. და ჰრწმენა აბრაჰამს ღმრთისაჲ
და შეერაცხა მას სიმართლედ.

7. და ჰრქუა მას: მე ვარ ღმერთი,
რომელმან გამოგიყვანე შენ სოფლისა
მისგან ქალდეელთაგან, რადთა მიგცე
შენ ქუეყანად ესე სამკჳდრებელად.

8. და თქუა აბრაჰამ: უფალო, უფალო.
რადთა უწყყოდი, რამეთუ დავიმკდრო-
იგი?—

9. და ჰრქუა მას ღმერთმან: მომგუა-
რე მე დიაცული სამ წლისაჲ და თხად
სამ წლისაჲ და ვერძი სამ წლისაჲ და
გურიტი და ტრედი.

10. მოიღო ესე ყოველი აბრაჰამ და
განახებრა იგი შოვრის და დააგო იგი
წინაშე პირისპირ ურთიერთას. ხოლო
მფრინველნი იგუ არა განყვნა.

11. და გარდამოვიდოდა მფრინველი
ჯორცსა მის ზედა განყოფილ(სა)⁵. ხოლო
აბრაჰამ თანა-ჯდა.

12. [ν] და დასლვისა ოდენ მზისასა
განკჳრვებაჲ დაეცა აბრაჰამის ზედა და
აჰა-ესერა შიში დიდი ბნელისაჲ მო-
იწია მის ზედა.

13. და ჰრქუა აბრაჰამს: უწყებით
უწყოდე, რამეთუ მწირ იყოს ნათესავი
შენი ქუეყანასა არა თჳსა და დიიმონ-
ნენ იგინი და ბოროტსა უყოფდენ ოთხ-
ას წელ.

14. ხოლო ნათესავსა მას რომელსა
ჰმონებდენ, ესაჯო მე (და ამის)ა შ. მ.

1 ასეა A. 2 მეფესა A. 3 საბლითგან საბლის A. 4 მაჲმრე A. 5 რა A. 6 განუყოფილ(სა) A.

დღომად გამოვიდენ აქა კურკრითა მრავლითა.

15. ხოლო შენ წარხვდე მამათა შენთა თანა მშედობით, განზრდილი სიბერითა კთილითა.

16. ხოლო მეოთხე ნათესავი მოიქცეს აქა, რამეთუ არღა აღსრულებულ არიან ცოდვანი ამორეველთანი აქამოდე.

17. და ვითარცა იყო მზღ დასლვასა, იყო აღი და აპა-ესერა საჭუმილი მკლ-მოლგარძ და ლამპარნი ცეცხლისანი. და განელეს შოვრის განყოფილთა მათ.

18. მას დღესა აღუთქუა ღმერთმან აღთქუმაჲ აბრაჰამს და ჰრქუა: ნათესავსა შენსა მივსცე ქუეყანაჲ ესე მდინარიოგან ეგვპტისაჲთ ვიდრე მდინარედმდე დიდად ეფერატაჲ:

19. სინელნი ლა კენეზელნი და კედონელნი,

20. ქეტელნი და ღერგებელნი და რათაინელნი

21. და სარელნი და ქანანელნი და ეველნი და გერგესეველნი და იებოსელნი.

16

1. ხოლო სარა, ცოლი მისი, არა შობდა. და იყო მკევალი მისი ეგვპტელი, რომელსა სახელი ერქუა აგარ.

2. [5] ჰრქუა სარა აბრაჰამს ქუეყანასა მას ქანანისასა: აპა-ესერა დამაყენა² მე ღმერთმან არა შობად. შევედ უაუშ მკეველისა ჩემისა, რამათა შევილიერ იქმნე მისგან. და ერჩღა აბრაჰამ კმასა საარაჲსა.

3. და მოიყენა სარა, ცოლმან აბრაჰამისმან, აგარ მეეგვპტელი³, მკევალი თჳსი, შემდგომად (ათისა წლისა დამკედ-რებისა აბრაჰამისა ქუეყანასა მას ქანანისასა, და მისცა იგი აბრაჰამს, ქმარსა თჳსსა, მისა ცოლად.

4. და შევიდა მისა და მიუღდა იგი. და იხილა, რამეთუ მიდგომილ არს და შეურაცხ იქმნა დედოფალი იგი მის წინაშე.

5. ჰრქუა სარა აბრაჰამს: მევენების მე შენგან. მე მიგეც მკევალი ჩემი წიალთა შენთა. ვითარცა იხილა, რამეთუ მიდგომილ არს, შეურაცხ ვიქმენ მის წინაშე. საჯენ უფალმან შენ შოვრის და ჩემ შოვრის.

6. ჰრქუა აბრაჰამ სარას: აპა მკევალი შენი ჯელთა შენთა შინა არს. ივმიე, ვითარცა საონო-არს შენდა. და ძვრასა უყოფდა მას სარა. და იელტოდა იგი პირისაგან მისისა.

7. პოვა იგი ანგელოზმან უფლისამან წყაროსა ზედა წყლისაჲა უდაბნოსა, წყაროსა მას გზასა ზედა სორისასა.

8. და ჰრქუა მას ანგელოზმან უფლისამან: აგარ, მკევალო სარაჲსო, ვინაჲ მოხუალ?... და მან ჰრქუა. მას: პირისაგან სარაჲსა, დედოფლისა ჩემისა, ვივლტი.

9. ჰრქუა მას ანგელოზმან უფლისამან: მიიქეც დედოფლისა შენისა და დამდაბლდი [v] ქუეშე⁴ ჯელსა მისსა.

10. ჰრქუა მას ანგელოზმან უფლისამან: განმრავლებით განვაშრავლო ნათესავი შენი, რომელი ვერ აღირაცხოს სიმრავლითა.

11. ჰრქუა მას ანგელოზმან უფლისამან: აპა-ესერა მიდგომილ ხარ შენ და შევე ძმ და უწოდი სახელი მისი ისმაელ, რამეთუ შეისმინა უფალმან სიმდაბლისა შენისაჲ.

12. ესე იყოს კაც ველურ. გელნი მისნი ყოველთა ზედა და გელნი ყოველ-
თანი მის ზედა და წინაშე ყოველთა
ძმათა მისთა დამეკდროს.

13. და ჰხადა აგარ სახელსა უფლი-
სასა, რომელი-იგი ეჩუენა მას: შენ ხარ
ლმერთი, რომელმან მომხედნე მე. რა-
მეთუ თქუა, ერთარმედ წინაშე პირის-
პირ ვიხილე, რომელი-იგი მეჩუენა მე.

14. ამისთჳს ეწოდა ჯურღმულსა მას.
ჯურღმული, სადა-იგი ვიხილე წინაშე,
აჰა-ესერა შოვრის კადესა¹ და შოვრის
ბარადსა².

15. და უშვა აგარ აბრაჰამს ძმ³ დი-
უწოდა აბრაჰამ ძესა³ თჳსსა, რომელი-
იგი უშვა მას აგარ, ისმაელ.

16. აბრაჰამ იყო ოთხმოეცი და ექუსის
წლის, რაჲმს უშვა აგარ ისმაელი.

17

1. იყო აბრაჰამ ოთხმოეცი და ცხრა-
მეტ წლის და ეჩუენა უფალი აბრაჰამს
და ჰრქუა მას: მე ვარ ლმერთი შენი.
სათნო-იყავ წინაშე ჩემსა და იყავ უბიწო.

2. და დაედვა აღთქუმაჲ ჩემი შოვრის
ჩემსა და შოვრის შენსა და განგამრავ-
ლო შენ ფრიად.

3. და დავარდა აბრაჰამ პირსა ზა-
თჳსა და ეტყოდა მას უფალი და
ჰრქუა:

4. და მე აჰა-ესერა [6] ეჰყოფ აღ-
თქუქასა ჩემსა შენ თანა და იყო მამა
მრავალთა [ნათესავთა]⁴.

5. და არლარა გეწოდოს შენ სახელი
აბრაჰა⁵, არამედ იყოს სახელი შენი აბ-
რაჰამ, და რამეთუ მამად მრავალთა ნა-
თესავთა დაგადგინე შენ.

6. და აღგაორძინო შენ ფრიად და
დაგადგინო შენ ნათესავად და მეფენი⁶
შენგან გამოვიდნენ.

7. და დავამტკიცო აღთქუმაჲ ჩემი
შოვრის ჩემსა და შოვრის შენსა და
შოვრის ნათესავისა შენისა შემდგომად
შენსა ნათესავისა მათისამდე აღთქუმაჲ
საუკუნოდ, რამთა ვიყო შენდა ლმერთ
და ნათესავისა შენისა შემდგომად შენსა.

8. [და მიგცე შენ და ნათესავსა შენსა
შემდგომად შენსა]⁸ კუეყანაჲ ეგე, რა-

მელსა შენ ჰმწირობ, ყოველი კუეყა-
ნაჲ [ჰანანისაჲ]⁷ სამკდრებელად საუ-
კუნოდ, და ვიყო მე მათა ლმერთ.

9. და ჰრქუა უფალმან აბრაჰამს: შენ
აღთქუმაჲ ჩემი დაიმარხე, შენ და ნა-
თესავმან შენმან შემდგომად შენსა ვიდ-
რე ნათესავამდე⁸ მათა.

10. და ესე არს აღთქუმაჲ, რომელ
დაიმარხოთ შოვრის ჩემსა და თქუენსა.
და შოვრის ნათესავისა შენისა შემდგო-
მად შენსა ვიდრე ნათესავამდე⁸ მათა:
წინა-დასცუთოთ თქუენ ყოველსა წულსა.
ნათესავსა შოვრის თქუენსა.

11. და წინა-დაიცუთოთ ჯორცი წინა-
დაცუეთილებისაჲ ... აღთქუმით შოვრის
ჩემსა და შოვრის თქუენსა.

12. და ყრმასა რვისა დღისასა წინა-
დასცუთოთ ყოველსა წულსა ნათესავსა.
შოვრის თქუენსა, სახლისა ნაშობსა სახ-
ლისა შენისასა და ვეცხლით სყიდულმან,
რომელი იყოს ნაშობი უცხო თქუეს-
ლისაჲ, რომელ არა არს ნათესავისაგან
შენისა,

13. წინა-დაიცუეთით წინა-დაიცუთოს
სახლის წულმან სახლისა შენისამან და
ვეცხლით ფრდილმან. და იყოს აღთქუ-
მაჲ ჩემი ჯორცსა თქუენსა⁹ აღთქუმად
საუკუნოდ.

1 კადესა A. 2 გაჲაღსა A. 3 ძმსა A. 4 ნათესავთა]—A. 5 მეფენი A. 6 და მიგცე...
წენსა]—A. 7 ჰანანისაჲ]—A. 8 ასეა A (უპარაგმოდ, პირველად უდონოდ, მეორედ დონით)—
9 თქუენსა] ჩემსა A.

14. და წულმან რომელმან არა დაი-
ცუთოს ჯორცი წინა-დაცუეთილებისა
თჳსისაჲ დღესა¹ მერგესა, მოისპოს სუ-
ლი მისი ნათესავისაგან თჳსისა, რამეთუ
აღთქუმაჲ ჩემი განაქარვა.

15. ჰრქუა უფალმან აბრაჰამს: სარას,
ცოლსა შენსა, არღარა ეწოდოს სახელი
მისი სარა, არამედ სარრა იყოს სახელი
მისი.

16. ხოლო ვაჟურთხო იგი და მოგცე
შენ მისგან შვილი და ვაჟურთხო იგიცა.
და იყოს ნათესავად დიდად და მეფენი
ნათესავთანი შენგან² გამოვიდოდინ.

17. და დავარდა აბრაჰამ პირსა ზედა
თჳსსა და განიცინა გულსა თჳსსა და
იტყოდა: უკუეთუ ისინი წლისასა ესუას
და უკუეთუ სარრა ოთხმეოც და ათისა
წლისამან შეას³?

18. ჰრქუა აბრაჰამ ღმერთსა: ისმაელ
ესე ცხონდინ წინაშე⁴ შენსა, უფალო.

19. ჰრქუა ღმერთმან აბრაჰამს: ჰე,
ესერა სარა გიშვეს შენ ძმ და უწოდი
სახელი მისი ისაკ. და დავამტკიცო აღ-
თქუმაჲ ჩემი მის თანა აღთქუმაჲ საუკუ-
ნოდ და ნათესავისა მისისა თანა შემდ-
გომად მისა.

20. ხოლო ისმაელისთჳს აჰა-ესერა
ვისმინე შენი, და [7] ვაჟურთხო იგი
და აღვაორძინო იგი და განვაზრადლო

იგი ფრიად, და ათორმეტი ნათესავი
შვეს და მიესცე იგი ნათესავად დიდად.

21. და აღთქუმაჲ ჩემი დავამტკიცო
ისაკის თანა. რომელი გიშვეს⁵ შენ სა-
რა ამასე ეჰსა წელიწადსა მეორესა.

22. და დაასრულნა სიტყუანი ესე
მისა მიმართ და (ამაღლდა ღმერთი
აბრაჰამ)მისგან.

23. და მოიყვანა აბრაჰამ ისმაელ, ძმ
თჳსი, და ყოველნი სახლისა ნაშობნი
თჳსნი და ყოველნი ვეცხლით სყიდულნი
და ყოველი წული კაცთაჲ მათ სახლისა
აბრაჰამისთაჲ. და წინა-დასცუთა წინა-
დაცუეთილებაჲ იგი მათი ეჰსა მას
მის დღისასა, ვითარცა ეტყოდა მას
ღმერთი.

24. აბრაჰამ იყო ოთხმეოც და ცხრა
წლის, ოდეს წინა-დაიცუთა ჯორცი წი-
ნა-დაცუეთილებისა მისისაჲ,

25. ხოლო ისმაელ, ძმ ჰისი, ათცამეტ
წლის, რაჲმს წინა-დასცუთა ჯორცი წინა-
დაცუეთილებისა მისისაჲ.

26. ეჰსა მას მის დღისასა წინა-დაი-
ცუთა აბრაჰამ და ისმაელ, ძემან მის-
მან.

27. და ყოველთა კაცთა სახლისა მი-
სისათა და სახლისა ნაშობთა და ვეცხ-
ლით ფრდილთა უცხო თესლთაგან ნა-
თესავთა წინა-დასცუთა.

18

1. ეჲენა ღმერთი აბრაჰამს მუხასა
მას თანა მამბრძსსა, ჯდა რაჲ იგი კარ-
თა მათ ზედა კარვისა მისისათა შუვა
სამზრის.

2. აღიხილნა თუალნი თჳსნი და იხი-
ლა და აჰა სამ კაც [6] დგეს ზედა მისა.
და იხილნა იგინი და აღდგა, მირბიოდა

შემთხუევად⁷ მათა კართგან კარვისა მი-
სისაჲთ და თაყუანის-სცა მათ ქუეყანასა
ზედა.

3. დი ჰრქუა მათ: უფალნო, უკუეთუ
ვპოე მაღლი წინაშე თქუენსა, ნუ თანა-
წარმევალთ მონასა თქუენსა.

4. მოიღონ წყალი და დაგბანნენ ფერჯ-

1 დღშა A. 2 მეფენი ნათესავთანი შენგან მეფენი ნათესავისა შენისაგან A (შდრ. 17,6).
3 ანუ A (შდრ.: შვეს 17, 20). 4 ცხონდინ წე] ცხონდ A. 5 ძმ A. 6 გიშვეს A. 7 შემთხუევად A.

ნი თქუენნი, და დაიგრილეთ ხესა¹ ქუეშე².

5. და მოიღონ ჰური და ქამეთ და ამისა შემდგომად წარვედით გზასა თქუენსა, ვინაჲთჳან მოაქციეთ მონისა თქუენისა. და თქუეს: ეგრძელ ვყოთ, ვითარცა სთქუჲ.

6. და ისწრაფა აბრაჰამ შესღეად კარვად. სარაჲსა და ჰრქუა მას: აღრე ყავ და შესუარე სამი საწყაული სამინდლოჲ და ქვენ ყურბეული.

7. და ზროხათა მირბიოდა აბრაჰამ და მოიბა ვბოჲ ჩჩლი და კეთილი და მისცა მონასა და იწრაფა შესაქმედ.

8. და მოიღო ერბოჲ და სძღ და ვბოჲ იგი, რომელ შექმნა, და დაუგო მათ და ქამეს. და იგი წინაშე მათსა დგა ხესა¹ მას ქუეშე².

9. ჰრქუა აბრაჰამს: სადა არს სარა, ცოლი შენი? მან მიუგო და ჰრქუა: აჰა-ეგრეა სახლსა შინა.

10. ჰრქუა უფალმან აბრაჰამს: მოვი-ქცო და მოვიდე შენდა ეამსავე³ ამას ეჲმად და ესუას სარას ძმ...

11. აბრაჰამ და სარა მოხუცებულ იყვნეს და გარდასრულ დღეთა. მოაკლ-და სარა დედათა წესსა.

12. განიცინნა⁴ [8] სარა გულსა თჳსსა და თქუა: არღასადა რაჲ მომეცა მე აჲჲმომდე და აწ უფალი ჩემი მოხუცე-ბულ არს.

13. ჰრქუა უფალმან აბრაჰამს: რაჲსა განიცინნა სარა გულსა თჳსსა⁵ და თქუი: ჰეშმარიტად ვშვე მება, რამეთუ მე და-ვბერდი?

14. ნუჟეთუ შეუძლებელ არსა ღმრთი-სა თანა სიტყუაჲ? (ამასვე ეამსა მო)ვი-დე შენდა, რომელცა⁶ გწადოდა, და ესუას სარას ძმ.

15. უფარ-ყო სარა და თქუა: არა ეიცინოდე, რამეთუ შეშინდა. და ჰრქუი: არა, არამედ იცინოდე.

16. აღდგეს კაცი იგი მიერ და შთა-ხედეს პირს⁷ ზედა სოლომისასა და გომორისასა. ზოლო აბრაჰამ თანა-უეი-ლოდა მით და წარჰგზავნიდა.

17. და თქუა უფალმან: და-ნუ -ემალო მება აბრაჰამისგან, მონისა ჩემისა, რომე-ლი მეგულების მე ყოფად?

18. აბრაჰამ იყოს ნათესავად ღიდად და მრავლად და იკურთხეოდინ მისა მიმართ ყოველნი ნათესავნი ქუეყანისანი.

19. უწყოდე, რამეთუ ამცნოს შეილ-თა მისთა და სახლსა მისსა შემდგომად მისა და იმარხვიდენ გზათა უფლისათა ყოფად სიმართლესა და მშჯავრსა, რაჲ-თა მოაწიოს უჟულმან აბრაჰამის ზედა ყოველივე, რავდენსაცა ეტყოდა მას.

20. და თქუა უფალმან: ღალადებაჲ სოდომისაჲ და გომორისაჲ განმრავლე-ბულ არს და ცოდვანი მათნი დიდ არიან.

21. გარდავიდე და ვიხილო, უკეთუ ღალადებისაებრ მათისა, [v] რონელნი მოიწევიან ჩემდა, ეგრძელ აღესრულე-ბიან, რაჲთა ვცნა.

22. და მიაქციეს მიერ⁸ და შივიდეს სოდომად. ზოლო აბრაჰამ დგა-ლა წი-ნაშე უფლისა.

23. და მიეახლა აბრაჰამ და ჰრქუა უფალსა: ნუ წარსწყმიდოა მართალი უღმრთოჲსა თანა და იყოს მართალი იგი ვითარცა უღმრთოჲ?

24. უკეთუ იყვნენ მართალნი ქალაქ-სა მას შინა ერგასისნი, წარ-მე-სწყმიდ-ნება ივინი? არა დააცადოა ყოველი იგი აღდილი ერგასისთა მათთჳს მართალთა, უკეთუ იყვნენ მას შინა?

25. ნუსადა არა ჰყო ამის სიტყუა-
ებრ, ვითარცა მოჰკალ მართლი ჟღერ-
თოდა თანა და იყოს მართალი იგი
ვითარცა ჟღერთომ? ნუსადა, რომელი
შჯი ყოველსა ქუეყანასა, არა ჰყო სა-
შჯელი?

26. და თქუა ღმერთმან: უკუეთუ იპო-
ვნენ სოდომს შინა ერგასის წართალნი,
დავატადო ყოველივე იგი აღგილი მათ-
თჱს.

27. მიუგო აბრაჰამ და ჰრქუა ღმერ-
თსა: აჲ ვიწყო სიტყუად უფლისა მი-
მართ, რამეთუ მე ვარ მიწაჲ და ნი-
ცარი:

28. უკუეთუ აკლდენ ერგასისთა ხუთ
მართალნი, წარ-მე-სწყმიდო ხუთთა მათ-
თჱს ყოველივე ქალაქი? და თქუა ღმერთ-
მან: არა წარეწყმიდო, უკუეთუ ეპო-
ვნე მუნ ორმოც და ხუთ.

29. და შესძინა აბრაჰამ მერმე სა-
ტყუად: უკუეთუ იპოვნენ მუნ ორმოც?
და თქუა უფალმან: არა წარეწყმიდო
[9] ორმოცთა მათთჱს.

30. და თქუა აბრაჰამ: ნუკუე გან-
ჰრისნე, უფალო, უკუეთუ ვიტყოდი-ლა:
იპოვნენ თუ ოც და ათ? და თქუა: არა
წარეწყმიდო, ეპოვო თუ მუნ ოც და ათ.

31. და თქუა აბრაჰამ: რამეთუ ნაჭეს-
ლა სიტყუად უფლისა მიმართ: იპო-
ვნენ თუ მუნ ოც? და თქუა: არა წარ-
ეწყმიდო ოცთა მათთჱს.

32. და თქუა აბრაჰამ: ნუკუე რად-
მე, უფალო, უკუეთუ ვიტყოდი-ლა ერთ
გზის: იპოვნენ თუ მუნ ათ? და თქუა
უფალმან: არა წარეწყმიდო ათთა მათ-
თჱს.

33. და ამოღლა უფალი, ვითარცა
დასცხრა სიტყუად აბრაჰამისა მიმართ.
და აბრაჰამ წარვიდა სახიდ თჱსა.

19

1. მოვიდეს ორნი იგი ანგელოზნი
სოდომად მიმწუხრი და ლოტ ჯდა ბე-
თა ზედა ქალაქისათა. და ვითარ იხილ-
ნა იგინი ლოტ, აღდგა შემთხუევად მა-
თა და თაყუანის-სცა ქუეყანასა ზედა.

2. და ჰრქუა: აჰა, უფალნო, მოაქ-
ციეთ სახიდ მონისა თქუენისა და დად-
გიოთ და დაიბანენით ფერწნი თქუენნი
და აღიმსთუეთ და წარვედით გზასა
თქუენსა. ხოლო მათ თქუეს: არა, არა-
მედ უბანთა ზედა ვიყვნეთ.

3. და აიძულა მათ და¹ მიაქციეს
ნისა და შევიდეს სახლსა მისსა. და
უშზადეს მათ სერი და უქმნეს მათ უცო-
მოჲ და ქამეს (4). ვიდრე დაძინებამდე.

4. ხოლო კაცნი იგი ქალაქისა სოდო-
მელნი გარე მოადგეს [5] სახლსა მას

ქაბუკითგან ვიდრე მოხტეზულამდე და
ყოველი ერი ერთბამად².

5. განოჰადოდეს ლოტს და ეტყო-
დეს მას: სადა არიან³ კაცნი იგი: რო-
მელ შემოვიდეს შენდა ღამე⁴? გამოი-
ყვანენ იგინი ჩუენდა, რადთა თანა-ვე-
ყვნეთ მათ.

6. გამოვიდა მათა ლოტ წინაშე კარსა
და კარი შემოიწება ზურგით.

7. და ჰრქუა მათ: ნუსადა ჰბამთ მა-
გას, ძმანო, და ნუ იქმთ ბოროტსა.

8. არიან ორნი ასულნი ჩემნი, რო-
მელთა არა იციან მამაკაცი. გამოგუარ-
ნე იგინი თქუენ და იმეინით იგინი,
ვითარცა სათნო-გიჩს თქუენ, გარნა
კაცთა მათ ნურას უყოფთ ბოროტსა,

ვინაჲთგან შემოვიდეს ქუეშე¹ სართულ-სა სახლისა ჩემისასა.

9. მათ ჰრქუეს მას: გარე იქი! და ჰრქუეს: შემოხუდ მწირობით, ნუ საშველისაცა ყოფად. აჲ შენ ბოროტი გიყოთ. და ჰმძღავრობდეს კაცსა მას ლოტს ფრიად. და მიიწინეს კართა შემუსრვად.

10. განყენეს კაცთა მათ ჯელნი მათნი და შეიტაცეს ლოტ შინა სახიდ და კარნი იგი სახლისანი დაიჭვნეს.

11. ხოლო კაცნი, რომელ იყვნეს კართა ზედა, იგუემნეს ივინი სიბრმითა მცირითგან ვიდრე დიდამდე და განიბნინეს და ეძიებდეს კაცსა წინამძღუარსა.

12. ჰრქუეს კაცთა მათ ლოტს: არიან თუ აქა ვინმე შენნი ძენი, [10] ანუ სიძენი, ანუ ასულნი, გინა თუ სხუად ვინ არს შენი ამას ქალაქსა, განიყვანე ამიერ აღდგილით,

13. რამეთუ წარესწყემდთ ჩუენ ამას აღდგისა, რამეთუ ამაღლდა დაღადებაჲ მათი წინაშე უფლისა და მოგუაველინა ჩუენ უფალმან შემუსრვად მავასი.

14. განვიდა ლოტ თხრობად სიძეთა თჳსთა, რომელ(თა) მიეყვანნეს ასულნი მისნი, და ჰრქუა მათ: აღდგით ამიერ აღდგილით, რამეთუ წარსწყემდს უფალი ქალაქსა ამას. და ბასრობა - უჩნდა მათ ესე წინაშე მათსა.

15. და რაჲმს ცისკარი იყო, ასწრაფებდეს ანგელოზნი იგი ლოტს და ეტყოდეს: აღდეგ და განიყვანე ცოლი შენი და ასულნი შენნი, რომელნი არიან შენ თანა, და განვედ, რაჲთა არა წარსწყმიდ² უშჯულოებასა³ თანა ამის ქალაქისასა.

16. და შეძრწუნდეს და უპყრეს ანგელოზთა მათ ჯელი ცოლისა მისისიჲ

და ჯელნი ორთა ასულთა მისთანი რიდებასა⁴ მას უფლისასა მათ ზედა.

17. და განიყვანა ივინი გარე⁵ და ჰრქუეს: განირინე თავი შენი და ნუ გარეუტუნ იხილავ, ნუცა სდგა ყოველსა ამას სანახებსა⁶. მთად კერძო ივლტოდე, ნუუკუე თანა-შეიპყრა.

18. ჰრქუა მათ ლოტ: გევედრები თქუენ, უფალნო ჩემნო,

19. რამეთუ პოვა წყალობაჲ მონამან თქუენმან წინაშე თქუენსა და განადიდეთ წყალობაჲ თქუენი, რომელსა ჰყოფთ ჩემ ზედა [7] განირინებად სულისა ჩემისა: მე ვერ ძალ-მიც განირინებად მთად კერძო, ნუუკუე მეწიოს მე ბოროტი ესე და მოგკუდე.

20. აჰა-ესერა ქალაქი ესე ახლოს არს მიველტოლვად ჩემდა მუნ, არს მცირე და განვერე⁷, სადა მცირე არს, და განერეს⁸ სული ჩემი შენ ძლით.

21. და ჰრქუა მას უფალმან: აჰა-ეგერა თუალ-გახუენ სიტყუასა მავას, რაჲთა არა დავაქციო ქალაქი ესე, რომლისათჳს სიტქუ.

22. იწრაფე⁹ უკუე განირინებად მუნ, რამეთუ ვერ ჯელ-მეწიფების¹⁰ ყოფად საქმისა მის, ვიდრე შესლევადმდე შენდა მუნ. ამისთჳს ეწოდა სახელი ქალაქისაჲ მის სეგორ.

23. მზე მოეფინა ქალაქსა და ლოტ შევიდა სეგორდ.

24. და უფალმან აწჳმა სოდომს ზედა და გომორსა წუნწუბაჲ და ცეცხლი უფლისა მიერ ზეით.

25. და დააქცია ქალაქები იგი და ყოველი სანახები და ყოველნი დამკდრებულნი მის ქალაქისანი და ყოველივე მცენარე ქუეყანისაჲ.

1 ქუეშე A. 2 წარსწყმდე A. 3 უშჯულოებასა A. 4 რიდება A. 5 გარე A. 6 სანახებსა[სახლესა A. 7 განვერე A. 8 განერეს A. 9 იწრაფე A. 10 ჯელ-მეწიფების A.

26. და მიიხილა ცოლმან ლოთისმან მართლუქუნ და იქმნა იგი ძეგლ მარილის.

27. აღიმსთო აბრაჰამ აღგილსა მას განთიად, სადა ღგა წინაშე უფლისა,

28. და მიჰხედა პირსა ზედა სოდომადსასა და გომორადსასა და პირსა ყოვლისა ქუეყანისა სანიხებისასა და იხილა: და აჰა-ესერა აღვიდოდა ალი ცეცხლისაჲ ქუეყანიოთ, ვითარცა არმუროი საწუშილისაჲ.

29. და იყო დაქცევასა მას უფლისა მიერ ქალაქებისა მის სანახებისასა [17] მოეცენა უფალსა აბრაჰამ და გამოიყვანა ლოტ შოვრის დაქცევისა მისგან, რაჟამს დაიქცია უფალმან ქალაქები იგი, რომელსა შინა დამკვდრებულ იყო ლოტ.

30. აღვიდა ლოტ სეგორით და დაჯდა მთასა ზედა და ორნი ასულნი მისნი მის თანა, რამეთუ შეეშინა¹ სეგორს შინა დამკვდრებაჲ. და დაემკვდრა ქუბასა შინა იგი და ორნი ასულნი მის თანა.

31. ჰრქუა უზუცესმან უმრწემესსა მას: მამად ჩუენი მოხუცებულ არს და არაეინ არს ქუეყანასა ზედა, ვინმცა შემოვიდა ჩუენდა, ვითარცა-იგი წესი არს ყოვლისა ქუეყანისაჲ.

32. მოვედ და ვასუბო მამასა ჩუენსა ღვნოჲ და დაეწვეთ მის თანა და აღვადგინოთ მამისაგან თესლი.

33. და ასუეს მას ღვნოჲ ღამე². და შევიდა უზუცესი და დაწვა მამისა თჳსისა თანა მას ღამესა. და არა³ ცნა დაწოლაჲ მისი და აღდგომაჲ ლოთ.

34. და იყო ხვალისაგან ჰრქუა უზუცესმან უმრწემესსა მას: აჰა-ესერა მე დაეწვევ გუშინ მამისა ჩუენისა თანა. ვასუბო მას ღვნოჲ ამასცა ღამესა⁴ და შევედ და დაწვე მის თანა და აღვადგინოთ მამისა ჩუენისაგან თესლი.

35. ასუეს მას ღამესა მამისა მათსა ღვნოჲ და შევიდა უმრწემესი იგი და დაწვა მამისა თჳსისა თანა. და არა აგრძნა დაწოლაჲ მისი და აღდგომაჲ.

36. და მიუდგეს ორნივე იგი ასულნი ლოთისგან, მამისა თჳსისა.

37. და შვა უზუ[ს]ცესმან მან ძმ და უწოდა სახელი მისი მოაბ და თქუა: მამისა ჩემისაგანი. ესე არს მამად მოაბელთაჲ ვიდრე ღლენდელად ღლედმდე⁵.

38. შვა უმრწემესმან მანცა ძმ და უწოდა სახელი მისი ამან: ძმ ნათესავისა ჩემისაჲ. ესე არს მამად⁶ ამანელთაჲ ვიდრე ღლენდელად ღლედმდე.

20

1. და წარმოვიდა მიერ აბრაჰამ ქუეყანად ჩრდილოდ კერძო და დაეშშნა შოვრის კადესა⁷ და შოვრის სურსა და იყოფოდა გერარას⁸.

2. თქუა აბრაჰამ სარაჲსთჳს ცოლისა მისისა, ვითარმედ: დაჲ ჩემი არს. შეეშინა სიტყუად, ვითარმედ: ცოლი ჩემი არს, ნუუკლე მოკლან იგი კაცთა მის

ქალაქისათა მისთჳს. შიავლინა აბიმელეიქ მეფემან⁹ გერარელთამან და მიიყვანა სარაჲ.

3. მოვიდა ღნერთი აბიმელეიქისა ძილსა შინა ღამე¹⁰ და ჰრქუა მას: აჰა-ეგერა შენ მოჰქუდე ღედაკაცისა მაგის ძლით, რამეთუ ეგე შეყოფილ არს ქმარსა.

1 შეეშინა შეინანა A. 2 ღამე A. 3 არა A. 4 ღამესა A. 5 ღლედმდე A. 6 მამად ძმ A. 7 კადესა A. 8 გერარას A. 9 მეფემან A. 10 ღამე A.

4. ხოლო აბამელიჲ არა შეეხო მას და თქუა: უფალჲ, ნათესავი უმეცარი და მართალი წარსწყმიდოა?

5. ანუ არა მან მრქუა მეა, ვითარმედ: დაჲ ჩემი არს და აჲმან მითხრა მე, ჩი-თარმედ: ძნაჲ იემი არს? გულითა წრფე-

ლითა და სიმართლითა ეწლათაჲთა ყუაჲ ესე.

6. ჰრქუა მას ღმერთმან ჩუენებასა მას: მე უწყი, რამეთუ გულითა წმიდი-თა ჰყავ ესე და გერადე შენ, რაჲთა არა სკოდო¹ ჩემდა მჰპართ. ამისთჳსცა არა გიტევე შენ შეხებად მას.

[ა კ ლ ი ა]

21

[ა კ ლ ი ა]

11. [12] ფიცხელ იყო სიტყუაჲ ესე ფრიად წინანე აბრაჰამისა ძისა მისი-სათჳს.

12. ჰრქუა ღმერთმან აბრაჰამს: ნუ ფი-ცხელ გიჲს წინანე შენსა ყრმისა მაგის-თჳს და მგველისა. ყოველივე, რაჲცა გრქუას სარა, ისმინე ჳმისა მისისაჲ, რამეთუ ისაკის მაერ გეწოდოს შენ ნა-თესაჲად.

13. ხოლო ძმ იგი მგველისაჲ მაგის ყუო ნათესაჲად ღიდად, რამეთუ შვილი შენი არს.

14. და აღდგა აბრაჰამ განთიად და მოიღო პური და თხიერთა წყალი და მისცა იგი აგარს და მან აღიკიდა მჰართა თჳსთა და ყრმაჲ იგი და განავლინა იგი. და განვიდა იგი და შესცთა უდაბნოსა ჯურღმულსა მას თანა ფიცისასა.

15. მოაჲლდა წჳალიცა იგი თხიერისა მისგან და დააგღო ყრმაჲ ნერგსა ერთსა ქუეშე².

16. და წარვიდა და დაჲდა წინანე მისსა შორს, ვითარ ისრის სატყორცე-ბელ, რამეთუ თქუა: არა ეხილო სი-კუდილი ძისა ჩემისაჲ. და დაჲდა წინა-შე მისსა. ღალად-ყო ყრმაჲმან მან და ტიროდა.

17. და შეისმინა ღმერთმან ყრმისაჲ მის მიერ აღგილით, სადა-იგი იყო. და უწოდა ანგელოზი ღმერთისაჲ აგარს ზე-ცით და ჰრქუა მას: რაჲ არს, აგარ? ნუ სტირ, რამეთუ შეისმინა ღმერთმან ჳმაჲ ყრმისაჲ მაგის შენისაჲ მიერ აღგი-ლით, სადა-იგი არს.

18. აღდეგ და მოიყუანე ყრმაჲ შენი და უპყარ მას კელითა შენითა, რამეთუ ნათესაჲად ღიდად ვყო იგი.

19. და აღუხილნა ღმერთჲმან თუალნი მისნი და იხილა ჯურღმული წყლისა ცხოველისაჲ და მივიდა... და ასუა ყრმა-სა მას.

20. და იყო ღმერთი ყრმისა მის თანა. და აღორძნდი ყრმაჲ იგი და დაეშჳნა [უ] უდაბნოსა და იყო იგი მეისარ.

21. და დაემკვდრა იგი უდაბნოსა მას ფარანისასა, და მოჰგუარა მას ღედამან მისმან ცოლი ქუეყანისა მისგან ეგჳ-ტისა.

22. მას ეჳმსა ოდენ მიუგეს აბიმელიჲ და ოქოზათ, ეზოჲს მოძღუარმან მისმან, და ფიქოლ³, ერის მთავარმან ერისა მი-სისამან, აბრაჰამს და ჰრქუეს: ღმერთი შენ თანა არს ყოველსავე, რასაცა იჳმ.

23. აწ მეფუტყე მე, რაჲთა არა მეწნო მე, არცა ნათესავსა ჩემსა, ნუცა სახლსა

ჩემსა, არამედ სიპართლისაებრ ჩემისა, რომელ ეყავ შენ თანა, ყავ ჩემ თანა და ქლუყნასა მას, რომელსა დამკვდრებულ ხარ მას ზედა.

24. და ჰრქუა მას აბრაჰამ: მე გეფუცო.

25. და ამხილა აბრაჰამ აბიმელექს ჯურღმულთა მათთჳს წყლისათა, რომელ-იგი მიუღეს მწყემსთა აბიმელექისთა.

26. ჰრქუა აბიმელექ აბრაჰამს: არა უწყი, ვინ ყო საქმე ეგე, არცა შენ მი-თხარ, არცა ვესმა, არამედ დღეს.

27. მოასსა აბრაჰამ ცხოვარი და ზროხად და მისცა აბიმელექს. და აღი-თქუეს ურთიერთს აღთქუმაჲ.

28. და დაადგინნა აბრაჰამ შჳდნი ტარიგნი თჳსაგან.

29. ჰრქუა აბიმელექ აბრაჰამს: რაჲ არიან შჳდნი ესე ტარიგნი ცხოვართანი, რომელნი დაადგინენ თჳსაგან?

30. და თქუა აბრაჰამ: რამეთუ შჳდნი ეჲ ტარიგნი მიიბნე ჩემგან, რამთა იყუ-ნენ ჩემდა საწამებელად, რამეთუ მე ვთხარე ჯურღმული ესე.

31. ამისთჳს დასდგა სახელი აღგილსა მას ჯუ[შ]რღმელი ფიცისაჲ, რამეთუ მუნ იფიცნეს ურთიერთას.

32. და აღითქუეს აღთქუმაჲ ჯურ-ღმულსა მას ზედა ფიცისასა. და აღდგა აბიმელექ და ოქოზათ ეზოჲს მოძლუა-რი და ფიქოლ. ერისთავი იგი ერისა მი-სისაჲ, და წარვიდეს ქუეყანად ფილის-ტიმედ.

33. და დასთესა აბრაჰამ ყანაჲ ჯურ-ღმულსა მას თანა ფიცისასა და ჰხადა მუნ სახელსა უფლისა ღმრთისასა.

34. და დაემკდრა აბრაჰამ ქუეყანასა მას ფილესტიმისასა დღეთა¹ მრავალთა.

22

1. და იყო შემდგომად სიტყჳსა ამის, ღმერთმან გამოცადა აბრაჰამი და ჰრქუა მას: აბრაჰამ, აბრაჰამ. ხოლო მან ჰრქუა მას: აჲა ვარ, უფალო.

2. და ჰრქუა მას: მოიყვანე ძე შენი საყუარელი, რომელი შეიყუარე², ისაკი, და წარვიდე ქუეყანასა მაღალსა და შე-წირე იგი ზუნ მსხუერპლად ერთსა ზედა მთათგანსა, რომელსა გრქუა შენ.

3. და აღდგა აბრაჰამ განთიად და დაასხნა კარაულსა თჳსსა და წარიყვან-ნა მის თანა ორნი მონანი და ისაკი, ძე თჳსი, და დაკოდა შეშად მსხუერპლი-სათჳს, აღდგა და წარვიდა, და მოვიდა მას აღგილსა, რომელსაცა ჰრქუა მას ღმერთმან (4). მესამესა დღესა³.

4. და აღიხილნა თუალნი აბრაჰამ და იხილა აღგილი იგი შორით.

5. ჰრქუა აბრაჰამ მონათა თჳსთა: და-სხედით მანდა კარაულსა თანა და მე და ყრმაჲ ესე წარსვიდეთ ვიდრე იქი-მდე და თაყუანის-ვსცეთ და მოვაქციოთ თქუენდავე.

6. წარიღო შეშად იგი მსხუერპლისაჲ და აღჰკიდა ისაკს, ძესა თჳსსა. მოიღო ცეცხლიცა და დანაკი და წარვიდეს ორ-ნივე ზოგად.

7. ჰრქუა ისაკ აბრაჰამს, მამასა თჳსსა: თქუ, მამო, ხოლო მან თქუ: რაჲ არს, შეილო? და მან ჰრქუა: აჲა ცეცხლი და შეშად; სადა არს ცხოვარი მსხუერპლი-საჲ?

8. ჰრქუა აბრაჰამ: უფალმან იხი-ლოს თაჲისა⁴ თჳსისა ცხოვარი მსხუერ-პლისაჲ, შეილო. წარვიდეს ორნივე ზოგად

9. და მიიწინეს ადვილსა მას, რომელსა ჰქუა მას ღმერთმან. და უშწნა მუნ აბრაჰამს საკურთხეველი უფალსა და დაასხა შეწაჲ. და შეკრა ისაჲ, ძმ თჳსი, და დადვა იგი საკურთხეველსა მას ზედა შეშასა მას.

10. და განყო ტელი მოღებად მახჳლისა და დაკლვად ძისა თჳსისა.

11. უწოდა მას ანგელოზი უფლისაჲ ზეცით და ჰრქუა: აბრაჰამ, აბრაჰამ. და მან ჰრქუა: აჰა, აჲა ეარ.

12. და ჰრქუა: ნუ მიჰყოფ ეელსა შენსა ყრმასა მავას ზედა, ნუცა უყოფ რას ნურარას. აჲ უწყი, რამეთუ გეშინის შენ ღმერთისა და არა ჰრიდებ ძესა შენსა საყუარელსა ჩემთჳს.

13. და აღიხილნა თჳალნი თჳსნი აბრაჰამ და იხილა: და აჰა-ესერა ვერძი ერთი დამოყეიდა რქითა ნერგსა საბესა. და მირბიოდა აბრაჰამ და მობა ვერძი იგი და შეწირა იგი მსხუერპლად ისაჲს წილ, ძი[14]სა თჳსისა.

14. და უწოდა აბრაჰამ სახელი ადგილსა მას უფალმან იხილა, რამეთუ ჰრქვან დღეს მთასა მას უფალი გამოჩნდა.

15. და უწოდა ანგელოზი უფლისაჲ ზეცით მეორედ აბრაჰამს (16). და ჰრქუა მას:

16. თავსა ჩემსა ვფუტავ, თქუა უფალმან, ვინაჲთჳნ ჰყავ ესე სიტყუაჲ და

არა ჰრიდებ ძესა შენსა საყუარელსა ჩემთჳს,

17. კურთხევით გაკურთხო შენ და განმრავლებით განეამრავლო ნათესაჲ შენი ვითარცა ვარსკულაჲნი ცისანი და ვითარცა ქჳშაჲ ზღუს კიდისაჲ; და დაიმკდროს ნათესაჲმან შენმან ქალაქები მტერთა შენთაჲ;

18. და იკურთხეოდინ შენდა მომართ და ნათესაჲისა შენისა მიჳართ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი, ამისთჳს რამეთუ ისმინე ჳმისა ჩემისაჲ.

19. მოიქცა აბრაჰამ მონათა თჳსთა თანა. და აღდგეს და წარვიდეს ჯურღმულად ფიცისა ერთბამად და დაეშჳნა აბრაჰამ ჯურღმულსა ზედა ფიცისასა.

20. იყო შემდგომად სიტყუათა აჰათ უთხრეს აბრაჰამს და ჰრქუეს: აჰა-ესერა უშვა მელქა მანცა ძეგბ ნაქორს, ძმასა შენსა:

21. ოქს ჰირმშოჲ და ბაჲქს, ძმაჲ მიწი, და კამოელ, მამაჲ ასურთაჲ,

22. და ქაზათ და აზავ და ბალდაჲ და იელდაბ და ბათუელ.

23. და ბათუელს ესუა¹ რებეკა. რეანი ესე ძენი, რომელნი უსხნა მელქა ნაქორს, ძმასა აბრაჰამისსა.

24. და ხარკმან მისმან, რომელსა ერქუა რემა, შვა მანცა ტაა და ტაბეკ და ტოქოზ და მოჰა.

23

1. იყო ცხოვრებჲ სარრახისი [v] ას ოც და შვდ წელ.

2. და მოკლდა სარრა ქალაქსა შინა არბუქასა, რომელ არს ღელოვანსა მას, ესე-იგი არს ქებრონი ქუეყანასა ქანა-

ანისასა. მოვიდა აბრაჰამ ტყებად სარრახსა და გლოვიად.

3. და აღდგა აბრაჰამ მკუდრისა თჳსისაგან და ჰრქუა [ძეთა]² ქეტისთა.

4. მწირ და წარმავალ ვარ მე თქუენ თანა. მომეცით მე აღგილი საფლავად

1 აჲა A (მოსალოდნელი იყო: ბათუელ შვა. შდრ.: 24, 15; 24, 24 და 24, 47). 2 ძეთა]—A.

თქუნენ შოვრის და დაჰჳულა მკუდარი ჩემი ჩემგან.

5. მიუგეს ძეთა ქეტისთა აბრაჰამს და ჰარქუეს:

6. რად, უფალო? ისმინე ჩუენი. მეფე¹ ხარ ღმრთისა მიერ. რჩეულთა საფლავთა ჩუენთა დაჰჳულ მკუდარი შენი. არაჲნ ჩუენგანმან დააყენოს საფლავი შენგან დაფლვად მკუდარი შენი მუნ.

7. აღდგა აბრაჰამ და თაყუანის-სცა ერსა მას მის ქუეყანისასა ძეთა ქეტისთა.

8. ეტყოდა მათ და ჰარქუა: უკუეთუ გნებაეს გულისთად¹, რაჲთა დაჰჳულა მკუდარი ჩემი პირისაგან ჩემისა, ისმინეთ ჩემი და ეტყოდეთ ჩემთჳს ეფრონს, ძესა საარისსა²,

9. და მომეცით მე ქუაბი იგი მრჩობლი, რომელ არს მისი, რომელ-იგი არს ერთ კერძო აგარაკსა მას მისსა, ვეცხლის რაჲ ღირდეს, მომეცით მე თქუნენ შოვრის მონაგებად საფლავისა.

10. ხოლო ეფრონ ჯდა შოვრის ძეთა ქეტისთა. მიუგო ეფრონ და ჰარქუა აბრაჰამს წინაშე ძეთა ქეტისთა და ყოველთა, რომელნი შევიდოდეს ქალაქად და თქუა:

11. ჩემდა მოიხილე, უფალო, და ისმინე ჩემი: აგარაკსა მას და ქუაბსა, რომელ არს მას შინა, [15] შენ მიგცემ, წინაშე ყოველთა მოქალაქეთა მიგცემ შენ დაფლვად მკუდარი შენი.

12. და თაყუანის-სცა აბრაჰამ წინაშე ერისა მის ქუეყანისაჲსა.

13. და ჰარქუა ეფრონს ყურთა წინაშე ყოვლისა ერისა ქუეყანისათა: ჩემ კერძო ხარ³, ისმინო ჩემი. ვეცხლი იგი აგარაკისაჲ მიილე ჩემგან და დაჰჳულა მკუდარი ჩემი მუნ.

14. მიუგო ეფრონ აბრაჰამს, და ჰარქუა:

15. არა, უფალო. რაჲეთუ მასმიეს, ვითარმედ ოთხას სასწორის არს. არამედ შენ შოვრის და ჩემ შოვრის რაჲ არს ესე? შენ დაჰჳულ მკუდარი შენი.

16. და ისმინა აბრაჰამ ეფრონის და მისცა აბრაჰამ ვეცხლი იგი, რომელ თქუა წინაშე ყურთა ძეთა ქეტისთა, ოთხასი სასწორი ვეცხლი გამოცდილი სავაჰროდთ.

17. ... და ყოველი ხმ, რომელი იყო მას შინა, რომელი არს საზღვართა⁴ მისთა გარეშო,

18. მოიგო აბრაჰამ წინაშე ძეთა ქეტისთა და ყოველთა შენავალთა ქალაქისთა.

19. ამისა შემდგომად დაჰჳულა აბრაჰამ სარაჲ, ცოლი თჳსი, ქუაბსა მას აგარაკისასა მრჩობლსა, რომელ არს წინაშე მამბრძსა. ესე არს ქებრონი ქუეყანისა ქანანისასა.

20. და დამტკიცნა⁵ აგარაკი იგი და ქუაბი იგი, რომელ იყო აბრაჰამისა, მონაგებად საფლავისა ძეთაგან ქეტისთა.

24

1. აბრაჰამ იყო მოხუცებულ და გარდასრულ ღღეთა და უფალმან აკურთხა აბრაჰამი ყოვლითა.

2. და ჰარქუა აბრაჰამ მონასა თჳსსა ჰუბესსა საზღისა [1] თჳსისასა, მთავარ-

სა მას ყოვლისასა, რომელ-რაჲ იყო მისი: დამდეგ ჳელი შენი წყვილთა ჩემთა

3. და მე გაფუცო შენ უფლისა ღმრთისა ცათაჲსა და ქუეყანისა, რაჲთა არა

მოჭგუარო ცოლი ძესა¹ ჩენსა ისაჲს ასულთაგან ქანანელთაჲსა, რომელთა თანა დაჰყვდრებულ ვარ მე,

4. არაჲდ ქუეყანიო ჩემით, ვინაჲ-იგი ვიყავ მე, მუნ წარსუდე ქუეყანად ჩემდა ნათესავთა ჩემთა და მოჭგუარო ცოლა ძესა ჩემსა ისაჲს მეერ.

5. ჰრქუა მას მონამან მან: უკუეთუ არა ინებოს დედაკაცმან მან მოსლვად ჩემ თანა შემდგომად ქუეყანასა ამას, მივა-ტციოა ძმ შენი ქუეყანასა მას, ვინაჲ გამოხლედ წეჲ?

6. ჰრქუა მას აბრაჰამი: ევრძალე თეგსა წესა, ნუ მიაქცევ ძესა ჩემსა მუნ.

7. უფალმან ღმერთმან, ... გამომიყვანა ნე სახლისაგან მამისა ჩემისა და ქუეყანი-სა მისგან, რომელსა ვიშვე, რომელი მე-ტყოდა წე და მდფულა მე და მრქუა: შენ ზიგტე ქუეყანად ესე და ნათესავსა შენსა, მანვე წარაგლინოს ანგელთაჲ წინაშე შენსა და მოჭგუარო² ცოლი ძესა ჩემსა მეერ.

8. უკუეთუ არა ინებოს დედაკაცმან მან მოსლვად შენ თანა ქუეყანასა ამას, შენ ზბრლო იყო ფიცისა ამისგან, გარ-ნა ძესა ჩემსა ნუ მიაქცევ მუნ.

9. და დასდვა კელი მონამან მან წყელითა აბრაჰამისთა, უფლისა თჳსისა-თა, [16] და ეფუცა მას სიტყჳსა მისთჳს.

10. და წარიბი მონამან მან ათი აქ-ლეზი აქლემთაგან უფლისა თჳსისათა და ყოველთაგან კეთილთა უფლისა თჳსისა-თა და აღდგა და განვიდა შეუმდინა-რედ ქალაქად ნაქორისსა.

11. და დააწვინა აქლემნი გარეშე³ ქალაქსა მას ჯურღმულსა თანა წყლი-სასა მიმწუხრად, რაჲმს გამოვლერედ ბეწყლენი,

12. და თქუა: უფალო ღმერთო უფ-ლისა ჩემისა აბრაჰამისო, წარმიმართე

მე წინაშე ჩემსა დღეს და ყავ წყალო-ბად უფლისა ჩემისა თანა აბრაჰამისა.

13. აჰა-ესერა ედგა მე წყაროსა ამას. ზედა წყლისასა და ასულნი ამის ქალაქი-სა მკვდრთანი მოვლენ ვსებად წყლისა.

14. და იყოს ქალწულსა, რომელსა-ევრქუა: მომიდრიკე სარწყული შენი, რადთა ესუა, და მრქუას მე: სუ და-აქლემთაცა შენთა ასუ, ვიდრემდე გან-ძლენ, ესე განუმზადე მონასა შენსა ისაჲს. და ამით უწყოდი, რამეთუ ჰყავ წყალობად უფლისა ჩემისა აბრაჰამის-თანა.

15. და იყო ვიდრე აღსრულებადმდე მისა სიტყჳსა ამის გონებასა მისსა, აჰა-რებეკა მოვიდოდა, რომელი-იგი: ესუა-ბათელს, ძესა მელქაჲსსა, ცოლსა ნა-ქორისსა, ძმისა აბრაჰამისსა, და ედგა-სარწყული მვარსა მისსა.

16. ხოლო ქალწული იგი შეუნიერ-იყო პირითა ფრიად, ქალწული იყო და მამაკაცსა არა ეცნა. შთავიდა ჯურ-ღმულსა მას და [x] აღავსო სარწყული-იგი და აღმოჴდა.

17. მირბიოდა მონად იგი აბრაჰამისი-შემთხუევად მისა და ჰრქუა მას: მასუ მე, წყალი სარწყულისაგან შენისა.

18. და მან ჰრქუა: სუ, უფალო. და-იწრაფა და გარდამოიღო მკლავთა თჳს-თა ზედა და ასუა მას.

19. და ჰრქუა: აქლემთა შენთაცა ასუ, ვიდრემდე ყოველთა სუან.

20. და იწრაფა და წარმოა:ვალერა-სარწყული წყლის სასუმელსა მას. და-მირბიოდა ჯურღმულსა მას ვსებად და-აღავსო და ასუა აქლემთა მათ ყოველთა.

21. ხოლო კაცი იგი შეისწავებდა-მას და დაიდუშა გამოცხადებად, წარ-ძი-უმართაა ღმერთმან გზა⁴ მისი, ანუ-არა.

22. და იყო რაჲმს დასცხრეს ყოველნი აქლემნი სუმაღ, მოიღო კაცმან მან საყურები ოქრომსად თითო სატირი სასწორისად და სალტენი ოქრომსანი და შეასხნა ჯელთა მისთა: ათ-ათ ღრაჰკან სასწორისად.

23. ჰკითხა მას და ჰრქუა: ასული ვი-სი ხარ? მითხარ მე, უკუეთუ არს მამისა შენისა თანა აღგილი ჩუენდა ყოფად.

24. და ჰრქუა მას: ასული ბათოელი-სი ვარი მე, ძისა მელქაჲსი, რომელი უშვა მან ნაქორს.

25. და ჰრქუა: ბჴჲ და საკმელი დიად არს ჩუენსა და აღგილი საყოფლად შენდა.

26. შესთნდა კაცსა მას და თაყუანის-სცა უფალსა და თქუა:

27. კურთხეულ [17] არს უფალი ღმერ-თი უფლისა ჩემისა აბრაჰამისი, რომელმან არა დაუტევა სიმართლჲ მი-სი და კეჴმარტებამ მისი უფლისა ჩე-მისაგან და მე გზასა მოიყვანა უფალმან სახილ ძმისა უფლისა ჩემისა.

28. და შერბილდა ყრმად იგი სახილ ღელისა თჳსისა და უთხრა მას მსგავსად სიტყჳსა ამის.

29. ხოლო რებეკაჲსი ძმაჲ იყო, რომელსა სახელი ერქუა ლაბან. და ვარ-დარბილდა ლაბან წყაროდ.

30. და იყო რაჲმს იხილა საყურები იგი და სალტეები ჯელთა დისა თჳსისა-თა და ვითარ-იგი ესმნეს სიტყუანი რე-ბეკაჲსნი, რომელთა უთხრობდა, ვითარ-მელ: ესრჴთ და ესრჴთ იტყოდა კაცი იგი, და მოვიდა კაცისა მის ლაბან, ვიდრე დგა-ლა იგი წყაროსა მას ზედა.

31. და ჰრქუა მას: მოგუალე, შემო-ვედ. კურთხეულ არს ღმერთი რაჲსათჳს სღბა გარე? მე განუზმადო სახლი აქლემ-თა შენთა.

32. ...და მოართუა მას წყალი ფერჯ-თა საბანელად და მისთანათა მით კაცთა.

33. და დაუგო მით ჰური ჭამიდ. და ჰრქუა კაცმან მან: არა ვჴამო ჰური ვიდრე სიტყუალდმე სიტყჳსა ჩემისა. და ჰრქუეს მას: იტყოდე.

34. და ჰრქუა: მონაჲ ვარი მე აბრა-ჰამისი.

35. და უფალმან აკურთხა უფალი ჩე-მი ფრიად, და აღმაღლდა. და არს მისი ცხოვარი და ზროხად, ვეცხლი და ოქ-როჲ [18], მონაჲ და ჰქეველი, აქლემი და ვირი ფრიად.

36. და უშვა სარრა, ცოლმან მისმან, უფალსა ჩემსა ძე¹ ერთ სიბერესა მისსა და მისცა მას ყოველივე, რაჲცა იყო მისი.

37. და მათუცა მე უფალმან ჩემმან და მრქუა მე: არა მოჰგუარო ძესა² ჩემსა ასულთაგან ქინანელთაჲსა, რომელთა შოვრის დამკვდრებულ ვარ ქუეყანასა მათსა,

38. არამედ მიხვდე სახლსა მამისა ჩე-მისასა და ნათესავისა ჩემისასა და მო-ჰგუარო ცოლი ძესა ჩემსა მიერ.

39. და ვარქუ უფალსა ჩემსა: ნუუკუე არა ინებოს დედაკაცმან მან მოსლვად ჩემ თანა?

40. და თქუა: უფალმან ჩემმან, რომელსა სათნო-ვეყავ მე წინაჲმ მისსა, მან წარავლინოს ანგელოზი მისი წინაჲმ შენსა და წარგიჴართოს გზაჲ შენი და მოჰგუარო ცოლი ძესა ჩემსა ნათესავისა-გან ჩემისა და სახლისაგან მამისა ჩემისა.

41. რაჲმს მიხვდე შენ ნათესავისა ჩე-მისა და არა მოგცეს შენ, მაშინ უბრალო იყო შენ თიციასაგან ჩემისა.

42. და მოვედ დღეს წყაროსა ამას ზედა და ვთქუ: უფალი ღმერთო უფ-

ლისა ჩემისა აბრაჰამისო! უკუეთუ წარ-
მიმართებ მე შენ გზასა ამას, რომელსა
მე მივალ,

43. აწ აჲ მე ვდგა წყაროსა ამას ზე-
და წყლისასა და ასულნი ამის ქალაქისა
კაცთანი [18] გამოვლენ ესეგად წყლი-
სა. და იყოს ღედაკაცი ქალწული, რო-
მელსა ეპრქუა მე: მასუ მე წყალი მცი-
რედ სარწყულისაგან შენისა,

44. და მან მრქუას მე: შენცა სუ და
აქლემთაცა შენთა ასუ, ესე არს ღედა-
კაცი, რომელი განუზადა უფალმან
მსახურსა თჳსსა ისაქს, და ამით ვცნა¹
წყალობად უფლისა ჩემისა აბრაჰამის
თანა.

45. და იყო ვიდრე აღსრულებადმდე
სიტყუათა ამათ გონებასა ჩემსა, მეყსე-
ულად რებეკა მოვიდოდა და აქუნდა
სარწყული მკართა მისთა ზედა. და
შთაგდა წყაროსა ამას და აღმოივსო.
ხოლო მე ვარქუე: მასუ მცირედ წყალი.

46. და იწრაფა და გარდამოიღო მის-
გან სარწყული იგი და მრქუა მე: შენ
სუ და აქლემთაცა შენთა ასუ. და ვსუ
და აქლემთაცა ჩემთა ასუა.

47. ეპკითხე მას და ვარქუე: ვისი
ასული ხარ შენ? და მან თქუა: ასული
ბათუელისი ვარი მე, ძისა ნაქორისი,
რომელი უშვა მას მელქი. და შევასხენ
მას საყურნი და სალტენი კელთა მისთა.

48. და შემთნდა და თაყუანის-ვეც
უფალსა და ვაკურთხე უფალი ღმერთი
უფლისა ჩემისა აბრაჰამისი, რომელმან
წარმიპართა გზასა კეშმარიტებისასა მი-
ყვანებად ასული ძმისა [19] უფლისა ჩე-
მისაჲ ძისა მისისა.

49. უკუეთუ ჰყოფთ თქუენ წყალო-
ბასა და სიმაართლესა უფლისა ჩემისა
თანა, მითხართ მე, რაჲთა მივაქციო მარ-
ჯუნით ანუ მარცხენით.

50. მიუგეს ბათუელ და ლაბან და
ჰრქუეს: უფლისა მიერ გამოვიდა ბრძა-
ნებაჲ ესე. ვის ველ-ეწიფების შენდა სი-
ტყჳს გეზად კეთილისა წილ?

51. აჲ ... მიიყვანე და წარვედ და
იყავნ ცოლად უფლისა შენისა, ვითარცა
იტყოდი უფალი ღმერთი.

52. და იყო, ვითარცა ესმენს სიტყუა-
ნი ესე მათნი მონასა მას აბრაჰამისსა,
თაყუანის-სცა უფალსა ქუეყანასა ზედა.

53. და გამოიღო მონამან მან აბრაჰა-
მისმან ჰურჰური ოქრომსა და ვეცხლი-
საჲ და სამოსელი და მისცა რებეკას.
და ნიჭი სცა ძმასა მისსა და ღელასა
მისსა.

54. და ჰამეს და სუეს და დაიძინეს
მან და მისთანათა მათ კაცთა. და აღ-
დგა განთიად მონაჲ იგი და ჰრქუა მათ:
წარმგზავნეთ მე, რაჲთა წარვიდე უფ-
ლისა ჩემისა.

55. ჰრქუეს მას ძმათა რებეკასთა და
ღელამან: იყავნ-ლა ჩუენ თანა ქალწული
ესე ვითარ ათ ღლე² ოდენ და ამისი
შემდგომად წარვედით.

56. და მან ჰრქუა მათ: ნუ მადრკო-
ლებთ მე, რამეთუ უფალმან წარმიმარ-
თა გზაჲ ჩემი. წარმგზავნეთ და წარვიდე
მე უფლისა ჩემისა.

57. და მათ [19] ჰრქუეს მას: მოუ-
წოდოთ ყრმასა მას და ეპკითხოთ პირსა
მისსა.

58. და მოუწოდეს რებეკას და ჰრქუ-
ეს: წარხდელა კაცისა ამის თანა? ხო-
ლო მან ჰრქუა: წარვიდე.

59. და წარგზავნეს რებეკა, დაჲ მათი,
და ზითვეი მისი და მონაჲ იგი აბრაჰა-
მისი და მისთანანი იგი.

60. და აკურთხეს რებეკა, დაჲ მათი,
და ჰრქუეს: დაჲ ჩუენი ხარი შენ. იყავ

ათასეულად¹ და ბევრეულად და დაიმკვდრენ ნათესავებან შენებან ქალაქები იგი მტერთაჲ.

61. და აღდგა რებეკა და შიმონკარნი მისნი და აღსდეს აქლემებსა და წარვიდეს კაცისა მის თანა. და წარიყვანა მონებან მან რებეკა და წარვიდო.

62. ხოლო ისაჲ იქცეოდა ველსა, ჯურღმულსა მას თანა ხილვისასა, რამეთუ იგი დამკვდრებულ იყო ქუეყანასა მას ჩრდილოეთ.

63. და განსრულ იყო ისაჲ განცხრომად ველად მიმწუხრი. და აღიხილნა თუალნი და იხილნა აქლემნი მომავლნი.

64. და მიადგნა რებეკა თუალნი თჳსნი და იხილა ისაჲ და გარდამოჴდა აქლემისა მისებან.

65. და ჰრქუა მონასა მას: ვინ არს კაცი ესე, რომელი მოვალს ველით მოგებებად ჩუენდა? ხოლო მონებან მან ჰრქუა: ესე არს უფალი ჩემი. და მოიღო სამოსელი თჳსი და შეიმოსა იგი.

66. მაშინ [ჲ] უთხრა მონებან მან ისაჲ ყოველივე ესე სიტყუაჲ, რადეცა ყო.

67. შევიდო ისაჲ სახლსა დედისა² თჳსისა³ და შეიყვანა რებეკა და იყო იგი მისა ცოლად. და ნუგეშინის-იტა ისაჲ სარაჲსთჳს, დედისა თჳსისა.

25

1. მერმე შესძინა აბრაჰამ და მოიყვანა ცოლი, რომელსა სახელი ერქუა ქეტორა.

2. და უშვა მან ზემბრამ და იექსან, მადან დო მადიამ და იესბოს და სულე.

3. და იექსან შვა საბათ და თემან და დედან. ძენი დედანისნი: რაგულ და ნაბდილ და ასური.

4. ძენი მადიამისნი: გეფარ და იფერ, ენოქ¹ და აბირა და თარგა. ესე ყოველნი იყვნეს ძენი ქეტორაჲსნი.

5. მისცა აბრაჰამ ყოველივე მონაგები თჳსი ისაჲს, ძესა თჳსსა.

6. და ძეთა მათ ხარკთასა სცა აბრაჰამ საცემელი და განივლინნა იგინი ისაჲსებან, ძისა თჳსისა, ცხორებასავე თჳსსა აღმოსავალად.

7. ესე არიან წელნი დღეთა აბრაჰამისთანი, რადენ ცხონდა: ას სამეოც და ათხუთმეტ წელ.

8. და მოკუდა აბრაჰამ სიბერითა კეთილითა მოხუცებული და სავე დღითა და შეეძინა ერსა თჳსსა.

9. და დაჴლეს იგი ისაჲ დო ისმაელ, ძეთა თჳსთა, ქუაბსა მას მრჩობლსა. ავარაკსა მას ეფრონისსა, ძისა სარისსა⁴ ქეტელისსა, [20] რომელ არს წინაშე მამბრესა.

10. ბგარაკი იგი და ქუაბი, რომელ მოიგო აბრაჰამ ძეთაგან ქეტისთა, მუნ დაჴლეს აბრაჰამ და სარა, ცოლი მისი.

11. და იყო შემდგომად სიკუდილისა აბრაჰამისა ბჳრთხა ღმერთმან ისაჲს, ძე მისი. და დაემკდრა⁵ ისაჲ ჯურღმულისა მის თანა ხილვისაჲსა.

12. ესე შობანი არიან ისმაელისნი, ძისა აბრაჰამისნი, რომელი უშვა ავარ, მჴეველმან სარაჲსებან აბრაჰამს.

13. და ესე სახელები არს ძეთა⁷ ისმაელისთაჲ მსგავსად სახელებისა ნა-

1 ათ ათასეულად A. 2 დედისა მამისა A. 3 ასეა A. 4 გჳონ A. 5 ნარისსა A. 6 დაიკვდრა A. 7 ძმთა A.

თესავთა მათთადას: პირშეო ისმელისი ნაბიოთ და კედარ, ნაბალ და მასმან,

14. მასუმ და ილუმა, მასე¹

15. და ქულდად და თემან, და ისტურ, ნაფეს² და კერდამა.

16. ესე არიან ძენი ისმელისნი და ესე არს სახელები მათი კარვებსა მათსა და საყოფელსა მათსა, ათორშეტნი მთავარნი ნათესავთა მათთანი.

17. და ესე წელნი ცხორებისა ისმელისნი: ას ოც და ათ ჩდმეტ წელ. და მოკულა და შეეძინა ნათესავსა თუსსა.

18. და დაემშნა ევილათითგან ვიდრე სურდმდე, რომელ არს წინაშე პირსა ეგვპტიასასა ვიდრე მოსლვადმდე ასურასტანელთა წინაშე, პირისპირ ყოველთა ძმათი მისთა დაემშნა.

19. და ესე შობანი არიან [x] ისაკისნი, ძისა აბრაჰამისნი: აბრაჰამ შვა ისაკი.

20. და იყო ისაკი ორმოცის წლის, ოდეს მოიყვანა რებეკა, ასული ბაოუელისი ასურისაჲ შუემადინარით, დაჲ ლაზანისი, თუსა ცოლად.

21. ვევედრებოდა ისაკ რებეკასთუს, ცოლისა თუსისა, რამეთუ ბერწ იყო. და შეისმინა მისი ღმერთმან და მუცლადილო რებეკა, ცოლმან მისმან.

22. და კრთოდეს ყრმანი იგი მუცელსა მისსა და თქუა: უკუეთუ ესრეთ ყოფად არს ჩემდა, რაჲსათუს-მე ესე ჩემდა? და წარვიდა იგი კითხვად უფლისა მიერ.

23. ჰრქუა მას უფალმან: აჰა-ესერა ორი ნათესავი არს მუცელსა შენსა და ორნი ერნი ნუცლისა შენისაგან გამოვიდენ. და ერი ერსა წარგებატოს და უხუცესი ჰმონებდეს მრწემსსა³.

24. და აღივსნეს ღლენი⁴ შობისა მისიანი და მარჩბიენი იყვნეს მუცელსა მისსა.

25. და გამოვიდა პირშეო იგი მწითური ყოვლად ვითარცა ტყავი ფაჩუნიერ. და დასდგა სახელი მისი ესავ.

26. და ამისა შემდგომად გამოვიდა ძმა მისი და კელი მისი მოხუეულ იყო ბრჭალსა ესავისსა და უწოდა სახელი მისი იაკობ. ისაკ იყო სამეოც წლის, რაჲმს შვნა იგინი რებეკა.

27. აღორძნდეს [27] ჰაბუენი ესე. და იყო ესავ კაცი მეცნიერ ნადირობად, ხოლო იაკობ კაცი უმანკო და მყოფ სახლსა შინა.

28. უყუარდა ისაკს ესავი და ნადირი მისი იყო მისა საზრდელად, და რებეკას უყუარდა იაკობი.

29. შეაგბო იაკობ გბოლვილი, მოვიდა ესავ მაშურალი ველით.

30. ჰრქუა ესავ იაკობს: გემოჲ მახილვე მგბრისა მაგისგან იფქლისა, რამეთუ მოუძღურდი. ამისთვის ეწოდა სახელი მისი ედომ.

31. ჰრქუა იაკობ ესავს: მომეც ღლეს⁵ პირმშოებია შენი.

32. ჰრქუა მას ესავ: აჰა-ესერა მე მიახლებულ ვარ აღსრულებად და ჩემდა რაჲ სარგებელ არს პირმშოებაჲ ესე?

33. ჰრქუა მას იაკობ: მიეფუცე ღლეს. და ეფუცა მას და მისცა პირმშოებაჲ თუსი იაკობს.

34. ხოლო იაკობ სცა ესავს პური და მგბარი ოსპნისაჲ. ჰამა და სუა და აღდგა და წარვიდა. და განაქარვა ესავ პირმშოებაჲ თუსი.

1 მასე A. 2 ნაფეს A. 3 მრწემსა A. 4 ღლენი A. 5 ღლეს A.

26

1. იყო სიყმილი ქუეყანასა ზედა თჳნიერ მის სიყმილისა, რომელი-იგი იყო ეამთა აბრაჰამისთა. მივიდა ისაკ აბიშელექისა, მეფისა მის ფილისტიმელთაჲსა, გერარდ¹.

2. ეჩუენა მას უფალი და ჰრქუა: ნუ შთახუალ ეგჳტელ. დაემკვდრე ქუეყანასა ამას, რომელსა [ჲ] გრქუა შენ²,

3. და მწირობდ ქუეყანასა ამას და ვიყო მე შენ თანა და გაკურთხო შენ და შენ და ნათესავსა შენსა მიესცე ესე ყოველი და დაემტკიცო ფიცი იგი, რომელ ვეფუცე აბრაჰამს, მამასა შენსა.

4. და განვაძრავლო ნათესავი შენი ვითარცა ვარსკლავანი ცისანი, და მიგცე შენ და ნათესავსა შენსა ყოველი ესე ქუეყანაჲ. და იკურთხოდიან ნათესავისა მიმართ შენისა ყოველნი ტომნი ქუეყანისანი,

5. აისთეს რამეთუ ერჩად მამაჲ შენი ჳმასა ჩემსა და დაიმარხნა მცნებანი ჩემნი და ბრძანებანი და მშჳავრნი ჩემნი.

6. და დაეშინა ისაკ გერარს³.

7. ჰკითხეს კაცთა მის ქუეყანისათა რებეკასთჳს, ცოლისა მისისა, და თქუა: დაჲ ჩემი არს. შეეშინა თქუჲად, ვითარმედ: ცოლი ჩემი არს, ნუუტუმცა მოკლეს იგი კაცთა მის ადგილისათა რებეკასთჳს, ცოლისა მისისა, რამეთუ შეუნიერ იყო იგი პირითა.

8. და იყო იგი მუნ მრავალ ეამ. შთაჰებდა აბიშელიქ მეფემან გერარელთამან სარკუმლით და იხილა ისაკ, იმღერდა რაჲ რებეკას თანი, ცოლისა თჳსისა.

9. მოუწოდა აბიშელიქ⁴ ისაკს და ჰრქუა: ცოლი სამე შენი არს რებეკა.

რაჲსათჳს სთქუ, ვითარმედ: დაჲ ჩემი არს? [22] ჰრქუა ისაკ: ნუუტუმცა მოკუედ მაგის ძლით.

10. ჰრქუა ჲას აბიშელიქ: რაჲ ესე მიყავ ჩუენ? მცირედ-ლა და წარ-მცა-იტაცო იგი ნათესავისა ჩემისაგანან და მო-მცა-ჰჳადე ჩუენ ჲედი უმეცრებაჲ⁵.

11. უბრძანა აბიშელიქ ყოველსა ერსა თჳსსა და ჰრქუა: ყოველი, რომელი შეეხოს კაცსა ამას და ცოლსა მისსა, სიკუდილისა თანა-მდებ იყოს.

12. სთესა ისაკ ქუეყანასა მას და იყო მას წელსა ასეული ქრთილისაჲ. აკურთხო იგი უფალმან

13. და აღამილა კაცი იგი. და უფროჲს იქმნებოდა, ვიდრემდღე დიდ იქმნა ფრიად.

14. და იყო მისი სამწყსოჲ ცხოვართაჲ და ზოხათაჲ და ქუეყანისა საჴმე ფრიადი. ეშურებოდეს მას ფილისტიმელი იგი.

15. და ყოველი ჯურღმულები, რომელ თხარეს მონათა მამისა მისისათა, დაყვეს იგი ფილისტიმელთა მათ და აღავსნეს მიწითა.

16. ჰრქუა აბიშელიქ ისაკს: განვედ ჩუენგან, რამეთუ უძლიერეს ჩუენსა იქმენ ფრიად.

17. და წარვიდა მიერ ისაკ და დავანა ჳევეს მას გერარისასა და დაეშინა მონ.

18. და მერმე მო-ვე-თხარა ისაკ ჯურღმულები იგი წყლისაჲ, რომელ თხარეს მონათა მამისა მისისათა და დაყვეს იგი ფილისტიმელთა მათ და აღავსნეს მიწითა შემდგომად სიკუდილითა მამისა მისისა აბრაჰამისა. და დასდებ მათ [ჲ] სახელები, რაჲცა-იგი დაედგა მამასა მისსა.

1 გერარდ A. 2 დაემკვდრე... გრქუა შენ გაგორებულა A-ში. 3 გერარს A. 4 აბიშელიქ A. 5 უმეცრებაჲ A.

19. და თხარეს მონათა ისაკისთა ჯურღმული ჰეცა მას გერარისასა და ჰოვეს მუნ ჯურღმული იგი წყლისა ცხოველისაჲ.

20. და ჰლაღვიდეს მწყემსნი გერარელ-თანნი მწყემსთა ისაკისთა და მტყოდეს, ვითარმედ: ჩუენი არს წყალი იგი. და უწოდა სახელი ჯურღმულსა მას ენებაჲ, რამეთუ აენეს მას.

21. წარმოვიდა მიერ და თხარა ჯურღმული სხუად. ეშჯოდეს იგინი მისთჳსა და დასდვა მას სახელი მტერობა.

22. და წარვიდა მიერ და თხარა ჯურღმული სხუად და არა ჰლაღვიდეს მისთჳს. და დასდვა მას სახელი ფართო-ება და თქუი: რამეთუ აწ განგჳფართა უფალმან და აღგუაორძინა ჩუენ ქუე-ყანასა ზედა.

23. აღმოვიდა მიერ ჯურღმულსა მას ფიცისასა.

24. და ეჩუენა მას უფალი მას ლა-ჰესა¹ და ჰრქუა მას: მე ვარ ღმერთი მამისა შენისაჲ აბრაჰამისი. ნუ გეშინი შენ, რამეთუ მე შენ თანა ვარ. და გაკურთხო შენ და განვაბრავლო ნათე-საჲი შენი აბრაჰამისთჳს, მამისა შენისა.

25. და აღაშშნა მუნ საკურთხეველი უფლისაჲ და ჰხადა სახელი უფლისაჲ და აღჰმართა მუნ კარაჲი თჳსი. თხარეს მონათა ისაკისთა ჯურღმული ჰეცა მას გერარონისასა.

26. და აბიელექ მოვიდა [23] გერარო-ნით ისაკისა და ოქონათ, ეხოჲს მო-ძლუარი მისი, და ფიქოლ, ერისთავი იგი ძლიერებისა მისისაჲ.

27. და ჰრქუა მათ ისაკ: რაჲსა მო-ხუდლით ჩემდა, რამეთუ თქუენ მომიძუ-ლეთ მე?

28. ხოლო მათ ჰრქუეს: ხილვით ვი-ხილეთ, რამეთუ უფალი. შენ თანა არს, და ვთქუთ: იყავნ ფიცი შოვრის ჩუენსა და შენსა და აღვთქუათ აღთქუმად შენ თანა,

29. რაჲთა არა ჰყო ჩუენ თანა ბორა-ტი, ვითარცა-იგი ჩუენ არა მოგიძაგეთ და ვითარცა-იგი გიყავთ შენ კეთილად და წარგზავნეთ მშჳდობით. და აწ კურთხეულ ხარ შენ უფლისა მიერ.

30. და უმზადა პური. ჰამეს და სუეს.

31. და აღღგეს განთიად და ეფუცა კაცი მოყუასსა თჳსსა. და წ(არგზ)ავნნა იგინი ისაკ და წარვიდეს მისგან ცო-ცხლებით.

32. მათ დღეთა ოდენ მოვიდეს მო-ნანი ისაკისნი და უთხარეს მას ჯურღმუ-ლისა მისთჳს, რომელ თხარეს, და ჰრქუეს: არა ეპოვეთ წყალი.

33. და უწოდა მას ფიცის. ამისთჳს უწოდა სახელი ჰალაქსა მას ფიცის... ვიდრე დღენდელად დღედმდე.

34. იყო ესავ ორმოცის წლის და მოიყვანა ცოლი იუდინ, ასული ბერისი ქეტელისაჲ, და ბასემათ², ასული ელო-ნისი ეველისაჲ.

35. და იყვნეს მჳდომ ისაკისა და რე-ბეკასა.

27

1. და იყო შემდგომად სიბერისა მის ისაკისა, დაუბრყვლდეს თუალნი მისნი ხედვად. და მოუწყოდა ძესა თჳსსა უხუცესსა ესავს და ჰრქუა მას: შვილო. და მან ჰრქუა: აჰა აჰა ვარ.

2. ჰრქუა მას ისაკ: აჰა-ესერა მე დავბერდი და არა ვიცი დღმ აღსრუ-ლებისა ჩემისაჲ.

3. აწ აღიღე ჭურჭერი შენი, კაბარკი და მშჳლდი და განვედ ველად და მი-ნადირე³ ნადირი,

4. და მიქმენ მე საქმელი, ვითარ-იგი მიყუარს მე, და მომართუ მე, ვკამო და გაკურთხოს სულმან ჩემმან ვიდრე სიკუდილძღე ჩემდა.

5. ხოლო რებეკას ესმოდა, ეტყოდა რაჲ ისაკ ძესა თჳსსა ესავს. და განვიდა ესავ, ძმაჲ იაკობისი, ველად ნადირობად ნადირისა მამისა თჳსისა.

6. ხოლო რებეკა ჰრქუა იაკობს, ძესა¹ თჳსსა უმრწემსსა: აჲ ესერა მესმა მე, ვითარ ეტყოდა მამაჲ შენი ესავს, ძმასა შენსა, და ჰრქუა:

7. მინადირე² მე ნადირი და მიქმენ მე ჰამადი. და ვკამო და გაკურთხო შენ წინაშე უფლისა ვიდრე სიკუდილდ ჩემდამდე.

8. აწ შენ, შვილო, ისმინე ჩემი, ვითარცა მე გამცნებ შენ.

9. წარვედ ცხოვრად და მომართუნ მე ორნი თიქანნი ჩჯლნი და კეთილნი და უქმნე ივინი³ საკულად მამასა შენსა, ვითარ-იგი მას უყუარს.

10. და შეართო მამასა შენსა და ჰამოს და გაკურთხოს შენ მამამან შენმან ვიდრე სიკუდილდმდე.

11. [24] ჰრქუა იაკობ რებეკას, დედასა თჳსსა: ესავ, ძმაჲ ჩემი, არს ფაჩუნჩირე და მე კაც წყლტუ.

12. ნუტუე კელი შემახოს მამამან ჩემმან და ვაქმნე წინაშე მისსა ვითარცა შეურაცხის-მყოფელი და მოვიღო თავისა ჩემისა წყევად და არა კურთხევად.

13. ჰრქუა მას დედამან მისმან: ჩემ ზედა წყევად იგი, შვილო! გარანა ისმინე ჳმისა ჩემისაჲ და წარვედ და მომართუ მე.

14. ხოლო იგი წარვიდა და მოიღო და მოართო დედასა თჳსსა. და კმნა

დედამან მისმან ჰამადი, ვითარცა უყუარდა მამასა მისსა.

15. და მოიღო რებეკა სამოსელი ესავისი, ძისა თჳსისაჲ, კეთილი, რომელი იღვა მის თანა სახლსა შინა, და შეჰკმო. სა იაკობს, ძესა თჳსსა უმრწემსსა.

16. და ტყავნი იგი თიქანთანი მოჰხუნა მკლავთა და შიშუელსა კედსა მისსა.

17. და მისცა საქმელი იგი და ჰური იგი, რომელ კმნა, კელთა იაკობისთა, ძისა თჳსისათა⁴.

18. და შეართო იგი მამასა მისსა და ჰრქუა: მამაო. და მან ჰრქუა: აჲ ვარ. ვინ ხარ, შვილო?

19. და ჰრქუა იაკობ მამასა თჳსსა: მე ვარ ესავ, პირ-შოჲ შენი. ვყავ, ვითარ-იგი მერყოდე მე. აღღევ და დაჯედ და ჰამე ნადირისა ჩემისაჲ, რადთა მაკურთხოს მე სულმან შენმან.

20. და ჰრქუა ისაკ ძესა თჳსსა: რაჲ არს, რამეთუ [v] ადრე ჰპოვე, შვილო? და ჰრქუა: რამეთუ მომცა მე უფალმან ღმერთმან შენმან წინაშე ჩემსა.

21. ჰრქუა ისაკ იაკობს: მომეახლე და კელი შეგახო, შვილო, უყუეთუ შენ ხარ შვილი ჩემი ესავ, ანუ არა.

22. და მიეახლა იაკობ ისაკს, მამასა თჳსსა და კელი შეახო მას. და თქუა: ჳმაჲ ესე ჳმაჲ იაკობისი, ხოლო კელნი ესე კელნი ესავისნი.

23. და ვერ იცნა იგი, რამეთუ იყვნეს კელნი მისნი ვითარცა კელნი ესავისნი ფაჩუნიერ. და აკურთხა იგი.

24. და ჰრქუა: შენ ხარ ძე ჩემი ესავ? და მან თქუა: მე ვარ.

25. და თქუა: მომართუ მე ნადირებულისა შენისაჲ და ვკამო, შვილო, რადთა გაკურთხოს შენ სულმან ჩემმან. და მო-

ართუა მას და ჰამა. და მოართუა მას ღჯო და სუა.

26. და ჰრქუა ისაკ, მამამან მისჰან: მომეახლე მე და ამბორს-გიყო, შვილო.

27. და მიეახლა და ამბორს-ჟყო მას. და ეცა სულნელებად სამოსლისა მისისა და აკურთხა იგი და თქუა: აჰა-ესერა სულნელებად ძისა ჩემისა, ვითარცა სულნელებად ველისა¹ საესისა, რომელი აკურთხა უფალმან.

28. და მოგეცინ შენ უფალმან (ჟუა-რისაგან ცისა და სიჰოხისაგან ქუეყანისა და სიმრაველჲ იფქლისა და ღჯინ-საჲ;

29. და გმონებდენ შენ თესლები და თაჟუნის-გცემდენ მთივარნი; და იყავ უფალ ძმისა შენისა და თაჟუნის-გ[25]ცემდენ ძენი მამისა შენისანი; მწყევ-ვარნი შენნი წყუელ იყენენ და მაკურ-თხეველი შენნი კურთხეულ იყენენ!

30. და ვითარცა დასცხრა ისაკ კურ-თხევისა მისგან იაკობისა, ძისა თჳსისა, და გამოვიდა იაკობ პირისაგან ისა-კისა, მამისა, თჳსისა, და ესავ, ძმაჲ მი-სი, მოვიდა ნადირობით.

31. და ჟქმნა მამასა თჳსსა საქმელი და ჰრქუა: აღდეგინ მამაჲ ჩემი და ჰა-მენ ნადირისაგან ძისა თჳსისა, რაჲთა მაკურთხოს მე სულჲან შენმან.

32. და ჰრქუა მას ისაკ, მამამან მის-მან: ვინ ხარ შენ? ხოლო მან ჰრქუა: მე ვარ ესავ, ძე შენი პირმშოჲ.

33. განუკრდა ისაკ განკრეებითა დიდითა ფრიად და ჰრქუა: ვინ იყო ჩგი, რომელმან მინადირა მე ნადირი და შე-მომართუა მე... ყოვლისა მისგან ვიდრე მოსლვად შენდამდე, და ვაკურთხე იგი და კურთხელ იყავნ?

34. და ვითარცა ესმნეს ესავს სიტყუა-ნი ესე ისაკისნი, მამისა თჳსისანი, ლა-ლად-ყო კმითა დიდითა და მწარითა ფრიად და თქუა: მაკურთხე მეცა, მა-მაო.

35. ჰრქუა მას ისაკ: მოვიდა ძმაჲ შენი ზაკუვით და მიიღო კურთხევაჲ შენი.

36. და ჰრქუა ესავ: სამართლად ეწო-და სახელი² მისი იაკობ, რამეთუ მი-ბრკუნა³ მე ესე მეორედ: პირველად პირმშოებაჲ ჩემი მიმიღო და აწ მიიღო კურთხევაჲ ჩემი. [v] და ჰრქუა ესავ მამასა თჳსსა: არაჲ დამიშთინეა მე კურ-თხევაჲ, მამაო?

37. მიუგო ისაკ და ჰრქუა ესავს: ვინაჲთგან ყუავ მე იგი უფალ შენ ზედა და ყოველნი ძმანი მისა მონა, იფქლითა და ღჯინითა განვამტკიცე იგი, აწ რაჲ გიყო შენ, შვილო?

38. ჰრქუა ესავ მამასა თჳსსა: ერთი ხოლო ნუ არსა კურთხევაჲ შენი, მამაო? მაკურთხე მეცა. და ვითარცა შეწუხნა ისაკ, ლალად-ყო კმითა დიდითა ესავ და ტიროდა.

39. მიუგო ისაკ, მამამან მისმან, და ჰრქუა მას: აჰა-ესერა სიჰოხისაგან ქუე-ყანისა იყოს მკვდრობაჲ შენი და ცუა-რისაგან ცისა ზეგარდამო.

40. და მახვლითა შენითა სცხონდე და ძმასა შენსა ჰმონებდე. ხოლო იყოს ოდესმე, რაჲმს განიკნენ და განავდო უღელი მისი ქედისაგან შენისა.

41. და უთქუმიდა ესავ იაკობს, ძმასა თჳსსა, კურთხევისა მისთჳს, რომლითა აკურთხა მამამან მისმან, და თქუა ესავ გონებასა თჳსსა: მოიწინენ დღენი მამისა ჩემისა სიკუდილისანი, და მე მოვკლა ია-კობ, ძმაჲ ჩემი.

42. უთხრნეს რებეკას სიტყუანი ესე ძისა მისისა უხუცესისანი. და მიაღვლინა და მოუწოდა ძესა თჳსსა უმრწემესსა და ჰრქუა მას: [26] აჰა-ესერა ძმაჲ შენი გითქუამს¹ შენ მოკლვად.

43. აჲ, შეილო, ისმინე ვმისა ჩემისაჲ: აღდგე და წარიველტოდე ლაბანისა, ძმისა ჩემისა, ქარანდ

44. და იყავ მის თანა დღე² რავდენმე,

45. ვიდრემდე გარე მიიქცეს გულის წყრომაჲ და რისხვაჲ ძმისა შენისაჲ

შენგან, და დაავიწყდეს, რაჲ-იგი უყავ მას, და მოვალენო და მოგიწოდო შენ მიერ. ნუჲ, უე უშვილო ვიქმნე თქუნე ორთაგანე ერთსა შინა დღესა.

46. და ჰრქუა რებეკა ისაკს: ზომე-წყინა ცხოვრებაჲ ჩემი ასულთაგან ქეტისთა. უკუეთუ მო-ლა-იყვანოს³ იაკობ ასულთაგან ამის ქუეყანისათაჲ, რაგას-ლა არს ცხოვრებაჲ ჩემი?

28

1. მოუწოდა ისაკ იაკობს და აკურობა იგი და ამცნო მას და ჰრქუა: არა მოიყვანო ცოლი ასულთაგან ქანაანისათა.

2. აღდგე და წარვედ შუამდინარედ, სახილ ბათუელისა, მამისა მის დედისა შენისა, და მოიყვანე შენდად მიერ ცოლი, ასული ლაბანისი, დედის ძმისა შენისაჲ.

3. ხოლო ღმერთმან ჩემმან გაკურობენ შენ და აღგაორძინენ და განგამრავლენ შენ და იყავ კრებულად ნათესავთა;

4. და მოგეცინ შენ კურობევაჲ აბრაჰამისი, მამისა ჩემისაჲ, და შენ და ნათესავმან შენმან შემდგომად შენსა [რ] დაიმკდრენ⁴ ქუეყანაჲ ესე მწირობისა შენისაჲ, რომელ მოსცა ღმერთმან აბრაჰამს.

5. და წარგზავნა ისაკ იაკობი. და აღდგა იაკობ და წარვიდა შუამდინარედ ლაბანისა, ძისა ბათუელისა ასულისა, ძმისა რებეკასა, დედისა იაკობისა და ესავისა.

6. ვითარცა იხილა ესავ, რამეთუ აკურობა ისაკ იაკობი და წარვიდა

შუამდინარედ ასურეთისა მოყვანებად თავისა თჳსისა ცოლთ და კურობევისა მას-მისსა ამცნო და ჰრქუა: არა მოიყვანო ცოლი ასულთაგან ქანაანელთა,

7. და ერჩიდა მამა-დედათა თჳსთა და წარვიდა შუამდინარედ.

8. და იხილა ესავ, რამეთუ ბოროტ არიან ასულნი ქანაანისნი წინაშე ისაკისა, მამისა თჳსისა.

9. წარვიდა ესავ ისმეელისა, ძისა აბრაჰამისა, და მოიყვანა მამელელ, ასული ისმეელისი, დაჲ ნაბეთისი, ცოლთა მისთა თანა ცოლად.

10. და განვიდა იაკობ ჯჳრდმულისა მისგან ფიცისა და წარვიდა ქარანდ.

11. და მიემთხვა ადგილსა და დაიძინა მუნ, რამეთუ დაჰვიდოდა მზს. და მოდო ლოდი ლოდთაგან მის ადგილისათა და დაიდვა სასთუნლად და დაწვა მას ადგილსა.

12. და ჩუენებასა იხილვიდა. და აჰა-ესერა კიბენი [27] აღმართებულ იყვნეს ქუეყანიო, რომლისა თავი მიწდო-

მიღ იყო ცად და ანგელოზნი ღმრთი-
სანი აღვიდოდეს და გარდამოვიდოდეს
მას,

13. ხოლო უფალი დამტკიცებულ იყო
მას ზედა. და თქუა: მე ვარ უფალი
ღმერთი აბრაჰამისი, მამისა შენისაჲ, და
ღწერთი ისაკისი. ნუ გეშინინ! ქუეყანაჲ
ეგე, რომელსა შინა-ეგე გძინავს, შენ მი-
გცე და ნათესავსა შენსა.

14. და იყოს ნათესაჲი შენი ვითარცა
ქჳმაჲ ზღვსაჲ და განერცნეს ზღუად-
მდე და ჩრდილოდ და ბლუარად და
აღმოსავალად. და იკურთხეოდინ შენ-
დამი ყოველნი ტომნი ქუეყანისანი და
ნათესავისა შენისა მიმართ.

15. და აჰა მე შენ თანა ვარ დაცვად
შენდა ყოველთა გზათა შენთა, ვიდრე-
ცა ხვდოდი. და მოგაქციო შენ ამასვე
ქუეყანასა, რამეთუ არა დაგიტეო შენ,
ვიდრემდე ვყო მე ყოველივე, რაოდენსა-
ცა გეტყოდ შენ.

16. განიღუძა იაკობ ძილისა მისგან
მისისა და თქუა, რამეთუ¹: არს ღმერთი
ამას იდგილსა, და მე არა უწყოდე.

17. და შეეშინა და თქუა: ვითარ სა-
შინელ არს ადგილი ესე! და არა არს
სხუა ესე, გარნა სახლი ღმრთისაჲ და
ესე არიან ბჳენი ცისანი.

18. და აღდგა იაკობ განთიად და
აღიღო ლოდი იგი მუნ, რომელი ედვა
სასთუნლად, და აღმართა² ძეგლად და
დაასხა ზეთი თავსა მის ლოდისასა.

19. და უწოდა ადგილსა მას [v] სახ-
ლი ღმრთისაჲ. და ულუმეუზ იყო სახე-
ლი ქალაქისაჲ³ მის პირველად.

20. და ილოცა ლოცვაჲ იაკობ და
თქუა: უკუეთუ იყოს ღმერთი ჩემ თანა
და დამიცვეს მე გზასა ამას, რომელსა
მე მივალ, და მცეს მე პური საქმლად
და სამოსელი შემოსად

21. და მომაქციოს მე ცოცხლებით
სახლსა მამისა ჩემისასა და იყოს უფა-
ლი ღმრთად ჩემდა,

22. და ლოდი ესე, რომელ ავდგი
ძეგლად, იყოს⁴ სახლად ღმრთისა ჩემისა
და ყოვლისაგანი, რაოდენი-რაჲ მომცეს
მე, ათეული მიგცე შენ.

29

1. და წარემართა და წარვიდა იაკობ
ქუეყანად აღმოსავლად ლაბანისა ასუ-
რისა, ძისა ბათუელისა, ძმისა რებეკასა,
დედისა იაკობისა და ესავისა.

2. და მიჰხედა, იხილა ჯურღმული
ველსა ზედა. და იყვნეს მუნ სამწყსონი
ცხოვართანი და განისუენებდეს მუნ,
რამეთუ მის ჯურღმულისაგან ასჯან სა-
მწყსოსა. და ქვაჲ ედვა დიდი პირსა
ზედა მის ჯურღმულისასა.

3. და შეკრბის მუნ ყოველი სამწყსოჲ
და მწყემსნი და გარდააგორვიან ლოდი
იჲი პირისაგან მის ჯურღმულისა და

ასჯან საცხოვართა⁵ და კუალად დასდვიან
ლოდი იგი პირსა მის ჯურღმულისასა
ადგილსავე თჳსსა.

4. ჰრქუა მათ იაკობ: ძმანო, ვინანი ხართ
თქუენ? ხოლო მათ ჰრქუეს: [28] ქარა-
ნით ვართ ჩუენ.

5. ჰრქუა მათ იაკობ: იცითა ლაბან,
ძმ ნაქორისი? და მათ ჰრქუეს: ვიცით.

6. მან ჰრქუა მათ: ცოცხლებით არსა?
და მათ ჰრქუეს: ცოცხლებით არს. და
ვიდრე იგი ამას იტყოდა, აჰა რაქელ
მოვიდოდა ცხოვართა თანა მამისა თჳ-
სისათა.

1 რ¹ A (მოსალოდნელი იყო: ვ¹დ). 2 ასეა A. 3 ქალქისა A. 4 ძეგლად, იყოს [იყოს ძეგ-
ლად A (გადასუელი)]. 5 ასეა A

7. და თქუა იაკობ: დღშ დგას-ლა ფრიად და არლა არს შეკრებაჲ სამ-წყსოთაჲ; ასუთ ცხოვართა და წარვე-ლით და აძოვებლით მათ.

8. ხოლო მათ ჰრქულეს: ვერ შემძლე-ბელ ვართ ვიდრე შეკრებადმდე ყოველ-თა მწყესთაჲ, და გარდააგორგონ ლოდი ესე პირისაგან ჯურღმულისა და მაშინ ვასუათ.

9. ვიდრე იგი ამას ეტყოდა-ლა მათ, აჰა-ესერა რაქელ მოვიდოდა ცხოვარ-თა თანა მამისა თჳსისათა, რამეთუ იგი აძოვებნ ცხოვართა მამისა თჳსისათა.

10. და იყო, ვითარცა იხილა იაკობ რაქელ, ასული ლაბანისი, დედის ძმისა თჳსისაჲ, ზოუჭდა იაკობ და გარდააგორ-ვა ლოდი იგი პირისა მისგან ჯურღმუ-ლისა და ასუა ცხოვართა მათ ლაბა-ნისთა, დედის ძმისა თჳსისათა.

11. და ამბორს-უყო იაკობ რაქელს და ლალად-ყო კმითა დიდითა იაკობ და ტირილად.

12. და უთხრა რაქელს, რამეთუ ძმ არს რებეკასი. და შერბიოდა რაქელ და უთხრა მამასა თჳსსა მს[რ]გავსად სიტყუათა მათ.

13. და იყო, ვითარცა ესმა ლაბანს სახელი იაკობისი, დის წულისა თჳსისაჲ, გარბიოდა შემთხუევად მისა და მოეჩჳა და ამბორს-უყო მას. და შეიყვანა იგი სახიდ თჳსა და უთხრნა იაკობ ლაბანს ყოველნივე სიტყუანი ესე.

14. და ჰრქუა მას ლაბან: ძუალთა ჩემთაგანი და გორცთა ჩემთაგანი ხარ შენ. და იყო მის თანა დღეთა და თუე-თა მრავალთა.

15. და ჰრქუა ლაბან იაკობს: რამეთუ ძმაჲ ჩემი ხარი შენ და არა მმონო მე-ტად¹. მითხარ, რაჲ არს სასყიდელი შენი?

16. ხოლო ლაბანს ესხნეს ორ ასულ. სახელი უხუცესისაჲ მის ლია და უმრწე-მისისაჲ რაქელ.

17. და თუალნი ლიაჲსნი უძლურ იყ-ვნეს, ხოლო რაქელ იყო კეთილ ხილვითა და შეენიერ პირითა.

18. უყუარდა იაკობს რაქელ და ჰრქუა: გმონებდე შვდ წელ რაქელისთჳს, ასუ-ლისა შენისა უმრწემსისა.

19. ჰრქუა მას ლაბან: უმჯობშს არს ჩემდა მიცემად იგი შენდა, ვიდრე მი-ცემად იგი სხუასა კმარსა. იყოფოდე ჩემ თანა.

20. და ჰმონებდა იაკობ რაქელისთჳს შვდ წელ. და იყვნეს წინაშე მისსა ვი-თარცა მცირედნი დღენი სიყუარულისა მისცნათჳს.

21. ჰრქუა იაკობ ლაბანს: მომეც მე ცოლი ჩემი, [29] რამეთუ აღესრულნეს დღენი² ჩემნი დროჲსანი, რაჲთა შევიდე მისა.

22. შეკრიბნა ლაბან ყოველნი კაცნი მის ადგილისანი და ყო ჰორწილი.

23. და იყო მწუხრი. და მოიყვანა ლაბან ლია, ასული თჳსი, და შეიყვანა იაკობისა. და შევიდა იაკობ.

24. და მისცა ლიას, ასულსა თჳსსა, ზელფა, მკევალი თჳსი მისა მკევლად³.

25. და იყო განთიადი, და აჰა-ესერა იყო იგი ლია! ჰრქუა იაკობ ლაბანს: რაჲსათჳს ჰყავ ესე? ანუ არა რაქელის-თჳს გმონებდ? და რაჲსათჳს შეურაცხ-მყავ მე?

26. და ჰრქუა ლაბან: არა არს ჩუენ-სა ადგილსა ეგრშთ— მიცემად უმრწემს-სი უწინარშს უხუცესისა.

27. აღასრულენ შვდნი-ლა წელნი სხუანი ამისნი და მიგეცე შენ ესეცა სა-კმისი მისთჳს, როჲელსა იქმოდე ჩემ თანა მერმე შვდ წელ სხუა-ლა.

28. და ყო¹ იაკობ ეგრძთ და დაასრულნა შვდნი წელნი სხუანი. და მისცა მას ლაბან ასული თჳსი რაქელ ცოლად.

29. და მისცა რაქელს², ასულსა თჳსსა, ბალა, მკვეალი თჳსი, მას მკველად.

30. და შევიდა რაქელისა და შეიყუარა რაქელ უფროჲს ლიაჲსსა და ჰმონებდა მას შვდ წელ-და სხუა.

31. და იხილა უფალმან, რამეთუ სძულს ლია, და განუღო საშოჲ მისი, ხოლო რაქელ იყო ბერწ.

32. [ჲ] მიუდგა ლია და უშვა იაკობს ძმ. და უწოდა სახელი მისი რუბენ და თქუა: რამეთუ უფალმან იხილა სიმდაბ-

ლს ჩემი და მომცა მე შვილი. აწ შემიყუაროს მე ჰმარამ ჩემმან.

33. და მერმე მიუდგა და შვა ძმ მეორს და თქუა, რამეთუ: უფალმან ისმინა, ვითარმედ ესძულ მე, და მომცა მე ესეცა. და უწოდა სახელი მისი სჳმონ.

34. და მერმე მიუდგა და შვა ძმ და თქუა: ამერიტგან ჩემდა მომართ იყოს ჰმარი ჩემი, რამეთუ უშვენ მას სამ ძე³. ამისთჳს უწოდა სახელი მისი ლევი.

35. და მიუდგა მერმე და შვა ძმ და თქუა: აწ მერმეცა აღ-ვე-უვარებ უფალსა. ამისთჳს უწოდა სახელი მისი იუდა. და დადგა შობასა.

30

1. ვითარცა იხილა რაქელ, რამეთუ არა უშვა ძმ იაკობს, ეშურებოდა რაქელ დასა თჳსსა და ჰრქუა იაკობს: მეც მე შვილი; უკუეთუ არა, მოეკუდე.

2. განუფრისხნა იაკობ რაქელს და ჰრქუა: ნუუკუე ღმერთი ვარ მე, რომელმან დაგაყო შინ ნაყოფი მუცლისაჲ?

3. ჰრქუა მას რაქელ: აჰა-ეგერა ბალა, მკვეალი ჩემი. შევედ მისა და შეგს მუცლთა ჩემთა ზედა და შევიღერ ვიქმნე მეცა მისგან.

4. და მისცა მას ბალა, მკვეალი თჳსი, ცოლად და შევიდა მისა იაკობ.

5. და მიუდგა [30] ბალა, მკვეალი რაქელისი, და უშვა ძმ იაკობს.

6. და თქუა რაქელ: მისიჯა მე უფალმან და ისმინა ჰმისა ჩემისაჲ და მომცა მე ძმ. ამისთჳს უწოდა სახელი მისი დან.

7. და მიუდგა მერმე ბალა, მკვეალი რაქელისი, და უშვა ძმ მეორე⁴ იაკობს.

8. და თქუა რაქელ: შემეწია მე ღმერთი და მივესწორე დასა ჩემსა და შეუ-

ძლე. და უწოდა სახელი მისი ნეფთალემ.

9. და ვითარცა იხილა ლია, რამეთუ დადგა შობისაგან, მოიყვანა ზელფა, მკვეალი თჳსი, და მისცა იგი იაკობს ცოლად.

10. მიუდგა ზელფა, მკვეალი ლიაჲსი, და უშვა იაკობს ძმ.

11. ... და უწოდა სახელი მისი გად.

12. და მერმე მიუდგა ზელფა მკვეალი და უშვა იაკობს ძმ მეორს.

13. და თქუა ლია: ნეტარ ვარ მე, რამეთუ მნატრიდენ მე დედანი. და უწოდა სახელი მისი ასერ.

14. განვიდა რუბენ დღეთა მკისა იფქლისათა და პოვნა მან მანდრაგურნი ველსა ზედა და მიართუა იგი ლიას, დედასა თჳსსა. და ჰრქუა რაქელ ლიას, დასა თჳსსა: მომეც მე მანდრაგური ძისა შენისაჲ.

15. ჰრქუა მას ლია: ვერ კმა არსა შენდა, რამეთუ მიმიღე ჰმარი ჩემი? ნუუკუე მანდრაგურიცა ძისა ჩემისა⁵ მი-

მილოჲ? ჰრქუა მის რაჲელ: აჰა-ეგრეა შევედინ [ჟ] შენდა ამას ღამესა მანდრა-გურთა წილ ძისა შენისათა.

16. შემოვიდა იაკობ ველით მიწუხ-რი. და განვიდა ღია მიგებებად მისა და ჰრქუა: ჩემდა შემოხვდჳ დღეს, რანეთუ მომიყიდე¹ შენ მანდრაგურთა წილ ძისა ჩემისათა². და შევიდა მისა მას ღამესა.

17. და ისმინა ღმერთმან ლიაჲსი. და მიუღდა და უშვა იაკობს ძმ მეხუთმ.

18. და თქუა ღია: მომცა მე უფ-ლ-მან სასყიდელი ჩემი ამისთვის, რამეთუ მივეც მკვეალი ჩემი ქმარსა ჩემსა. და უწოდა სახელი მისი იზაქარ, რომელ არს სასყიდელი.

19. და მიუღვა ღია და უშვა იაკობს ძმ მეექვსს.

20. და თქუა ღია: მომანიჭა მე ღმერთ-მან ნიჭი კეთილი. ამიერ ქამითგან სათ-ნო-მიყოს მე ქმარმან ჩემმან, რამეთუ უშვენ მას ძენი ექუსნი. და უწოდა სა-ხელი მისი ზაბულონ.

21. და ამისსა შევდგომად ნვა ა'ული და უწოდა სახელი მისი დინა.

22. და მოივსენა ღმერთმან რაჲელ და შეისმინა მისი და განულო საზოჲ მისი.

23. და მიუღდა და უშვა იაკობს ძმ და თქუა რაჲელ: მომისპო მე ღმერთმან ყუედრებაჲ ჩემი.

24. და უწოდა სახელი მისი იოსებ და თქუა: შემძინა მე ღმერთმან შვილი სხუჲ.

25. და იყო, ვითარცა შვა რაჲელ იოსებში, ჰრქუა იაკობ ლაბანს: წარმა-ვლინე მე, და წარვიდე ქუეყანად ჩემდა.

26. [ჟ] მომცენ მე ცოლნი ჩემნი,

რომელთათჳს გმონებდ შენ, რაჲთა წარ-ყიდე, რამეთუ შენ უწყი მონებაჲ ჩემი, რომელ გმონე შენ.

27. ჰრქუა მას ლაბან: უკუეთუ გპოვე მადლი წინაშე შენსა, ... რამეთუ მაკუტ-რთხა მე უფალმან შემოსლვასა შენსა,

28. განაჩინე სასყიდელი შენი ჩემ თანა და მიცე შენ.

29. ჰრქუა მას იაკობ: შენ უწყი, რაჲ-დენ გმონე შენ და რაჲდენ იყო საცხო-ვარი შენი ჩემ თანა.

30. რამეთუ მცირედ იყენეს, რაჲდენ იყენეს ჩემ წინაშე, და აღაოჩინა სი-მრავლედ და გაკუტრთხა შენ უფალმან ფერკსა ჩემსა. აჟ უკუე ვიშენო თავისა ჩემისა სახლი.

31. ჰრქუა მას ლაბან: რაჲ მიცე წენ? ჰრქუა მას იაკობ: ნურას მომცემ მე. უკუეთუ ჰყო სიტყუაჲ ჩემი, კუა-ლად ვჴყისიდელა ცხოვართა შენთა და ვსცვიდე.

32. წარმოავლინე ყოველი ცხოვარი შენი დღეს³ და გამოარჩიე მიერ ყო-ველი ცხოვარი თეთრი ტარიგთაგან და ყოველი სპეტაკი და თეთრი თხათაგან. ესე იყოს ჩემდა სასყიდელ.

33. შეისმინოს ჩემი სიმართლემან ჩემმან ამას დღესა შინა ხვალე, რამე-თუ არს სასყიდელი ჩემი წინაშე შენსა: ყოველი, რომელი იყოს თეთრ კრავთა შოვრის და სპეტაკ და კრელ თხათა⁴ შოვრის...

34. ჰრქუა მას ლაბან: იყავნ სიტყუსა-ებრ შენისა!

35. და განაჩინა მას დღესა⁵ შინა ვაცები კრელები და სპეტაკი [ჟ] და ყოველი თხაჲ ნეზ კრელი და სპეტაკი, და ყოველივე სპეტაკი, რომელი იყო მათ შოვრის, და ყოველი თეთრი, რომელი

1 მიმიყიდე A (შდრ.: მიიყიდა, დაბ. 39, 1). 2 ჩემისათა შენისათა A. 3 დღეს A. 4 თხა კ თხათა A. 5 დღეს A.

იყო კრავთა შოვრის, და მისცა მას კელითა ძეთა მისთაჲთა სამწყსოჲ თჳს-თჳსა.

36. და განაშორა გზასა სამისა დღი-სისა შოვრის მათსა და შოვრის იაკობისსა, და იაკობ მწყსიდა ცხოვართა ლაბანისთა ნეტო.

37. ხოლო იაკობ მოიღო კუერთხი ბრაწისაჲ და ნიგუზისაჲ და ძელქვისაჲ ნედლი და გამოხუეწა იგი იაკობ, ნაქურცენი მისი ნედლი მოსძარცუა. და აწნდა კუერთხთა მათ თეთრი იგი, რომელი გამოეხუეწა კრელი.

38. და დაუსვა კუერთხები იგი ისარნებსა მას წყლის სასუმელთისა, რაჲთა, რაჲმს მოვიდეს ცხოვარი სუმად წინაშე კუერთხებსა მას, მოვიდენ სუმად და მიჰქედონ ცხოვართა მათ კუერთხებსა მას.

39. და შობდეს ცხოვარნი იგი სპეტაკსა და კრელსა და ნაცრის ფერად სხურებულსა¹.

40. ხოლო ტარიგები იგი დაარჩია იაკობ და დაადგინა წინაშე ცხოვართა მათ ვერძი მოსპეტაკე და ყოვლად კრელი ტარიგთა შოვრის და განაშორა სამწყსოჲ მისი თჳსაგან და არა შეჰრია იგი ცხოვართა ლაბანისთა.

41. და იყო მას ჟამსა შინა, რაჲმს დამაკდებიდ ცხოვარნი და მუცლადილებედ, დაასხის იაკობ წინაშე ცხოვართა [32] წყლის სასუმელსა მას, რაჲთა მუცლადილონ მათ კუერთხებისა მის სახედ.

42. და რაჲმს² შობედ, არა დაასვის. და იყო უნიწნოჲ იგი ლაბანისა, ხოლო ნიწნიანი იგი იაკობისა.

43. და განმდიდრდა კაცი იგი დიდად ფრიად და იყო მისი საცხოვარი ფრიად და ზროხაჲ და მონაჲ და მტევალი, აქლემი და ვირი.

31

1. და ესმა იაკობს სიტყუაჲ ძეთა ლაბანისთაჲ, ვითარ-იგი იტყოდეს: მიგჯლო იაკობ ყოველივე მამისა ჩუენისაჲ და მამისა ჩუენისაჲთა მოიგო ყოველი ესე დიდებაჲ.

2. და იხილა იაკობ პირი ლაბანისი და არა იყო მისა მიმართ, ვითარ-იგი გუშინდელსა და ძულუნდელსა დღესა.

3. ჰრქუა უფალჲან იაკობს: მიაქციე ქუეყანად მამისა შენისა და ნათესაჲისა შენისა და ვიყო მე შენ თანა.

4. და მიავლინა იაკობ და მოუწოდა ლიას და რაქელს ველად³, სადა-იგი იყო სამწყსოჲ.

5. და ჰრქუა მათ: ვხედავ მე პირსა მამისა თქუენისასა, რამეთუ არა არს

ჩემდა მომართ, ვითარ-იგი გუშინ და ძულუნ. ხოლო ღმერთი მამისა ჩემისაჲ იყო ჩემ თანა.

6. და თქუენ თუთ უწყით, რამეთუ ყოვლითა ძალითა ჩემითა ვჰმონე მამასა თქუენსა.

7. ხოლო მამამან თქუენმან დამაკლო მე და ცვალა სასყიდელი ჩემი ათისა ტარიგისაჲ და არა უტევა მას ღმერთმან ბოროტის ყოფად ჩემდა.

8. და უკუეთუ თქუას: კრელი იგი იყავნ სასყიდლად შენდა, შობდენ ყოველნივე იგი ცხოვარნი კრელსა. [17] უკუეთუ ესრე თქუას: იყავნ სპეტაკი სასყიდლად შენდა, შობდენ ყოველნი იგი ცხოვარნი სპეტაკსა.

¹ სხორებულსა A. 2. რზე A. 3 პირველად შეცდომით სხვა სიტყვა დაუწყია, მაგრამ შემდეგ წაუშლია და გადაუსწორებია.

9. და მოულო ღმერთმან ყოველივე ცხოვარი მამისა თქუენისაჲ და მო-
მცა მე.

10. და იყო, რაჲმს მაჲნდებოდეს ცხოვარნი და მუცლად-იღებდეს, ვიხილე თუალითა ჩემითა ძილსა შინა: და აჰა ვაცები და ვერძები აღვიდოდა ცხოვარ-
თა და თხათა სპერაკი და ჭრელი და ნაცრის ფერად სხურებული.

11. და მრქუა მე ანგელოზმან უფლი-
სამან ძილსა შინა: იაკობ, იაკობ. და მე ვთქუ, ვითარმედ: რაჲ არს?

12. და თქუა: აღიხილენ თუალნი შენი და იხილენ ვაცები და ვერძები, აღმავალი ცხოვართა და თხათა კრელ-
თა და ნაცრის ფერად სხურებულთა, რამეთუ მე ვიხილე, რასა-იგი ლაბან გიყოფს შენ.

13. მე ვარ ღმერთი შენი, რომელი გეჩუენე შენ აღვილსა მას ღმრთისასა, სადა-იგი სცხე ძეგლსა ჩემსა და აღმი-
თქუ მე აღთქუმამ. აჲ აღდეგ და განვედ ამიერ ქუეყანით და მივედ ქუეყანად შო-
ბისა შენისა და ვიყო მე ზენ თანა.

14. მიუგეს ლია და რაქელ და ჰრქვეს მას: ნუუკუე ამიერივგან არს ნაწილი და საჰკდრებელი სახლსა შინა მამისა ჩუენისასა?

15. ანუ არა ვითარცა უცხონი შერა-
ცხილ ვართ მის წინაშე, რამეთუ გან-
მყიდნა ჩუენ და შეჰჰამა შეჰჰმით ვეცხლი ჩუენი?

16. ყოველივე სიმდიდრე და დიდე-
ბაჲ, რომელი¹ მოულო ღმერთმან ნამი-
საგან ჩუენისა, ჩუენდა [ჰჰ] იყოს და შვილთა ჩუენთა. აჲ რაჲ გრქუა შენ უფალმან შენმან, ეგრეცა ყავ.

17. აღდგა იაკობ და წარიყვანნა ცოლ-
ნი თჳსნი და ყრმანი და აღსხნა იგინი² აქლემებსა.

18. და წარიღო ყოველი მონაგები თჳსი და ყოველი ჭურჭერი მისი, რომელ მოიგო შუემდინარეს და ყოველივე, რაჲცა იყო მისი, და წარემართა მისლ-
ვად ისაკისა, მამისა თჳსისა, ქუეყანად ქანანისა.

19. ხოლო ლაბან მივიდოდა რისუვად ცხოვართა თჳსთა. მოიპარნა რაქელ კერპნი მამისა თჳსისანი.

20. ემალვოდა იაკობ ლაბანს ასურსა და არა უთხრა მას³, ვითარმედ წარი-
ვლტის.

21. და წარივლტოდა იგი და ყოვე-
ლივე მისი. და წილმოჰდა მდინარესა და მიიმართა მთასა მას გალადასა.

22. უთხრეს ლაბანს ასურსა დღესა⁴ მესამესა, ვითარმედ წარივლტოდა ია-
კობ.

23. და წარიყვანნა მის თანა ყოველნი ძმანი მისნი და დღენა-უყო იაკობს გზასა შჳდისა დღისასა და ეწიბ მას მთასა გალადადისასა.

24. მოვიდა ღმერთი ლაბანისა ღამე⁵ ჩუენებით და ჰრქუა მას: ეკრძაღე, ნუ-
უკუე ეტყოდი იაკობს ფიცხელსა.

25. და ეწია ლაბან იაკობს. ხოლო იაკობს აღედგა კარავი მთასა ზედა, და ლაბან დაადგინნა ძმანი თჳსნი მთასა გალადადისასა.

26. ჰრქუა ლაბან იაკობს: რაჲ ჰყავ ესე? რაჲსა იდუმალ წარმოივლტოდე? დამპარე-ცა მე და წარმოიყვანენ ასულ-
ნი ჩემნი [ჲ] ვითარცა ტყუენი მიხზ-
ლითა.

27. და თუ-მცა მითხარ მე, წარმო-
მცა-გზავნე შენ სიხარულითა და სა-
ხიობითა, ბობლნითა და ქნარითა.

28. არა ვღირდია ამბორის-ყოფად ყრმათა ჩემთა და ასულთა ჩემთა? ხო-
ლო აჲ უგუენურად ჰყავ.

29. და აწ შემძლებელ ირს გელი ჩემი ბოროტის ყოფად შენდა. ხოლო ღმერთ-მან მამისა შენისამან მრქუა მე გუშინ: ეგრძაღე თავსა შენსა, ნუუუუ ეტყოდი იაკობს ბოროტსა.

30. და აწ უუეთუ წარმოსრულ ხარ და გულის თქუმით გულმან გითქუა წარსლვად სახიდ მამისა შენისა, რაისათჳს წარმოიპარენ ღმერთნი ჩემნი?

31. მიუგო იაკობ და ჰრქუა ლაბანს: რამეთუ შემეშინა და ვოქუ: ნუუუუ მიმიხუნე ასულნი შენნი და ყოველივე ჩემი. იცან, რაჲ-იგი არს შენი ჩემ თანა და მიიღე. და არარაჲ იცნა მის თანა არცა ერთი რაჲ.

32. მიუგო იაკობ და ჰრქუა: რომლისა თანა იცნენ ღმერთნი შენნი, არა ცხოვრდეს წინაჲე ძმათა ჩუენთა. არა უწყოდა იაკობ, რამეთუ რაჲელ, ცოლმან მისმან, წარმოიპარა იგინი.

33. შევიდა ლაბან და აღიხილა ყოველივე ლიაჲსი და არაჲ პოვა. გამოვიდა სახლისაგან ლიაჲსა და აღიხილა სახლი იაკობისი და არაჲ პოვა, და სახლნი ორთავე მკვევალთანი და არაჲ პოვა. და შევიდა სახლსა რაჲელისსა.

34. ხოლო რაჲელ [34] მოიხუნა კერპნი იგი და ქუეშე¹ შესხნა პალაგანდთა აქლემთასა და დაჯდა მათ ზედა.

35. და ჰრქუა მამასა თჳსსა: ნუ მძიმე-გიჩნ, უფალო, ვერ ძალ-მიც აღდგომად, რამეთუ ჩუეულებასა დედათასა ვარ. აღიხილა ლაბან ყოველი სახლები და არა პოვნა კერპანი.

36. განარისხნო იაკობ და ჰლაღვიდა ლაბანს. მიუგო იაკობ და ჰრქუა ლაბანს: რაჲ არს ბრალი ჩემი და შეცოდებაჲ, რამეთუ მღევენი მე,

37. და აღიხილე ყოველი ჭურჭერი სახლისა ჩემისაჲ? რაჲ ჰპოე ყოველისაგან

ჭურჭრისა სახლისა შენისაჲ? დადეჲ აჲა წინაშე ყოველთა ძმათა შენთა და ძმათა ჩემთა და გუამბილედ ჩუენ ორთავე.

38. ესე ოცი წელი არს, ვინაჲთგან ვარ მე შენ თანა. ცხოვარნი შენნი და თხანი შენნი არა უშვოლო იქმნენ, ვერძნი ცხოვართა შენთანი არა² შეეკამენ;

39. ნამკეცავი არასადა³ მოგართუ შენ; მე ვზღვედ თავით ჩემით ნაპირე-სა დღისა და ღამისასა;

40. შევიწუებოდე სრცხითა დღისაჲთა და ნუფხითა ღამისაჲთა და განყენებულ იყო ძილი თუღლთა ჩემთაგან.

41. ესე ოცი წელი არს, ვინაჲთგან ვარ მე სახლსა შენსა. გმონე შენ ორთა ასულთა შენთათჳს ათოთხეტ წელ და ექუს წელ ცხოვართა შენთა ზედა და შეურაცხ-ყავე ყოველი სასყიდელი ჩემი ათთა მათ ტარიგათჳს.

42. არა თუ-მცა ღმერთი მამისა [42] ჩემისა აბრაჰამისი იყო ჩემ თანა და შიში ისაკისი, აწ ცალიერმცა გამომა-ვლინე. სიმდაბლე ჩემი და შრომი ჩემი იხილა ღმერთმან და გამხილა შენ გუშინ.

43. მიუგო ლაბან იაკობს და ჰრქუა: ასულნი ესე ასულნი ჩემნი არიან და ძენი ესე ძენი ჩემნი და საცხოვარი ესე საცხოვარი ჩემი. და ყოველსა ამას რომელსა შენ ჰხედავ, ჩემი არს, და ასულთა ჩემთათჳს რაჲ ვყო დღეს⁴?

44. აწ მოვედ და აღვიტუეთ აღ-თქუმად მე და შენ და იყოს საწამებელ შოვრის შენსა და ჩემსა. და თქუა: აჲა-ესერა არაჲნი არს ჩემ თანა, აჲა-ესერა უფალი არს მოწამე⁵ შოვრის ჩემსა და შენსა.

45. მოიღო იაკობ ლოდი და აღდგა ძეგლად.

46. და ჰრქუა იაკობ ძმათა თჳსთა: მეკრიბეთ ღოდებო. და შეკრიბეს ღოდებო და აღადგინეს ბორცჳ და ჰამეს და აუეს ბორცუსა მას თანა. (48a). და ჰრქუა ლაბან: ბორცჳ ესე მოწამე¹ არს შოვრის ზემსა და შენსა ღღეს².

47. და უწოდა მას ლაბან ბორცჳ წამებისაჲ, ხოლო იაკობ—ბორცჳ მოწამე.

48. (51). და ჰრქუა ლაბან იაკობს: აჰა-ესერა ბორცჳ ესე და ძეგლი, რომელ აჰმართე³ შოვრის შენსა და ზემსა, (52a). წამებს ბორცჳ ესე და ძეგლი ესეცა წამებს. (48b). ამისთჳს ეწოდა სახელი მისი ბორცჳ წამებისაჲ.

49. და ხილვაჲ იგი, რომელ იხილა, იხილენ ღმერთმან შოვრის ზემსა და შენსა, რამეთუ განვეშორებით მოყუასი მოყუასისა.

50. უკუეთუ დაამ[ჰჳ]დაზღენ ასულნი ზემნი, უკუეთუ ისხნე ცოლნი სხუანი

ასულთა ზემთა ზედა, იხილენ, არავინ არს ზუნ თანა.

52. (52b). უკუეთუ მე არა წილმოვადე შენდა, ნუცა შენ წილმოხულ ზემდა ბორცუსა ამას ზემსა დი ძეგლსა ამას ბორცუბით.

53. ღმერთმან აბრაჰამისმან და ღმერთმან ნაჰორისმან საჯენ შოვრის ზუნსა.

54. და ფუცა იაკობ შიშსა მამისა თჳსისა ისაკისსა. (54). და შეწირა მსხუერპლი იაკობ მთასა მას თანა და ჰხადა ყოველთა ძმათა მისთა. და ჰამეს და სუეს და დიძინეს.

(32)

55. (1). და აღდგა ლაბან განთიად და ამბორს-უყო ძეთა მისთა და აკურთხნა იგინი და მიიქცა და წარვიდა აღდილად თჳსა.

32

1. (2). და იაკობ წარვიდა გზასა თჳსსა მშჳდობით. და აღიხლნა იაკობ თუალნი თჳსნი და იხილა ბანაკი ღმრთისაჲ დაბანაკებული და შეემთხვნეს მას ანგელოზნი ღმრთისანი დაბანაკებულნი.

2. (3). ხოლო იაკობ თქუა, რაჲჲს იხილნი იგინი: ბანაკი ღმრთისაჲ არს ესე. და უწოდა აღდილსა მას სახელი ბანაკებ.

3. (4). წარავლინნა იაკობ მოციქულნი წინაშე მისსა ესავისა, ძმისა მისისა, ...

4. (5). და ამცნო მათ და ჰრქუა: ესრე არქუთ უფალსა ზემსა ესავს: ესრე იტყჳს მონაჲ შენი იაკობ: ლაბანის თანა ვმწირობდ და ვყოვნე აჲამოდღე

5. (6). და მოვიგე ზროხაჲ და ვირები, ცხოვარი და მონები და მკველები და

მოვაღლინე თბრობად [v] უფლისა ზემისა ესავისა და რაჲთა პოოს მონამან შენმან მადლი წინაშე შენსა.

6. (7). და მოიქცეს და მოვიდეს მოციქულნი იაკობისა და ჰრქუეს: მივედით ესავისა, ძმისა შენისა, დი აჰა იგიცა მოვალს შემთხუევად შენდა და ოთხასი კაცი მის თანა.

7. (8). ხოლო იაკობს შეეშინა ფრიად და ზრუნვიდა და განყო ერი იგი ზის თანაჲ და ცხოვარი დი ზროხაჲ ორად ბანაკად.

8. (9). და თქუა იაკობ: უკუეთუ მოვიდეს ესაჲ ბანაკსა მას ერთსა დი მოსრას იგი, მეორე იგი განერეს.

9. (10). და თქუა იაკობ: ღმერთო მამისა ჩემისა აბრაჰამისო და ღმერთო მამისა ჩემისა ისაკისო, უფალო, რომელმან მარქუ მე: წარვედ ქუეყანად შენდა საშობასა და კეთილი გეყოს შენ.

10. (11). კმა არს ჩემდა ყოვლისაგან სიმაართისა და ყოვლისაგან კეშმარიტებისა, რომელ უყავ მოწასა შენსა, რამეთუ ამით კუერთხითა წილობოვებდ იორდანესა ამას. აჴ ესერა ვიქმენ ორად ბანაკად.

11. (12). განმარინე მე, უფალო, გელთაგან ძმისა ჩემისა ესავისთა, რამეთუ მეშინის მე მისგან და ნუუკუე მომკლას მე და დედაჲ შვილთა ზედა.

12. (13). და შენ სთქუ: კეთილად კეთილი გეყოს და ვყო ნათესავი შენი ვითარცა ქჷშად ზღუასად, რომელი ვერ აღირაცხების სიმრავლისაგან.

13. (14). და დაიძინა მუნ მას ღამესა. და მოიღო, რომელ-იგი მოაქუნდა ძლუენი, და მიუძღუანა ესავს, [36] ძმასა თჳსსა:

14. (15). თხად ორასი, ვაცი ოცი, ...

15. (16). აქლემი ჳდალი და კიცუები მათი ოც და ათი, ზროხად ორმოცი¹ და კუროჲ ათი ...

16. (17). და მისცა გელთა მონათა თჳსთა სამწყსოჲ თჳს-თჳსა და ჰრქუა მათ: წარვედით წინაშე ჩემსა და განაშორეთ სამწყსოჲ სამწყსოსა.

17. (18). და აჴცნო პირველსა მას და ჰრქუა: უკუეთუ შეგემთხვოს შენ ესავ, ძმა ჩემი, და გკითხოს შენ და გრქუას: ვისინა ხართ ანუ ვიდრე ზუალთ და ვისი არს, რომელი-ესე ვალს წინაშე თქუნესა,

18. (19). არქუთ: მონისა შენისა იაკობისი; ძლუენი მიუძღუანა უფალსა ესავს და აჴ იგი შემდგომად ჩუენსა მოვალს.

19. (20). და ესრე ამცნო პირველსა მას და მეორესა და მესამესა და ყოველთაჲ, რომელნი ვიდოდეს წინაშე მისსა, და

ჰრქუა: ამის სიტყუსაებრ ეტყოდეთ ესავს, რაჲმს გპოენეს თქუენ მან,

20. (21). და არქუთ: აჴ მონად შენი იაკობ მოვალს შემდგომად ჩუენსა. რამეთუ თქუა: მოვამჴდო პირი მისი ძლუენითა ამით, წინაჲსწარ ჩემსა წარძღუანულითა, და ამისა² შემდგომად ვიხილო პირი მისი; ვინ იცის, შემემთხვოს მე.

21. (22). და წარუძღოდა ძლუენი იგი წინაშე მისსა. ხოლო მან დაიძინა მას ღამესა სავანესა მას.

22. (23). და აღდგა ღამე და მოიყვანნა ორნივე ცოლნი მისნი და ორნი მჴევალნი მისნი და ათერთმეტნი ყრმანი მისნი და წილობოჳდა კეჳსა...

23. (24). ... და წილობოკრიბა ყოველივე, [1] რაჲცა იყო მისი.

24. (25). და დადგა იგი მარტოჲ მუნ. და ერკინებოდა მას კაცი ვიდრე განთიადმდე.

25. (26). ვითარ იხილა, რამეთუ ვერ უძლავს მისა მიმართ, შეახო ერცელსა ბარკლისა მისისასა და დაუბუშა ერცელი ბარკლისა იაკობისი ბრძოლასა მას მის თანა.

26. (27). და ჰრქუა: განმიტევე, რამეთუ აღმოჰჳდა ცისკარი. ხოლო იაკობ ჰრქუა: არა განგიტეო შენ, ვიდრემდე მაკურთხო მე.

27. (28). და მან ჰრქუა მას: რაჲ არს სახელი შენი? ხოლო მან ჰრქუა: იაკობ.

28. (29). ჰრქუა მას: არლარა გერქუას ამიერიტგან სახელი იაკობ, არამედ ისრაჴლ იყოს სახელი შენი, რამეთუ განსძლიერდი ღმრთისა თანა და კაცთა თანაცა ძლიერ.

29. (30). ჰკითხა იაკობ და ჰრქუა: მითხარ მე, რაჲ არს სახელი შენი? და ჰრქუა: რაჲსა იკითხავ სახელსა ჩემსა? და იგი არს საკჳრველ. და აჴურთხა იგი მუნ.

30. (31). და უწოდა სახელი აღგილსა მას ხალჳად ღმრთისაჲ, რამეთუ ვიხილე

ღმერთი პირისპირ და ცხონდა სული ჩემი.

31. (32). და აღმოუქდა მას მზე. და ვითარცა წარვიდა ხილვად იგი ღმრთისაჲ, იგი კელობდა ბარკლითა მით.

32. (33). ამისთჳს არა კამიან¹ ძეთა

ისრაჲლისათა ძარღჳ იგი, რომელ დაუბუშა, როჲელი არს ვრცელსა ბარკლისასა, ვიდრე ღღენდელად ღღემდმე, რამეთუ² შეახო ვრცელსა ბარკლისა იაკობისსა, რომელ დაუბუშა.

33

1. აღიხილნა თუალნი თჳსნი იაკობ და იხილა ძმად თჳსი ესავ მომავალი და ოთხასი კაცი მის თანა. და განუყვნა ყრმანი იაკობ ლიას და რაჲელს [37] და ორთა მათ მკვევლთა.

2. და დაადგინნა ორნი იგი მკვევლნი და ძენი მათნი პირველად, და ლია და ყრმანი მისნი შემდგომად, და რაჲელ და იოსებ უკუანამკენელ.

3. და იაკობ წარუძღლუა წინაშე მათსა და თაყუანის-სცა მას ქუეყანასა ზედა შჳდ გზის ვიდრე მიახლებდმდე ძმისა თჳსისა.

4. და მირბიოდა ესავ შემთხუევად მისა და მოეხუა მას და ამბორს-უყო მას და დასდვა პირი მისი ჭედსა იაკობისსა; და ტიროდეს ორნივე.

5. და მიჰხედა და იხილნა ორნი ცოლნი მისნი და ყრმანი და ჰრქუა: რად გეყიან ესენი შენ? და მან ჰრქუა: ყრმანი ესე, რომელ³ შემიწყალა ღმერთმან მონად შენი.

6. და მიეახლნეს მკვევლნი იგი და ყრმანი მათნი და თაყუანის-სცეს.

7. და მიეახლა ლია და შვილნი მისნი და თაყუანის-სცეს. და ამისა⁴ შემდგომ-

მად მოვიდა რაჲელ და იოსებ და თაყუანის-სცეს.

8. და ჰრქუა ესავ: შენი არსა ესე ყოველი ბანაკები, რომელ შემემთხუა? ხოლო იაკობ ჰრქუა: რადთა პოოს მადლი მონამან შენმან, უფალო, შენ წინაშე.

9. ჰრქუა მას ესავ: არს ჩემი ფრიად, გეჴყენ შენი შენვე!

10. ჰრქუა მას იაკობ: უკუეთუ ვპოე მადლი წინაშე შენსა, მიიღე ძლუენი ესე კელთაგან ჩემთა, ამისთჳს [რამეთუ]⁵ ვიხილე პირი შენი, ვითარცა ვინ იხილის პირი ღმრთისაჲ. [ჯერ-მიჩინე

11. და მიიღე კურთბეული ესე, რომელ მოგართუე შენ]⁶, [რამეთუ შემიწყალა მე ღმერთმან და არს ჩემი ფრიად. და აიძულა მას და მიიღო.

12. ჰრქუა ესავ: აღვდგეთ და წარვიდეთ მართლ.

13. ჰრქუა მას იაკობ: უფალმან ჩემმან იცის, რამეთუ ყრმანი ჩემნი ჩჴლნი არიან და ზროხად და ცხოვარი შობენ ოდენ. უკუეთუ წარვიქცინე იგინი ღლე⁷ ერთ, გინა თუ ორ ღლე⁷, მოწყდეს ყოველი საცხოვარი.

14. წარვიდინ უფალი ჩემი წინაშე მონისა თჳსისა და მე შეუძლო მოცალედ გზასა ზედა სლვად წინაშე ჩემსა და

1 კამონ A. 2 რომელ A (რლ). 3 ასე A (მოსალოდნელი იყო: რომელთა, ე. ი. რომლებ-ბითაც). 4 დამისა A. 5 რამეთუ) — A. 6 კაუბში ჩასმული სიტყვების ნაცვლად ზელ-ნაწერში იკითხება: „ჰრქუა ესავ: აღვდგეთ. და წარვიდეთ მართლ. ჰრქუა მას იაკობ: უფალმან“... აქ თავდება 37 ფურცლის წინა გვერდი; უანასტარხე კი იწყება: „რ შემიწყალა მე ღმ“ და შემდგომი. ეს არის მე-12 მუხლი და მე-13-ს დასაწყისი და აქ (მე-11 მუხლის თავში) შე-ცდომითა მოყვანილი. 7 დღე A.

შემდგომად ყრმათა მისლვადმდე ჩემდა უფლისა ჩემისა სვირდ.

15. ჰრქუა მას ესაჲ: დაუტეო ერისა ამისგანი შენ თანა, რომელ არს ჩემ თანა. ხოლო იაკობ ჰრქუა: რაჲსათჳს ესე? კმა არს, რამეთუ ვპოე მადლი წინაშე შენსა, უფალო.

16. და მიიქცა ესაჲ მას დღესა შინა სვირდ.

17. და იაკობ წარმოვიდა კარგებად და იქმნა სახლი და საცხოვარსა თჳსსა უქმნა საყოფელი. ამისთჳს უწოდა ადგილსა მას სახელი კარგებ.

18. და მოვიდა იაკობ საღემდ, ქალაქად სიკიმელთა, რომელ არს ქუეყანასა ქანანისასა, ოდეს-იგი მოვიდოდა შუამდინარით ასურეთისაჲთ, და დაიბანაკა წინაშე პირისპირ ქალაქსა მას.

19. და მოიგო მუნ ნაწელი იგი ველი-საჲ, სადა-იგი აღდგა კარავი თჳსი, ემორისგან, მამისა სჳქემისა, ასის ტარიგის

20. და აჰმართა მუნ საკურთხეველი და ჰხადა სახელსა ღმრთისა ისრაელი-სასა¹.

34

1. [ჰმ] გამოვიდა დინა, ასული იგი ლიაჲსი, რომელ უშვა იაკობს, განცდად ასულთა მის სოფლისათა.

2. და იხილა სჳქემ, ძემან ემორისმან, ქორელმან, მთავარმან მის ქუეყანისამან, მიიყვანა იგი და დაწვა მის თანა და დაამდაბლა² იგი.

3. და შეეყო სული მისი დინას, ასულსა იაკობისსა, და შეიყუარა ქალწული იგი და ეტყოდა გონებისაებრ ქალწულებისა თჳსისა.

4. მიუგო სჳქემ ემორს, მამასა თჳსსა, და ჰრქუა: მომგუარე ყრმაჲ ესე ცოლად.

5. ესმა იაკობს, რამეთუ შეაგინა სჳქემ, ძემან ემორისმან, დინა, ასული მისი. ხოლო ძენი იაკობისნი იყენეს საცხოვარსა მისსა თანა ველსა გარე, და დაიდუმა იაკობ ვიდრე მოსლვადმდე მათა.

6. გამოვიდა ემორ, მამაჲ სჳქემისი, იაკობისა სიტყუად მისა.

7. ხოლო ძენი იაკობისნი მოვიდეს ველით. ვითარცა ესმა ესე, შეწუხნეს

იაკობი იგი ფრიად, რამეთუ სარცხენელ იქმნა ისრაელსა შოვრის, ვითარმედ დაწვა ასულისა თანა იაკობისა, და არა ჯერ-უწინად.

8. ეტყოდა მათ ემორ და ჰრქუა: სჳქემ, ძემან ჩემმან, აღირჩია სულითა თჳსითა ასული თქუენი. მოეცით იგი მას ცოლად.

9. გუემზახენით ჩუენ: ასულნი თქუენნი მოგუტენით ჩუენ და ასულნი ჩუენნი მიათხოვენით ძეთა თქუენთა.

10. და დაემკდრენით ჩუენ შოვრის და აჰა-ესერა ქუეყანაჲ ფართო არს თქუენ წინაშე. დაეშვნით, ივაჰრობდით მას შინა და მოი[ვ]გებდით მას ზედა.

11. ჰრქუა სჳქემ მამასა მისსა და ძმათა მისთა: ვჰპოებმცა მადლსა წინაშე თქუენსა და რაჲ-იგი სთქუათ, მიგცე თქუენ.

12. განამრავლეთ საცხოვარი ფრიად და მიგცე, რაჲ-იგი მრქუათ მე, და მომეცით მე ყრმაჲ ესე ცოლად.

13. მიუგეს ძეთა¹ იაკობისთა სჯქმს და ემორს, მამასა მისსა, და ჰრქუეს ზა-კუებით, რამეთუ შეაგინა დაჲ იგი მათი.

14. და ეტყოდეს მათ სემონ² და ლევი, ძმანი ღინაჲსნი: ვერ გელ-გუეწიფების სიტყუად ეგე ყოფად, მიცემად დაჲ ჩუენი კაცსა წინა-დაუცუეთელსა, რამეთუ საყუედრელ არს იგი ჩუენდა.

15. ამით მსგავს ვიყვნეთ თქუენდა და დავემკდრნეთ თქუენ შოვრის: უკუეთუ იქმნნეთ თქუენ, ვითარცა-ესე ჩუენ ეართ, რაჲთა წინა-დაიცუთოს ყოველმან წულმან თქუენმან,

16. მაშინ მიგცნეთ ასულნი ჩუენნი თქუენ და ასულთა თქუენთაგანნი მოვიყვანნეთ ჩუენ. და დავემკდრნეთ³ თქუენ შოვრის და ვიყვნეთ ვითარცა ნათესავი ერთი.

17. უკუეთუ არა ისმინოთ ჩუენი, რაჲთა წინა-დაიცუთოთ, წარვიყვანნეთ ასულნი ჩუენნი და წარვიდეთ.

18. და სთნდეს სიტყუანი ესე წინაშე ემორისა და წინაშე სჯქმისა, ძისა ემორისა.

19. და არღარა ყოვნა ჰაბუქმან მან ყოფად საქმისა ამის, რამეთუ მოსურვე იყო ასულისათჳს იაკობისა, რამეთუ იგი იყო უდიდებულეს სახლსა შინა მამისა მისისასა.

20. [39] მოვიდეს ემორ და სჯქმ ბკეთა თანა ქალაქისა მათისათა და ეტყოდეს კაცთა მათ ქალაქისათა და ჰრქუეს:

21. კაცნი ესე მშუდობისანი არიან ჩუენ თანა, დაემკდრნელ ქუეყანასა ზედა და ივაქრობდენ მას ზედა. და ესერა ქუეყანად ფართო არს წინაშე მათსა. ასულნი მათნი მოვიყვანნეთ ჩუენდა ცოლად და ჩუენნი მივსცნეთ მათ.

22. გარნა ამით გუემსგავსნენ ჩუენ

კაცნი ესე დამკდრებად ჩუენ თანა, რაჲთა ვიყვნეთ ვითარცა ერთი ერი წინა-დაცუეთითა მით ჩუენითა, ვითარცა-იგი წინა-დაცუეთილ არიან;

23. და საცხოვარი მათი და მონაგები მათი და ყოველი ოთხფერკი მათი არა ჩუენი იყოს, გარნა ამით ხოლო ვემსგავსნეთ მათ და დაემკდრნენ ჩუენ თანა.

24. და ისმინეს ემორისი და სჯქმისი, ძისა მისისაჲ, ყოველთაჲე გამოსავალთა ბკეთა ზედა მის ქალაქისა მათისათა და წინა-დაიცუეთდეს წინა-დაცუეთილებასა მათსა ყოველი წული.

25. და იყო მესამესა ღღესა, ვითარ იყვნეს ოდენ საღმობასა შინა, მოიღეს ძეთა იაკობისთა სემონ და ლევი, ძმა-და ღინაჲსთა, კაცად-კაცადმან მახული თჳსი და შევიდეს ქალაქად და მოსრეს ყოველი მამაკაცი.

26. და ემორ და სჯქმ მოწყდნეს პირითა მახულისაჲთა და გამოიყვანეს ღინა, [v] დაჲ მათი, სახლისაგან სჯქმისა და გამოვიდეს.

27. ხოლო ძენი იაკობისნი შევიდეს წულულებასა მას ზედა და აღიჭრეს ყოველივე იგი ქალაქი, ამისთჳს რამეთუ შეაგინეს ღინა, დაჲ მათი.

28. ცხოვარი და ზროხაჲ მათი, ვირები და ყოველი, რავდენი იყო ქალაქსა მას შინა და რავდენი-რაჲ იყო ველსა ზედა, წარმოიღეს;

29. ყოველივე ღღიდა-წული მათი და ყოველივე ქურჭერი მათი და ცოლნი მათნი წარმოტყუენნეს, რავდენი იყო ქალაქსა შინა, და რავდენი იყო სახლებსა⁴ შინა, ივარ-ყვეს.

30. ჰრქუა იაკობ სემონს და ლევის: საძულელ მქმენით მე, რაჲთა ვიყო მე

ვითარცა ბოროტი ყოველთა მკვდრთა ამის ქალაქისათა¹, ქანანელთა შოვრის და ფერეზელთა; და მე მცირე ვარ რიცხვით და შეგარბენ ჩემ ზედა და მო-

მსრან მე და აღვიგოცო მე და სახლი ჩემი.

31. ხოლო მათ ჰრქუეს: არამედ ვითარცა მეძავი იგმიონა დაჲ ჩუენი?

35

1. ჰრქუა ღმერთმან იაკობს: აღდეგ და აღვედ შენ ბეთელ² და დაემკვდრე მუნ და უშენე მუნ საკურთხეველი ღმერთსა, რომელი გეჩუენა შენ, ოდეს იგი იელტოდე პირისაგან ესავისა, ძმისა შენისა.

2. ჰრქუა იაკობ სახლსა თჳსსა და ყოველთაჲ მისთნათა: აღიზუენით კერპნი ეგე უცხოთესლთანი, რომელ არიან თქუენ შოვრის, და განიწმიდენით და შეცვალებთ სამოსელი [40] თქუენი.

3. აღდეგით და აღვიდეთ ბეთელ და უქმნეთ³ მუნ საკურთხეველი ღმერთსა, რომელმან შეისმინა ჩემი ყოველსა შინა კირსა ჩემსა, რომელი იყო ჩემ თანა და მივსნა მე გზასა ზედა, რომელსა ვიდოდე.

4. და მოსცნეს იაკობს კერპნი იგი უცხოთესლთანი, რომელნი იყვნეს კელთა შინა მათთა, და საყურებო იგი ყურთა მათთა. და დამალნა იგინი იაკობ ქუეშე⁴ ბელეკონსა მას, რომელი იყო სიკიძას, და წარწყმიდნა იგინი ვიდრე დღენდელად დღემდე.

5. და მოვიდა იაკობ სიკიძამათ და იყო შიში ღმრთისაჲ ქალაქსა მას მათსა ზედა გარემოჲს და არა დევნა-უყვეს უკუანა ძეთა ისრაჴლისთა.

6. მოვიდა იაკობ ლუზად, რომელ არს ქუეყანასა მას ქანანისასა, ესე არს ბეთელი, იგი და ყოველი ერი მის თანა.

7. და აღაშშნა მუნ საკურთხეველი და უწოდა სახელი მისი ბეთელი, რამეთუ მუნ ეჩუენა ღმერთი, რაჲმს იელტოდა იგი პირისაგან ძმისა თჳსისა.

8. მოკუდა დეზორა, მზარდული რე-ბეკადისი, და დაფულა ქუეშე⁵ მუხასა მას. და უწოდა სახელი მუხასა მას მუხად გლოყისაჲ.

9. ეჩუენა ღმერთი იაკობს მერმეცა ლუზას⁶, რაჲმს მოვიდოდა შუვამდინარით ასურეთისაჲთ. აკურთხა იგი ღმერთმან

10. და ჰრქუა მას: სახელი შენი იაკობ არღარა გერქუას, არამედ ისრაჴლ იყოს სახელი შენი.

11. ჰრქუა მას ღმერთმან: მე ვარ ღმერთი [v] შენი, აღორძინდი და განმრავლდი. ნათესავნი და შესაყრებელნი თესლთანი იყვნენ შენგან და მეფენი წყვილთაგან შენთა გამოვიდნენ.

12. და ქუეყანად, რომელ მიეცე აბრაჴამს და ისაკს, შენ მიგცე იგი, შენდა იყოს იგი და ნათესავისა შენისა შემდგომად შენსა.

13. და აღმალდა ღმერთი მიერ აღგილით, სადა-იგი ეტყოდა მას.

14. და აღმმართა იაკობ ძეგლი აღგილსა მას, სადა-იგი იტყოდა მის თანა ღმერთი, ძეგლი ქვისაჲ, და შეწირა მას ზედა შესაწირავი და დაასხა მას ზედა ზეთი.

1 ასეა A (მოსალოდნელი იყო: ქუეყანისათა). 2 ბეთელ² A (მაგრამ ჰარაგმა თითქო მერმინდელი ხელითა დასმული). 3 უქმნეთ A. 4 ქუეშე A. 5 ლოზას A (ზღრ. 35, 6).

15. და უწოდა იაკობ სახელი ადგილისაჲ მის, სადა ეტყოდა მას ღმერთი, ბეთელ:

16. (21). და აღდგა კარავი მისი მუნ მიერ კერძო გოდოლსა მას გიდერისასა. (16). იყო, რაჲმს მიეახლა იგი ქაბრათად მისლვად ქუეყანად ეფრათად, შუა რაქელ და შობასა მისსა ძნად შობდა.

17. და იყო ფიცხლად შობასა მისსა, ჰრქუა მას ყრმისა აღმქუმელმან მან: ნუ გეშინინ, რამეთუ ესეცა ძე გესუა შენ.

18. და იყო აღმოსლვასა სულისა მისისასა, რამეთუ მოკუდებოდა, [უწოდა]¹ სახელი მისი ძე საღმობისა ჩემისაჲ. ხოლო მამამან უწოდა მას ბენიამენ.

19. და მოკუდა რაქელ და დაეფლა გზასა ზედა ეფრათას, ესე-იგი არს ბეთლემი.

20. და აჰმართა იაკობ ძეგლი საფლავსა ზედა რაქელისსა, ესე არს ძეგლი საფლ[41]ავისა რაქელისი ვიდრე ღღენღელად ღღენღმდე².

21. (22). და იყო, რაჲმს დაემკდრა ისრაჲლ მას ქუეყანასა, მივიდა რუბენ და დაწვა ბალაჲს თანა, ხარკისა მამისა

თჳსისა. ესმე ისრაჲლს ესე და ბოროტ-უჩნდა წინაშე მისსა.

22. იყვნეს ძენი იაკობისნი ათორ-მეტ.

23. ძენი ლიაჲსნი: პირმშოჲ იაკობისი რუბენ, სუემონ, ლევი, იუდა, იზაჲარ, ზაბილონ.

24. ძენი რაქელისნი: იოსებ და ბენიამენ.

25. ძენი ბალაჲსნი, მკველისა რაქელისნი: დან და ნეფთალემ. ძენი ზელფაჲსნი, მკველისა ლიაჲსნი: გად და ასერ.

26. ესე ძენი³ იაკობისნი, რომელ ესხნეს მას შუემადინარეს⁴ ასურეთისა⁵.

27. მოვიდა იაკობ ისაქისა, მამისა თჳსისა, ქალაქად მამბრედ ველისა, ესე-იგი არს ქებრონი, ქუეყანასა ქანაანისა, სადა-იგი დაემკდრნეს აბრაჰამ და ისაჲ.

28. იყვნეს ღღენი ისაქისნი, რაოდენ ცხონდა, ას ოთხმოც⁶.

29. და მოაკლდა ისაჲ და მოკუდა და შეეძინა მამათა თჳსთა მოხუცებული და სავსე ღლითა. და დაჰფლეს ძეთა მისთა ესავ და იაკობ.

36

1. ესე შობანი არიან ესავეისნი, ესე-იგი არს ედომ.

2. და მოიყვანნა ცოლნი მისნი ასულთაგან ქანაანისთა: ადან, ასული ელომისი⁷ ქეტელისაჲ, და ელიბემათ, ასული ენანისი ეველსაჲ.

3. და ბასემათ, ასული ისმაელისი, დაჲ [6] ნაბეთისი.

4. უშვა მას ადა ელიფას და ბასემათ უშვა მას რაჲუელ,

5. და ელიბემათ უშვა მას იეჴულ და იეგლომ და კორე. ესე ძენი ესავეისნი,

რომელ ესხნეს მას ქუეყანასა ქანაანისასა.

6. წარიყვანნა ესავ ცოლნი თჳსნი და ძენი და ასულნი თჳსნი და ყოველი კაცი სახლისა თჳსისაჲ და ყოველი მონაგები თჳსი და ყოველი საცხოვარი და ყოველი, რაჲცა მოეგო ქუეყანასა ქანაანისასა, და ყოველი, რაჲცა მოეპოვა. და წარივიდა ქუეყანით ქანაანით პირისაგან იაკობისა, ძმისა თჳსისაჲთ⁸.

7. რამეთუ იყო მონაგები მათი ფრიად და ვერ ეძლო ქუეყანასა მწირობისა

1 უწოდა]—A. 2 ღღენღმდე A. 3 ძენი A. 4 შუემადინარეს A. 5 სავსე A. 6 ას ოთხმოც და A. 7 სელომისი A. 8 ასე A.

მათისასა ტვრთვად მათა სიმრავლისაგან მონაგებთა მათთაჲსა.

8. და დაეშენა ესავ მათასა მას სეირსა, ესე-იგი არს ედომი.

9. ესე შობანი არიან ესავისნი, მამისა ედომისნი, მათასა სეირსა.

10. და ესე არს სახელები ძეთა ესავისთაჲ: ელიფას, ძე ადაჲსი, ცოლისა ესავისი, და რაგუელ, ძისა ბასემათისი, ცოლისა ესავისი.

11. იყვნეს ძენი ელიფასისნი: თემან, ოჰმან¹, სოფარ, გოთომ, კენეზ.

12. ხოლო თამნა, ზარქმან ელიფასისმან, ძისა ესავისმან, უშვა ელიფასს ამალეკი. ესე ძენი ადაჲსნი, ცოლისა ესავისნი.

13. ესე არიან ძენი რაგუელისნი²: ნაგეთ, ზარეთ³, [42] ოჰმეთ, მოზე⁴. ესე იყვნეს ძენი ბასიმათისნი, ცოლისა ესავისნი.

14. ესე იყვნეს ძენი ელიბემასნი, ასულისა ენანისნი, ძისა სებეგორისნი, ცოლისა ესავისნი. და უშვა ესავს იუულ და იგლონ და კორე⁵.

15. ესე იყვნეს მთავარნი, ძენი ესავისნი: ელიფას, პირშოჲ ესავისი. ძენი ელიფასისნი, პირშოჲსა ესავისნი: მთავარი... გოთომ, მთავარი კენეზ,

16. ... მთავარი ამალეკ. ესე არიან მთავარნი ელიფასისნი ქუეყანასა ილუმიადსასა, ესე ძენი ადაჲსნი.

17. და ესე ძენი რაგუელისნი², ძისა ესავისნი: მთავარი ნაქეთ, მთავარი ზარეთ³, მთავარი ოჰმეთ, მთავარი ოზე. ესე მთავარნი რაგუელისნი² ქუეყანასა ედომისასა. ესე ძენი ბასიმათისნი, ცოლისა ესავისნი.

18. და ესე ძენი ელიბემასნი⁶, ცოლისა ესავისნი: მთავარი იუულ, მთავარი

ეგლომ, მთავარი კორე. ესე მთავარნი ელიბემასნი.

19. და ესე ძენი ესავისნი და ესე მთავარნი მათნი, ესე არიან ედომისნი.

20. ხოლო ესე ძენი სეირისნი ქორიზისანი, რომელი დამკვდრებულ იყო ქუეყანასა მას ლოტანისასა: სობალ. სებეგონ, ანა,

21. დესონ, ასარ და რისონ. ესე მთავარნი სერის ქორელისანი [v] ქუეყანასა ედომისსა.

22. ხოლო იყვნეს ძენი ლოტანისნი: ქორი და ემან, ხოლო დაჲ ლოტანისი თამნი.

23. და ესე ძენი საბალისნი: გოზომ და მანაქათ, გებელ, სოფ და ონან.

24. და ესე ძენი სეზგორისნი: ეე და ენან. ესე იგი არს ენან, რომელმან პოვა იამენი უდაბნოსა, ოდეს-იგი აძოვებდა⁷ მეუღლეთა სებეგორისთა, შამისა თუხისათა.

25. და ესე არიან ძენი ენანისნი: დესონ და ელიბემა, ასული ენანისი.

26. ხოლო ესე ძენი დესონისნი: ამადა, აბამა, იეთრამ და ქარრამ.

27. ესე ძენი ასარისნი: ბალაამ და ლუკამ და იოვიკამ და უსამ.

28. და ესე ძენი რუსანისნი: ოს და არარან.

29. ესე მთავარნი ქორისნი: მთავარი ლოტან, მთავარი ზობალ, მთავარი სებეგორ, მთავარი ენან,

30. მთავარი ასარ, მთავარი დესონ⁸, მთავარი [v] რისონ⁹. ესე მთავარნი ქორისნი სამთავროსა მათსა ზედა ქუეყანასა მას ედომისასა.

31. და ესე მეფენი, რომელნი მეფობდეს ქუეყანასა ედომისსა ვიდრე მეფისა ყოფადმდე ისრაელსა¹⁰ ზედა:

1 ან: ოჰმან ? 2 რაგუელნი A. 3 ზარეთ A. 4 მოხშ A. 5 კორე A. 6 ელიბემასნი A. 7 აძოვებდა⁷ აძოვებდა A. 8 დესონ A. 9 მთავარი სონ A. 10 იშლსა A (მოსალოდნელი იყო: ილშმს, უ. ი. იერუსალმს).

32. და მეფობდა ედომს ბალააკ, ძმ ბეორისი, და სახელი ქალაქისა მისისაჲ დენაბა.

33. მოკულა ბალააკ და მეფობდა მის წილ იობაბ, ძმ ზარსი, ბოსორელი.

34. მოკულა იობაბ და მის წილ მეფობდა ასონ ქუეყანისაგან თემანელთაჲსა.

35. [43] მოკულა ასონ და მეფობდა მის წილ ადად, ძე ბარადისი, რომელმან მოსრა მადიამ ველსა მას მოაბისაჲსა, და სახელი ქალაქისაჲ მის გეთემ.

36. მოკულა ადად და მეფობდა მის წილ სამალაკ, რომელი იყო მასეკაჲთ.

37. მოკულა სამალაკ და მეფობდა მის წილ საულ, რომელი იყო როფოთით, რომელ არს მდინარესა ზედა.

38. მოკულა საულ და მეფობდა მის წილ ბალაენონ, ძმ აქობორისი.

39. [მოკულა ბალაენონ]² და მეფობდა მის წილ ადად, ძმ არადისი, და სახელი ქალაქისა მისისაჲ ფოგორ. და სახელი ცოლისა მისისაჲ მატაბიელ, ასული მადრადისი, ძისა მეზოჰფისი.

40. და ესე სახელები არს მთავართა მათესაჲსთაჲ და ტომთა მათთაჲ აღგიდადგინდა მათსა და სოფლებსა მათსა და ნათესავსა. შოვრის მათსა: მთავარი თენა, მთავარი გოლა, მთავარი იეთომ, მთავარი ელიბემა, მთავარი ელას, მთავარი ფინან,

42. მთავარი კინეზ, მთავარი თემან, მთავარი მაზარ,

43. მთავარი მიგედელ, მთავარი ზეფაიმი. ესე მთავარნი ედომისნი დაშენებულთა შინა...

37

1. [ხოლო დაეშენა იაკობ]² ქუეყანას მას, სადაცა მკვდრ იყო მამა მისი ქუეყანასა ქანანისასა.

2. და ესე შობანი არიან იაკობისნი: იყო იოსებ აჩუდმეტ წლის და [v] მწყისი და ძმათა თჳსთა თანა ცხოვართა. ყრმაჲ იყო ძეთა თანა ბალაჲსთა და ძეთა თანა ზელფაჲსთა, ხარკთა მამისა თჳსისათა. და დასდევს ბრალი ბოროტი იოსებს ისრაელისა მიმართ, მამისა თჳსისა.

3. ხოლო იაკობს უყუარდა იოსებ უფროჲს ყოველთა ძეთა თჳსთა, რამეთუ შეილი სიბერისაჲ იყო იგი. და უკმნა მას სამოსელი კრელი მრავალფერი.

4. ვითარცა იხილეს ძმათა მისთა, რამეთუ უყუარს მამასა უფროჲს ყოველთა ძმათა მისთა, მოიძულეს იგი ძმათა თჳსთა და ვერ ეძლო მათ მშვიდობისა სიტყუად მისთჳს რადთურთით.

5. ჩუენებაჲ იხილა იოსებ და უთხრა ძმათა თჳსთა

6. და ჰრქუა: ისმინეთ ჩუენებაჲ ესე, რომელ მეჩუენა:

7. მეგონა მე, ვითარმედ თქუენ ჰკრედიდით მკელეულთა შოვრის ველსა და აღდგა მკელეული ჩემი და აღემართა. და მოიქცეს მკელეულნი: თქუენნი და თაყუანის-სცეს მკელეულთა ჩემთა.

8. ჰრქუეს მას ძმათა მისთა: აწ მეფობით მკეფობდეა ჩუენ ზედა, ანუ უფლებით უფლებდეა ჩუენ ზედა? და შესძინეს მერმე სიძულილი მისა ჩუენებათა მათთჳს მისთა.

9. მერმე იხილა ჩუენებაჲ სხუაჲ და უთხრა იგი მამასა თჳსსა და ძმათა და ჰრქუა: აჲა მეჩუენა მე ჩუენებაჲ [44] სხუაჲ, ვითარმედ მშჳ და მთოვარლ

და ათერთმეტი ვარსკულაენი თაყუანის-
მცემდეს მე.

10. შეპრისხნა მაჰამან მისმან და
ჰრქუა: რაჲ არს ესე ჩუენებაჲ, რომელ
გეჩუენა შენ? აწ უკუე მოსლევით მოვი-
დეთა მე და დედაჲ შენი და ძმანი შენ-
ნი თაყუანის-ცემად შენდა ქუეყანასა
ზედა?

11. და ეშურებოდეს ძმანი მისნი.
ხოლო მამასა მისსა დაემარხა სიტყუაჲ
ესე.

12. და წარვიდეს ძმანი მისნი მწყსად
ცხოვართა მამისა მათისათა სჯქემდ.

13. ჰრქუა ისრაელ იოსებს: ანუ არა
ძმანი შენნი მწყსიანა სჯქემს? მოვედ და
წარგავლინო შენ. ხოლო მან ჰრქუა
მას: აჰა აქა ვარ.

14. ჰრქუა ისრაელ: წარვედ და იგი-
თხენ ძმანი შენნი, ვითარ-ძი ცოცხლებით
არიან, და ცხოვარნი და მითხარ მე.
და წარავლინა იგი ღელეთაგან ქებრო-
ნისათა და შევიდა სჯქემდ.

15. და პოვა იგი კაცმან შეტომილი
ველსა. ჰკითხა კაცმან მან: ვის ეძიებ?

16. ხოლო მან ჰრქუა მას: ძმათა ჩემ-
თა ვეძიებ; მითხარ მე: სადა აძოებენ?

17. ჰრქუა მას კაცმან მან: წარვიდეს
ამიერ, რამეთუ მესმა მათი, იტყოდეს
რაჲ, ვითარმედ წარვიდეთ ღოთაიმდ.
და წარვიდა იოსებ კულასა ძმათა
მისთასა და პოვნა იგინი ღოთაიმს.

18. მათ წინაჲსწარ იხილეს იგი მი-
მავალი შორით [ვ] და ვიდრე მიახლე-
ბადმდე მათა განიზრახვიდეს ბოროტსა
მოკლვად მისა.

19. ჰრქუა კაცად-კაცადმან ძმასა
ოჯსა: აჰა ჩუენების მხილველი იგი მო-
ვალს.

20. აწ მოვედით და მოვკლათ იგი
და შთავადოთ ერთსა ჯურღმულსა და
ვთქუათ, ვითარმედ მწყემან ბოროტმან
შექმა იგი. და ვიხილოთ, რაჲ-ძი იყოს
ჩუენებაჲ იგი მისი.

21. ხოლო ესმა ესე რუბენს და განა-
რინა იგი ჯელთაგან ძმათა თჳსთაჲსა და
ჰრქუა მათ: არა მოვკლათ იგი მო-
კლვით.

22. და ჰრქუა მათ: ნუ დასთხევთ
სისხლსა. შთაადღეთ ეგე ჯურღმულსა
ამას უდაბნოჲსასა, ხოლო ჯელსა ნუ
მიჰყოფთ მის ზედა, რადთამცა განარ-
ინა იგი და მისცა მამასა თჳსსა.

23. და იყო, რაჲჲს მოვიდა იოსებ
ძმათა თჳსთა თანა, განსძარცუნეს იოსებს
სამოსელი იგი ქრელი, რომელი ემოსა,

24. და მიიყვანეს და შთაადღეს იგი
ჯურღმულსა მას. ხოლო ჯურღმული
იგი ცალიერ იყო და წყალი არა ღდა.

25. და დასხდეს იგინი ჰამად პურისა
და აღიხილნეს თუალნი მათნი და იხი-
ლეს და აჰა-ესერა მოგზაურნი ისმაი-
ტელნი ვაჰარნი მოვიდოდეს გალაადით.
და აქლემნი მათნი სავეს იყვნეს საკუ-
მეველითა და შთახსითა და მკურის კევი-
თა და შთავიდოდეს ეგჳტედ.

26. ჰრქუა იუდა ძმათა [45] თჳსთა:
რაჲ სარგებელ არს, უკუეთუ მოვკლათ
ძმაჲ ჩუენი და დაემალოთ სისხლი
მისი?

27. მოვედით და მივჰყიდოთ იგი ის-
მაიტელთა ამათ, ხოლო ჯელნი ჩუენნი
ნუ მიიყოფიედ მას ზედა, რამეთუ ძმაჲ
ჩუენი... არს. ისმინეს მისი ძმათა მისთა.

28. და წარვიდეს კაცი იგი ვაჰარ-
ნი მაღიანიტელნი¹, და აღმოიყვანეს
იოსებ ჯურღმულისა მისგან და მიჰყი-
დეს იოსებ ისმაიტელთა მათ ოც დრამა-
კნის და შთაიყვანეს იგი ეგჳტედ.

29. მოიქცა რუბენ და არა პოვა იოსებ ჯურღმულსა მას შინა და დაიპო სამოსელი თვისი

30. და მიიქცა ძმათა თვსთა და ჰრქუა: ყრმაჲ იგი არა არს აქა და მე ვიღრე-მე ვიდრე?

31. ხოლო მათ მოიღეს სამოსელი იგი იოსებისი და დაკლეს თიკანი თხათაჲ და შებღალეს სამოსელი იგი სისხლითა

32. და მიუძღუანეს სამოსელი იგი ჭრელი და შეართუეს მამასა მისსა და ჰრქუეს: ესე ვპოვეთ. იცან, უკუეთუ სამოსელი ძისა შენისაჲ არს, ანუ არა.

33. და იცნა იგი და თქუა: სამოსელი ძისა ჩემისაჲ არს ესე. გვეცმან ბოროტ-

მან¹ შეჰამა იგი. გვეცმან ბოროტმან მიმტაცა იოსებ.

34. და დაიპო იაკობ სამოსელი და შეიმოსა ძაძაჲ წელთა მისთა და ეგლოვდა ძესა თვისსა ღლეთა² მრავალთა.

35. შეერბეს ყოველნი ძენი მისნი [1] და ასულნი მისნი და მოვიდეს ნუგეშინის-ცემად მისა. და მას არა უნდა ნუგეშინის-ცემის და თქუა, ვითარმედ: შთავიდრე მე ძისა ჩემისა თანა გლოვით ჯოჯოხეთა. და სტიროდა მას მწარედ.

36. ხოლო ისმაიტელთა მათ ევაჰართა მიჰვიდეს იოსებ ეგვტეს პეტეფრეს³, საქურისსა მატაკარანსა.

38

1. და იყო მას ქამსა ოდენ წარმოვიდა იუდა ძმათაგან თვსთა და მივიდოდა იგი კაცისა ვისსაჲ ოდოლამელისა, რომელსა სახელი ერქუა იირას.

2. და იხილა მუნ იუდა ასული კაცისა ქანანელისაჲ, რომელსა სახელი ერქუა სივა, მოიყვანა იგი და შეერთო.

3. და მიუღდა და შვა ძმ და უწოდა სახელი ძრ.

4. და მიუღდა მერმე და შვა ძმ და უწოდა სახელი მისი ავნან.

5. შესძინა მერმე და შვა ძმ და უწოდა სახელი მისი სელომ. ესე იყო ქაზბის, რაჲმს შენა ესენი.

6. და მოჰგუარა იუდა ცოლი ძრს, პირმშოსა ძესა თვისსა, რომელსა სახელი ერქუა თამარ.

7. და იყო ძრ, პირმშოჲ იგი იუდაჲსი, უკეთურ წინაშე უფლისა და მოკლი იგი უფალმან.

8. ჰრქუა იუდა ავნანს: შევედ ცოლისა ძმისა შენისა და ესიძე¹ მას და აღუდგინე² თესლი ძმასა შენსა.

9. გულისხმა-ყო ავნან, ვითარმედ არა მისა იყოს თესლი იგი. და იყო, ვითარცა შევიდა [46] იგი ცოლისა მის შმისა თვისისა, დასთხია ქუეყანასა ზედა, რადთა არა მისცეს თესლი ძმასა თვისსა.

10. ბოროტ-უჩნდა წინაშე ღმრთისა საქმმ ესე, რამეთუ ყო ესრეთ, და მოაკუდინა იგიცა უფალმან.

11. ჰრქუა იუდა თამარს, სძალსა თვისსა: დაჯდ ქურივად სახლსა შინა მამისა შენისასა, ვიდრემდე განმწესნეს სელომ, ძმ ჩემი, რამეთუ თქუა: ნუ-უკუე მოკუდეს ესეცა, ვითარცა ძმანი მისნი. ხოლო თამარ წარვიდა და დაჯდა სახლსა შინა მამისა თვისისასა.

12. აღესრულნეს ღლენი და მოკუდა სივა, ცოლი იგი იუდაჲსი, და ნუგეშინისიცა გლოვისაგან იუდა და მივიდა მრისუველთა ცხოვართა თვსთა თანა და იირას, მწყემსი იგი მისი ოდოლამელი, თამნად.

1 „ბოროტმან“ განმეორებულია ხელნაწერში. 2 დღმთა A. 3 პეტეფრეს A. 4 ესიძე A.

13. და უთხრეს თამარს, სძალსა მისსა, და ჰრქუეს: აჰა-ესერა მამამთილი შენი აღვალს თამნად რისუვად ცხოვართა თუსთა.

14. და განიძარცუა სამოსელი იგი საქურიოდ და შეიმოსა სამოსელი და შეიმკო და დაჯდა იგი ბქეთა ზედა ენანისათა, რომელ არს თანა - წარსავალსა თამნაჲსასა, რამეთუ იხილა, ვითარმედ განმწჳსნა სელომ, ძჳ მისი, და მან არა მისცა მას იგი ცოლად.

15. და იხილა იგი იუდა და აგონა, ვითარმედ მეძავი ვინმე არს, რამეთუ დაეხურა პირი და ვერ იცნა იგი.

16. და მოიქცა იგი მისა გზისაგან და ჰრქუა მას: ნიტყვე და შემოვიდე [v] შენ თანა. რამეთუ ვერ იცნა, ჟთარმედ ძის ცოლი მისი არს. ხოლო მან ჰრქუა მას: რაჲ მომცე მე, უკუეთუ შემოხვდე ჩემდა?

17. და იუდა ჰრქუა მას: მე მიგიძლუანო შენ თიკანი თხათაჲ სამწყსოდთ. ხოლო მან ჰრქუა მას: მომცე მე წინდი ვიდრე მოძლუნებადმდე შენდა.

18. ხოლო იუდა ჰრქუა მას: [რაჲ]! წინდი მიგცე შენ? და მან ჰრქუა: ბეკედისი შენი და მძივი და კუერთხი ეგე, რომელ გაქუს ტელსა შენსა. და მან მიცა მას და შევიდა მისა და მიუღდა მისგან.

19. და იგი აღდგა და განიძარცუა სამოსელი იგი მისგან და შეიმოსა საბოსელი იგი ქურიობისაჲ.

20. ხოლო იუდა მიუძლუნა მას თიკანი თხათაჲ ტელითა მწყემსისა თუხისაჲთა, რაჲთა მოილოს წინდი იგი დედაკაცისა მისგან. ხოლო მან არა პოვა იგი.

21. ჰკითხა კაცთა მის აღგილისათა: სადა არს მეძავი იგი, რომელი იყო ენუნს გზასა ზედა? და თქუეს: არავინ არს მეძავი აქა.

22. და მიიქცა მწყემსი იგი იუდაჲსა და ჰრქუა: არა ეპოვე; და კაცთა მის აღგილისათა თქუეს, ვითარმედ: არავინ არს აქა მეძავი.

23. თქუა იუდა: აქუნდინ იგი მას! არამედ ნუუკუე მოვიკიცხნეთ? მე მიუძლუნე თიკანი და შენ არა ჰპოვე იგი.

24. და იყო სამისა თჳსა შემდგომად უთხრეს იუდას და ჰრქუეს, ვითარმედ: ისიძვა თამარ [47], სძალმან შენმან, და მიდგომილ არს სიძვით. თქუა იუდა: გამოიყვანეთ და დაწვთ იგი ცეცხლითა.

25. და ვითარცა მიჰყვანდა იგი, მიუვლინა მამამთილსა თჳსსა და ჰრქუა: კაცისა მისგან, რომლისაჲ არს ესე წინდი, მიდგომილ ვარ; და იცან ბეკედისი ესე და მძივი და კუერთხი.

26. ხოლო იუდა იცნა იგი და თქუა: მართალ არს თამარ ვიდრე-ლა მე, რამეთუ არა მივეცე იგი სელომს, ძესა ჩემსა. და არლა შესძინა მერმე ცნობად მისა.

27. და იყო, რაჲმს შობდა იგი, იყვნეს მარჩბივნი მუცელსა მისსა.

28. ...ერთმან მან გამოყო ტელი. მოილო ამჟუმელმან მან და გამოაბა მეწაული ტელსა მისსა და თქუა: ესე პირველად გამოვიდეს.

29. და ვითარ შეყო ტელი მისი, მეცხელად გამოვიდა ძმაჲ მისი და ამჟუმელმან მან თქუა: რაჲსა განელო შენ-თჳს ღონე? და რომელი-იგი პირველად გამოვიდა, უწოდა სახელი მისი ფარეზ.

30. და შემდგომსა მას... ზარა.

39

1. ხოლო იოსებ შთაიყვანეს ეგვტედ¹ და მიიყიდა იგი პეტეფრე, საჭურისმან ფარაოჲსმან, მზარაულთ მთავარმან, კაცმან მეეგვტელმან, კელთაგან ისმაიტელთა:სა, რომელთაცა შთაიყვანეს იგი მუნ.

2. და იყო უფალი იოსების თანა. და იყო კაცი მაგებელ, და იყო სახლსა შინა კაცისა მის ეგვტელისა წინაშე.

3. [v] ხოლო იცოდა უფალმან მისმან, რამეთუ უფალი იყო მის თანა, და რადენსა-რას იქმს, წარუმართებს მას.

4. და პოვა იოსებ მადლი წინაშე მისსა და სათნო-ეყო იგი მას. და დაიდგინა იგი სახლსა ზედა თჳსსა და ყოველივე, რაჲცა იყო მისი, მისცა კელთა იოსებისთა.

5. და იყო შემდგომად დადგინებისა მისისა სახლსა ზედა მისსა და ყოველსავე ზედა, რაჲცა იყო მისი, აკურთხა უფალმან სახლი ეგვტელისაჲ მის იოსებისთჳს და იყო კურთხევაჲ უფლისაჲ ყოველთა ზედა მონაგებთა მისთა სახლსა შინა და აგარაკსა.

6. და მისცა ყოველივე, რაჲცა იყო მისი, კელთა იოსებისთა და არარაჲ იცოდა, რასა იქმოდა იოსებ, გარნა პური, რომელი ჳამის მან. და იყო იოსებ შუენიერ კმნულობითა და კეთილ პირითა ფრიად.

7. იყო ამის სიტყჳსა შემდგომად თუალაგნა ცოლმან ეგვტელისა უფლისა თჳსასამან იოსებს და ჰრქუა მას: დაწვე ჩემ თანა.

8. ხოლო მან არა ჩნება და ჰრქუა ცოლსა მას უფლისა თჳსისასა: უკუეთუ უფალმან ჩემმან არარაჲ უწყის ჩემთჳს

სახლსა შინა მისსა და ყოველივე, რაჲ არს, მომცა კელთა ჩემთა

9. და არარაჲთ ვინ იმატს სახლსა ამას შინა და არცა გარეშე², რაჲ არს კელსა ჩემსა, თჳნიერ ხოლო შენსა, რამეთუ ცოლი მისი ხარ, და აწ ვითარ ექმნე საქმს ესე ბოროტი და ვცოდო [48] წინაშე ღმრთისა ჩემისა?!

10. და რაჲმს ეტყუნ იგი დღითი-დღედ და არა ერჩდა იოსებ დაწოლად მის თანა და ყოფად მას,

11. და იყო ეგევითარი რაჲმე დღს და შევიდა იოსებ სახლსა საქმედ საქმესა თჳსსა. და არავინ იყო სახლსა მას შინა.

12. და შემა-უყო სამოსელსა იოსებისსა და ეტყოდა: დიწვე ჩემ თანა. ხოლო იოსებ მიუტეჳა სამოსელი თჳსი კელთა მისთა და ივლტოდა და განვიდა გარე³.

13. და იყო, ვითარცა იხილა, რამეთუ დაუტეჳა სამოსელი მისი კელთა მისთა და ივლტოდა, განვიდა გარე

14. და მოუწოდა, რომელნი იყვნეს სახლსა შინა, და ეტყოდა მათ და ჰრქუა: იხილეთ აწ, რამეთუ შემომგუარა მე მონაჲ ებრაელი კიცხვეად ჩემდა: შემოვიდა ჩემდა დაწოლად ჩემ თანა. მე ვმავყავ კმითა დიდითა.

15. ხოლო მას ვითარცა ესმა, რამეთუ აღვიმალღე კმაჲ ჩემი და ლაღად-ყავ, დაუტეჳა სამოსელი მისი ჩემ თანა, ივლტოდა და განვიდა გარე³.

16. და დაიყენა სამოსელი მისი მის თანა, ვიდრემდე მოვიდა უფალი მისი სახიდ თჳსა.

17. და უთხრა მას მსგავსად სიტყუას ამის და ჰრქუა: შემოვიდა ჩემდა მონაჲ ესე ებრაელი, რომელი შემოიყვანე კიცხვეად¹ ჩემდა, და მრქუა მე: დაუწვე შენ თანა,

18. და მე, ვითარცა მესმა, აღვიმოდლე ვმაჲ ჩემი, ღალად-ყყო, დაუტევა [x] სამოსელი მისი ჩემ თანა და ივლტოდა და განვიდა გარე.

19. და იყო, ვითარცა ესმნეს უფალსა მას მისსა სიტყუანი ესე ცოლისაგან თვისისა, რად-იგი უთხრა მას, და თქუა: ესე მიყო მეა მონამან ჩემმან? განრისხნა გულის წყრომით. .

20. და მოიყვანა უფალმან მისმან იოსებ და შესუა იგი საპყრობილესა,

ადგილსა მას, სადაცა-იგი პყრობილნი მეფისანი იყვნეს საპყრობილესა შინა.

21. და იყო უფალი იოსების თანა და მოსცემდა მას წყალობასა და პოვა მადლი წინაშე მესაპყრობილეთ მოძლურისა მის.

22. და მისცა მესაპყრობილეთ მოძლურმან მან საპყრობილშ კელთა იოსებისთა და ყოველნი იგი პყრობილნი, რავდენნი იყვნეს საპყრობილესა შინა.

23. არარაჲ იცოდა თავით თვსით საპყრობილის მთავარმან მან არცა ერთ რაჲ, რამეთუ ყოველი კელთა იოსებისთა იყო, ამისთჳს რამეთუ უფალი იყო მის თანა. და რავდენსა-რას იქმოდა, უფალი წარუმართებდა კელთა შინა მისთა.

40

1. და იყო შემდგომად სიტყუათა ამით შესცოდა მთავარმან² ღვინის მნემან მეფესა³ ეგვტელთასა და მეპურეთ მოძლურმან.

2. და განურისხნა მეფე ფარაო ორთავე მათ საქურისთა, ღვინის მნესა მას და მეპურეთ მოძლურას,

3. [49] და მისცნა იგინი საპყრობილესა მხარაულთ მოძლურისა მის, ადგილსა, სადა-იგი იოსებ პყრობილ იყო.

4. და შეჰვედრნა იგინი⁴ მესაპყრობილეთ მთავარმან იოსებს და დადგა იგი წინაშე მათსა და იყვნეს იგინი საპყრობილესა მას შინა მრავალ დღე⁵.

5. და იხილეს ჩუენებაჲ ორთავე მათ, კაცად-კაცადმან ღამესა ერთსა, ხილვად იგი ჩუენებისა მათისაჲ, ღვინის მნემან და მეპურეთ მოძლურმან ფარაო მეფისმან იხილეს საპყრობილესა მას შინა.

6. შევიდა მათა იოსებ განთიად და იხილნა იგინი, და იყვნეს იგინი შეწუხებულ.

7. ჰკითხვიდა საქურისთა მათ ფარაოჲსთა, რომელნი იყვნეს საპყრობილესა შინა უფლისა თვისისასა, და ჰრქუა: რადსათჳს პირნი თქუენნი შეწუხებულ არიან დღეს⁶?

8. ხოლო მათ ჰრქუეს მას: ჩუენებაჲ ვიხილეთ და გამომეტყუელ არავინ არს მისა. ჰრქუა მათ იოსებ: ანუ არა ღმრთისა მიერ არსა გამოთქუმაჲ იგი მათი? მითხართ იგი მე.

9. და უთხრა ღვინის მნემან მან ჩუენებაჲ იგი თვისი იოსებს და ჰრქუა: ძილსა შინა ჩემსა ვხედდელ და იყო ვენაჭი წინაშე ჩემსა,

10. და ეენაჳსა მას სამნი ძირნი, და იგი აღმოაცენდა და აღმოოჩნდა მო-

1 სოკიხვეად A (=საკიხვეად?); შდრ. 5 დლშ A. 6 დლშ A.

39,14. 2 მთავარ A. 3 მეფესა A. 4 იგი A.

რჩი და მწიფე¹ [v] იყვნეს ტევანი იგი ყურძნისანი.

11. და სასუმელი ფარაოჲსი ჯელსა ჩემსა და მოვილე ყურძენი იგი ჯელსა ჩემსა და გამოვწურე სასუმელსა შინა ფარაოჲსსა.

12. ჰრქუა მას იოსებ: ესე არს გამოთარგმანებაჲ მაგისი: სამნი იგი ძირნი სამნი ღლენი არიან.

13. სამნი-ლა ღლენი წარტდენ და მოეცენოს ფარაოს სამთავროჲ იგი შენი და კუალად დაგადგინოს შენ ღვინის მნეობასა შენსა და მისცე სასუმელი ჯელსა ფარაოჲსსა პირველისაებრ მთავრობისა შენისა, ვითარცა იყავ პირის მწდე².

14. არამედ მომიჯსენე მე თავით შენით, რაემს კეთილი გეყოს შენ, და ყავ ჩემოვს წყალობაჲ და მოიჯსენე ჩემოვს წინაშე ფარაოჲსსა და განმიყვანოს მე საპყრობილისა ამისგან.

15. რამეთუ პარვით წარმოშობარეს მე ქუეყანით ებრაელთაჲთ და აქცა არარა³ ექმნე ბოროტი და შემომაგდეს მე სახლსა ამას ჯურღმულისასა.

16. ვითარცა იხილა მეპურეთ მოძღუარმან მან, რამეთუ მართლ გამოუთარგმნა, ჰრქუა იოსებს: მეცა ვიხილე ჩუენებაჲ: მეგონა მე, ვითარმედ სამნი

ლანკლანი სამინდოჲთა მქონდეს თავსა ზედა ჩემსა.

17. ხოლო ლანკლასა მას ზედაქერძოსა იყო ყოვლისაგან სანოვავისა, რომელსა ჰაჲნ მეფე ფარაო, ქმნული მეპურეთ მოძღურისაჲ, [50] და მფრინველნი ცისანი შეშემდეს მას ლანკლისა მისგან, რომელი იყო თავსა ჩემსა.

18. მიუგო იოსებ და ჰრქუა: ესე არს შეტყუებაჲ მაგისი: სამნი ესე ლანკლანი სამნი ღლენი⁴ არიან.

19. სამნი-ლა ღლენი წარტდენ და მოეკუეთოს ფარაო თავი შენი შენგან და დამოგვიდოს შენ ძელსა. და შეჰამენე მფრინველთა ცისათა ჯორცნი შენნი.

20. და იყო ღღმ შობისა ფარაოჲსი ღღესა⁵ მესამესა და იყო სუმაჲ დიდი ყოველთა მონათა მისთაჲ. და მოეცენა პატვი ღვინის მნისაჲ მის და პატვი მეპურეთ მოძღურისაჲ მის შოვრის მონათა მისთა.

21. და კუალად დაადგინა ღვინის მნე იგი მთავრობასავე თჳსსა და მისცა სასუმელი ჯელსა ფარაოჲსსა.

22. ხოლო მეპურეთ მოძღუარი იგი დამოჰკიდა ძელსა, ვითარცა-იგი გამოუთარგმანა მას იოსებ.

23. ხოლო ღვინის მნესა მას არა მოეცენა იოსებ, არამედ დაავიწყდა.

41

1. და იყო შემდგომად ორისა წლისა მათ ღღეთაჲსა⁶ ფარაო იხილა ჩუენებაჲ: ეგონა, ვითარმედ ღგა იგი მდინარესა ზელა.

2. და აჰა-ესერა ვითარმცა⁷ მდინარი-საგან გამოვიდოდეს შვდნი ზროხანი,

შუენიერნი პირითა და მსუქანენი ჯორცითა, და ძოვდეს მდინარისა მის კიდესა.

3. და სხუანი შვდნი ზროხანი [v] აღმოვიდოდეს შემდგომად მათსა მიერეჲ მდინარით, საძაგელნი ხილვითა და

1 მწიფე A. 2 მწდ A. 3 ანუ A. 4 ღღმნი A. 5 ღღმსა A. 6 ღღმთაჲსა A. 7 ე A. (ჩუეულბერიჲ ასეთი შემოკლება „ვითარცა“-ს გულისხმობს, მაგრამ აქ მოსალოდნელია „ვითარცა“).

მკლენი ჯორცითა, და ძოვდეს ზროხა-
თაჲ წათ თანა მდინარის კიდეჲს მას.

4. და შეჰამნეს შვდთა მათ ზროხათა,
საძაგელთა ხილვითა და მკლეთა ჯორ-
ცითა, შვდნი იგი ზროხანი, კეთილნი
ხილვითა და რჩეულნი ჯორცითა. განი-
ლჳდა ფარაო

5. და მეორედ ჩუენებას იხილვიდა:
და აჰა-ესერა შვდნი თავნი ჭუვილისანი
აღმოვიდოდეს ძირსა ზედა ერთსა, რჩე-
ულნი და კეთილნი.

6. და აჰა კულად მერმე შვდნი თავ-
ნი აღმოცენდეს მათ თანა, წულილნი
და ხორშაკეულნი.

7. და შეჰამნეს შვდთა მათ თავთა
წულილთა და ხორშაკეულთა შვდნი იგი
თავნი რჩეულნი, სავსენი და კეთილნი.
განილჳდა ფარაო და აჰა-ესერა იყო იგი
ჩუენებაჲ.

8. და ვითარ განთენა, შეძრწუნებულ
იყო სული მისი მის თანა. მიავლინა და
მოუწოდა ყოველთაჲ მათ გამომეტყუელ-
თა ეგჳტისთა და ყოველთა ბრძენთა
მისთა და უთხრა მათ ფარაო ჩუენებაჲ
იგი. და არავინ იყო მათგანი, რომელ-
მანმცა უთხრა ფარაოს ჩუენებაჲ იგი.

9. და ეტყოდა ღვთის მწყ იგი ფარაოს
და ჰრქუა: ცოდვებ ჩემი მოვიტ[51]სენო
დღეს¹.

10. ფარაო ჰრისხვიდა მონათა თჳსთა
და შემსხნა ჩუენ საჰყრობილესა, სახლსა
მას მზარაულთ მოძღუარისასა, მე და მე-
ბურეთ მოძღუარი.

11. და ვიხილეთ ჩუენებაჲ ღამესა
ერთსა მე და მან, კაცად-კაცადმან ჩუენ-
მან მსგავსად თჳსისებრ ჩუენებისა ვი-
ხილეთ.

12. და იყო მუნ ჩუენ თანა ჰაბუჟი
ერთი ებრაელი, მონად მზარაულთ მო-
ძღუარისაჲ, და უთხართ მას ჩუენებაჲ
იგი და მან განგჳმარტა ჩუენ.

13. და ვითარცა- იგი მან განგჳმარტა,
ეგრეთა იყო და შეგუემთხუა ჩუენ: მე
კულად მოვედ ჩემსავე ამას პატივსა, ხო-
ლო იგი დამოვიდა ძელსა და მოკუდა.

14. მიუვლინა ფარაო და მოუწოდა
იოსებს და გამოიყვანა იგი საჰყრობი-
ლისა მისგან. დაუტუცეს მას თმად და
შეოცვალეს სამოსელი და მოვიდა წინაშე
ფარაოჲსა.

15. ჰრქუა ფარაო იოსებს: ჩუენებაჲ
ვიხილეთ და არავინ არს, ვინმცა განმი-
მარტა იგი. ხოლო მე მასმეის შენთჳს:
ვითარ თჳჲნ ჩუენებაჲ, განჰმარტი იგი.

16. მიუგო იოსებ და ჰრქუა ფარაოს:
თჳნიერ ღმრთისა ვერ მიეგოს სიტყუად
მაცხოვარებასა ფარაოჲსა.

17. ეტყოდა ფარაო იოსებს და ჰრქუა:
ძილსა შინა ჩემსა მეგონა, ვითარმედ
ვღმე კიდეჲს მდინარისასა,

18. და ვითარმცა³ მიერ მდინარით
გამოვიდოდეს [x] შვდნი ზროხანი რჩე-
ულნი ჯორცითა და შეუნიერნი ხილვითა,
და ძოვდეს კიდეჲს ზედა.

19. და მერმე კულად შვდნი სხუანი
ზროხანი აღმოვიდოდეს შემდგომად
მათსა მიერვე მდინარით, ხენეშნი და
საძაგელნი ხილვითა და მკლენი ჯორ-
ცითა, რომელ არასადა მეხილნეს⁴ ეგე-
ვითარნი საძაგელნი ყოველსა ეგჳტისსა⁴.

20. და შეჰამნეს შვდთა მათ ზროხათა,
მკლეთა და საძაგელთა, შვდნი იგი
ზროხანი, კეთილნი და რჩეულნი.

21. შევიდეს მუცელთა მათთა და
არარაჲ გამოჩნდა, ვითარ შევიდეს მუ-
ცელთა მათთა. და პირნი მათნი ეგრევე
საძაგელ იყვნეს, ვითარცა-იგი პირველ.
განვილჳძეთ და კულად დავიძინეთ.

22. და ვიხილვდ მერმე ჩუენებასა: და
ვითარმცა³ შვდნი თავნი ჭუვილისანი,

ილმოვიდოდეს ადგილსა ერთსა, სავსენი და კეთილნი.

23. და მერმე კუალად შვდნი თავნი წულილნი და ხორშაკულნი აღმოსცენდებოდეს მათ თანავე.

24. და შთანქნეს შვდთა მათ თავთა, წულილთა და ხორშაკულთა, შვდნი იგი თავნი, სავსენი და კეთილნი. უთხარ ესე გამომეტყუელთა ამათ და არავინ არს, რომელმანმცა მითხრა მე.

25. ჰრქუა იოსებ ფარაოს: ჩუენებაჲ ფარაოჲსი ერთ არს: რავდენი [52] ეგულების ღმერთსა ყოფად, უჩუენა ფარაოს.

26. შვდნი იგი ზროხანი კეთილნი შვდნი წელნი არიან და შვდნი თავნი ქუვილისანი შვდნი წელნი არიან. ჩუენებაჲ ფარაოჲსი ორივე იგი ერთ არს.

27. და შვდნი იგი ზროხანი, რომელნი აღმოვიდოდეს შემდგომად მათსა მკლენი, შვდნი წელნი არიან; და შვდნი თავნი ქუვილისანი წულილნი და ხორშაკულნი—იყოს შვდნი წელი სიყმილი.

28. ხოლო სიტყუაჲ იგი, რომელ ვარქუ ფარაოს, რავდენი ეგულების ღმერთსა, უჩუენა ფარაოს.

29. აჰა შვდნი წელნი მოვლენ ნაყოფაერებისანი დიდნი ყოველსა ქუეყანასა ეგვპტისასა.

30. და მოიწინენ შვდნი წელნი სიყმილისანი შემდგომად მისა, დაავიწყოს ნაყოფიერებაჲ იგი მამღრობისაჲ ქუეყანასა ეგვპტისასა და აღუცოს სიყმილმან ქუეყანაჲ.

31. და არღარა საცნაურ იყოს ნაყოფიერებაჲ ქუეყანასა ზედა სიყმილისაგან, რომელი იყოს შემდგომად მისა, რამეთუ სასტიკ იყოს ფრიად.

32. ხოლო მეორედ დაქცევისა მისთჳს ჩუენებისა ფარაოჲსისა ორ გზის, რაჲთა ქეშმარიტ იყოს სიტყუაჲ იგი ღმრთისა მიერი და ისწრაფოს ღმერთმან ყოფად ესე.

33. აწ უკუე იხილე კაცი ბრძენი და მეცნიერი და დაადგინე იგი ყოველსა ზედა [ქუეყანასა]¹ ეგვპტისასა.

34. [v] და ყავნ ესრეთ ფარაო და დაადგინენინ ადგილთა მთავარნი ქუეყანასა ზედა და ზუთეული აღიღელ ყოვლისაგან ქუეყანისა ეგვპტისაჲ[სა]² შვდთა ამათ წელთა ნაყოფიერებისათა

35. და შეკრიბელ ყოველივე საზრდელი შვდთა მათ წელთაჲ მომავალთა კეთილთაჲ და შეკრიბელ იფქლი გელსა ქუეშე³ ფარაოჲსსა. საზრდელი ქალაქთა შინა დამარხულ იყავნ.

36. და იყავნ საზრდელი დამარხულ ქუეყანისათჳს შვდთა მათ წელთა სიყმილისათა, რომელნი ყოფად არიან ქუეყანასა ზედა ეგვპტისასა, და არა მოიხრას ქუეყანაჲ სიყმილითა.

37. ხოლო სათნო-უწინდეს სიტყუანი ესე წინაშე ფარაოჲსსა და წინაშე ყოველთა მონათა მისთა.

38. და ჰრქუა ფარაო ყოველთა მონათა თჳსთა: ვინაჲ ეპოოთ ჩუენ კაცი სხუაჲ ესევითარი, რომლისა თანა არს სული ღმრთისაჲ?

39. ჰრქუა ფარაო იოსებს: რამეთუ გიჩუენა შენ ღმერთმან ესე ყოველი, არავინ არს კაცი უბრძნეს შენსა და უგულისხმის-მყოფელეს შენსა.

40. შენ იყავ სახლსა ზედა ჩემსა⁴ და პირსა შენსა ერჩდეს ერი ჩემი, გარნა საყდრითა ხოლო გმატდეს მე შენ.

41. და აჰა-ესერა დამიდგინებეი მე შენ დღესით¹ დღითგან ყოველსა ქუეყანასა ეგვპტისასა.

1 ქუეყანასა—A. 2 ეგვპტისაჲ A. 3 ქუეშე A. 4 დღესით A.

42. [53] და წარიკადა ფარაო ბექელი კელისაგან თვისისა და შეიცუა კელსა იოსებისსა და შეჰმოსა სამოსელი ბი-სონი და გარდაცუეს მანიაკი ოქრო-საჲ¹ ყელსა მისსა.

43. და აღსუა იგი ეტლსა შემდგომ-სა მისსა და კმობდა წინაშე მისსა ქა-ლაგი და დაადგინა იგი ყოველსა ქუე-ყანასა ეგვპტისასა.

44. ჰრქუა ფარაო იოსებს: მე ფარაო გეტყვ: თვნიერ შენსა არაიენ აღყოს კელი ქუეყანასა ეგვპტისასა.

45. და უწოდა ფარაო სახელი იოსებს ფონთოფარნექ და მისცა მას ასენექ, ასული პეტეფერესი, მღდელისა² მის მზის ქალაქისაჲ, მისა ცოლაჲ.

46. იოსებ იყო ოც და ათის წლის, რაჟამს წარდგა წინაშე ფარაოჲსსა, მე-ფისა ეგვპტელთაჲსა. განვიდა იოსებ პირისაგან ფარაოჲსისა და მოვლო ყო-ველი ეგვპტი³.

47. და ყო ქუეყანამან შვდთა მათ წელთა ნაყოფიერებისათა ნაყოფი.

48. და შეკრიბა შვდთა მათ წელთა ნაყოფიერებისათა საზრდელი, რომელ-იგი იყო ნაყოფი ყოველსა ქუეყანასა ეგვპტისასა, და დადგა საზრდელი ქა-ლაქთა შინა, საზრდელი ველთაჲ ქალა-ქისა მის გარემოჲსთაჲ და დადგა მას შინა.

49. და შეკრიბა იოსებ იფქლი ვი-თარცა კჳშაჲ ზღვსაჲ [v] დიდად ფრიად, ვიდრემდე ვერლარა ეძლო აღრაცხად, რამეთუ არა იყო რიცხვ.

[54] ... ფარაოჲსსა, ვითარ-მელ მსტოვარნი ხართ.

17. და შესხნა იგინი საპყრობილესა სამ ღლე⁶.

50. ხოლო იოსებს ესხნეს ორ ძე⁴, ვიდრე მოწევნადმდე შვდთა მათ წელთა სიყმილისათა, რომელნი უშვნი ასენექ, ასულმან პეტეფერესმან, მღდელისა მზის ქალაქისამან.

51. და უწოდა იოსებ პირშმოსა მისსა მანასე⁵ და თქუა: დამავიწყა მე ღმერთმან ყოველი საღმრთაჲ ჩემი და ყოველივე მიმისა ჩემისაჲ.

52. და მიკრესა მას უწოდა ეფრემ და თქუა: რამეთუ აღმარძინა მე ღმერთ-მან სიმდაბლესა შინა ჩემსა.

53. წარტდეს შვდნი იგი წელნი ნა-ყოფიერებისანი, რომელნი იყვნეს ქუე-ყანასა მას ეგვპტისასა,

54. და იწყეს შვდთა მათ წელთა სი-ყმილისათა მოსლვად. და იყო სიყმილი ყოველსა ქუეყანასა, ხოლო ქუეყანასა ეგვპტისასა არა იყო პური.

55. და შეემშია ყოველსა ქუეყანასა ეგვპტისასა და ღდალ-ყო ყოველმან ერმან პურისათჳს წინაშე ფარაოჲსსა. ჰრქუა ფარაო მეეგვპტელთა: მივედით იოსებისა და, რაჲ გრქუას მან, იგიცა ყავთ.

56. და სიყმილი იყო პირსა ზედა ყოვლისა ქუეყანისასა. განახუნა იოსებ ყოველნი საუნჯენი იფქლისანი და ჰყიდ-და ყოველთა ეგვპტელთა.

57. და ყოველი სოფლები მოვიდოდა ეგვპტად...

[აკლია]

42

18. და ჰრქუა მათ მესამესა ღლესა⁷: ესე ყავთ და სცხონდეთ, რამეთუ მე ღმერთისა მეშინის.

19. უკუეთუ ხართ თქუენ მშვდო-ბისანი, ძმად ერთი თქუენი დავიყენო

საპყრობილესა შინა, ხოლო თქუენ წარ-
ვედით და წარიღეთ სყიდული ეგე იფქლი
თქუენი

20. და ძმაჲ იგი თქუენი მოიყვანეთ
აქა ჩემდა, და მაშინ-ღა თუ სარწმუნო
იყვნენ სიტყუაწი თქუენნი; უკუეთუ არა,
მოსწყდეთ. და მათ ყვეს ეგრეთ.

21. ჰრქუა კაცად-კაცადმან ძმასა
თჳსსა: ჰე¹, ცოდვისა შინა ვართ ძმისა
ჩუენისათჳს, . რამეთუ უგულბებლს-
ვეათ² ჰირი სულისა მისისაჲ, ოდეს
გუევედრებოდა ჩუენ და არა ვისმინეთ
მისი. ამისთჳსა მოიწია ყოველი ესე
ჰირი ჩუენ ზედა.

22. მიუგო რუბენ და ჰრქუა მათ:
არა გეტყოდეთ თქუენ და გარქუ: ნუ
ავნებთ ძმასა მავას ჩუენსა? და არა
ისმინეთ ჩემი და აწ ესერა იძიების
სისხლი მისი.

23. ხოლო მათ არა იცოდეს, ვითარ-
მედ ესმის ყოველი იგი იოსებს, რამეთუ
თარგმანი ღვა მათ შოვრის.

24. და მიიქცა გარე³ იოსებ მათგან
და ტიროდა. მერმე მოუკდა და ჰრქუა
მათ ეგრევე⁴. და შეიპყრა სჯემონ და
შეკრა მათ წინაშე.

25. [v] და უბრძანა იოსებ აღესებად
ჰურჰერნი მათნი იფქლითა და მიცემად
კაცად-კაცადსა ვეცხლი ძაძასა თჳსსა
და მიცემად საგზალი გზასა ზედა. და
უყყეს მათ ეგრეთ.

26. და აჰიდეს იფქლი ვირთა მათთა
და წარვიდეს მიერ⁵.

27. განჰქსნა ერთმან ტვრთსა, რაჲ-
თამცა სცა საზრდელი ვირთა სადგურსა
ზედა, და იხილა შეკრული იგი ვეცხლი
თჳსი, რამეთუ იღვა ზედა კერძო ძაძასა
მისსა.

28. ჰრქუა ძმათა თჳსთა: კუალად მო-
მეცა მე ვეცხლი ჩემი და აჰა იგი ვა-

შკარანსა ჩემსა არს. განჰკრთა გული
მათი და შეშფოთნეს ურთიერთას და
იტყოდეს: რაჲ ესე მიყო ჩუენ უფალ-
მან?

29. და მოვიდეს იაკობისა, მამისა
მათისა, ჰუეყანად ჰანანისა და უთხრეს
მას ყოველი, რომელი შეემთხვა მათ და
იტყოდეს:

30. მეტყოდა ჩუენ კაცი იგი, უფალი
მის ჰუეყანისაჲ, ფიცხლად და შემსხნა
ჩუენ საპყრობილესა, ვითარცა მსტუარ-
ნი ჰუეყანისანი.

31. ხოლო ჩუენ ვარქუთ მას: მშჯლო-
ბისანი ვართ და არა მსტოვარნი.

32. ათორმეტ ვიყვნით ჩუენ ძენი
ერთისა მამისანი და ერთი იგი არა
შოვრის ჩუენსა არს, ხოლო ერთი იგი
მამისა ჩუენისა თანა არს ჰუეყანასა ჰა-
ნანისასა.

33. მრქუა ჩუენ კაცმან მან, უფალმან
მის ჰუეყანისამან: ამით ვცნა, უკუეთუ
[55] მშჯლობისანი ხართ: ძმაჲ თქუენი
ერთი ჩემ თანა დაუტევეთ და სყიდუ-
ლი, რომელ მიგიღებოქს, მიართოთ ვან-
სა თქუნსა და წარვედით

34. და ძმაჲ იგი თქუენი უმრწემსი
მოიყვანეთ ჩემდა და ვცნა, რამეთუ არა
მსტუარნი ხართ, არამედ მშჯლობისანი,
და ძმაჲ ესე თქუენი მიგაცე თქუენ და
ჰუეყანასა ამას იქცეოდეთ და ვაჰრობ-
დით.

35. იყო, ვითარცა წარმოაცალიერებ-
დეს ძაძათა მათთა, იპოვა კაცად-კა-
ცადისა ვეცხლი შეკრული ძაძათი მათთა.
ვითარცა იხილეს შეკრულები იგი ვეცხ-
ლი მათ და მამამან მათმან, შემინდეს.

36. და თქუა იაკობ, მამამან მათმან:
მე უშვილო მქმენით, იოსებ არა არს...
და ბენიამენ-ღა მიმიღოთ. ჩემ ზედა
იქმნა ესე ყოველი!

37. მიუგო¹ რუბენ მამასა თჳსსა და ჰრქუა: ორნი ესე ძენი ჩემნი მოწყდენ, უკუეთუ არა მოვიყვანო ეგე შენდა. მომეც ეგე კელთა ჩემთა და მე აღმოგ- გუარო ეგე შენ.

38. ჰრქუა მას იაკობ: არა შთავიდეს ძმ ჩემი თქუენ თანა, რამეთუ ძმაჲ მა- გისი მოკლდა და ეგე მარტოჲ დაშო- მილ არს... და შთაავლინო² სიბერძ ჩემი მწუხარებით ჯოჯოხეთა.

43

1. ხოლო სიყმილი განძლიერდებოდა ქუეყანასა ზედა.

2. და იყო, რაჟამს შესრულეს იფქ- ლი იგი [x] ქაზად, რომელი მოიღეს ეგვპტით, ჰრქუა მათ მამამან მათმან: კუალად წარვედით და მიყიდეთ ჩუენ მცირედ საზრდელი.

3. ჰრქუა მას იუდა: წამებით მიწამებ- და ჩუენ კაცი იგი და თქუა: ვერ იხი- ლოთ პირი ჩემი, უკუეთუ არა ძმაჲ იგი თქუენი უმრწემსი იყოს თქუენ თანა.

4. უკუეთუ მოავლინებ ძმასა ჩუენსა ჩუენ თანა, შთავიდეთ და გიყიდოთ შენ საზრდელი.

5. უკუეთუ არა მოავლინებ ძმასა ჩუენსა ჩუენ თანა, არა შთავიდეთ, რამე- თუ კაცი იგი გუეტყოდა და გურქუა ჩუენ: არა იხილოთ პირი ჩემი, უკუეთუ არა ძმაჲ თქუენი უმრწემსი იყოს თქუენ თანა.

6. ჰრქუა მათ ისრაჲლ: რაჲ ესე ბო- როტი მიყავთ მე? - რაჲსათჳს უთხაროთ კაცსა მას, ვითარმედ: გვკის ჩუენ ძმაჲ?

7. ხოლო მათ ჰრქუეს: კითხვით მკი- თხვიდა ჩუენ კაცი იგი ნათესაჲსა ჩუენსა და თქუა: უკუეთუ ძმაჲ იგი თქუენი ცოცხალ არს, ანუ გვიცხ ძმაჲ? და ჩუენ უთხაროთ კითხვისა მისისაებრ, ჩუენ რაჲ უწყოდეთ, თუ მრქუას ჩუენ: მოიყვანეთ ძმაჲ თქუენი?!

8. ჰრქუა მას იუდა: მოავლინე ყრმაჲ ეგე ჩემ თანა და აღვდგეთ და წარვი-

დეთ, რაჲთა ვცხონდეთ და არა მო- ვსწყდეთ ჩუენცა და შენცა და ვანიცა ჩუენი.

9. [56] მე თავს-ვიდგა ეგე და კელთაგან ჩემთა იძიე ეგე. უკუეთუ არა მოვიყვანო ეგე და დავადგინო შენ წინაშე, შეცო- დებულ ვიყო შენდა ყოველთა დღეთა!³

10. უკუეთუმცა არა დაგუეყოვნა, აწმცა მოქცეულ ვართ სამ გზის.

11. ჰრქუა მათ ისრაჲლ, მამამან მათ- მან: ვინაჲთგან ეგრძოთ არს, ესე ყავთ: მიიღეთ ნაყოფისაგან ამის ქუეყანისა ჭურჭერთა თქუენთა და შთაართოთ კაცსა მას ძღუენი: რეტინი და თაფლი, საკუმე- ველი და შტახსი, ბელეკონი და ნიგოზი.

12. და ვეცხლი ორი წალი მიიღეთ კელთა თქუენთა და ვეცხლი იგი, რო- მელ მოიქცა ჭურჭერთა თქუენთა თანა. მიიღეთ თქუენ თანა, ნუუკუე უმეცრება⁴ რაჲმე არს.

13. და ძმაჲ თქუენი წარიყვანეთ, აღდგით და წარვედით მის კაცისა.

14. და ღმერთმან ჩემმან მოგეცინ თქუენ მადლი წინაშე მის კაცისა და მოავლინენ ძმაჲ იგი თქუენი ერთი და ბენიამენ, რამეთუ მე ერთვე უშვილო ვიქმენ.

15. მიიღეს კაცთა მათ ძღუენი იგი და ვეცხლი, ორი წალი მიიღეს მათ თანა და ბენიამენ, და აღდგეს და შთა- ვიდეს ეგვპტედ და წარდგეს წინაშე იოსებისა.

16. ვითარცა იხილნა ივინი იოსებ და ბენიამენ, ძმაჲ [v] იგი თჳსი ერთისა დედისაჲ, ჰრქუა ეზოჲს მოძოუარსა მას თჳსსა: შეიყვანენ კაცნი ესე სახილ და დაკალთ საკლევლები და მზა-ყავთ, რად-თა ქანონ პური ჩემ თანა კაცთა მაგათ სამხრის.

17. და ყო ეგრეთ კაცმან მან, ვი-თარცა უბრძანა მას იოსებ, და შეიყვან-ნა კაცნი იგი ვანად იოსებისა.

18. და მათ ვითარცა იხილეს, რამეთუ შეიყვანნა სახლსა იოსებისსა, თქუეს: ვეცხლისა მისთჳს, რომელი იპოვა ჭურ-კერთა ჩუენთა პირველად, მისთჳს შეე-ჰყავთ ჩუენ შეწამებად ცილისა, დადებად ბრალისა და მიყვანებად მონად და კარა-ულთა ჩუენთა.

19. მოვიდეს კაცისა მის, რომელი-იგი იყო სახლსა ზედა იოსებისსა ბქეთა ზედა სახლისათა,

20. და ჰრქუეს მას: გევედრებით, უფა-ლო, მოვედით პირველად სყიდად საზრ-დელისა;

21. და იყო, ვითარცა მივედით სა-დგურსა¹ და აღვალეთ ძაძათა ჩუენთა, კაცად-კაცადისა ვეცხლი იპოვა ძაძათა ჩუენთა. ვეცხლი ჩუენი სასწორითა მო-გვლებიეს აწ ჳელთა ჩუენთა.

22. და ვეცხლი სხუაჲ მოგვლებიეს სყიდად საზრდელისა და არა ვიცი, ვინ შთადევა ვეცხლი იგი ძაძათა ჩუენთა.

23. ხოლო მან ჰრქუა მათ: შენდობა იყვენ თქუენდა, ნუ გეშინინ, ღმერთ-მან თქუენმან და ღმერთმან მამათა [57] თქუენთამან მოგცა საფასჲ ჭურ-კერთა თქუენთა. ხოლო მე ვეცხლი თქუე-ნი გამოცდილი მომიღებიეს. და გამო-ჰგუარა მათ სემეონ.

24. და შოართუა წყალი დაბანად ფრკთა მათთა და მისცა საქმელი ვირ-თა მათთა.

25. ხოლო მათ მომზადეს ძლუენი მოსლვად¹ იოსებისა სამხრად, რამეთუ ესმა, ვითარმედ ისადილებს მუნ.

26. შევიდა იოსებ სახილ თჳსა და შეართუეს მას ძლუენი, რომელი აქუნდა ჳელთა მათთა, და თაყუანის-სცეს მას თავით ქლეჟანასა ზედა.

27. ჰკითხა იოსებ და ჰრქუა მათ: ცო-ცხლებით არსა მამაჲ იგი თქუენი მოხუ-ცებული, ცოცხალ არსა?

28. ხოლო მათ ჰრქუეს: ცოცხლებით არს მონაჲ იგი შენი, მამაჲ ჩუენი, ცო-ცხალ არს. თქუა იოსებ: კურთხეულ არს კაცი იგი ღმრთისა მიერ! და ივინი მოღერკეს და თაყუანის სცეს ნას.

29. აღიხილნა თუალნი თჳსნი იოსებ და იხილა ბენიამენ, ნაშობი დედისა მისისაჲ, და თქუა: ესე არსა ძმაჲ იგი თქუენი მრწემი, რომლისაჲ სთქუთ ჩემ-და მოყვანებაჲ? და ჰრქუეს: ესე არს.

30. შეძრწუნდა² იოსებ, რამეთუ შეი-წუებოდეს ნაწლევნი მისნი ძმასა მისსა ზედა და ეგულვა ტირილდ. შევიდა საუნჯედ და ტირილდა მუნ.

31. და დაიბანა პირი თჳსი [v] და დაითმინა ტირილი და უბრძანა დაგებაჲ პურისაჲ.

32. და დაუგეს მას მარტოსა და მათ თჳსა და მეეგჳტელთა⁴ მათ, რომელნი ჰურსა ერთეს, თჳსაგან, რამეთუ ვერ ჳელ-ეწიფებენ მეეგჳტელთა⁴ მათ პუ-რისა ქანაჲ ებრაელთა თანა, რამეთუ საძაგლეუბა არს მეეგჳტელთა მათ.

33. და დასხდეს წინაშე მისსა უხუ-ცესი უხუცესად და უბრწემსი უბრწე-მსად. განუკრდებოდა კაცთა მათ ძმი-სა მიმართ თჳსისა.

34. მიიღებდეს ბოძსა კაცად-კაცად მისგან თავისა თჳსისა, ხოლო დიდად განდიდნა ბოძი ბენიამენისი უფროჲს მათსა. და სუეს ღჯნოჲ და დაითრვენეს მის თანა.

¹ სადგორსა A. ² ასეა A. ³ შეძრწუნდა A. ⁴ მეორე ე შემდეგში ამოუშლიათ და „მეგჳტ-ტელთა“ იკითხება.

44

1. და უბრძანა იოსებ ეზოჲს მოძლუარსა თჳსსა და ჰრქუა: აღავსენით ძაძანი მაგათ კაცთანი საზრდელითა, რაჲდენ ძალ-ედვას წარღებად, და შთაუდევით ვეცხლი კაცად-კაცადისაჲ პირსა ზელა ძაძისა თჳსისასა,

2. და ბარძიმი იგი ვეცხლისაჲ შთაუდგო ძაძასა მას უმრწემსისასა და სასუიდელიცა იფქლიცა მისისაჲ. ხოლო მათ ყვეს სიტყუსა მისებრ იოსებისა, ვითარცა-იგი უბრძანა მათ.

3. და ვითარ განთენა ღამჲ იგი, წარგზავნენეს კაცინი იგი და კარაულნი მათნი.

4. და ვითარ განელეს ქალაქი და არღა გან[ჯგ]შორებულ იყვნეს შორად, ჰრქუა იოსებ ეზოჲს მოძლუარსა თჳსსა: აღდეგ, დევნა-უჟაჲ კაცთა მათ, ეწიე და არქუ: რაჲსათჳს მომაგეთ მე ბოროტი კეთილისა წილ? რაჲსათჳს მიმპარეთ ბარძიმი ჩემი ვეცხლისაჲ?

5. ანუ არა ესე არსა, რომლითა სუამნ უფალი ჩემი და იგი ზნით იზმინი მაგიოთ? ბოროტი აღასრულეთ, ¹ რომელ-ესე ჰყავთ.

6. ხოლო იგი ეწია და ჰრქუა სიტყუსა მისებრ.

7. მათ მიუგეს და ჰრქუეს: რად იტყუ უფალი ჩუენი სიტყუასა მაგას? ნუ იყოფინ სიტყუსა მაგისებრ მონათა შენთა!

8. უკუეთუ ვეცხლი იგი, რომელ ვპოვეთ მონათა შენთა ქურქერთა. ჩუენთა, მოვიღეთ შენდა ქუეყანით ქანანისაჲთ, ვითარმცა ვიპარეთ სახლისაგან უფლისა შენისა ოქროჲ ანუ ვეცხლი?

9. რომლისა თანაცა იპოოს მონათა შენთაგანისა ბარძიმი იგი, მოკუედინ და ჩუენმცა ვართ უფლისა შენისა მონა!

10. ...

ხოლო თქუენ უბრალო იყვნეთ.

11. იწრაფეს ² და გარდაჰვადეს კაცად-კაცადმან ტურთი თჳსი და განჰჳსნათითოეულმან ძაძაჲ თჳსი.

12. იწყო და აღიხილვიდა უხუცესით-გან ვიდრე უმრწემსისა და პოვა ბარძიმი იგი ტურთსა შინა ბენიაშენისა.

13. ხოლო ნათ დიიჰეს სამოსელი მათი და აჰკიდეს კაცად-კაცადმან ტურთი თჳსი [v] კარაულსა და მიიქცეს ქალაქად.

14. და შევიდა იუდა და ძმანი მისნი იოსებისა, ვიდრე სახლსა-ლა შინა თჳსსა იყო იოსებ, და დაცვეს წინაშე მისსა ქუეყანასა ზელა.

15. ჰრქუა მათ იოსებ: რაჲ სიქმე ჰქმენით ესე? არა იცითა, რამეთუ ზნით იზმინი კაცი ჩემ ვითარი? ³

16. ჰრქუა მას იუდა: რაჲ-მე სიტყუაჲ მიგიგოთ უფალსა ჩუენსა. ანუ რასა ვიტყოდით ანუ რასა ვმართლობდეთ, რამეთუ ღმერთმან პოვნა მონანი თჳსნი ცოდვასა შინა. აჰა-ესერა ვართ ჩუენ მონანი უფლისა ჩუენისანი, ჩუენცა და რომლისა თანა იპოვა ბარძიმი იგი.

17. ჰრქუა მათ იოსებ: ნუ იყოფინ ჩემდა სიტყუსაებრ მაგის! რომლისა თანა იპოვა ბარძიმი იგი, იგიცა იყოს მონა ჩემდა, ხოლო თქუენ აღვედით ცოცხლებით მამისა თქუენისა.

18. მი-რე-ეახლა მას იუდა და ჰრქუა: გევედრები, უფალო, იტყოდის მონაჲ შენი წინაშე შენსა და ნუ განჰრისხნები მონისა შენისათჳს, რამეთუ შენ ხარ შემდგომ ფარაოჲსა.

19. უფალო, შენ ჰკითხე მონათა შენთა და სთქუ: უკუეთუ გივის მამაჲ ანუ ძმაჲ?

20. და გარქუთ უფალსა ჩუენსა, ვითარმედ: გვეის ჩუენ მამად მოხუცებულნი და ძმ სიბერისა მისისაჲ, ძმად ჩუენნი. ხოლო ძმად მისი მოკულდა და იგი დაშთა¹ დედასა მისსა მარტოჲ და მამან შეიყუარა იგი.

21. ხოლო შენ არქუ მონათა შენთა: მოიყვანეთ იგი ჩემდა და მე ვილუაწო იგი.

22. [59] და ჩუენ გარქუთ უფალსა ჩუენსა: ვერ კელ-ეწიფების ყრმასა მამას დატევებაჲ მამისაჲ: უკუეთუ დუტეოს მამად, მოკუდეს იგი.

23. ხოლო შენ არქუ მონათა შენთა: უკუეთუ არა მოვიდეს ძმად იგი თქუენი უმრწემსი, არღარა შესძინოთ ხილვად პირი ჩემი.

24. იყო, ვითარცა აღვედით მონისა შენისა, მამისა ჩუენისა, უთხაროთ მას სიტყუად უფლისა ჩუენისაჲ.

25. და მრქუა ჩუენ მონამან შენმან, მამამან ჩუენმან: წარვედით და მიყიდეთ ჩუენ მცირედ. საზრდელი.

26. ხოლო ჩუენ ვარქუთ: ვერ კელ-გუეწიფების შთასლვად, არამედ [ძმა]ჲ² თუ ჩუენი უმრწემსი შთამოავლინო ჩუენ თაშა, შთავიდეთ, რამეთუ ვერ კელ-გუეწიფების ხილვად პირი კაცისაჲ მის, უკუეთუ ძმად ჩუენი უმრწემსი არა იყოს ჩუენ თანა.

27. მრქუა ჩუენ მამამან ჩუენმან, მონამან შენმან: თქუენ უწყით, რამეთუ ორნი შენა იგინი ცოლმან ჩემმან;

28. და ერთი იგი წარწყმდა, გან-რად ვიდა ჩემან, და სიტუთ, ვითარმედ: მვეცმან შექამა იგი, და არღარა ვიხილე იგი.

29. აწ ესე-ლა თუ წარიყვანოთ პირი-საგან ჩემისა და შეხუდეს მამას სნეულებაჲ გზასა ზედა და შთაველინოთ სიბერს ჩემი მწუხარებით ჯოჯოხეთა?

30. და აწ უკუეთუ აღვიდეთ მონისა [v] შენისა, მამისა ჩუენისა, და ყრმად ეგე არა იყოს ჩუენ თანა, რამეთუ სულნი მისნი გამოაბან სულსა მამისა,

31. და იყოს, რაჟამს იხილოს, ვითარმედ ყრმად იგი არა არს ჩუენ თანა, მოკუდეს და შთაველინოთ მონათა შენთა სიბერს მონისა შენისა მამისა ჩუენისაჲ, მწუხარებით ჯოჯოხეთა.

32. რამეთუ მონასა შენსა თავს-მიდებოეს ყრმად ეგე მამისაგან და ვარქუ: უკუეთუ არა მოვიყვანო და დავედგინო ეგე შენ წინაშე, შეცოდებულ ვიყო მამისა ყოველთა დღეთა³!

33. აწ ვდგე მე მონად შენდა ყრმისა ამის წილ კირთად უფლისა ჩემისა, ხოლო ყრმად ეგე აღვიდეს ძმათა თანა მამისა.

34. არა თუ იყოს ძმად ჩუენი უმრწემსი ჩუენ თანა, ვერცა მე აღვიდე მამისა და რამათა არა ვიხილო ძერი, როგელი პოოს მამამან ჩემმან.

45

1. და ვერღარა ეძლო იოსებს დათმენად ყოველთა წინაშე-მდგომელთა მისთა და თქუა: განავლინეთ ყოველი კაცი ჩემგან! და არაჲინ დგა წინაშე იოსების-

სა არცა ერთ, რაჟამს გამოეცხადებოდა იოსებ ძმათა თესთა.

2. აღიმალა ჳმად ტირილით და ესმა ყოველთა ეგვპტელთა და მიესმა სახლსა ფარაოჲსსა.

1 ასეა A. 2 აქ ეტრატის ორი ფურცელი (59 და 60) ამოწმვარია მცირედ და რამდენიმე ასო აღარ მოიპოვება სათანადო ადგილას: [ძმა] (44 26); მამა[ჲ ჩემი] (45,3); ნე[შტი] (45, 7); დ[ა წარმოიყვანეთ] (45,19). 3 დღეთა A.

3. ჰრქუა იოსებ ძმათა თჳსთა: მე ვარ იოსებ. ცოცხალ-ლა არსა მამა[ჲ ჩემი] ? და ვერ მიუგეს სიტყუაჲ [60] ძმათა მისთა, რამეთუ ეშინოდა, და შეძრწუნდეს ფრიალად.

4. ჰრქუა იოსებ ძმათა თჳსთა: მომეახლენით მე. და იგინი მიეასლნეს. და ჰრქუა მათ: მე ვარ იოსებ, რომელი მომჳიდეთ ეგჳტელად.

5. ხოლო აწ ნუ სძრწოთ, ნუცა ფიცხელ გიჲს თქუენ, რამეთუ მომჳიდეთ მე აქა, რამეთუ ცხოვრებისა თქუენისათჳს მომავლინა მე ღმერთმან წინაშე თქუენსა.

6. რამეთუ ესე მეორე-ლა წელი არს სიციმილი ქუეყანასა ზედა და მერმე ხუთნი წელნი სხუანი-ლა ყოფად არიან, რომელთა არა იყოს ჳნაჲ, არცა ლეწვა.

7. და მომავლინა მე ღმერთმან თქუენსა წინა, რაჲთა დაშთეს ნე[შტი] ? თქუენი ქუეყანასა ზედა გამოზრდად ქუეყანასა ნეშტად დიდად.

8. ხოლო აწ არა თქუენ მომავლინეთ აქა; არამედ ღმერთმან, და მყო მე ვითარცა მამად ფარაოჲსი და უფალ ყოველსა სახლსა მისსა და მთავარ ყოველსა ქუეყანასა ეგჳტისასა.

9. აწ იწრაფეთ მამისა ჩემისა და არქუთ მას: ამას იტყჳს იოსებ, ძე შენი: მყო მე ღმერთმან უფალ ყოველსა ქუეყანასა ეგჳტისასა. შთამოვედ ჩემდა და ნუ ჰყოვნი

10. და დაემკდრე ქუეყანასა გესემისასა, რომელ არს არაბიასაჲ, და იყავ მახლობელად ჩემდა, შენ და ძენი შენნი და ძენი ძეთა შენთანი, ცხოვარი და ზროხაჲ შენი და რაოდენი-რაჲ არს შენი,

11. და მე გამოავარდო შენ მუნ. ხოლო ხუთ წელ-ლა სიციმილი ყოფად

არს, [ჲ] რაჲთა არა მოსწყდეთ შენ და ძენი შენნი და ყოველი მონაგები შენი.

12. აჰა-ესერა თუალნი თქუენნი ჰხედვიდენ და თუალნი ბენიაშენისნი, ძმისა ჩემისანი. რამეთუ პირი ჩემი გეტყჳს თქუენ.

13. უთხაროთ მამასა ჩემსა ყოველი დიდებად ჩემი ეგჳტეს¹ შინა და რადენი-ესე იხილეთ. და აღრე ყავთ და მოიყვანეთ მამად ჩემი აქა.

14. და მოეხჳა ქელსა ბენიაშენისსა, ძმისა თჳსისასა, და ტიროდა მას ზედა და ბენიაშენ ტიროდა ქელსა ზედა იოსებისსა.

15. ამბორს-უყოფდა ყოველთა ძმათა თჳსთა და ტიროდა მათ თანა. ამისა შემდგომად ეტყოდეს ძმანი მისნი.

16. და მიიწია სიტყუაჲ ესე ყურთა ფარაოჲსთა და უთხრეს, ვითარმედ: მოსრულ არიან ძმანი იოსებისნი. განიხარა ფარაო და ყოველთა მსახურთა მისთა.

17. ჰრქუა ფარაო იოსებს: არქუ ძმათა შენთა, რაჲთა ესე ყონ: აღავსენით ძაძანი თქუენნი იფქლითა და წარედით ქუეყანად ქანაანისა

18. და წარმოიყვანეთ მამად თქუენი და ყოველი მონაგები თქუენი და მოვედით ჩემდა. და მიგცე თქუენ კეთილი ეგჳტისაჲ და შჳამდეთ თქუენ ტჳნსა ქუეყანისასა.

19. ხოლო შენ ამცენ ძმათა შენთა ესრეთ, რაჲთა მიიღონ ურმები ქუეყანით ეგჳტით ყრმათა თქუენთათჳს და ცოლთა, და წა[რმოიყვანეთ]¹ მამად თქუენი [61] და მოვედით.

20. და ნუ ჰრიდებნ თუალი თქუენი ჰურქერსა თქუენსა, რამეთუ ყოველივე კეთილი ეგჳტისაჲ თქუენდა იყოს.

1 5. შენიშვნა 44, 26-თან. 2 აქ „შტი“ მერმინდელი ხელით არის მიწერილი (5. შენიშვნა 44, 26-თან). 3 ეგჳტის A.

21. და ყვეს ეგრეთ ძეთა ისრაჲლისა-
თა. და მისცა მათ იოსებ ურმები ბრძა-
ნებისაგერ მეფისა ფარაოჲსა და აუგო
მათ საზრდელი გზასა ზედა.

22. და ყოველთა მათ მისცა მრჩობ-
ლი სამოსელი, ხოლო ბენიამენს მისცა
ორასი დრაჰმანი და ხუთი წყვილი
თითოფერი სამოსელი.

23. და მამასა მიუძღუანა ეგრევე სა-
ხედ და ათი ვირი, რომელსა ეკიდა
ყოვლისაგან კეთილისა ეგვპტისა¹, და
ათი ჯორი, რომელსა აქუნდა პური სა-
გზლად მამისა თჳსისა.

24. და წარგზავნა ძმანი თჳსნი და
ჰრქუა მათ: ნუ გულს-იწყებთ გზასა
ზედა.

25. და აღმოვიდეს ეგვპტით ქუეყანად
ქანანისა იაკობისა, მამისა მათისა,

26. და უთხრეს², ვითარმედ: ცოცხალ
არს ძმ შენი იოსებ და იგი უფლებს
ყოველსა ქუეყანასა ეგვპტისასა. განკჳრ-
და გონებასა თჳსსა და არა ჰრწმენა
მათი.

27. უთხრობდეს ყოველთა სიტყუათა
იოსებისთა, რომელთა-იგი ეტყუადა მათ.
და ვითარ იხილა ურმები იგი, რომელ
მიუძღუანა იოსებ, რაჲთა წარიყვანოს
იგი, განცხოველდა სულე იაკობისი,
მამისა მათისაჲ,

28. და თქუა ისრაჲლ: დიდ არს ესე
ჩემდა, უკუეთუ ძმ ჩემი იოსებ ცოცხალ
არს. [v] მივიდე და ვიხილო ვიდრე
სიკუდიდმდე³ ჩემდა.

46

1. წარვიდა ისრაჲლ, იგი და ყოვე-
ლივე მისი, და მოვიდა ჯუროღმულსა მას
თანა ფიცისასა და შეწირა მსხუერპლი
ღმრთისა მამისა თჳსისა ისაკისისა⁴.

2. ჰრქუა ღმერთმან ისრაჲლს ჩუენე-
ბასა ღამისასა: იაკობ, იაკობ. ხოლო
მან ჰრქუა: აჲ, უფალო.

3. [ხოლო მან ჰრქუა:]⁵ მე ვარ ღმერ-
თი მამათა შენთაჲ. ნუ გეშინი შენასლ-
ვად⁶ ეგვპტელ, რამეთუ ნათესავად დი-
დად გყო შენ მუნ.

4. მე შთამოვიდე შენ თანა ეგვპტელ⁷
და აღმოგიყვანო შენ მიერ სრულიად.
და იოსებ დაგასხნეს კელნი თუალთა
შენთა.

5. აღდგა იაკობ ჯუროღმულისა მისგან
ფიცისა და წარიყვანეს ძეთა იაკობისთა
ისრაჲლ, მამად მათი. აღსხეს კურკერი
მათი და ცოლები მათი ურმებსა, რომელ
მიეძღუანა იოსებს.

6. და წარიღეს ნაყოფი მათი და
ყოველი მონაგები მათი, რაოდენი-რაჲ
მოეგო ქანანისა ქუეყანასა, და შთავი-
დეს ეგვპტელ იაკობ და ნათესავნი მისნი
მის თანა,

7. ძენი მისნი და ძენი ძეთა მისთანი
და ასულნი ასულთა მისთანი და ყოვე-
ლი ნათესავი მისი შთაიყვანა ეგვპტელ.

8. ესე სახელები არს ძეთა⁸ ისრაჲ-
ლისათაჲ, რომელნი შევიდეს ეგვპტეს⁹
იაკობის თანა, მამისა მათისა. იაკობ და
ძენი მისნი: პირშოჲ იაკობისი რუბენ.

9. ძენი რუბენისნი: ენუქ და ფალუს,
ასრომ და ჰარმი.

10. ძენი [62] სემეონისნი: ევზოთ და
იამენ, აოდ და აჲინ, საარ.

11. ძენი¹⁰ ლევისნი: გეთსონ, კაათ და
მერარი.

12. ძენი იუდაჲსნი: შრ და ავნან...
ქუეყანასა ქანანისასა. იყენეს ძენი ფა-
რეზისნი: ასრომ და იამუელ.

1 ასეა A. 2 უთხრეს A. 3 სიკუდიდმდ A. 4 ისაკისა A. 5 ხოლო მან ჰრქუა—A. 6 შთაღ-
ვად A. 7 ეგვპტელ A. 8 ძმთა A. 9 ეგვპტს A. 10 ძმნი A.

13. ძენი იზაქარისნი: თოლა, ფულა, იასობ და ზამბრაჲ.

14. ძენი ზაბილონისნი: ზედენ, ალონ და აიელ.

15. ესე ძენი ლიაჲსნი, რომელნი უშვნა იაკობს შუემდინარეს. ასურეთისასა, და დინა, ასული მისი.

16. ძენი გადისნი: საფონ, ანგის და საენის, თასუბამ და აედის და აიელიეს.

17. ძენი ასერისნი: იემნა და იესუ, იეულ და ბარია და სარა, დაჲ მათი. ძენი ბარიაჲსნი: კობორ და მელქიელ.

18. ესე ძენი ზელფაჲსნი, რ^ალ მისცა ლაბან ლიას, ასულსა თჳსსა, რომელმან უშვნა ესენი იაკობს, სული ათექუსმეტ.

19. ძენი რაქელისნი, ცოლისა იაკობისნი: იოსებ და ბენიამენ.

20. იყვნეს ძენი იოსებისნი ეგვპტეს¹, რომელნი უშვნა მას ასენექ, ასულმან პეტერფრესმან, მდელისა მზის ქალაქისაჲმან, მანასე² და ეფრემ. იყვნეს ძენი მანასესნი, რომელნი უშვნა მას ხარკმან ასურმან, მაქირ. და მაქირ ჴვა გალაადი³. ძენი ეფრემისნი: სუტალამ და ტალამ. ძენი სუტალამისნი: ედემ.

21. ძენი ბენიამენისნი: [v] ბალა, კობორ და იასბელ. იყვნეს ძენი ბალაჲსნი⁴: გერა, ნოემან, ლაქის, როს, შამფინ. და გერა ჴვა არაადი.

22. ესე ძენი რაქელისნი, რომელნი უშვნა იაკობს, ყოველი სული ათრვამეტ⁵.

23. ძენი დანისნი: ასომ.

24. ძენი ლეფთალემისნი⁶: ასიელ, გოვინი, ისაარ და სელიმ.

25. ესე ძენი ბალაჲსნი, რომელ მისცა ლაბან რაქელს, ასულსა თჳსსა, და უშვნა იაკობს, ყოველი სული შვდ.

26. ყოველნი, რომელნი შევიდეს იაკობის თანა ეგვპტეს, რომელნი გამო-

სრულ იყვნეს წყვილთაგან მისთა, გარეშე⁷ ცოლთა ძეთა⁸ იაკობისთა, ყოველი სული სამეოც და ექუს.

27. ძენი იოსებისნი, რომელნი ესხნეს ეგვპტეს¹, სული ცხრა. ყოველი სული, რომელნი შევიდეს ეგვპტეს¹ იაკობის თანა, სამეოც და ათხუთმეტ.

28. ხოლო იუდა წარავლინა წინაჲსწარ მისა იოსებისა, რაჲთა მოეგებოდის მას კათერონ ქალაქსა, ქუეყანასა რამესესსა⁹.

29. აღაგნა იოსებ ეტლნი თჳსნი და აღვიდა წემთხუეჲად იაკობისა, მამისა თჳსისა, კათერონ ქალაქსა. და იხილა იგი და ტიროდა ტირილითა დიდითა.

30. ჰრქუა ისრაელ იოსებს: მოკვლდე აწ ამიერითგან, ვინაჲთგან ვიხილე, იოსებ, პირი შენი, რ^ა შენ ცოცხალ-ლა ხარ.

31. ჰრქუა იოსებ ძმათა თჳსთა: [გვ] აღვიდე და უთხრა ფარაოს და ვჰრქუა მას: ძმანი ჩემნი და სახლი მამისა ჩემისაჲ, რომელნი იყვნეს ქუეყანასა ქანაანისასა, მოსრულ არიან ჩემდა.

32. ხოლო კაცნი იგი არიან მწყემს, რამეთუ საცხოვრის მზრდელ არიან. საცხოვარი მათი და ზროხაჲ და ყოველი, რაჲცა არს მათი, მოსრულ არს.

33. უკუეთუ გიწოდის თქუენ ფარაო და გრქუას: რაჲ არს საქმს თქუენი,

34. თქუთ, ვითარმედ: კაცნი საცხოვრის მზრდელნი ვართ მონანი შენნი სიყრმიოგან ვიდრე მოაქადმდე, ჩუენ და მამანი ჩუენნი, და რაჲთა დავეშენნეთ ქუეყანასა მას გესემისასა, რამეთუ საძაგელ არს მეეგვპტელთა ყოველი მწყემსი ცხოვართაჲ.

1 ეგვპტეს A. 2 მანას A. 3 რომელნი უშვნა მას ხარკმან ასურმან, მაქირ. და მაქირ ჴვა გალაადი რ^ანი უშვნა მას ხარკმან, ასულ მან მაქირისმან, მაქირ და გალაადი A. 4 ბალაქობორისნი A. (ორი სახელი შეერთებული. ამის მიუხედავად ცოტა ხნით ამავე მუხლში ეს ორი სახელი ხელნაწერში შეერთებულად იკლისხმება: ბალაქობორ). 5 ათორმეტ A. 6 ასეა A. 7 გარეშე A. 8 ძმთა A. 9 რამესესსა A.

1. მოვიდა იოსებ, უთხრა ფარაოს და ჰრქუა: მამაჲ ჩემი და ძმანი ჩემნი, საცხოვარი მათი და ზროხაჲ და ყოველივე მათი მოსრულ არიან ქუეყანით ქანაანისაჲთ და არიან იგინი ქუეყანასა გესემისასა.

2. და ძმათაგანი მისთაჲ წარმოიყვანა ხუთი კაცი და დაადგინნა წინაშე ფარაოჲსა.

3. ჰრქუა ფარაო ძმათა იოსებისთა: რაჲ არს საქმს თქუენი? ხოლო მათ ჰრქუეს: მწყემსნი ვართ ცხოვართანი მონანი შენნი...

4. და მწირობად მოსრულ ვართ ქუეყანასა, რამეთუ არა არს საძოვარი საცხოვართა [მონათა]¹ შენთაჲსა, რამეთუ განძლიერდა სიყმილი [v] ქუეყანასა ქანაანისსა. აწ დავეშვნეთ მონანი შენნი ქუეყანასა გესემისასა.

5. ჰრქუა ფარაო იოსებს: (6 b). დამეკვრნედ ქუეყანასა გესემისასა. უპუეთუ იცი, ვითარჲედ არიან მათ შოვრის კაცი ძლიერნი, და დაადგინენ მთავრად ჩემთა ცხოვართა. მოვიდეს ეგვტედ იოსებისა იაკობ დან ძენი მისნი. ესმა ფარაოს, მეფესა² ეგვტისასა. (5). და ჰრქუა ფარაო იოსებს: მამაჲ შენი და ძმანი შენნი მოსრულ არიან შენდა.

6. ეგერა ქუეყანაჲ ეგვტისაჲ შენ წინაშე არს; უმჯობესსა ქუეყანასა დაამყარე მამაჲ და ძმანი შენნი.

7. შეიყვანნა იოსებ მამაჲ თჳსი და დედაჲ³ და დაადგინნა⁴ წინაშე ფარაოჲსა. აკურთხა იაკობ⁵ ფარაო.

8. და ჰრქუა: რავდენ არიან წელნი ღლეთა ცხოვრებისა შენისათანი?

9. ჰრქუა იაკობ ფარაოს. წელნი ღლეთა⁶ ცხოვრებისა ჩემისათანი, რომელთა ვმწირობდ, ას ოც და ათ წელ. მცირე⁷ და ბოროტ იყვნეს წელნი ღლეთა⁸ ცხოვრებისა ჩემისათანი. ვერ მიიწინეს ღლეთა⁹ მათ წელთა ცხოვრებისა მამათა ჩემთაჲსა, რავდენთა ღლეთა მწირობდეს.

10. აკურთხა იაკობ ფარაო⁸ და გამოვიდა მისგან.

11. და დააშვნა იოსებ მამაჲ თჳსი [და ძმანი თჳსნი]⁹ და მისცა მათ სამკვდრებელი ქუეყანასა [64] ეგვტისასა, უმჯობესსა ქუეყანასა მას რამესსსა¹⁰, ვითარცა უბრძანა ფარაო.

12. და იფქლსა უწყვიდა საწყაულთ მამასა და ძმათა თჳსთა და ყოველსა სახლსა მამისა თჳსისასა, იფქლსა თაჲდათაჲდ.

13. და იფქლი არა იყო ყოველსა ქუეყანასა, რამეთუ განძლიერდა სიყმილი ფრიად და მოაკლდა ქუეყანაჲ ეგვტისაჲ და ქუეყანაჲ ქანაანისაჲ სიყმილითა.

14. და შეკრიბა იოსებ ყოველი ვეცხლი, რავდენი იპოვა ქუეყანასა ეგვტისასა და ქუეყანასა ქანაანისასა, იფქლითა მით, რომელსა იყიდდეს, უწყვიდა მათ და შეიღო იოსებ ყოველი სახლსა ფარაოჲსა.

15. მოაკლდა ვეცხლი ქუეყანასა ეგვტისასა და ქუეყანასა¹¹ ქანაანისასა. მოვიდეს ყოველნი ეგვტელნი იოსებისა და ეტყოდეს: მეც ჩუენ ჰური და რაჲსა მოეწყდებით წინაშე შენსა, რამეთუ მოგუაქლდა ჩუენ ვეცხლი?

16. ჰრქუა მათ იოსებ: მომეცით მე საცხოვარი თქუენი და გცე თქუენ ჰური საცხოვრისა წილ თქუენისა.

1 მონათა]—A. 2 მეფესა A. 3 და დედაჲ ეს სიტყვები სხვა მხლით არის დაწერილი. 4 დაადგინა A. 5 იაკობ] იოსები A (სახელის შეცვლის გარდა, აქ საყოველთაოდ სუბიექტობიექტის შეცვლა). 6 ღლთა A. 7 მცირე A. 8 იაკობ ფარაო] ფარაო იაკობი (მაშასადამე. A-ში აქაც შეცვლილია სუბიექტ-ობიექტი). 9 და ძმანი თჳსნი]—A. 10. რამესსა A. 11 ქანა A.

17. მოჰუარეს საცხოვარი მათი და სცა მათ პური იოსებ საცხოვრისა წილ მათისა: ცხენებისა წილ და ვირებისა, ზროხებისა და ცხოვრისა. და გამოზარდნა იგინი მას წელიწადსა შინა პურითა ყოვლისა წილ საცხოვრისა მათისა.

18. [x] წარკდეს წელიწადნი იგი და მოვიდეს მისა და ჰრქუეს მას: ნუჰუე მოვისრნეთ უფლისა ჩუენისაგან, რამეთუ მოგუაკლდა ჩუენ ვეცხლი მონაგები და საცხოვარი შენდამი უფლისა ჩუენისა და არარად დამშთა ჩუენ წინაშე უფლისა ჩუენისა, გარნა თუ ესე გუამი და ქუეყანაჲ ჩუენი.

19. რადთა არა მოეწყდეთ წინაშე შენსა და ქუეყანაჲ მოოკრდეს, მიჰყიდენ ჩუენ და ქუეყანაჲ ჩუენი პურისა წილ და, ვიყვნეთ ჩუენ და ქუეყანაჲ ჩუენი მონა ფარაოჲსა. მეც ჩუენ თესლი; რადთა ესთესოთ, ვცხონდეთ და არა მოეწყდეთ და ქუეყანაჲ მოოკრდეს.

20. და მოუყიდა იოსებ ყოველი ქუეყანაჲ ეგპტისაჲ ფარაოს, რამეთუ მისცეს ქუეყანაჲ ეგპტელთა ფარაოს, რამეთუ დაიპყრა იგი სიყმილმან და იყო ქუეყანაჲ იგი ფარაოჲსა.

21. და ერი იგი დაამონა კირთად ფარაოს კიდითგან საზღვრით ეგპტისაჲთ ვიდრე კიდედმდე მისა,

22. თჳნიერ ხოლო ქუეყანისა მის მლდელთაჲსა¹—იგი ხოლო არა მოუყიდა იოსებ, რამეთუ უსასყიდლოდ სცემდა იოსებ მლდელთა ფარაოჲსთა და კამდეს საცემელსა მას, რომელსა სცემდა მით ფარაო; ამისგან არა განყიდეს ქუეყანაჲ.

23. ჰრქუა იოსებ ყოველთა ეგპტელთა: აჰა—ესერა მოგიგენ თქუენ და ქუეყანაჲ თქუენი ღღესითგან ფარაოჲსად.

მიიღეთ თქუენ თესლი [65] და დასთესეთ ქუეყანაჲ.

24. და ნაყოფი მისი, რომელი იყოს, მოეცით მეხუთმ ნაწილი მისი ფარაოს. ხოლო ოთხი ნაწილი იყავნ თავისა თქუენისა, თესლად ქუეყანისა და საზრდელად თქუენდა და ყოვლისა სახლისა თქუენისა.

25. და მათ ჰრქუეს: მაცხოვნენ ჩუენ, ვპოვეთ მადლი წინაშე შენსა, უფალო ჩუენო, და ვიყვნეთ მონა ფარაოჲსა.

26. და დადვა იოსებ ესე ბრძანებაჲ ქუეყანასა ეგპტისასა ვიდრე ღღსნდელად ღღიდმდე: მეხუთმ ნაწილი ფარაოს, თჳნიერად² ხოლო ქუეყანისა მის მლდელთაჲსა,—არა იყო ფარაოჲსა.

27. ხოლო დაემკდრა ისრაჲლ ქუეყანასა გესემისასა ეგპტეს და დაეშენეს მას ზედა, ალორძნდეს და განმრავლდეს ფრიად.

28. ცხომდა იაკობ [ქუეყანასა ეგპტისასა]³ ათჳრდმეტ წელ და იყვნეს ღღენი⁴ ცხორებისა მისისანი და წელნი იაკობისნი ას ორმოც და ჩჳდმეტ⁵ წელ.

29. და მოიწინეს ღღენი⁶ სიკუდილისა იაკობისნი. მოუწოდა იოსებს, ძესა⁷ თჳსსა, და ჰრქუა მას: უუეთეთ ვპოვე მადლი წინაშე შენსა, დასდევ ჳელი შენი წყვილთა ჩემთა და ჰყო ჩემ თანა მოწყალებად და კემმარიტებაჲ, რადთა არა დამფლა მე ეგპტის⁷.

30. არამედ დამფალ მე მამათა ჩემთა თანა, განმოდ მე ეგპტით და დამფალ მე საფლავსა მათსა. ხოლო იოსებ ჰრქუა: [x] მე ეგრე ვყო.

31. ჰრქუა მას იაკობ: მეფუცე მე და ეფუცა. და თაყუანის-სცა ისრაჲლ წუერსა ზედა კუერთხისა მისისასა.

1 მღელთაჲსა A. 2 ასეა A. 3 ქუეყანასა ეგპტისასა—A. 4 ღღსნი A. 5 ას ორმოც და | ჩჳდმეტ A. 6 ძესა A. 7 ეგპტის A.

48

1. და იყო შემდგომად სიტყვსა ამის, უთხრეს იოსებს, ვითარმედ: მაშაჲ შენი უძლურ არს. და წარმოიყვანნა ორნი ძენი მისნი ეფრემ და მანასე¹ და მოვიდა იაკობისა.

2. უთხრეს იაკობს და ჰრქუეს: აჰა იოსებ, ძე შენი, მოვიდა შენდა. და განძლიერდა ისრაელ და დაჯდა ცხე-დარსა ზედა.

3. ჰრქუა იაკობ იოსებს: ღმერთი ჩემი მეჩუენა მე ლუხას, ქუეყანასა ქანაანისა-სა, და მაკურთხა მე

4. და მრქუა: აღგაორძინო შენ და განგამრავლო შენ და გყო შენ ნათესა-ვად და კრებულად. და მიგცე შენ ქუეყანაჲ ესე და ნათესავსა შენსა შემ-დგომად შენსა სამკვდრებელად საუ-ქუნოდ.

5. აწ უკუე ორნი ეგე. ძენი შენნი, რომელნი გესხნეს ეგვპტეს, ჩემნი არიან, ეფრემ და მანასე¹, ვითარცა რუბენ და სემეონ იყვნეს ჩემდა.

6. ხოლო შვილის შვილნი, რომელნი გესხნენ შენ შემდგომად მავათსა², იყვნენ სახელითა ძმათა მათთაჲთა, იწოდნენ მათსა მას ნაწილსა.

7. მე რაჲმს მოვიდოდე შუვამდინა-რით ასურეთისაჲთ, მოკულა რაჲელ, დე-დაჲ შენი, ქუეყანასა ქანაანისასა, ვითარ მოვიწიე მე ცხენთ სარბიელსა მას ქუეყა-^[66]ნასა ქაბრაათასასა მისლვად ეფრა-თად, და დავჰვად იგი გზასა ზედა ცხენთ სარბიელთასა, ესე-იგი არს ბეთლემი.

8. ვითარცა იხილნა ისრაელ ძენი იო-სებისნი, თქუა: ვინ არიან ესენი?

9. ჰრქუა იოსებ მამასა თჳსსა: ძენი ჩემნი არიან, რომელნი მომცნა მე ღმერთ-მან აჲა. და ჰრქუა იაკობ: მომგუარენ მე იგინი აჲა და ვაკურთხენ იგინი.

10. ხოლო თუალნი იაკობისნი დამძი-მებულ იყვნეს სიბერიითა და ვერ ეძლო ხედვად. მოიყვანნა იგინი ახლოს მისა. და ამბორს-უყო მათ და შეიტყბნა იგინი.

11. და ჰრქუა ისრაელ იოსებს: აჰა-ესერა პირისა შენისაგან არა კუებულ ვიქმენ და მიჩუენა ღმერთმან თესლიცა შენი.

12. გამოიყვანნა იგინი იოსებ მუტლ-თაგან იაკობისთა და თაყუანის-სცეს მას ქუეყანასა ზედა.

13. მოიყვანნა იოსებ ძენი თჳსნი: ეფ-რემ მარჯუენით მარცხენედ კერძო ის-რაელისა, ხოლო მანასე¹ მარცხენით მარჯუენედ კერძო ისრაელისა და მია-ახლნა იგინი მას.

14. განყო ისრაელ ჴელი მარჯუენ² მისი და დასდვა თავსა ზედა ეფრემისსა, რამეთუ იყო იგი უმრწემესი³ და მარ-ცხენე მისი თავსა ზედა მანასისა და იცვალნა ჴელნი მისნი.

15. აკურთხნა იგინი და თქუა: ღმერთ-მან, რომელსა [v] სათნო-ყუენეს მამანი ჩემნი წინაშე მისსა, აბრაჰამ და ისააკ, ღმერთმან, რომელმან გამომზარდა მე სიყრმითგან ჩემით ვიღრე ღღმნდელად ღღელმდე.

16. ანგელოზმან, რომელმან მიჴნა მე ყოვლისაგან ბოროტისა, აკურთხენი ყრმანი ესე! და ეწოდოს სახელი ჩემი ამათ ზედა და სახელი მამათა ჩემთაჲ

1 მანასე A. 2 მავათსა] შენსა A. 3 უმრწემესი A.

აბრაჰამისი და ისაქისი და გამრავლდელ სიმრავლედ დიდად ქუეყანასა ზედა!

17. ვითარცა იხილა იოსებ, რამეთუ დასდვა მამამან მისმან მარჯუენე მისი თავსა ზედა ეფრემისსა, მძიმე-უზნდა¹ მას და უპყრა იოსებ კელი მამასა თჳსსა აღებად თავისაგან ეფრემისა და დაღებად თავსა ზედა მანასსსა.

18. ჰრქუა იოსებ მამასა თჳსსა: არა ეგრე, მამო, რამეთუ ესე არს პირმშოჲ; დასდევ მარჯუენს შენი თავსა ზედა ამისსა.

19. და არა ინება, არამედ ჰრქუა: ვიცო, შვილო, ვიცო. ესეცა იყოს გრად და ესეცა ამაღლდეს. არამედ ძმაჲ მამისი უმრწემსი უფროჲს მაგისსა იყოს

და ნათესავი მაგისი იყოს მრავლად თესლებად.

20. და აკურთხნა იგინი მას დღესა² შინა და თქუა: თქუენ შოვრის იკურთხედის ისრაჲლ და თქუენ³: გყავნ ლმერთმან ვითარცა ეფრემ და მანასე⁴! და დაადგინა ეფრემ [6/] წინა მანასსსა.⁵

21. ჰრქუა იაკობ იოსებს: მე ესერა მოვეუდები და იყოს ლმერთი თქუენ თანა და მიგაქცინეს თქუენ ქუეყანად მამათა თქუენთა!

22. მე მიგცემ შენ სიკიმასა გარეშე⁶ ძმათა შენთაჲსა, რომელი დაგიპყარ კელთაგან ამორეველთაჲსა მახვლითა ჩემითა და მშულდითა.

49

1. მოუწოდა იაკობ ძეთა თჳსთა და ჰრქუა: შემომიკერბით და გითხრა თქუენ ... უკუანაჲსკნელთა დღეთა⁷,

2. მოკერბით და ისმინეთ ძეთა⁸ იაკობისთა ისრაჲლ მამისა თქუენისაჲ.

3. რ უბენ, პირმშოჲ ჩემი, დასაბამი შვილთა ჩემთაჲ, ფიცხლად ხვლოდე, ფიცხლად და თავჯდოდე.

4. აღსდუდი, ვითარცა წყალი. ნუ შეჭბებდი, რამეთუ აჭედ საწოლსა მამისა შენისასა და შეაგინე სარეცელი, რომელსა აჭედ.

5. სკამეონ და ლევი ძმათა აღასრულეს⁹ სიცრუეს კდომითა მათითა.

6. ზრახვესა მათსა ნუ შევალნ სული ჩემი და შეკრებასა მათსა ნუ აჰყვებიან ღვძლი ჩემი, რამეთუ გულის წყრომითა მათითა მოწყვდნეს კაცი და გულის თქუმითა დაჰყუენთეს ძარლუნი კუროსა.

7. წყეულ იყავნ გულის თქუმაჲ მათი, რამეთუ თავგედებით მცბიერებაჲ მათი,

რამეთუ ფიცხელ, [7/] განვეყნე იგინი ისრაჲლსა შოვრის და განვსთესნე იგინი იაკობსა შოვრის.

8. იუდა, შენ გაქებენ ძმანი შენნი. კელნი შენნი ზურგსა მტერთა შენთასა; თაყუანის-გცემდენ ძენი მამისა შენისანი.

9. ლეკუ ლომისა იუდა, მცენარისაგან აღმოჰყედ¹⁰, შვილო ჩემო. მიწოლით მიიძინო ვითარცა ლომმან და ვითარცა ლეკუმან ლომისამან. ვინ-მე აღადგინოს იგი?

10. არა მოაკლდეს მთავარი იუდაჲსგან და წინამძღუარი წყვილთაგან მისთა, ვიდრემდე მოვიდეს რომლისაჲ-იგი განშაღდებულ არს, და იგი არს მოლოდებაჲ წარმართთაჲ.

11. გამოაბას ვენაჲსა კიცჲ მისი და რქასა ვენაჲსასა კიცჲ ვირისა მისისაჲ. განრცხას ღვინთა სამოსელი თჳსი და სისხლითა ყურძნისაჲთა სამკაული თჳსი.

1 მძიმე-უზნდა A. 2 დღესა A. 3 თქუენ A. 4 მანას A. 5 მანასსა A. 6 გარეშე A.

7 დღითა A. 8 ძმთა A. 9 აღასრულეს A. 10 აღმოვედ A.

12. მხიარულ იყვნენ თუალნი მისნი უფროჲს ღვინისა და სპეტაკ კბილნი მისნი უფროჲს სძისა.

13. (14). იზაქარს კეთილის გულმან უთქუა. განისუენებდეს შოვრის ნაწილსა მისსა

14. (15). და იხილოს განსუენებაჲ მისი, რამეთუ კეთილ და ქუეყანაჲ პოხილ. მისცნა მჯარნი თჳსნი შრომად და იქმნა კაც ქუეყანის მოქმედ*.

15. (13). ზაბილონ ზღვს კიდესა დაეშწნოს¹ და აგი ავლინებდეს ნავ[68]თა და მიიწიოს ვიდრე სიღონდმდე.

16. დან შვიდეს ერსა თჳსსა ვითარცა ნათესავი ერთი ისრაელსა შოვრის;

17. და იყოს დან გუელ გზასა ზედა, მზირად მჯდომარე² ალაგთა და უკბენდეს ტერფთა ცხენთასა და დაეცეს მჯედარი მართლუკუნ

18. და მაცხოვარებასა უფლისასა მოელოდის.

19. გად განცდით განცადოს იგი და მანცა განცადოს იგი შემდგომად კუალსა მისსა.

20. ასეჲ პოხილ პური მისი და მან მოსცეს საზრდელი მთავართა.

21. ნეფთალემ ხმ მცენარს და მოსცემდეს ნაყოფსა სიკეთითა.

22. იოსებ, შეილი ჩემი, აღორძინებული, საშურელი ძმ ჩემი უმრწემსი, ჩემდა მოიქცე;

23. რომლისათჳს ზრახვაჲყვის და გაგინებდეს და ემტერნეს უფალნი იგი მშჳლდთანნი.

24. და შეიმუსრა ძალითურთ მშჳლდები მათი და დაჰჳსნდეს ძარლუნი ჳელთა მკლავთა მათთანი ჳელითა ძლიერითა იაკობის მიერ, რომელმან განგაძლიერა შენ ისრაელ (25). ღმრთისა მიერ მამისა შენისა.

25. და შეგეწეოდის შენ ღმერთი ჩემი და გაჳრთხოს შენ კურთხევითა ჳეცისაჲთა ჳეგარდამო და კურთხევითა ქუეყანისაჲთა; რომლისათჳს იქმნების³ ყოველი, კურთხევისათჳს [v] ძუძუთაჲსა და საშოჲსა.

26. კურთხევითა მამისა შენისაჲთა განსძლიერდი უფროჲს. კურთხევისა მათა ზედა მყართაჲსა და კურთხევად ბორცუთა საუკუნეთა იყვნენ თავსა ჳედა იოსებისსა და თხემსა ჳედა, რომელი წინამძღუარ იყო ძმათა.

27. ბენიამენ მგელ მტაცებელ, გმნითად ჰმადეს-ლა და მწუხრი განუყოფდეს საზრდელსა.

28. ყოველნი ესე ძენი იაკობისნი ტომნი ათორმეტნი. ამას ეტყოდა მათ მამად მათი და აჳრთხნა იგინი, კაცად-კაცადი კურთხევისაჲბრ თჳსისა აჳრთხნა იგინი.

29. და ჰრქუა მათ: მე შევეძინები ერსა ჩემსა. დამფალთ მე მამათა ჩემთა თანა ჳუაბსა მას მრჩობლსა, რომელი იგი არს აგარაკსა მას ეფრაონის ქეტელისასა,

30. ...რომელ არს წინაჳე მამბარსა, ქუეყანასა ქანანისასა, რომელ-იგი მოიგო აბრაჳამ ჳუაბი ეფრაონისგან ქეტელი-სა⁴ საფლავად სასყიდლით.

31. მუნ დაჰფლეს აბრაჳამ და ცოლი მისი სარა და მუნ დაჰფლეს ისაჲ და ცოლი მისი რებეკა და მუნ დაჰფლეს ლია

32. მოგებულსა მას აგარაკსა და რომელ-იგი არს მას შინა ჳუაბი [69] ძეთა-გან ქეტისთა.

33. და დასცხრა იაკობ ბრძანებად ძეთა თჳსთა და აღიხუნა ფერჳნი თჳსნი ცხედრად და მოაჳლდა და შეეძინა მამათა თჳსთა.

1 დაშშწნოს A. 2 მჯდომარს A. 3 იქმს A. 4 ქეტელისა A.

* ხელნაწერში (ფ. 67v b) ჳერ მოთავსებულია იზაქარის კურთხევა (აქ: მმ. 13, 14) და შემდეგ ზაბილონისა (მ. 15). ეს რიგი აქაც დავიცავით, რადგანაც ის ემთხვევა სხვა ადგილებს: დაბ. 46, 13—14; გაბ. 1, 3.

50

1. და დაეარდა იოსებ პირსა ზედა მამისა თჳსისასა და ტიროდა და ამბორს-
წყოფდა მას.

2. და უბრძანა იოსებ მონათა თჳსთა მკუდრის მმოსელთა შემოსად მამაჲ თჳსი-
და შემოსეს მკუდრის მმოსელთა მათ ისრაელ.

3. და აღასრულეს მისი ორმოცი დღე, რამეთუ ესრეთ აღირაცხებოიან დღენი დაფლვისანი, და ეგლოვდა მას ყოველი ეგვპტე¹ სამოც და ათ დღე².

4. და ვითარცა წარცდეს დღენი³ იგი გლოვისანი, ეტყოდა იოსებ მთავართა მათ ფარაოხსთა და ჰრქუა: უკუეთუ ეპოვე მაღლი წინაშე თქუენსა, ეტყო-
დეთ ყურთა ფარაოხსთა და არქუთ:

5. მაშამან ჩემჲან გაფუცა მე და მრქუა: საფლავსა მას, რომელ-იგი ვქმენ თავისა ჩემისა ქუეყანასა მას ქანაანისა-
სა, მუნ დამფალ მე. აჲ უკუე აღვიდე და დაეფლა მამაჲ ჩემი და კჳალად მოვიდე.

6. ჰრქუა ფარაო იოსებს: აღვედ და დაჰფალ მამაჲ შენი, ვითარცა-იგი გა-
ფუცა შენ.

7. და აღვიდა იოსებ [v] დაფლვად მამისა თჳსისა და მის თანა აღვიდეს ყოველნი მონანი ფარაოხსნი და მოხუ-
ცებულნი სახლისა მისისანი და ყოველნი მოხუცებულნი ქუეყანისა ეგვპტისანი,

8. და ყოველი სახლი იოსებისი და ყოველნივე ძმანი მისნი და ყოველნივე სახლისა მამულისა მისისა ნათესავნი. ცხოვარი და ზროხა დაუტევეს ქუეყა-
ნასა გესემისასა.

9. და მის თანა აღვიდა ეტლები და მკედრები, და იყო ბანაკი იგი დიდ ფრიად.

10. და მოვიდეს იგინი კალოებსა მას ზედა ატადისასა, რომელ არს წილ იორდანესა⁴, და ეტყებდეს მას ტყები-
თა დიდითა და ძლიერთა ფრიად. და ყო იოსებ გლოვად მამისა თჳსისაჲ შვდ
დღე⁵.

11. და იხილეს მკედრთა ქუეყანისა ქანაანისათა გლოვად კალოთა მათ ბტა-
ლისათა და თქუეს: ესე გლოვად დიდი არს ეგვპტელთაჲ. ამისთჳს ეწოდა აღ-
გილსა მას გლოვად ეგვპტისაჲ, რომელ არს იორდანესა თანა.

12. და უკვეს მას ესრეთ ძეთა⁶ ისრა-
ელისათა, ვითარცა-იგი ამცნო მათ.

13. და აღმოიღეს იგი ძეთა მისთა ქუეყანად ქანაანისა და დაჰფლეს იგი ქუახსა მას მრჩობლსა, რომელ-იგი მოი-
გრა აბრაჰამ მოგებით საფ[70]ლავად ძეთაგან ეფრონის ქეტელისათა, წინაშე მამბრცისა.

14. მოიქცა იოსებ ეგვპტედ, იგი და ძმანი მისნი, და რომელნი მის თანა აღიოსრულ იყვნეს დაფლვად მამისა მი-
სისა, შემდგომად დაფლვისა მამისა მი-
სისა.

15. ვითარცა იხილეს ძმთა იოსე-
ბისთა, რამეთუ აღესრულა მამაჲ მათი, თქუეს: ნუუკუე ძარი იჳსენოს იოსებ ჩუენთჳს და მოგუაგოს მოსაგებელი ჩუე-
ნი ყოვლისა მისთჳს ბოროტისა, რომე-
ლი შევაჩუენეთ.

16. მოვიდეს იოსებისა და ჰრქუეს: მაშამან შენჲან გაფუცა შენ ვიდრე აღ-
სრულებადმდე მისა და გრქუა შენ:

17. ესრე არქუთ იოსებს: მიუტევენ სიცრუევენი და ცოდვანი მათნი, რამეთუ ბოროტი შევაჩუენეს შენ, და აჲ თავს-
იდეჲ შეცოდებაჲ მსახურთაჲ ღმრთისა

მამისა შენისათაჲ. და ტიროდა იოსებ სიტყუასა მას მათსა მისა მიმართ.

18. მოუტდეს მას და ჰრქუეს: ჩუენ შენნი მონანი ვართ.

19. ჰრქუა მათ იოსებ: ნუ გეშინინ თქუენ, რამეთუ ღმრთისაჲ ვარი მე.

20. თქუენ ჰზრახეთ ჩემჲს ბოროტი, ხოლო ღმერთმან ზრახა ჩემჲს კეთილი, რადთა იყოს, ვითარცა-ესე ღლეს¹, რადთა გამოიზარდოს ერი მრავალი.

21. და ჰრქუა მათ: ნუ გეშინინ, მე გამოგზარდნე თქუენ და სახლნი თქუენნი. და [ჲ] ნუგეშინის-სცა მათ და ეტყუა და გულისებრ მათისა.

22. და დაემკდრა იოსებ ეგჳტეს², იგი და ძმანი მისნი და ყოველივე ყოვლითურთ სახლი მამისა მისისაჲ. ცხონდა იოსებ ას და ათ წელ.

23. და იხილნა იოსებ ყრმანი ეფრემისნი მესამელ ნათესავადმდე³; და ძენი მაქირისნი, ძისა მანასსნი, იშვნეს წიალთა იოსებისთა.

24. ეტყუადა იოსებ ძმათა თჳსთა და ჰრქუა: მე მოკუდები. მოხედვით მოხედვა-ყოს თქუენ ზედა უფალმან და განგიყვანნეს თქუენ ამიერ ქუეყანით მას ქუეყანასა, რომლისათჳს ეფუცა მამათა ჩუენთა აბრაჰამს, ისაკს და იაკობს.

25. და აფუცა იოსებ ძეთა⁴ ისრაელისათა და ჰრქუა: მოხედვასა მას, ოდეს მოგხედოს თქუენ ღმერთმან, თანა-ალიხუენით ძუალნი ჩემნი თქუენ თანა.

26. და აღესრულა იოსებ ას და ათი-სა წლისაჲ და დაჰმუღეს იგი და დადევს საფლავსა ეგჳტეს² შინა.

1 ღლეს A. 2 ეგჳტეს A. 3 ნათესავადმდე A. 4 ძეთა A.

1. [71] ესე სახელები არს ძეთა ისრა-
ელისათაჲ, რომელნი შესრულ იყვნეს
ეგვპტელ იაკობის თანა, მამისა მათისა,
კაცად კაცადი ყოვლითურთ სახლით მა-
თით შევიდეს:

2. რუბენ, სუმეონ, ლევი, იუდა,

3. იზაჰარ, ზაბილონ და ბენიამენ,

4. დან და ნეფთალიემ, გად და ასერ.

5. ხოლო იოსებ იყოვე მუნ. იყო
ყოველი სული იაკობისი¹ სამეოც და
ათხუთმეტ.

6. აღესრულა იოსებ და ყოველნი ძმა-
ნი მისნი და ყოველივე იგი ნათესავი.

7. ხოლო ძენი ისრაელისანი აღორძნ-
დეს და განმრავლდეს და ამრლუე²
იქმნნეს და განძლიერდებოდეს დიდად
ფრიად, რამეთუ განამრავლებდა მათ
ქუეყანაჲ იგი.

8. აღდგა სხუაჲ მეფე ეგვპტეს³ შინა
რომელმან იცოდავე არა იოსები,

9. და ჰრქუა ნათესავსა თჳსსა: აჰა-
ესერა ნათესავი ესე ძეთა ისრაელისათაჲ
დიდი სიმრავლე არს უფროჲს ჩუენსა.

10. მოვედით და დავიმორჩილნეთ
იგინი, ნუუქუე განმრავლდენ და, ოდეს
თუ სადამე შეგუემთხვოს ჩუენ ბრძოლაჲ,
შეერთნენ იგინი მტერთა ჩუენთა და
გუბრძოდიან ჩუენ და ეგრძთ განვიდენ
ქუეყანი.

11. და დაადგინნა მათ ზედა ზედა-
მდგომელნი საქმისანი, რაჲთა ძჳრსა

შეამთხუევდენ მათ საქმითა და უშშნენ
[1] ქალაქნი ძლიერნი ფარაოს: პითონი
და ჰრამესე⁴, ორი, რომელ არს მზის
ქალაქი.

12. და რავდენ იგინი დაამდაბლებდეს,
ეგოდენ ესენი უფროჲს განძლიერდე-
ბოდეს დიდად ფრიად, და საძაგელ იყვნეს
ეგვპტელნი ძეთაგან⁵ ისრაელისათა.

13. ...ძლით,

14. და აჰირებდეს საღმობით ცხო-
რებასა მას მათსა საქმითა მით ფიცხლი-
თა, თიჭითა და აღიზითა და ყოვლი-
თავე საქმითა ველისაჲთა, ყოველსავე
საქმესა, რომლითა დაიმორჩილებდეს
მათ სასტიკად.

15. ჰრქუა მეფემან⁶ ეგვპტისამან ყრმის
ამქუმელთა მათ ებრაელთასა, რომელთა
სახელი ერქუა ერთსა სეფორა და ერთ-
სა ფოა,

16. და ჰრქუა: ოდეს შეხვდეთ შეი-
ნებად ებრაელთა მათ და შობასა იყენენ,
უკუეთუ წული იყოს, მოჰკლით იგი, და
უკუეთუ ქალი იყოს, განარინეთ იგი.

17. და შეეშინა ყრმის ამქუმელთა მათ
ღმრთისა და არა ყვეს, ვითარ-იგი
უბრძანა მათ მეფემან⁶ მან ეგვპტელთა-
მან ყრმის ამქუმელთა მათ...

18. ...და ჰრქუა მათ: რაჲსათჳს ჰყავთ
ესე საქმე და აცხოვნებთ წულსა?

19. ჰრქუეს ყრმის ამქუმელთა მათ
ფარაოს: არა ვითარცა დედანი ეგვპ-
ტელთანი არიან დედანი ებრაელთანი,

* დაწერილია 72-ე ფურცლის უკანასტარზე, დაბადების წიგნის ბოლოს.

1 იაკობი A. 2 ამრლუე. 3 ეგვპტე. 4 ჰრამესე A. 5 ძმთაგან. 6 მეფემან A.

რამეთუ შეიან ვიდრე შესლვადმდე [72] ყრმის აღმქუშელთა და მაშინლა შემეწოდიან ჩუენ.

20. და კეთილსა უყოფდა ღმერთი ყრმის აღმქუშელთა¹ მათ და განმრავლდა ერი იგი და განძლიერდებოდეს ფრიად,

21. რამეთუ ეშინოდა ყრმის აღმქუშელთა მათ ღმრთისა. იშენეს თავისა თვისისა სახლები.

22. და უბრძანა ფარაო ყოველსა ერსა თჳსსა და ჰრქუა: ყოველი წული რომელი შეენ ებრაელთა, მჴინარესა² შთასთხევდით და ყოველსა ქალსა აცხოვნებდით.

2

1. იყო ვინმე ტომისაგან ლევისა, რომელმან მოიყვანა ცოლი ასულთაგან ლევისთა და ესუა იგი ცოლად.

2. მუცლად-ილო მან და შვა წული. ვითარცა იხილეს იგი მკვრცხედ, მალევიდეს მას სამ თუე.

3. და ვითარ ვერლარა ეძლო დამალვად, მოიღო დეჴამან მისმან კილო-ბანაკი და მოფისა იგი ნათითა და შთააწვინა ყრმაჲ იგი მას და დადგა იგი მდინარის კიდეჲს³ მას.

4. და ჰხედვიდა დაჲ მისი შორით, რაჲთა იხილოს, რაჲ-ძი შეემთხვოს მას.

5. შთავიდოდა ასული ფარაოჲსი ბანად მდინარესა² მას და შიმონვარნი მისნი უვიდოდეს იმიერ და აჴიერ მდინარის კიდეჲსა მას. და იხილა კილობანი იგი მწყურნებჲსა მას, მიაჴლინა შიმონვარი და მოიღო იგი,

6. აღაღო და იხილა ყრმაჲ იგი, ტიროდა რაჲ [v] კილობანსა მას შინა, და განარინა იგი ასულმან ფარაოჲსმან და თქუა: ყრმათაგან ებრაელთა არს ესე.

7. ჰრქუა ასულსა ფარაოჲსსა დამანს ყრმისამან: გნებავს, თუ მოგიხადო რადაკცა მზარდულსა ებრაელთაგანსა და გიწოებდეს ყრმასა მაგას?

8. ხოლო ასულმან ფარაოჲსმან ჰრქუა მას: წარვედ და მოუწოდე. და წარვიდა ქალი იგი და უწოდა დედასა მის ყრმისასა.

9. და ჰრქუა მას ასულმან ფარაოჲსმან: დამიმარხე ყრმაჲ ესე და აწოებდ მაგას და მე მიგცე სასყიდელი შენი. მიიქუა დედაკცმან მან ყრმაჲ იგი...

10. და შეჴუარა ასულსა ფარაოჲსსა. და იყო იგი მისა შვილად და დასდგა სახელი მისი მოსე და თქუა: წყლისაგან გამოვილე ეგე.

11. იყო დღეთა მათ მრავალთა, განმწჳსნა მოსე და განვიდა ძმათა მისთა ძეთა¹ ისრაჴლისათა ხილვად ჳირისათჳს მათისა და იხილა კაცი ეგჳპტელი, სცემდა რაჲ კაცსა ვისმე ებრაელსა ძმათა მისთაგანსა ძეთა¹ ისრაჴლისათა.

12. მიიხილა აქა და იქი და არავინ იხილა და მოკლა მეეგჳპტელი იგი და დაჴფლა იგი ქჳშასა.

13. განვიდა იგი მეორესა დღესა და იხილნა ორნი კაცი ებრაელნი, რომელნი იბრძოდეს, [73] და ჰრქუა, რომელი-იგი აენებდა მოყუასსა თჳსსა: კაცნო, ძმანი ხართ, რაჲსათჳს აენებთ ურთიერთას?

14. ხოლო მან ჰრქუა: ვინ დაგადგინა შენ მოაერად და მსაჯულად ჩუენ ზედა? ანუ მოკლევად ჩენი გნებავს შენ, ვითარცა

1 ყრმის ა აღმქუშელთა A (ან: ყრმისა აღმქუშელთა?). 2 მდინარისა A. 3 კიდეჲსა A, 4 ძმთა A.

მოჰკალ გუშინ მეეგვტელი იგი? ხოლო მოსეს შეეშინა და თქუა: უკუეთუ ესრეთ განცხადნა სიტყუად ესე?

15. ესმა ფარაოს სიტყუად ესე და ეძიებდა მოკლვად მოსეს. და წარივლტოდა მოსე¹ პირისაგან ფარაოჲსისა და მწირობდა ქუეყანასა მადიამისასა და დაჯდა იგი ჯურღმულსა მას ზედა.

16. ხოლო მღდელსა მადიამისასა ესხნეს ზედ ასულ და მწყსიდეს ცხოვართა მამისა თჳსისა იოთორისთა. და ვითარცა მოვიდეს ვსებად წყალსა, ვიდრემდე აღივსნეს² წყლის სასუმელები³ იგი, რაჲთა ასუან ცხოვართა მამისა თჳსისათა,

17. მოვიდეს მწყემსნი და წარასხნეს იგინი. აღდგა მოსე¹ და განარივნა იგინი და აღმოუვსო წყალი და ასუა ცხოვართა მათთა.

18. და შევიდეს იგინი იოთორისა, მამისა მათისა. ხოლო მან ჰრქუა მათ: რაჲსათჳს ისწაფეთ შემოსლვად [v] დღეს?

19. ჰრქუეს მათ: კაცმან ვინმე მეეგვტელმან განმარინნა ჩუენ მწყემსთაგან და აღმოვივსო ჩუენ წყალი და ასუა ცხოვართა ჩუენთა.

20. ხოლო მან ჰრქუა ასულთა თჳსთა: სადა არს? და რაჲსა დაუტევეთ კაცი იგი? მოუწოდეთ მას, რაჲთა ქამოს პური.

21. და დაემკდრა მოსე¹ კაცისა მის თანა და მისცა სეფორა, ასული თჳსი, ცოლად მოსეს.

22. და მიუდგა დედაკაცი იგი და შეაძლ და სახელი უწოდა მას მოსე¹ გერსამ და თქუა: რამეთუ მწირ ვარი მე ქუეყანასა უცხოთა. და სახელი მეორისაჲ მის უწოდა ელიაზარ და თქუა: ღმერთი მამისა ჩემისაჲ შემეწია მე და მიცნა მე კელთაგან ფარაოჲსთა.

23. შემდგომად დღეთა მრავალთა მოკულა მეფე იგი ეგვტისაჲ და სოლთითქუმიდეს ძენი⁴ ისრაელისანი საქმეთა მათგან ფიცხელთა და ღალად-ყვეს და მიიწია ღალადებჲ მათი ღმერთისა.

24. და შეისმინნა ღმერთმან სულთთქუმიანი⁵ იგი მათნი და მოივსნა ღმერთმან აღთქუამად იგი თჳსი აბრაჰამისა მიმართ, ისაქისა და იაკობისა,

25. და მოჰხედა ღმერთმან ძეთა ისრაელისათა და გამოეცხადა მათ.

3

1. და მოსე¹ მწყსიდა ცხოვართა იოთორ სინამრისა თჳსისათა, მღდელისა⁶ [74] მადიამელისათა, და მოჰყვანდეს ცხოვარნი იგი უდაბნოდ და მოვიდა მათსა მას ღმერთისასა ქორებს.

2. ეჩუენა მას ანგელოზი ცეცხლითა აღისაჲთა მაყულოანით გამო, და იხილა, ვითარმედ მაყულოანსა აღატყდებოდა ცეცხლი და მაყუალი იგი არა შეიწუებოდა.

3. თქუა მოსე¹: წარვიდე და ვიხილო ხილვად ესე დიდი, რამეთუ მაყუალი არა დაიწუებოდა.

4. ვითარცა იხილა ღმერთმან, რამეთუ მოვალს ხილვად, უწოდა მას უფალმან მაყულოანით გამო და ჰრქუა: მოსე¹, მოსე¹! ხოლო მან ჰრქუა: რაჲ არს?

5. ხოლო უფალმან ჰრქუა: ნუ მოეახლები აქა, წარიგადენ ჯამლნი ფერტაგან

1 მოსე A. 2 ასეა A (გაუმართავია სინტაქსურად). 3 დღეს A. 4 ძმნი A. 5 სულთქუმიანი A. 6 აქ კიდევ იკითხება „მადელისა“. როგორც ჩანს, დაუწვია შემდგომი სიტყვა („მადიამელისათა“), მაგრამ დაჰბრუნებია უკვე დაწერილს („მღდელისა“).

შენთა, რამეთუ ადგილი ეგე, რომელსა შენ სდგა, ქუეყანად წმიდა არს¹.

6. და ჰრქუა: მე ვარ ღმერთი მამისა შენისაჲ, ღმერთი აბრაჰამისი, ღმერთი ისაკისი და ღმერთი იაკობისი. გარე მიიქცია პირი მისი მოსე², რამეთუ ეში-ნოდა მიხედვად წინაშე ღმრთისა.

7. ჰრქუა უფალმან მოსეს: ხილვით ვიხილე ძკრი იგი ერისა ჩემისაჲ, რომელ არს ეგვტეს შინა, და ღალატებად მათი მესნა საჰმის მაწუეველთაგან, რამეთუ ვიცი პირი იგი მათი.

8. და გარდამოგვქედ განრინებად მათა კელთაგან ეგვტელთაჲსა, გამოყვანებად მიერ ქუეყანით და შეყვანებად მათა ქუეყანასა ფრიად კეთილსა, ქუეყანასა მას გამომადინებელსა სძისა და თაფლისასა, ადგილსა მას ქანანელთასა [v] და ქეტელთასა, ამორეველთასა და ეველ-თასა, ფერეველთასა და ჯერგესეველთასა³ და იებოსელთასა.

9. და აწ ღალატებად ძეთა ისრაელისათაჲ მოიწია ჩემდა და მე ვიხილე პირი იგი მათი, რომელსა ეგვტელნი იგი აჰირეებენ მათ.

10. და აწ მოვედ და მიგავლინო შენ ფარაოჲსა, მეფისა მის მეგვტელთაჲსა,

და გამოიყვანო ერი ჩემი, ძენი ისრაელისანი, ქუეყანით ეგვტით.

11. და ჰრქუა მოსე⁴ ღმერთსა: ვინ ვარ მე, და მივიდე მე ფარაოჲსა⁵, მეფისა მეგვტელთაჲსა და გამოიყვანნე ძენი⁶ ისრაელისანი ქუეყანით ეგვტით?

12. ეტყოდა ღმერთი მოსეს⁶ და ჰრქუა, ვითარმედ: მე ვიყო შენ თანა და ესე იყავნ სასწაულად შენდა, რამეთუ მე მიგავლინო შენ, რაჲთა გამოიყვანო შენ ერი ჩემი ქუეყანით ეგვტით, და ჰმსახურებდნ ღმერთსა ადგილსა ამას.

13. ჰრქუა მოსე⁷ ღმერთსა: აჰა მე მივიდე ძეთა ისრაელისათა და ვჰრქუა მათ: ღმერთმან მამათა თქუენთამან მო-მავლინა მე თქუენდა, და მკითხვიდენ, თუ რაჲ არს სახელი მისი, რაჲ ვჰრქუა მათ?

14. და ჰრქუა ღმერთმან მოსეს⁸: მე ვარ, რომელი ვარ. და თქუა: ესრე⁷ არქუ ძეთა⁸ ისრაელისათა: რომელ არს მომავლინა მე თქუენდა.

15. და ჰრქუა ღმერთმან მერმე კუალად მოსეს⁹: ესრე⁷ არქუ ძეთა ისრაელისათა: უფალმან ღმერთმან მამათა თქუენთამან, ღმერთმან...

[ა ჯ ლ ი ა]

4

[75]... კელი შენი. და გამოი-ლო და იყო კელი მისი სპეტაკ ვითარცა თოვლი.

7. და მერმე კუალად ჰრქუა: შეყავ კელი შენი წიაღთა შენთა. და შეყო კელი მისი წიაღადღე მისა და გამოყო კელი თჳსი წიაღთაგან და კუალად მოე-გო ფერსავე კორცთა მისთასა.

8. უკუეთუ არა ჰრწმენეს შენი, არცა ისმინონ ჳმისა შენისაჲ სასწაულისა მის

პირველისაჲ, ჰრწმენეს შენი და ჳმისა მის სასწაულისა მეორისაჲ ისმინონ შენი.

9. და იყოს, უკუეთუ არა ჰრწმენეს შენი ორთაჲ მათ სასწაულთაჲ და არცა ისმინონ ჳმისა შენისაჲ, მოილო წყლისა მისგან მდინარისა და დასთხოო იგი ჳმელსა ჴედა და იყოს წყალი იგი, რომელ მოილო მდინარისა მისგან, სისხლ ქუეყანასა ჴედა.

1 წმიდა არს| წრს A. 2 მოსე A. 3 გერგესეველსა A. 4 ფარაოჲსა A. 5 ძმნი A. 6 მოსეს A. 7 ესრე A. 8 ძმთა A.

10. ჰრქუა მოსე უფალსა: გვედრები შენ, უფალო, ვერ შემძლებელ ვარ გუ-შინდითგან და ძულუნდითგან, არცა ვინაჲთგან იწყე სიტყუად მსახურისა შენისა, რამეთუ ჯმა-წულილ და ენა-მძიმე ვარ მე.

11. ჰრქუა ღმერთმან მოსეს: ვინ მოსცა პირი კაცთა, ანუ ვინ შექმნა მსმენელი და ყრუჲ, ... ანუ არა მე უფალმან ღმერთმან?

12. ხოლო აწ ვილოდე შენ და მე აღვალო პირი შენი და გასწაო შენ, რასა იტყოდი.

13. და ჰრქუა მოსე: გვედრები შენ, უფალო, გამო-ვინ -იძიე შემძლებელი სხუჲჲ, რომელი მიავლინო.

14. განრისხნა [v] უფალი გულის წყრომით მოსეს ზედა და თქუა: ანუ არა ეგერა აჰრონ, ძმაჲ შენი ლევიტელი? ვიცო, რამეთუ სიტყვთ გეტყოდის იგი შენ. და აჰა-ეგერა იგი გამოგეგბე-ვოდის შემთხუევად შენდა და გიხილოს შენ და განიხაროს გულსა თჳსსა.

15. და უთხრნე მას სიტყუანი ესე და მისცნე სიტყუანი ჩემნი პირსა მისსა და მე აღვალო [პირი შენი და]¹ პირი მისი და გასწავო თქუენ, რაჲ ჰყოთ.

16. და მან გატყუას შენ ერისა მიმართ და იგი იყოს პირ შენდა და შენ ეყო მას ღმრთისა მიერ.

17. და კუერთხი ეგე, რომელ გარდაიქცა გუელად, მიიღე კელითა შენითა, რომლითა ჰყოფდე მით სასწაულებსა.

18. წარმოვიდა მიერ მოსე² და მიიქცა იოთორისა, სიმამრისა თჳსისა, და ჰრქუა მას: წარვიდე და მივიქცე მე ძმათა ჩემთა, რომელნი არიან ეგვპტეს, და ვიხილნე იგინი, ცოცხალ-და³ თუ³ არიან. ჰრქუა იოთორ მოსეს: გუაღე, ვილოდე ცოცხლებით! შემდგომად დღე-

თაჲ მრავალთა მოკუდა მეფე იგი ეგვპტელთაჲ.

19. ჰრქუა უფალმან მოსეს მადიამს შინა: გუაღე და ვილოდე ეგვპტელ, რამეთუ მოწყდეს ყოველნი, რომელნი ეძიებდეს სულსა შენსა.

20. წარმოიყვანა მოსე⁴ ცოლი თჳსი და ყრმანი და ასხნა იგინი კარაულებსა და მოიქცა ეგვპტელ...

21. ჰრქუა უფალმან [76] მოსეს: მი-რაჲ-ხვდოდი შენ და მიიქცე ეგვპტელ, იხილე, ნიშები იგი ყოველი, რომელი მიგეც კელსა შენსა, ქმენ წინაშე ფარაოხსა. ხოლო მე განვაფიცხო გული⁵ ფარაოხსი და არა გამოუტევოს ერი ჩემი.

22. შენ არქუ ფარაოს: ამას იტყვს უფალი: ძმ ჩემი პირმშოჲ ისრაელი.

23. გარქუ შენ: გამოუტევე ერი ჩემი, რაჲთა მსახურებდნენ მე. უკუეთუ არა ინებო გამოვლინებად, იხილე, მე მოვკლა ძმ შენი პირმშოჲ.

24. იყო გზასა ზედა საენანსა მას შემთხუა მას ანგელოზი უფლისაჲ და ეგულეა მოკლავა მისი.

25. და მოიღო სეფორა ქასრი და წინა-დასცუთა წინა-დაცუეთილებად ძისა თჳსისაჲ და შეუერდა ფერკთა მისთა და თქუა: დადგა სისხლი წინა-დაცუეთი-ლებისა ძისა ჩემისაჲ.

26. და წარვიდა მისგან ანგელოზი იგი, რამეთუ თქუა: დადგა სისხლი წინა დაცუეთისაჲ ყრმისა ჩემისაჲ.

27. ჰრქუა უფალმან აჰრონს: განვედ შენ და მიეგებოდე შენ მოსეს უდაბნოდ. განვიდა და შეემთხუა მას მთასა მას ზედა ღმრთისასა და ამბორს-უყვეს ურთიერთას.

28. და უთხრნა მოსე აჰრონს ყოველ-ნი ესე სიტყუანი ღმრთისანი, რომელ-

თათჳს მო:ვლინა, და ყოველნი ესე სამარ-
თალნი, რომელი ამცნო მას.

29. მოვიდეს მოსე და აჰრონ და შე-
კრიბნეს მოხუცებულნი ძეთა ისრაჲლი-
სათანი.

30. და ეტყოდა [ჲ] აჰრონ ყოველთაჲე
მათ სიტყუათა, რომელთა ეტყოდა

ლმერთი მოსეს, და ქმნა სასწაულნი
წინაჲე ერისა მის.

31. ჰრწმენა ერსა მას და განიხარეს,
რამეთუ მოჰხედა უფალმან ერსა თჳსსა,
ძეთა ისრაჲლისათა, და რამეთუ იხილა
კირი იგი მათი. მოდრკეს ერი იგი და
თაჲუანის-სცეს უფალსა.

5

1. და ამისა შემდგომად შევიდეს მო-
სე¹ და აჰრონ და ჰრქუეს ფარაოს:
ამას იტყუხ უფალი ლმერთი ისრაჲლი-
საჲ: გა:ოავლინე ერი ჩემი, რაჲთა მმსა-
ხურებდენ მე უდაბნოსა ზედა.

2. და ჰრქუა ფარაო: ვინ არს, რომლი-
საჲ ვისიმინო ნისი, ვითარჲედ განუტევნე
ძენი² ისრაჲლისანი? არა ვიცი უფალი
და არცა განუტეო ისრაჲლი.

3. და ჰრქუეს მას: ლმერთი ებრაელ-
თაჲ მიწესს ჩუენ, განვიდეთ გზასა სა-
მისა დღისასა უდაბნოდ, რაჲთა მსხუერპ-
ლი შეეწიროთ უფლისა ღმრთისა ჩუე-
ნისა, ნუჲუჲე შემეძნებოს ჩუენ სიკუ-
დილი ანუ მიხული.

4. ჰრქუა მათ მეფემან ეგვპტელთამან:
რაჲსათჳს თქუენ, მოსე და აჰრონ, გარ-
დააქცევთ ერსა საქმისაგან მათისა? წარ-
ვედით კაცად-კაცადი თქუენი საქმესა
თჳსსა.

5. და თქუა ფარაო: აჰა-ესერა აწ
გამრავლებულ არს ერი ესე ქუეყანისაჲ.
არღარა შეუნდო მათ საქმისა მისგან.

6. და უბრძანა ფარაო მას დღესა³
შინა საქმის მაწუეველთა⁴ მათ [77] ერი-
სათა [და]⁵ მწიგნობართა და ჰრქუა:

7. ნუღარა შესძინებთ ცემად ბჳესა⁶
აღიზისა საქმარად, ვითარცა გუჴინ და
ძულჴან, იგინი წარვიდედ და შეკრ:ბედ
თავისა თჳსისა ბჳს.

8. და ბრძანებული იგი ალიზი, რო-
მელსა იქმან დღითი-დღედ, იგივე დას-
დევით მათ, ნუჴცა რას დააკლებენ;
რამეთუ სცალს და მისთჳს ღალადებენ
და იტყუან: განვიდეთ და შეეწიროთ
უფლისა ღმრთისა ჩუენისა მსხუერპლი.

9. დაუმძიმდინ საქმე კაცთა მათ და
ზრუნვიდენ, და ნუ ზრუნეენ სიტყუასა
ცულსა.

10. ასწრაფებდეს მათ საქმის მაწუე-
ველნი იგი ერისანი და მწიგნობარნი
იგი და ეტყოდეს: ამას იტყუხ ფარაო:
არღარა გცემ თქუენ ბჳესა⁶.

11. თქუენ წარვედით და შეკრიბეთ
ბჳს, სადაცა ჰპოოთ, და არარაჲ დაა-
კლოთ თქუენ დაწესებულისა მის არცაღა
ერთ.

12. და განიზნია ერი იგი ყოველსა
ქუეყანასა ეგვპტისასა შეკრებად წუელი-
სა ბჳედ.

13. ხოლო საქმის მაწუეველნი იგი
ასწრაფებდეს მათ და ეტყოდეს: ალა-
სრულეთ საქმს თქუენი დაწესებული
დღითი-დღედ. ვითარცა-იგი რაჲამს ბჳს
გაცემოდა თქუენ.

14. და იტანჯებოდეს მწიგნობარნი
იგი ნათესავისა მისგან ძეთა ისრაჲლი-
სათა, რომელნი-იგი დაეჯინნეს მათ
ზედა ზედამდგომელთა მათ ფარაოჲსთა:
რაჲსათჳს არა აღასრულეთ [ჲ] დაწესე-

ბული იგი აღიზისა საქმს თქუენი გუშინ-
დულისა და ძულუნდელისა დლისაჲ
დღესა¹ ეგრევე?

15. შევიდეს მწიგნობარნი იგი ძეთა
ისრაელისათანი წინაშე ფარაოჲსა და
ეტყოდეს: რაჲსათჳს ესრეთ უყოფ მო-
ნათა შენთა?

16. ბჴესა არა გუცემ მონათა შენთა
და აღიზსა მასვე გუეტჳს საქელ? და
აჰ-ეგერა მონანი შენნი ტანჯულ არიან;
აენებ ეგრე ერსა შენსა.

17. ჰრქუა მათ ფარაო: გცალს და
მოცალე ხარო და მისთჳს იტყუთ: გან-
ვიდეთ და ვჰმსახუროთ ღმერთსა ჩუენსა.

18. და აწ წარვედით და იჰმოდეთ.
ხოლო ბჴს არა გეცეს თქუენ და დაწე-
სებული იგი აღიზი მოსცეთ თქუენ.

19. ვითარცა იხილნეს თავნი თჳსნი
მწიგნობართა მათ ძეთა ისრაელისათა,

რამეთუ ბოროტსა შინა არიან, ვითარ-
იგი ეტყოდეს, ვითარმედ: არა დააკლოთ
თქუენ გაწესებულსა² მას მდღევრსა³,

20. შემთხუნეს⁴ მოსეს და აჰრონს, მი-
რად -ვიდოდეს მათა, ვითარ-იგი გამო-
ოდენ -ვიდოდეს ფარაოჲსგან,

21. და ჰრქუეს მათ: იხილენ ღმერთმან
და საჯენ თქუენი, რამეთუ საძაგელ ჰქმე-
ნით სულნელებად ჩუენი წინაშე ფარა-
ოჲსსა და წინაშე მსახურთა მისთა მიცე-
მად მახული ჳელთა მათთა და მოკლვად
ჩუენდა.

22. მიჰცია მოსე უფლისა და ჰრქუა:
უფალო, რაჲსათჳს განაბოროტე ერი
ესე და რაჲსა მომავლინე მე?

23. [78] და ვინაჲთგან შევედ მე ფა-
რაოჲსა სიტყუად სახელითა შენითა, ბო-
როტსა უყოფს ერსა შენსა და არა იჴსენ
ერი შენი.

6

1. ჰრქუა უფალმან მოსეს: აწ იხილე,
რაჲ-იგი უყო მე ფარაოს, რამეთუ ჳე-
ლითა მტკიცითა გამოავლინნეს იგინი
და მკლავითა მალლითა გამოასხნეს იგი-
ნი ჳუეყანით მისით.

2. ეტყოდა ღმერთი მოსეს და ჰრქუა:
მე ვარ უფალი,

3. რომელი ვეჩუენე აბრაჰამს, ისაკს
და იაკობს, რომელთაჲ ღმერთი მე ვარ,
და სახელი ჩემი უფალ არა ვაუწყე⁵
მათ.

4. და დავამტკიცე აღთქუმაჲ ჩემი
მათ თანა მიცემად მათა ჳუეყანად იგი
ჴანანელთაჲ, ჳუეყანასა მას, რომელსა
მწირობდეს, რომელსა იყოფოდეს მას
ზედა.

5. და მესმნეს სულთ-თქუემანი⁶ ძეთა
ისრაელისათანი, რომლითა ეგჳბტელნი
იგი დაიმონებდეს მათ, და მოვიჴსენე
აღთქუმაჲ იგი თქუენი.

6. წარვედ, ეტყოდე ძეთა ისრაელისა-
თა და არქუ: მე ვარ უფალი და გამო-
გიყვანე თქუენ მძლავრებისაგან ეგჳ-
ბტელთაჲსა და გიჴსნე თქუენ კირთებისა-
გან მათისა და განგარინე თქუენ მკლა-
ვითა მალლითა და საშჯელითა დი-
ლითა.

7. და მოგიყვანე თქუენ ერად ჩემდა
და მე ვიყო თქუენდა ღმერთი და სცნათ,
რამეთუ მე ვარ უფალი ღმერთი თქუე-
ნი, რომელმან გამოგიყვანე თქუენ
ჳუეყანით ეგჳბტით მძლავრებისაგან ეგჳ-
ბტელთაჲსა

8. [v] და შევიყვანნე თქუენ ქუეყანასა მას, რომელსა განვირობ ჰელი ჩემი მიცემად იგი აბრაჰამს, ისაკს და იაკობს, მიგცე იგი თქუენ ნაწილად მე უფალმან.

9. ეტყოდა მოსე ესრეთ ძეთა ისრაელისათა და არა ისმინეს მოსესი სულმოკლებისაგან და საქმეთა მათგან ფიცებელთა.

10. ჰრქუა უფალმან მოსეს:

11. შევედ და ეტყოდე ფარაოს, მეფესა¹ ეგვიპტისასა, რადთა გამოაჲლინნეს ძენი ისრაელისანი ქუეყანით ეგვიპტით.

12. იტყოდა მოსე წინაშე ღმრთისა და თქუა: აჰა-ესერა ძეთა ისრაელისათა არა ისმინეს ჩემი და ვითარ ისმინოს ჩემი ფარაო, რამეთუ მე უტყუ ვარ?!

13. ეტყოდა უფალი მოსეს და აჰრონს და ჰრქუა და უბრძანა მათ ფარაოჲსა მიმართ მეფისა ეგვიპტელთაჲსა, რადთა გამოუტყენნეს ძენი ისრაელისანი ქუეყანით ეგვიპტით.

14. და ესე არიან მთავარნი სახლთა მძულთა მათთანი: ძენი რუბენისნი, შიმონისნი, ისრაელისანი: ენუქ და ფალუს, ასრონ და ქარმი. ესე არიან ნათესაენი რუბენისნი.

15. ძენი სვიმონისნი: იემოელ და იამინ და იუდ, იაქიმ და სარ და საულ, რომელი ესუა ზღვს-კიდელისა მისგან. ესე არიან ტომნი ძეთა სვიმონისთანი.

16. და ესე სახელები არს ძეთა ლევითაჲ ნათესაეებისაგან მათისა: გეთსონ, კაათ, მერარი. და წელნი ცხოვრებისა ლევისნი ას ოც და ჩდმეტ².

17. და ესე არიან [79] ძენი, გეთსონისნი: თობელი და სელმეი, სახლისა მამულისა მათისანი.

18. ძენი კაათისნი: ამბრამ და ისარ, ქებრო და ოზიელ. და წელნი ცხოვრებისა კაათისნი ას ოც და ათ წელ.

19. ძენი მერარისნი: მოლი და ომოსი. ესე სახლისა მამულისა ლევისნი ნათესავად-ნათესავადი მათი.

20. და მოიყვანა ამრამ იოქაბეტი, ასული მამის ძმისა თვისისაჲ, თავისა თვისისა ცოლად და უშვნა მას აჰრონ და მოსე³ და მარიამ, დაჲ მათი, ხოლო წელნი ცხოვრებისა ამრამისნი ას ოც და თექუსმეტ წელ.

21. ძენი ისაარისნი: კორე და აფეჲ და ზიჰრი.

22. ძენი იოზიელისნი: მისალ, ელისათან და სეგრი.

23. და მოიყვანა აჰრონ ელისაბეთი, ასული ამინადარისი, დაჲ ნაასონისი, თჳსა ცოლად და უშვნა მას ნაბად და აბიუდ, ელიაზარ და იოთარამ.

24. ძენი კორესნი: ასირი, ელნანა და⁴ აბიათარ. ესე შობანი კორესნი.

25. და ელიაზარ, ძემან აჰრონისმან, მოიყვანა ასულთაგან ფოტიელისთაჲ თჳსა ცოლად და უშვნა მას ფინეჲ. ესე მთავარნი ტომთა ლევისთანი მსგავსად შობისა მათისა.

26. ესე არიან მოსე და აჰრონ, რომელთა-იგი ჰრქუა ღმერთმან გამოყვანებაჲ [v] ძეთა ისრაელისათაჲ ეგვიპტით ძალითურთ მათით.

27. ესენი არიან, რომელნი ეტყოდეს ფარაოს, მეფესა¹ ეგვიპტისასა. და გამოიყვანნეს ძენი ისრაელისანი ეგვიპტით, ესე არიან აჰრონ და მოსე

28. დღესა მას, რომელსა ეტყოდა უფალი მოსეს ქუეყანასა ეგვიპტისასა

29. და ჰრქუა: მე ვარ უფალი; ეტყოდე ფარაოს, მეფესა¹ ეგვიპტისასა, რაოდენი გრქუა შენ.

30. და თქუა მოსე წინაშე უფლისა: აჰა-ესერა მე ვმად-წუღილ ვარ. ვითარ ისმინოს ჩემი ფარაო?

1. ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: აჰა-ეგერა მიგცე შენ ღმრთად ფარაოს, და აჰრონ, ძმაჲ შენი, იყოს შენდა წინა-წარმეტყველად¹.

2. შენ ეტყოდე მას ყოველსავე, რაჲ-დენსაცა გამცნებ შენ, და აჰრონ, ძმაჲ შენი, ეტყოდის ფარაოს, რაჲთა გამოავლინენს ძენი ისრაელისანი ქუეყანით ეგვპტით.

3. ხოლო მე განვაფიცებო გული ფარაოსსა და განვაძრავლენ სასწაულნი და ნიშნი ჩემნი ქუეყანასა ეგვპტიასა.

4. და არა ისმინოს თქუენი ფარაო, და მიგყო გელი ჩემი ეგვპტესა ზედა და განვიყვანო ძალითა ჩემითა ერი ჩემი, ძენი ისრაელისანი, ქუეყანით ეგვპტით შოვრის-გებითა დიდითა.

5. და ცნან ყოველთა ეგვპტელთა, რამეთუ მე ვარ უფალი, რომელმან მიგყავ გელი ჩემი ეგვპტესა ზედა და გამოვიყვანენ ძენი ისრაელისანი შოვრის მათსა.

6. და ყვეს მოსე და აჰრონ ეგრე, ვითარცა ამცნო მათ უფალმან, [80] ეგრეცა ყვეს.

7. მოსე იყო ოთხმოც წლის, ხოლო აჰრონ ოთხმოც და სამ წლის იყო, რაჲამს-იგი ეტყოდეს ფარაოს.

8. ეტყოდა უფალი მოსეს და აჰრონს და ჰრქუა:

9. უკუეთუ გეტყოდის თქუენ ფარაო და გრქუას: ყავთ სასწაული ანუ ნიში, და ჰრქუა აჰრონს ძმასა შენსა: მიიღე კუერთხი ეგე და ნიაგდე ქუეყანასა წინა-შე ფარაოხსა და წინაწე მსახურთა მისთა და იქნნას იგი ეგშაჲ.

10. შევიდეს მოსე² და აჰრონ წინა-შე ფარაოხსა და ყვეს ეგრეთ, ვითარცა

უბრძანა მათ უფალმან. მიაგდო აჰრონ კუერთხი იგი წინა-შე ფარაოხსა და მსახურთა მისთა და იქმნა იგი ეგშაჲ.

11. მოუწოდა ფარაო ბრძენთა მათ ეგვპტიასათა და გრძნეულთა. და ყვეს გრძნეულთა მათ ეგვპტიასათა გრძნებითა მათითა ეგრევე:

12. და მიაგდო კაცად-კაცადმან კუერთხი თჳსი და იქმნენს გეშაჲებ. და შთანთქნა³ კუერთხმან აჰრონისმან კუერთხები⁴ იგი მათი.

13. და განიტკიცა გული თჳსი ფარაო და არა ისმინა მათი, ვითარცა ეტყოდა მათ უფალი.

14. ჰრქუა უფალმან მოსეს: დამძიმებულ არს გული ფარაოხსი არა გამოვლინებად ერისა ჩემისა.

15. მივედ ფარაოხსა ხელე. აჰა-ეგერა გამოვალს მდინარესა⁴ მას წყალთასა და შეერთებ⁵ მას მდინარის კიდესა მას. და კუერთხი ეგე, რომელ [8] გარდაიქცა გუელად, მიიღე ჴელითა შენითა

16. და არქუ მას: უფალმან ღმერთმან ებრაელთამან მომავლინა მე შენდა და თქუა: გამოავლინე ერი ჩემი, რაჲთა მსახურებდენ მე უდაბნოსა ზედა. და აჰა-ეგერა არა ისმინე აჰაზომდე.

17. ამას იტყვს უფალი: ამით სცნა, რამეთუ მე ვარ უფალი: აჰა-ესერა მე ვსცე კუერთხითა ამით, რომელ არს ჴელსა ჩემსა, წყალსა ამას მდინარისასა და გარდაიქცეს სისხლად,

18. და თევზნი იგი მდინარისანი მოწყდენ⁶ და დაჟროლდენ⁶ მდინარენი იგი და ვერ ეფლოს⁷ მეეგვპტელთა მათ სუმაღ.

1 წყალდ A. 2 მოსე A. 3 ასეა A (გაუმართავია სინტაქსურად). 4 მდინარესა A. 5 მოწყდეს A. 7 დაჟროლდეს A. 7 ეფლო A.

19. ჰრქუა უფალმან მოსეს: არქუ შენ აპრონს, ძმასა შენსა: მოიღე კუერთხი ეგე შენი და და განირთხ წყალთა ზედა ეგვპტისათა და მდინარეთა ზედა მათთა და გამოსადინელთა წყალთა მათთასა. და იყვენ სისხლ, და იყოს სისხლი ყოველსა ქუეყანასა ეგვპტისასა ხეთჲ და ქვათა.

20. და ყვეს მოსე და აპრონ ეგრე, ვითარცა უბრძანა მათ უფალმან. და განიყრა აპრონ კუერთხი იგი მისი და სცა წყალსა მას მდინარისასა წინაშე ფარაოჲსსა და წინაშე მსახურთა მისთა, და გარდაიქცეს ყოველნი წყალნი მდინარისანი სისხლად.

21. და თევზნი მდინარისანი მოწყდეს და დაყოლდა მდინარე იგი და ვერ ეძლო ეგვპტელთა მათ წყალი იგი

მდინარისაჲ მის სუმაღ, და იყო სისხლი ყოველსა ქუეყანასა ეგვპტისასა.

22. [81] ყვეს ეგრეთვე გრძნელთა მათ ეგვპტისათა გრძნებითა მათითა. და განიფიცხა გული თჳსი ფარაო და არა გამოავლინა ერი იგი, ვითარცა ჰრქუა მას უფალმან.

23. მიიქცა ფარაო და შევიდა სახილ თჳსა და არა დააყენა გონებაჲ თჳსი არცა ამას ზედა.

24. თხარეს ყოველთა ეგვპტელთა გარემო მდინარესა მას, რაჲთამცა სუეს წყალი, და ვერ ეძლო სუმაღ წყალი მდინარისა მისგან.

25. აღესრულნეს შჳდნი დღენი შემდგომად გუემისა მის მდინარისა უფლისა მიერ.

8

1 (26). ჰრქუა უფალმან მოსეს: შევედ ფარაოჲსა და არქუ მას: ამას იტყვს უფალი: გამოავლინე ერი ჩემი, რაჲთა მსახურებდენ მე.

2 (27). უკეთეთ არა ინებო გამოვლინებად, აპო-ეგრეა ევლენე ყოველნი საზღვარნი შენნი მყოფითა¹.

3 (28). გამოსცეს მდინარეჲნი მყოფი, აღმოვდეს და შევიდეს სახლთა თქუენთა და საუნჯეთა სასუენებელთა თქუენთასა და ცხედართა ზენთა და სახლთა მსახურთა შენთასა და ერისა შენისასა და საპურესა შენსა და თორენსა შენსა,

4 (29). შენ ზედა და ერსა შენსა ზედა აღმოვდეს მყოფი.

(8)

5 (1). ჰრქუა უფალმან მოსეს: არქუ აპრონს, ძმასა შენსა: განირთხ კელითა შენითა კუერთხი ეგე მდინარესა

მაგას ზედა და კეენებსა და მწყურნებსა და აღმოიყვანე მყოფი.

6 (2). და განირთხა აპრონ კელი წყალთა მათ ზედა ეგვპტისათა და აღმოიყვანა მყოფი. აღმოვდა მყოფი და დაფარა ქუეყანაჲ ეგვპტისაჲ.

7 (3). [ყ]ვეს¹ გრძნელთა მათ ეგვპტისათა გრძნებითა მათითა და აღმოიყვანეს მყოფი. აღმოვდა მყოფი და დაფარა ქუეყანაჲ იგი ეგვპტისაჲ.

8 (4). მოუწოდა ფარაო მოსეს და აპრონს და ჰრქუა მათ: ილოცეთ ჩემთვის უფლისა მიმართ და აღიღეთ ჩემგან მყოფი ესე და ერისა ჩემისაგან, და განუღო ერი ეგე და მსახურებდით უფალსა.

9 (5). ჰრქუა მოსე ფარაოს: განაჩინე ჩემდამო, ოდეს ვილოცო შენთვის და

¹ ფ. 81-ს ჩაწოვილი აქვს გარეთა აზია. ჩამონაჭერს გაჰყოლია თითო-ოროლა ასოს ნ. წილები (წინა მხარეს მეორე სვეტის მარჯვნივ, უკანა მხარეს პირველი სვეტის მარცხნივ). თუ სულ დაჰარგულია ასლები, იმინი აქ კავებშია ჩასმული: მყოფითა¹ 8, 2; აღმოიყვანეს 8, 6; [ყ]ვეს 8, 7; [ჲ]რანა 8, 9. უკანასკნელი სიტყვის დაჰარგული ასო (გ) მთავრული ყოფილა და მისი ფეხის ნაწილი გადარჩენილა.

მსახურთა შენთათჳს და ერისა შენისათჳს, რაჲთა განქარდეს მყუარო შენგან და ერისა შენისაგან და სახლთა თქუენთაგან, [გ]არნა¹ მდინარეთა ხოლო დაშეთეს.

10 (6). ხოლო მან თქუა: ხეაღე. ჰრქუა მას მოსე: ვითარცა სთქუ, რაჲთა უწყოდო, რამეთუ აჩაიენ არს უფლისა გარეშე².

11 (7). და მოისპოს მყუარო შენგან და სახლთაგან თქუენთა და ეზოთა თქუენთა და მსახურთაგან შენთა და ერისა შენისა, გარნა მდინარეთა ხოლო დაშეთეს.

12 (8). გამოვიდეს მოსე და აჰრონ ფარაიგსგან. და ლალად-ყო მოსე უფლისა მიმართ განრინებისა მისთჳს ღროჲსა მყურისა, ვითარცა-იგი თქუა ფარაო.

13 (9). და ყო ეგრე უფალმან, ვითარცა თქუა მოსე. და მოწყდა მყუარო იგი სახლეისაგან და ეზოთა და ველთაგან.

14 (10). და შეკრბა იგი ზნად-ზნად და დაყროლდა ქუეყანაჲ.

15 (11). ვითარცა იხილა ფარაო, რამეთუ ეცა მას ლხინება³, განიფიცბა გული მისი და არა [82] ისმინა მათი, ვითარცა ეტყოდა უფალი.

16 (12). ჰრქუა უფალმან მოსეს: არქუ აჰრონს, ძმასა შენსა: განირთხ გელითა შენითა ქუერთხი ეგე და ეც მიწასა ქუეყანისასა. და იყოს მუშლი კაცთა ზედა და ოთხფერკთა და ყოველსა ქუეყანასა ეგვპტისასა.

17 (13). განირთხა აჰრონ ჯელითა ქუერთხი იგი და სცა მიწასა ქუეყანისასა და იყო მუშლი ყოველსა ქუეყანასა ეგვპტისასა.

18 (14). ყვეს ეგრევე გრძნეულთაცა მათ ეგვპტისათა, რაჲთამცა გამოიყვანეს მუშლი და ვერ შეუძლეს. და იყო მუშლი კაცთა ზედა და ოთხფერკთა.

19 (15). ჰრქუეს გრძნეულთა მათ ფარაოსთა: თითო ღმრთისაჲ არს ესე. განიფიცბა გული თჳსი ფარაო და არა ისმინა მათი, ვითარცა-იგი ეტყოდა მათ უფალი.

20 (16). ჰრქუა უფალმან მოსეს: აღიმსოუე განთიად და დადეგ წინაშე ფარაოჲსა, რამეთუ იგი გამოვალს მდინარესა მაგას, და არქუ მას: ამას იტყვს უფალი: გამოავლინე ერი ჩემი, რაჲთა მმსახურებდენ⁴ მე უდაბნოსა.

21 (17). უკუეთუ არა ინებო გამოვლინებად ერი ჩემი, რაჲთა მსახურებდენ⁵ მე უდაბნოსა ზედა, აჰა-ეგერა მე ზოვა-ვლინო შენ ზედა და მსახურთა შენთა ზედა და ერსა შენსა ზედა ძალლის მწერი, და აღივსნენ სახლნი ეგვპტისანი ძალლის მწერითა და ქუეყანაჲ, რომელსა არიან მას ზედა.

22 (18). და ვიდიდო მე მას ღლესა შინა ქუეყანასა მას გესემისასა, რომელსა ზედა არს ერი ჩემი: მას ზედა არა იყოს ძალლის მწერი, რაჲთა უწყოდო, [v] რამეთუ მე ვარ უფალი ღმერთი ყოვლისა ქუეყანისაჲ.

23 (19). და ვსცე განჩინებაჲ შოვრის ერსა ჩემსა⁶ და შოვრის ერისა შენისა⁷. ხეალისა ღლესა იყოს სასწაული ქუეყანასა ზედა.

24 (20). და ყო უფალმან ეგრე და მოაწია სიმრავლე ძალლის მწერისაჲ სახლსა ფარაოჲსსა და სახლსა მსახურთა მისთასა და ყოველსა ქუეყანასა ეგვპტისასა და მოსრა ქუეყანაჲ ძალლის მწერმან.

25 (21). მოუწოდა ფარაო მოსეს და აჰრონს და ჰრქუა: წარვედით და ჰმსახურეთ ღმერთსა თქუენსა ქუეყანასა მაგასე ზედა.

26 (22). ჰრქუა მას მოსე: ვერ შესაძლებელ არს ეგრძთ ყოფად, საძაგელი

ეგვპტისაჲ არა შეეწიროთ უფლისა ღმრთისა ჩუენისა. უკუეთუ შეეწიროთ უფლისა ღმრთისა ჩუენისა სიძაველი ეგვპტისაჲ წინაშე მისსა, ქვითა განვიტუნეთ.

27 (23). არამედ გზასა სამისა ღლისა სავალსა განვიდეთ უდაბნოდ და შეეწიროთ უფლისა ღმრთისა ჩუენისა, ვითარცა-იგი მრქუა ჩუენ.

28 (24). და თქუა ფარაო: მე განგიტევენ თქუენ და მსახურეთ უფალსა ღმერთსა თქუენსა უდაბნოს. არამედ არა შორად განსწურთეთ უდაბნოდ განსლვად. ილოცეთ ჩემთვის უფლისა მიმართ.

29 (25). ჰრქუა მოსე: აჰა-ესერა მე განვალ შენგან და მსახურთა შენთაგან და

ვილოცო ღმრთისა მიმართ და განვიდეს ძაღლის მწერი შენგან და მსახურთაგან შენთა და ერისაგან შენისა. ნულარა შესძინებენ [83] ფარაო ცთუნებად თავისა თვისისა, ვითარმცა არა განუტევე ერი ესე მსხუერპლისა შეწირვად ღმრთისა.

30 (26). გამოვიდა მოსე ფარაოვსგან, ილოცა ღმრთისა მიმართ.

31 (27). და ყო ეგრე უფალმან, ვითარცა თქუა მოსე. და მოისპო ძაღლის მწერი ფარაოვსგან და მსახურთაგან მისთა და ერისაგან მისისა და არა დაშთა არცა ერთ.

32 (28). და დაიმძიმა გული ფარაო ამასცა ჟამსა შინა და არა ინება გამოვლინებად ერისაჲ მის.

9

1. ჰრქუა უფალმან მოსეს: შევედ ფარაოვსა და არქუ მას: ამას იტყჳს უფალი ღმერთი ებრაელთაჲ: გამოავლინე ერი ჩემი, რადთა მსახურებდენ მე.

2. უკუეთუ არა ინებო გამოვლინებაჲ ერისა ჩემისაჲ, არამედ მერმე კუალად იპყრობდე-ლა,

3. აჰა-ესერა კელი უფლისაჲ იყოს საცხოვართა მათთა ზედა, რომელ არს ველთა გარე, ცხენთა ზედა და კარაულთა, ზროხათა და ცხოვართა სიკუდილი დიდი ფრიად.

4. და ვიდიდო მე მას ჟამსა შინა შოვრის საცხოვართა მათ ეგვპტელთაჲსა და შოვრის საცხოვართა ძეთა¹ ისრაელისათა: არა მოკლდეს საცხოვართაგანი ძეთა ისრაელისათაჲ არცა ერთ.

5. და მოსცა ღმერთმან განჩინებაჲ ესე და თქუა: ზეალე ყოს უფალმან სიტყუაჲ ესე ქუეყანასა ზედა.

6. ...და მოწყვდა ყოველი საცხოვარი ეგვპტისაჲ, ხოლო საცხოვართაგან ძეთა¹ ისრაელისათა არა მოკლდა არცა ერთ.

7. [9] იხილა ფარაო, რამეთუ არა მოკლდა საცხოვართაგან ძეთა ისრაელისათა არცა ერთ. დაძმძიმა გული ფარაოვსი და არა განუტევა ერი იგი.

8. ეტყოდა უფალი მოსეს და აჰრონს და ჰრქუა: მოიღეთ თქუენ კელითა თქუენითა სავსე ნაცარი საჭუმისაგან და აღაფქურიენ მოსე ცად წინაშე ფარაოვსა და წინაშე მსახურთა მისთა.

9. და იყავნ მტუერი ყოველსა ქუეყანასა ეგვპტისასა, და იყოს კაცთა ზედა და ყოველთა ზედა ოთხფერკთა ფაქლი გამომტუეფლვარს აღმოსხმით კაცთა ზედა და ოთხფერკთა და ყოველსა ქუეყანასა ეგვპტისასა.

10. მოილო მოსე მტუერი იგი საჭუმისაჲ წინაშე ფარაოვსა და აღაფ-

ქურია ცად. და იყო ფაქლი მტკუფელ-
ვარც გამოსხნით კაცთა ზედა და ოთხ-
ფურცთა.

11. და ვერ ეძლო გრძნეულთა მათ
დადგომად წინაშე მოსესა გუემისა მის-
გან, რამეთუ იყო ფაქლი იგი გრძნეულ-
თაცა ზედა და ყოველსა ქუეყანასა
ეგვპრისასა.

12. განიფიცხა გული თვისი ფარაო და
არა ისმინა მათი, ვითარ-იგი ეტყოდა
უფალი.

13. ჰრქუა უფალმან მოსეს: აღიმსთუე
განთიად და დადგე წინაშე ფარაოჲსა
და არქუ მას: ამას იტყვს უფალი ღმერ-
თი ებრაელთაჲ: გამოავლინე ერი ჩემი,
რადათა მსახურებდენ მე უდაბნოსა ზედა.

14. უკუეთუ არა, აწვეე ამას ეამსა
შინა გამოვლინე¹ ყოველნი შემთხუე-
ვანი ჩემნი გულსა შენსა და მსახურთა
და ერისა შენისასა და სცნა, ვითარმედ
სხუად არავინ არს [84] ჩემსა გარეშე²
ყოველსა ქუეყანასა;

15. რამეთუ აწ. მივავლინო ტელი ჩემი
და მოგსრა შენ და ერი შენი და მოი-
სპო შენ ქუეყანით.

16. რამეთუ და-ვე ამრსთვს -გმარხე
შენ, რადათა ვაჩუენო შენ ზედა ძალი
ჩემი და რადათა განითქუას სახელი ჩემი
ყოველსა ქუეყანასა ზედა;

17. რამეთუ შენ იყენებ-და ერსა ჩემსა
არა გამოვლინებად მათა.

18. აჰა-ეგერა ეაწჳმო ეამსა ოდენ
ამას ხვალე³ სეტყუად დიდადი ფრიად,
რომელ ეგვეითარი არა ყოფილ იყოს
ეგვპრეს, ვინათგან დაებადა, ვიდრე
აქამოდღე.

19. აწ იწრაფე შეკრებად საცხოვარი
შენი და რაოდენი-რად არს ველსა ზედა
შენი: ყოველივე კაცი და საცხოვარი,
რაოდენი იპოოს ველსა ზედა და არა

შევიდეს სახლსა, დაეცეს მას ზედა სე-
ტყუად და მოკუდეს.

20. რომელთა-იგი შეეშინა სიტყვსაგან
უფლისა მსახურთაგანთა ფარაოჲსთა,
შეიკრიბეს საცხოვარი მათი სახლებსა.

21. ხოლო რომელი-იგი არა ერჩდა
გონებითა თვისთა სიტყუასა უფლისასა,
დაუტევეს ველსა გარე.

22. ჰრქუა უფალმან მოსეს: განირთხ
ტელი შენი ცად და იყოს სეტყუად ყო-
ველსა ქუეყანასა ეგვპრისასა, კაცთა
ზედა და ცხოვართა და ყოველსა ზედა⁴
მწუანელისა ველისასა.

23. განირთხა მოსე ტელი თვისი ზეცად
და უფალმან მოსცა ქუხილი და სეტყუად
და აღატყდებოდა ცეცხლი და აწჳმა
უფალმან სეტყუად ყოველსა ქუეყანასა
ეგვპრისასა კაციოგან მიპირუტყუამდე⁵.

24. [v] იყო სეტყუად და ცეცხლი
შეწუფელი სეტყუასა მას თანა. ხოლო
სეტყუად იგი დიდ იყო ფრიად, რომელ
ეგვეითარი არა ყოფილ იყო ყოველსა
ქუეყანასა ეგვპრისაჲ, ვინათგან იყო
მას ზედა ნათესავი.

25. და მოსრა სეტყუამან ყოველსა
ქუეყანასა ეგვპრისასა კაციოგან მიპირ-
უტყუამდე და ყოველივე მწუანელი,
რომელი იყო ველსა ზედა, მოსრა სე-
ტყუამან და ყოველი ხმ ველისად მო-
სრა.

26. ხოლო ქუეყანასა გესემისასა, რო-
მელსა ზედა იყენეს ძენი ისრაჲლისანი,
არა იყო სეტყუად.

27. მოუწოდა ფარაო მოსეს და
აპრონს და ჰრქუა მათ: ვცოდე აწ
უფლისა მიმართ. მართალ არს უფალი
და მე და ერი ჩემი უღმრთო.

28. ილოცეთ ჩემთვის უფლისა მიმართ
და დასცხრენ ჳმანი ესე ღმრთისანი

ამიერიდან, ცეცხლი ესე და სეტყუაჲ,
და განგიტევენ თქვენ.

29. ჰრქუა მას მოსე: ვითარცა განვი-
დე ქალაქით, განვიპყრნე კელნი ჩემნი
უფლისა მიმართ და ჭიანი ესე დასცხრენ,
და სეტყუაჲ და წჳმად არლარა იყოს,
... რანეთუ უფლისაჲ არს ქუეყანაჲ ესე.

30. ხოლო შენ და მსახურნი შენნი
გიცნი, რამეთუ არღა გეშინის ღმრთისა.

31. სელი და ქრთილი იგუემა, რამე-
თუ ქრთილი წარმოდგომილ იყო და სე-
ლი თესლოლდა.

32. ხოლო ითქლი და ასლი არა
იგუემა, რამეთუ მცხუელ იყო.

33. გამოვიდა მოსე გარე ქალაქით
ფარაოვსგან და განიპყრნა კელნი უფ-
ლისა მიმართ. ქუხილი იგი დასცხრა და
სეტყუაჲ და წჳმად არლარა დასწუეთა
ქუეყანისა ზედა.

34. [85] ვითარცა იხილა ფარაო,
რამეთუ დასცხრეს ქუხილნი იგი, სე-
ტყუაჲ და წჳმად, შე-ლავე-სძინა ცოდ-
ვად და დაიმძიმა გული თჳსი და მსა-
ხურთა მისთა.

35. განფიცხნა გული ფარაოვსი და
არა განუტევა ერი იგი, ძენი ისრაელი-
სანი, ვითარ-იგი ეტყოდა უფალი მოსეს.

10

1. ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა:
მივედ შენ ფარაოვსა, ხოლო მე განვა-
ფიცხო გული ფარაოვსი და მსახურთა
მისთაჲ, რაჲთა შემდგომ-თი-შემდგომად
მოვიდნენ სასწაულნი ესე მათ ზედა.

2. რაჲთა მიუთხრობდნენ ყურთა შეილ-
თა თქუენთასა და შეილის შეილთა
თქუენთასა, რაედენ¹ მოვიციხნე ჩეგვპ-
ტელნი ეგე, და სასწაულნი ჩემნი, რო-
მელ ექმნნე მათ შორის, და სცნათ,
რამეთუ მე ვარ.

3. შევიდეს მოსე და აჰრონ ფარაო-
სა და ჰრქუეს მას: ამას იტყვს უფა-
ლი ღმერთი ებრაელთაჲ: არა გნებავს,
რაჲთამცა შეიკიდნე ჩემგან? განუტევე
ერი ჩემი, რაჲთა მსახურებდნენ მე.

4. უკუეთუ არა ინებო გამოვლინებად
ერისა ჩემისა, აჰა-ესერა მე მოვაფინო
ხვალე ამასეჲ ყამსა ოდენ მკალი დიდ-
ძალი ფრიად ყოველთა საზღვართა
შენთა.

5. და დაფაროს პირი ქუეყანისაჲ და
ვერ უძღო ხილვად ქუეყანისა და შე-

ჰამოს ყოველი ნემტი ქუეყანისაჲ, რო-
მელი დაგიშთა თქვენ სეტყვასგან, და
შეჰამოს ყოველი ხმ მცენარჲ თქუენი
ქუეყანასა ზედა.

6. და აღივსნენ სახლნი შენნი და
სახლნი მსახურთა [ჟ] შენთანი და ყოვე-
ლი სახლები, რაედენ-რაჲ² არს ქუეყანასა
ეგვპტისასა, რომელი არასადა ეხილვოს
მამათა შენთა, არცა უწინარესთა მამათა
მათთა, ვინაჲთვან იყვნეს ქუეყანასა ზე-
და ვიდრე დღემწდელად დღემდემ³.
მოიქცა მოსე და გამოვიდა ფარაოვს-
გან.

7. ჰრქუეს მსახურთა ფარაოვსთა ფა-
რაოს: ვიდრემდე იყოს ესე ჩუენ ზედა
ტანჯვაჲ? განუტევენ კაცი ესე, რაჲთა
ჰმსახურონ უფალსა ღმერთსა მათსა.
ანუ არა უწყი, რამეთუ წარწყმდა
ეგვპტე⁴?

8. მოაქციეს მოსე და აჰრონ ფარა-
ოვსა. ჰრქუა მათ ფარაო: განვედიო და
ჰმსახურეთ უფალსა ღმერთსა თქუენ⁵.
ვინ და ვინ არიან, რომელნი განგლენ?

9. ჰრქუა მას მოსე: კაბუჯით ჩუენითურთ და მოხუცებულთ განვიდეთ, ძეგბითურთ და ასულეზით, ცხოვრით და ზროხით, რამეთუ დღესაწაული¹ არს უფლისა ღმრთისა ჩუენისაჲ.

10. ჰრქუა მათ ფარაო: იყავნ ეგრძთ! უფალი ოქუნ თანა! რამეთუ განგიტევნე თქუნ, ნუჟუე ქურკერიცა თქუენი? ჩხოლეო, რამეთუ ბოროტი წინა-გიც თქუნ.

11. ნუ ეგრე, არამედ განვიდედ მამანი და ჰმსახურედ ღმერთსა, რამეთუ ეძიებთვე თქუნ მაგას, და გამოასხნეს იგინი პირისაგან ფარაოჲსისა.

12. ჰრქუა უფალმან მოსეს: განირთხველი შენი ქუეყანასა ზედა ეგვპრისასა და აღმოვდეს მკალი ქუეყანასა ზედა და შეკამოს მწუანვილი ქუეყანისაჲ [38] და ყოველი ნაყოფი ხეთაჲ, რომელი დაუშთა სეტყუასა.

13. და აღიპყრა მოსე კუერთხი იგი ცად და უფალმან მოჰვდა ქარი სამხრით ქუეყანასა ზედა დღე ყოველ² მას დღესა³ შინა და ღამე ყოველ⁴. და ვითარ განთენა, ქარმან ქუელმომან აღმოიღო მკალი

14. და მიჰფინა ყოველსა ქუეყანასა ეგვპრისასა. და დაადგრა ყოველთა ზედა საზღვართა ეგვპრისათა დიდძალი ფრიად, რომელი უწინარჲს მისსა არა იყო მკალი და მისა შემდგომად არავე იყო ეგრძთ.

15. და დაფარა პირი ქუეყანისაჲ და მოჰამა ყოველი მწუანვილი ქუეყანისაჲ და ნაყოფი ხეთაჲ⁵, რომელდა-იგი დაშთომილ იყო სეტყვსაგან. არაარა დაშთა ნედლი არცა ერთ ხეთა შინა და ყოველსა მწუანვილსა ქუეყანისასა ყოველსა ეგვპრესა⁶.

16. ასწრაფებდა ფარაო მოწოდებად მოსესა და აპრონისა და ჰრქუა მათ: ეცოდე წინაშე უფლისა ღმრთისა თქუენისა და თქუნდა მიმართ.

17. აწ ესე ხოლო ცოდვაჲ თავსიდევიტ და ილოცეთ ჩემოჲს უფლისა მიმართ ღმრთისა თქუენისა და აღიღეთ ჩემგან სიკუდილი ესე.

18. გამოვიდა მოსე ფარაოჲსგან და ილოცა ღმრთისა მიმართ.

19. და მოსცა უფალმან ქარი ზღვთ სასტიკი, აღილო მკალი იგი და შთაყარა ზღუასა მის მეწამულსა და არა დაშთა მკალი ყოველსა ქუეყანასა ეგვპრისასა.

20. და [x] განუფიცხა უფალმან გული ფარაოს და არა გამოუტევნა ძენი ისრაჲლისანი.

21. ჰრქუა უფალმან მოსეს: განირთხველი შენი ცად და იყავნ ბნელი ქუეყანასა მას ეგვპრისასა, ჯელით საძიებელი ბნელი.

22. განირთხა მოსე ჯელი ცად და იყო ბნელი წყუდიადი, ნესლი და არმური ყოველსა ქუეყანასა ეგვპრისასა სამ დღე⁷.

23. ... და არავენ აღდგა საწოლით თჳსით სამ დღე⁷, ხოლო ყოველთა ზედა ძეთა ისრაჲლისათა იყო ნათელი ყოველსა შინა, ვიდრეცა ვიდოდეს.

24. მოუწოდა ფარაო მოსეს და აპრონს და ჰრქუა: განვედით და ჰმსახურეთ უფალსა ღმერთსა თქუენსა, გარნა ცხოვარი და ზროხაჲ დაუტევეთ და ქურკერიცა თქუენი განვეიღეთ თქუნ თანა.

25. ჰრქუა მოსე: არამედ შენცა გუეც რაჲ ჩუენ მსხუერპლად და შესაწირავად

1 დღესასწაული A. 2 დღე ყოველ A. 3 დღესა A. 4 ღამე ყოველ A. 5 ხმთა A. 6 ეგვპრესა A. 7 დღე A.

და შეეწიროთ უფლისა ღმრთისა ჩუენისა;

26. და საცხოვარიცა ჩუენი განვიდეს ჩუენ თანა და არა დაუტეოთ ნისგანი ქლაკიცა ერთი, რამეთუ მათგანი ზოგილოთ სანსახურებლად უფლისა ღმრთისა ჩუენისა, რამეთუ ჩუენ არა ვიცით, რამ შეეწიროთ უფლისა ღმრთისა ჩუენისა ვიდრე მისლვადმდე ჩუენდა მუნ.

27. განუფიცხა უჟულმან გული ფარაოჲსი და არა ინება გამოვლინებაჲ მათი.

28. და ჰრქუა ფარაო მოსეს: განგულე ჩემგან და ექცაღე თავესა შენსა და ჯულარა შექმინებ ხილვად პირისა ჩემისა: [87] რომელსა დღესა ნეჩუენო მე, მოჰყუდე.

29. თქუა მოსე: არლა გეჩუენო პირსა შენსა.

11

1. ჰრქუა უჟალმან მოსეს: ერთი-ღა ტანჯუად მოეჭადო ფარაოჲს ზედა და ეგვტესა ყოველსა და ამისა¹ შემდგომად განგიტევნეს თქუენ ამიერ. და რაჲჲს განგიტევნეს, ყოვლითურთ განგასხნეს თქუენ განსხმით.

2. ეტყოდე იდუმალ ყურთა ერისათა და ითხოენ კაცად-კაცადმან მახლობელისაგან თჳსისა და დედაკაცმან მოძმისაგან თჳსისა ქურჭერი ოქროსაჲ და ვეცხლისაჲ და სამოსელი.

3. და მოსცა უჟალმან მადლი ერსა თჳსსა წინაშე ეგვტელთა და აჴიეს მათ. და კაცი იგი მოსე განდიდნა ფრიად წინაშე ეგვტელთა მათ და წინაშე ფარაოჲსისა და წინაშე მსახურთა მისთა.

4. ჰრქუა მოსე: ამას იტყჳს უფალი: შუალამეს² ოდენ მე შევიდე ჴოვრის ეგვტესა³.

5. და მოწყდეს ყოველი პირმშოჲ ქუეყანასა ეგვტისასა პირმშოჲგან ფარაოჲსით, რომელი ზის საყდართა ზედა, ვიდრე პირმშოდმდე მკველისა, რომელი ზის ფქველთა თანა, და ვიდრე პირმშოდმდე ყოვლისა პირუტყჳსა.

6. და იყოს ღალადებაჲ ყოველსა ქუეყანასა ეგვტისასა, რომელ ეგევითარი... არლა შეეძინოს ყოჲად.

7. და ყოველთა ჴოვრის ძეთა ისრა-ელისათა არა განძრას ძალდმან ენაჲ თჳსი კაცითგან მიპირუტყუანდე, [v] რაჲთა უწყოდი, რადენ ადიდოს უჟალმან ჴოვრის ეგვტელთა და ჴოვრის ძეთა ისრა-ელისათა.

8. და მოვიდოდიან ჩემდა ყოველნი ესე მონანი შინი, თაჳჴანის-მცემდენ მე და მეტყოდიან: განვედ შენ და ყოველი ერი შენი, რომელსა-ეგე შენ იტყჳ⁴, და ამისა შემდგომად განიხდე⁵. გამოვიდა მოსე პირისაგან ფარაოჲსა გულის წყრომით.

9. ჰრქუა უჟალმან მოსეს: არა ისმინოს თქუენი ფარაო, რაჲთა განვაბრავლენ სასწაულნი ჩემნი და ნიშნი ქუეყანასა ეგვტისასა.

10. მოსე და აჴრონ ქჳნეს ესე ყოველი ქუეყანასა ეგვტისასა წინაშე ფარაოჲსისა. და განუფიცხა უჟალმან გული ფარაოჲსი. და არა ისმინა ძეთა ისრა-ელისათა [განტევებად იგინი]⁶ ქუეყანით ეგვტით.

1 ამისა A. 2 შუალამეს A. 3 ეგვტისა A. 4 ასეა A (მოსალოდნელი იყო: უძღვ). 5 ასეა A. (მოსალოდნელი იყო: განვიდე). 6 განტევებად იგინი—A.

12

1. და ეტყოდა უფალი მოსეს და აჰრონს ქუეყანასა ეგვპტისასა და ჰრქუა მათ:

2. ესე თუე არს თქვენდა დასაბამად თუეთა, პირველი არს ესე თქვენდა თუეთა შინა წელიწდისათა.

3. ეტყოდე შენ ყოველსა კრებულსა ძეთა ისრაელისათა და არქუ: ათსა ამის თჳსასა მოიბნ კაცად-კაცადმან ცხოვარი სახლად - სახლად ტომებისა მათისამან, თითოეულმან ცხოვარი სახლად - სახლად.

4. უკეთეთუ მცირედ იყენენ სახლსა შინა და ვერ უძლებდენ ცხოვარსა შეკმად, თანა-შეირთენ მოძმე მოყუასი თჳსი რიცხსაებრ თავადისა, კაცად-კაცადმან აღირაცხენ, რადენნი იყენენ ცხოვარსა მას.

5. [88] ცხოვარი სრული ვერძი წელიწდელი¹ იყოს თქვენდა. კრავთაგან და თიკანთაგან მოიბათ.

6. და იყოს თქვენდა დამარბულ ვიდრე მეთხუთმეტედ დღემდე თუესა აჰას და დაკალნ იგი ყოველმან სიმრავლემან კრებულისა ძეთა ისრაელისათამან მიმწუხრი.

7. და მოიღოს სისხლისა მისისაგანი და სცხოს ორთავე წყირთლთა და ზღურბლსა კარისასა სახლსა შინა, რომელსა-იგი კამდენ მუნ.

8. და კამონ ჯორცი იგი მწუარი ცეცხლითა და უცომოვ ველის ყრდელისა თანა კამედ.

9. არა შუამოთ მისგანი უგბოლველი, არცა მგბარი წყლითა, არამედ მწუარი ცეცხლითა თავი² ფერკითურთ და ნაწლევით.

10. არა დაუტეოთ მისგანი განთიად-მდე და ძელი არა შეჰმუსროთ, და მისგანი რომელი დაშთეს განთიადმდე, ცეცხლითა დაწეთ.

11. და ესრე კამდით მას: წელნი თქუენნი მორტყმულ იყენენ და კამლნი თქუენნი ფერკთა თქუენთა... და კამეთ იგი სწრაფით, რამეთუ ზატიკი არს უფლისაჲ.

12. და განვლო მე ქუეყანაჲ ეგვპტისაჲ მას ღამესა და მოეწყვდო ყოველი პირმშოჲ ქუეყანასა ეგვპტისასა კაცი-გან მიპირუტყუამდე და ყოველთა ზედა ღმერთთა ეგვპტისათა ვყო შურისგებაჲ მე უფალმან.

13. და სისხლი იგი იყოს თქვენდა საწამებელად: [სახლთა და]³ რომელსა იყენეთ თქუენ, მუნ ვიხილო მე სისხლი იგი [v] და დაგიფარნე თქუენ და არა იყოს თქვენდა გუემად იგი შესამუსრველი, რაჲმს დავსცე მე ქუეყანასა ეგვპტისასა.

14. და იყოს თქვენდა დღე ესე საესენებელად და დღესასწაულობდით⁴ მას...

15. შუდ დღე⁵ უცომოსა კამდით, ხოლო პირველით დღითგანვე განაქარვეთ ცომი სახლთა თქუენთა. ყოველმან რომელმან კამოს ცომი, მოისპოს სული იგი ისრაელისაგან პირველით დღითგან, ვიდრე შეშუდედ დღემდე.

16. და პირველსა მას დღესა ეწოდოს [წმიდა და დღე იგი მეშუდს]⁶ წმიდა წოდებულ იყოს თქუენდა. ყოველი საკმე საშახტურებელი არა ჰქმნეთ მას დღესა⁷ შინი, გარნა რომელი იქმნების ყოვლისათჳს სულისა, ესე ხოლო ჰქმნეთ თქუენ.

1 წელიწადელი A. 2 თავით A. 3 სახლთა და]—A. 4 დღესასწაულობდით A. 5 დღე A.

6 წმიდა და დღე იგი მეშუდს]—A. 7 დღესა A.

17. და დაიმარხეთ მცნებაჲ ესე, რა-
მეთუ ამას დღისა განეყვანო ძალი
თქუენი ქუეყანით ეგვპტით და ჰყოფდით
დღესა მას ნათესავთა შოვრის თქუენთა
შჯულად საუკუნოდ.

18. დასაბამსა მეთოთხმეტისა¹ დღესა²
თჳსა მის პირველისასა მწუხრითგან ჰი-
მეთ უცმომა ვიდრე დღედმდე ოც და
მეგრუედ მის თჳსა ვიდრე მწუხრადმდე.

19. შვდ დღე³ ცომი არა იპოვოს
სახლთა თქუენთა. ყოველმან რომელმან
ჰამოს ცომოვანი, აღიკოცოს სული იგი
კრებულისაგან ისრაელისა ქუეყანის
მოქმედთაგან ვიდრე ქუეყანის მთავარ-
თამდე.

20. ყოველივე ცომიანი არა შჳმით,
ყოველსავე სამკვდრებელსა თქუენსა
[გჳ] შჳმდეთ უკომოსა.

21. მოუწოდა მოსე ყოველთა მათ
მოხუცებულთა ძეთა⁴ ისრაელისათა და
ჰრქუა მათ: წარვედით და მოიბთ თქუენ
თავისა თქუენისა ცხოვარი ნათესავად-
ნათესავადმან თქუენმან და დაქალთ
ზატაკად.

22. და მოიდეთ კონად უსუპი და და-
აწეთ სისხლსა მას წა სცხეთ წინაშე
კარსა და ზღურბლსა და ორკერძოვე
წყირთლთა სისხლისა მისგან, რომელ-
იგი არს კარისაჲ⁵, ხოლო თქუენ არა
გამოხვდით კაცად-კაცადი კართა სახლი-
სა თჳსისათა განთიადმდე⁶

23. და გარდამოვიდეს უფალი მო-
წყუედად ეგვპტელთა მათ და იხილოს სი-
სხლი იგი ზღურბლთა მათ და წყარდო-
ლთა და თანა-წარჰდეს უფალი კარსა
მან და არა უტემოს მომსრეველი იგი
შესლვად სახლსა მას თქუენსა მოსრ-
ვად.

24. დაიმარხეთ სიტყუაჲ ესე შჯულად
საუკუნოდ და შვილთა თქუენთა უკუ-
ნისადმდე.

25. უკუეთუ შეხვდეთ ქუეყანასა მას,
რომელი მოგცა თქუენ უფალმან ღმერთ-
მან, ვითარცა-იგი გეტყუდა თქუენ და-
მარხვად თქუენდა მსახურებაჲ ესე,

26. იყოს, რაემს გრქუან თქუენ
შვილთა თქუენთა: რაჲ არს მსახურე-
ბაჲ ესე?

27. და ჰრქუათ მათ: მსხუერპლი არს
ესე უფლისაჲ, რომელმან დაიფარნა სა-
ხლი ძეთა ისრაელისათანი ეგვპტის
შინა, რაემს მოსწყუედდა ეგვპტისა⁷,
ხოლო სახლი ჩუენნი იგნნა.

28. [v] მოდრკა ერი იგი და თაყუანის-
სცეს უფალსა და წარვიდეს და ყვეს
ძეთა⁸ ისრაელისათა, ვითარცა ამცნო
მათ მოსე და აჰრონ, ეგრეცა ყვეს.

29. და იყო შუელამეს ოდენ, და
უფალმან მოწყვდა ყოველი პირშოჲ
ქუეყანასა ეგვპტისასა პირშოჲთგან
ფარაოჲსით, [რომელი ჯდა საყდართა
ზედა]⁹ ვიდრე პირშოდმდე ტყვსა, რო-
მელი ჯდა ჯურღმულსა შიდა¹⁰ და ვიდრე
პირშოდმდე¹⁰ ყოვლისა პირუტყვსა.

30. აღდგა ფარაო ღამე¹¹ და ყოველ-
ნი მსახურნი მისნი და ყოველნი ეგვპ-
ტელნი და იყო ღალადებაჲ დიდი ყო-
ველსა ეგვპტესა, რამეთუ არა იყო სა-
ხლი, რომელსამცა შინა⁹ არა იყო მკუ-
დაი.

31. მოუწოდა ფარაო მოსეს და აჰ-
რონს და ჰრქუა მათ ღამე¹¹: აღდეგით
და განვედით ერისაგან ჩემისა თქუენ
და ძენი ისრაელისანი და ჰმსახურეთ
უფალსა ღმერთსა თქუენსა, ვითარცა-
გემ იტყვთ.

1 მეთოთხმეტისა A. 2 დღისა A. 3 დღე A. 4 ძმთა A. 5 კარისაჲ კრავისაჲ A. 6 გან-
თიადმდე A. 7 ეგვპტისა A. 8 რომელი ჯდა საყდართა ზედა—A. 9 ასე (სრულად არის
დაწერილი). 10 პირშოდმდე პირუტყუადმდე A (შეცდომა ორივე სიტყვის ერთნაირი და-
საწყისისაგან არის წარმოდგარი). 11 ღამე A.

32. ცხოვარი და ზროხაჲ თქუნი განასხთ და ვიდოდეთ, ვითარცა-ეგე სთქუთ¹, არაჲდ მაკორთხეთ მეცა.

33. აიძულებდეს მეგვპტელნი იგი ძეთა ისრაელისათა მწრაფელ განსლვად ქუეყანით ეგპტით, რამეთუ თქუეს, ვითარმედ: ჩუენ ყოველნი მოგწყდეთ.

34. აღაღო ერმან ზან ცაქლი იგი ვიდრე შესუარვადმდე თბისა მათისა, შეყოფილი სამოსლითა² შათითა და აღიკიდეს ზურგსა მათსა.

35. ხოლო ძეთა ისრაელისათა ეგრე ყვეს, ვითარცა უბრძანა მათ მოსე. ითხოვეს ქურქვერი ოქროსსაჲ და ვეც-
[90]ხლისაჲ და სამოსელი.

36. და უფალმან მოსცა მადლი ერსა თუსსა წინაშე ეგვპტელთა მათ და ათხოვეს მათ. და გამოტყუენეს ეგვპტელნი იგი.

37. წარმოვიდეს ძენი ისრაელისანი რამესით³ სოქოთად ექუს[ას]⁴ ათასი მამაკაცი⁵ მკვრცხლი⁶ გარეშე⁷ ქურქლი-სა მათისა.

38. და მწირი გამოჰყვა მათ მრავალი, ცხოვარი და ზროხაჲ და კარაული ფრიად.

39. და შეიცვალეს ცმელოვნანი იგი, რომელ გამოილეს ეგვპტით, ყურბეჟულად⁸ უცოშოდ, რამეთუ ვერ შესუარეს⁹, და გაროასხნეს იგინი ეგვპტელთა მათ, რამეთუ ვერ უძლებდეს დათენად, ვერცა-ლა საზრდელი. იქმნეს საგზალად¹⁰.

40. ხოლო მწირობაჲ ძეთა ისრაელისათაჲ, რაჲდენ მწირობდეს იგინი და მამანი მათნი ქუეყანასა ეგვპტისასა და ქუეყანასა ქანაანისასა, ოთხ ას ოც და ათ წელ.

41. და იყო შემდგომად ოთხ ას ოც და ათისა წლისა, გამოვიდა ყოველი იგი უფლისაჲ ქუეყანით ეგვპტით.

42. პირველი სატუმილავი არს ესე გამოყენებაჲ მათი ქუეყანით ეგპტით. იგი ღამე¹¹ არს და ესე პირველი საცავი არს უფლისაჲ და ყოველთა შოფრის ძეთა ისრაელისათა იყოს ესე და ნათესავსა მათსა.

43. ეტყოდა უფალი მოსეს და აჰრონს და ჰრქუა: ესე შჯული იყავნ ზატიკისაჲ: ყოველმან უცხო თესლმან არა კაჰოს მისგანი.

44. და ყოველმან მონამან ვისმანვე და ვეცხლით სყიდულმან წინა[ს]-და-იცუთოს და ეგრე კამოს მისგანი.

45. მწირმან და სასყიდლით დადგინებულმან არა კამოს მისგანი.

46. ერთსა სახლსა შინა შჰამდეთ, არა დაუტეოთ გორცისა მისგანი განთიადმდე და არა განილო¹² გორცისა მისგანი გარე, ძუალი არა შეჰმუსრო¹² მისგანი.

47. ყოველმან კრებულმან ძეთა ისრაელისათამან ყოს ესე.

48. უკეთეთ ვინმე მწირი მოგიდეს თქუენ ყოფად ზატიკისა ამის უფლისა, წინა-დასცუთო ყოველსავე წულსა მისსა და მაშინ-ლა მოვბდეს და იყოს იგი ვითარცა მკვდრი ქუეყანისაჲ. ყოველმან წინა-დაუტუეთელმან არა კამოს მისგან.

49. შჯული ერთი იყოს მსოფლიოვსაჲ და მწირისაჲ, რომელი მოსრულ იყოს თქუენ შოვრის.

50. და ყვეს ძეთა ისრაელისათა, ვითარცა უბრძანა და ამცნო უფალმან მოსეს და აჰრონს მათა მიმართ, ეგრეცა ყვეს.

51. და იყო მას დღესა შინა გამოიყვანნა ძენი ისრაელისანი ეგვპტით ძალითურთ მათით.

1 სთქუთ A. 2 შეყოფილი სამოსლითა შეყოფილისა მოსლითა A. 3 რამსით. A. 4 ექუს A. 5 მამაკაცი A. 6 მკვრცხლი A. 7 გარეშე A. 8 ასეა A. 9 შესუარეს A. 10 საგზალად საზრდელად A. 11 ღამე A. 12 ასეა ა.

13

1. ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა:

2. წმიდა-ყავ ჩემდა ყოველი პირ-
მშობი პირველი შობილი, რომელმან
განალოს საშობი ყოველი პირველი ძეთა¹
შოვრის ისრაელისათა კაცთგან ვიდრე
მიპირუტყუამდე²: ჩემი არს.

3. ჰრქუა მოსე ერსა მას: გეცხენედ
დღე ესე, რომელსა გამოხედდით ქუეყა-
ნით ეგვპტით სახლისაგან კირთებისა,
რამეთუ ჯელითა მტკიცითა [91] გამო-
გიყვანნა თქუენ მიერ უფალმან, რაათა
არა შვამოთ ცოშოვანი.

4. რამეთუ დღეს³ გამოხუალთ თქუენ
თუესა ახალსა.

5. იყოს, ოდეს შეგიყვანნეს თქუენ
უფალმან ღმერთმან თქუენმან ქუეყანასა
ქანანელთასა, ქეტელთასა და ეველთასა,
გერგეაველთა და ამორეველთასა, ფე-
რეზელთა და იებოსელთასა, რომლი-
სათჳს ეფუცა უფალი მამათა თქუენთა
მოცემად თქუენდა ქუეყანაჲ, რომელსა
გამოდის სძმ და თაფლი, და ჰყოთ
მსახურებაჲ ესე თუესა ამას,

6. ექუს დღე⁴ შეამდეთ უცომოსა და
დღე იგი მეშვდე დღესასწაული⁵ არს
უფლისაჲ.

7. უცომოსა შეამდეთ შვდ დღე⁶, არა
იხილოთ ცომოვანი, არცა იყოს ცომი
ყოველთა სახლვართა თქუენთა.

8. უთხრა ძესა შენსა მას დღესა შინა
და ჰრქუა: ამისთჳს ყო უფალმან ღმერთ-
მან ჩემმან, რაჟანს გამოვიდოდე ქუე-
ყანით ეგვპტით.

9. და იყოს სასწაულად ჯელსა შენსა
და საცხენებელად წინაშე თუალთა შენ-
თა, რაათა იყოს შჯული უფლისაჲ პირ-

სა შენსა, რამეთუ ჯელითა მტკიცითა
გამოგიყვანა შენ უფალმან ღმერთმან
შენმან ქუეყანით ეგვპტით.

10. დაიმარხეთ შჯული წლითი-წლად
თამსა თჳსსა მიერ დღითგან მოდღედ-
მდე⁷.

11. და იყოს, ოდეს შეგიყვანოს შენ
უფალმან ღმერთმან შენმან ქუეყანასა
მას ქანანელთასა, ვითარცა ეფუცა მა-
მათა შენთა, და მოგცეს შენ იგი,

12. და განაჩინო ყოველი, რომელ-
მან გასქნალოს საშობი პირველად, ვერძი
უფლისად... მროწეულთაგან შენთა გინა
ყოელისაგან საცხოვრისა შენისა, რაო-
დენი-რაჲ იყოს შენი, ყოველი ვერძი
წმიდა-ჰყო უფლისა.

13. ხოლო ვერძი შესცვალო ცხოვ-
რად. უჯეთუ არა შესცვალო, იჴსნე
იგი. ყოველი პირმშობი ძეთა შენთაჲ
იჴსნე.

14. უკეთუთ გკითხვიდეს შენ ძმ შენი
მისა შემდგომად და გრქუას: რაჲ არს
ესე? ჰრქუა მას, ვითარმედ: ჯელითა
მტკიცითა გამოგიყვანნა ჩუენ უფალმან
ქუეყანით ეგვპტით სახლისაგან კირთე-
ბისა;

15. რაჟამს-იგი განუციხნა ფარაო
არა გამოვლინებად ჩუენდა, მოწყვდა
ყოველი პირმშობი ქუეყანასა ეგვპტისასა
პირმშობთაგან კაცთაჲთ ვიდრე პირ-
მშობდღე პირუტყუთა. ამისთჳს შეესწი-
რაჲ მე უფლისა. ყოველმან რომელმან
განალოს საშობი პირველად, ყოველი პირ-
მშობი ძეთა ჩემთაჲ ვიჴსნე⁸.

16. და იყოს სასწაულად ჯელსა შენსა
და შეურყეველ წინაშე თუალთა შენთა,

1 მტა A. 2 ასეა A. 3 დღეს A. 4 დღე A. 5 დღესასწაული A. 6 მოდღედ A.
7 მიჴსნე A.

რამეთუ ჭელითა მტკიცითა გამოგიყვანა შენ ქუეყანით ეგვპტით.

17. და ვითარ გამოიყვანა უფალმან ერი თუხი, არა წარუძღლა მათ უფალი გზასა მას ქუეყანიზა ფილისტიმისასა, რამეთუ მახლობელ იყო, რამეთუ თქუა ღმერთმან: ნუუკუე შეინანოს ერმან ამან, იხილოს რაჲ ბრძოლაჲ, და მიიქცეს ეგვპტად.

18. და გარე მოავლო უფალმან ერსა თუსსა გზად უდაბნოდ ზღუასა მეწყ[22]ამულსა. მეხუთმ¹ ნათესავი გამოვიდეს ძენი ისრაელისანი ქუეყანით ეგვპტით.

19. გამოიხუნა მოსე ძუალნი იოსებისნი მის თანა, რამეთუ ფიცით აფუცა

იოსებ ძეთა ისრაელისათა და ჰრქუა: მოხედვით მოხედვა-ყოს თქუენდა უფალმან, განიხუენით ძუალნი ჩემნი თქუენ თანა.

20. და აღიძრნეს ძენი ისრაელისანი სოქოთით და დაიბანაკეს ათომს უდაბნოსა მას თანა.

21. და ღმერთი უძღოდა მათ: ღლისი სუეტითა ღრუბლისაჲთა უჩუენებდა მათ გზასა და ღამე²—სუეტითა ცეცხლისაჲთა.

22. არა³ მოაკლდა მათ სუეტი იგი ღრუბლისაჲ ღლისი და სუეტი იგი ცეცხლისაჲ ღამე¹ წინაშე ყოვლისა ერისა.

14

1. ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა:

2. ეტყოდე შენ ძეთა⁴ ისრაელისათა: მიიქცედ და განეწყენედ იგინი წინაშე ღელესა, შოვრის მაგდალოსა და შოვრის ზღუასა მას, პირისპირ ბესეფონსა⁵, წინაშე მათსა განეწყო ზღუად კერძო;

3. ჰრქუას⁶ ფარაო ერსა თუსსა: შესცოტეს ძენი ისრაელისანი ქუეყანასა მას, რამეთუ შეეყენეს იგინი უდაბნოსა მას.

4. თქუა უფალმან: მე განვაფიცხო გული ფარაოჲსი და ღვენა-უყოს კუალსა მათსა. და ვიდიდო მე ფარაოჲს ზედა და ყოველსა ერსა⁷ მისსა და გულისხმა-ყონ ეგვპტელთა, რამეთუ მე ვარ ღმერთი. და მათ ყვეს ეგრე.

5. უთხრეს მეფესა⁸ ეგვპტისასა, ვითარმედ: ივლტოდა ერი იგი. და გარდაიქცა [r] გული ფარაოჲსი და მსახურთა მისთაჲ ერისა მის და თქუეს: რაჲ ესე ვყავთ, რამეთუ განუტევენით ძენი

ისრაელისანი, რაჲთა არა გუმონებდენ ჩუენ?

6. აღაგო ფარაო ეტლები თუხი და ყოველი ერი თუხი წარიყვანა მის თანა.

7. აღიგო ექუსასი ეტლი რჩეული თუხი და ყოველი ცხენები ეგვპტისაჲ და ერისთავეები ყოველსა ზედა.

8. და განაფიცხა უფალმან გული ფარაოჲსი, მეფისა ეგვპტელთაჲსაჲ, და მსახურთა მისთაჲ და სდეგდა შემდგომად ძეთა ისრაელისათა, ხოლო ძენი ისრაელისანი განვიდოდეს ჭელითა მტკიცითა.

9. და ღვენა-უყვეს მეეგვპტელთა მათ შემდგომად მათსა და ჰოვნეს იგინი ზღუასა მას ზედა დაბანაკებულნი და ყოველი ჰუნეები და ეტლები ფარაოჲსი და მვედრები და ყოველი ერი მისი წიად ღელესა მას⁹ პირისპირ ბელსეფონსა.

1 მეოთხე A. 2 ღამე A. 3 არა A. 4 ძმთა A. 5 ბესეფონსა A. 6 ჰრქუა A. 7 მეფესა A.

10. და ფარაო მოვიდოდა. აღიხილნეს თულნი თჳსნი ძეთა ისრაჲლისათა და იხილნეს ეგჳპტელნი იგი, განწყობილ იყვნეს უკუანა კერძო მათსა. და შეეშინა ფრიად და ღალადებდეს ძენი ისრაჲლისანი უფლისა მიმართ.

11. და ჰრქუეს მოსეს, ვითარმედ: არა იყოა ეგჳპტეს საფლავები, და გამო-

მიყვანენ ჩუენ მოსიკუდილ უდაბნოსა ზედა? რაჲ ესე მიყაჲ ჩუენ და გამომიყვანენ ჩუენ ეგჳპტით?

12. ანუ არა ესე სიტყუაჲ არსა, რომელსა გეტყოდეთ ჩუენ ეგჳპტეს და გარქუთ: მაჲალე ჩუენ და ვჰმონე...

[ა კ ლ ი ა]

16

[93]... იგი საზრდელად ორი წილი, მრჩობლი საწყაული ერთმან¹. და შევიდეს ყოველნი მთავარნი კრებულისანი და უთხრეს მოსეს.

23. ხოლო მოსე ჰრქუა მათ: ესე სიტყუაჲ იგი არს, რომელსა იტყოდა უფალი: შაბათი განსუენებისაჲ არს უფლისაჲ წმიდაჲ ზეალე². რაჲდენი-რაჲ შეაცხოთ, შეაცხვეთ და რაჲდენი-რაჲ შეაგბოთ, შეაგბეთ; და ყოველივე ნეშტი დაუტევეთ საუნჯეთა თქუენთა განთიადმდე.

24. და დაუტევეს მისგანი ზეალისაჲმდე, ვითარცა-იგი ამცნო მათ მოსე. და არა დაჲროლდა და არცა მატლი დეესხა მას.

25. ჰრქუა მათ მოსე: ჰამეთ ღღეს, რამეთუ შაბათი არს უფლისაჲ, არა ჰპოოთ ველსა ზედა.

26. ექუს ღღე³ შეკრიბეთ და მეშვდე იგი ღღე შაბათი არს, არა იყოს მას ღღესა შინა.

27. იყო ღღესა⁴ მას მეშვდეს[ა]⁵ განვინმე-ვიდეს ერისა მისგანნი შეკრებად და არა პოვეს.

28. ჰრქუა უფალმან მოსეს: ვიდრემდე არა ჰნებაჲს სმენად ბრძანებათა ჩემთა და შჯულისა ჩემისა?

29. იხილეთ, რამეთუ უფალმან მოგცა თქუენ ღღე ესე შაბათი. ამისთჳს თავადმან მოგცა თქუენ ღღესა⁴ ამას პური ორისა ღღისაჲ. დასხედით კაცად-კაცადი სახლთა შინა თქუენთა. ნუჲინ განვალნ ღღესა მას მეშვდესა.

30. და შაბათობდა ერი იგი ღღესა მას მეშვდესა.

31. და დასდევს სახელი მისი ძეთა ისრაჲლისათა მანანაჲ და იყო იგი ვითარცა თესლი ქინძისა[ჲ]⁶ სჳეტაჲ. ხოლო გემოჲ მისი ვითარცა თაფლისაჲ.

32. თქუა მოსე: ესე სიტყუაჲ ბრძანა[ვ] უფალმან: აღავსეთ საწყაული⁷ მანანათა საუნჯესა დასამარხველად ნათესავთმდე თქუენთა, რაჲთა იცოდიან პური, რომელსა შჳამდით თქუენ უდაბნოსა ზედა, რაჲამს გამოგიყვანნა თქუენ უფალმან ქუეყანით ეგჳპტით.

33. [ჰ]რქუა⁷ მოსე აჰრონს: მოიღე ტაჲუჲი ერთი ოქროჲსაჲ და შთაასხ მას სავესებით საწყაული მანანაჲ და დასდგა იგი წინაშე უფლისა დასამარხველად ნათესავთა თქუენთა,

1 ერმან A. 2 ზეალ A. 3 ღღე A. 4 ღღესა A. 5 მეშვდეს[ა] A (ფურცლის გარეთა აშია ჩამოღუბრით და „ა“ ჩამონ. კერს გაჰყოლია). 6 ქინძისა[ჲ] A (უკანასკნელი ასო აშის გადანაკვეთს გაჰყოლია). 7 [ჰ]რქუა A (პირველი ასო აშის გადანაკვეთში მოჰყოლია, მაგრამ თვალის ნაწილი გადარჩენილა).

34. ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს. და დაჯგა იგი აპრონ წინაშე უფლისა საწამებელად და დასამარხველად.

35. ხოლო¹ ძენი ისრაელისანი კამდეს მანანასა მას ორმეოც წელ, ვიდრე-

მდე ნოვიდეს ქუეყანად სოფლებისა. [მ]ანანასა² კამდეს, ვიდრემდე მოვიდეს ქუეყანად დანაჲის კუდოვნად.

36. ხოლო საწყაული იგი იყო მეთათ³ ნაწილი სამისა მის საწყაულისაჲ.

17

1. და აღიძრა ყოველი კრებული ძეთა⁴ ისრაელისათაჲ უდაბნოჲსაგან სინაჲსა ბანაკად-ბანაკად თითოეული მათი სიტყვითა უფლისაჲთა, და დაიბანაკეს მათ რაფიდიწის და არა იყო წყალი, რაჲთაჲმცა⁵ სუეს ერმან მან.

2. და ავიგებდეს იგინი მოსეს და ეტყოდეს: გუეც ჩუენ წყალი, რაჲთა ვსუათ. ჰრქუა მათ მოსე: რაჲსა მაგინებთ მე. ანუ რაჲსა განსცდით უფალსა?

3. შეეწყურა ერსა მას წყლითა და ღრტყნიდა მუნ ერი იგი მოსესთჳს და იტყოდეს: რაჲსა გამოიყვანენ ჩუენ ეგვპტით მოსრეად ჩუენდა და შვილთა ჩუენთა... წყურილითა?

4. ლაღად-ყო მოსე უფლისა მიც⁶ მართ და თქუა: რაჲ უყო ერსა ამას? მცირედ-ლა და ქვაჲ დამკრიბონ.

5. ჰრქუა უფალმან მოსეს: წინა წარვედ ერისა მაგის და წარიყვანენ შენ თანა მოხუცებულთაგან და კუერთხი ეგე, რომლითა ეც მდინარესა, მიიღე ტელსა შენსა და წარვედ.

6. ხოლო მე ვდგე⁷ მუნ ვიდრე მოსლევად შენდამდე კლდესა მას ზედა ქორებს და სცე კლდესა მას და გამოადინო წყალი მისგან და სუას ერმან ჩემმან. და ყო მოსე ეგრე წინაშე ძეთა ისრაელისათა.

7. და დასდვა სახელი ადგილსა მას განსაცდელ და საგინელ გინებისა მისთჳს ძეთა ისრაელისა⁸ და გამოცდისა მისთჳს, რამეთუ იტყოდეს: არს-ძიჲ ჩუენ თანა უფალი ანუ არა?

8. მოვიდა ამაღეკ და ჰბრძოდა ისრაელსა რაფიდიწის.

9. ჰრქუა მოსე ისოს: გამოირჩიენ წენდად კაცნი ძლიერნი, განვედ და ეწვეე ხელე ამაღეკსა და მე ვდგე თხემსა ზედა მის ბორცვსასა და კუერთხი ღმრთისაჲ ტელსა ჩემსა.

10. და ყო ისო ეგრე, ვითარცა ეტყოდა მოსე... მოსე და აპრონ და ორ აღვიდეს თხემსა ზედა მის ბორცვსასა.

11. და იყო, ვითარცა აღიპყრნის მოსე ტელნი, განძლიერდის ისრაელი და რაჲმს გარდამოყვანის ტელნი, განძლიერდის ამაღეკი.

12. რამეთუ ტელნი მოსესნი იყვნეს დამძიმებულ, მოიღეს ლოდი და დაუდგეს ქუეშე⁹ და დაჯდა მას ზედა. და აპრონს და ორს განეპყრნეს ტელნი მოსესნი: ერთ კერძოჲ ერთსა და ერთ კერძოჲ ერთსა. [რ] და იყვნეს ტელნი მოსესნი განპყრობილ ვიდრე დასლვად-მდე მზისა.

13. და ერეოდა ისო ამაღეკსა და მოსრა პირითა მახვლისაჲთა ყოველი ერი მისი.

1 ხ ასო მთავრული ყოფილა და გადაკვეთილა, მაგრამ მარჯვენა ნაწილები გადარჩენილა). 2 პირველი ასო მთავრული ყოფილა და მისი შუა მარჯვენა ხაზი გადარჩენილა. 3 მეოთხე A. 4 ენთა A. 5 რაჲმცა A. 6 ვდგა A (მდრ. გამ. 17,9). 7 ასეა A. 8 ქუეშე A.

14. ჰრქუი უფალმან მოსეს: დაწერე ესე საწანებელად წიგნსა და მიეც იგი ყურთა ისუჲსთა, რამეთუ ავოცით აღვკოცო საწანებელი ამალეისი ცასი ქუეშე¹.

15. და აღაშენა მუნ საკურთხეველი უფლისაჲ და დასდგა სახელი მისი: უფალი ჩემი შესავედრებელ.

16. რამეთუ კელითა დაფარულითა ჰბრძანეს უფალი ამალეკსა ნათესავითი ნათესავამდე².

18

1. ესმა იოთორს, სიმამრსა მოსესსა, ყოველი, რაჲცა უყო უფალმან ისრაჲლსა, ერსა თჳსსა, რამეთუ გამოიყვანნა უფალმან ძენი ისრაჲლისანი ქუეყანით ეგჳპტით.

2. და წარმოიყვანნა იოთორ, სიმამრმან მოსესმან, სეფორა, ცოლი მოსესი, შემდგომად დატევებისა მისისა,

3. და ორნი ძენი მისნი: ერთისა სახელი გერსამ, რამეთუ თქუა: მწირ ვარი მე ქუეყანასა უცხოსა,

4. ხოლო სახელი მეორისაჲ მის ელიაზარ, რამეთუ თქუა: ღმერთი მამისა ჩემისაჲ შემწე³ ჩენდა და განმარინა მე კელისაგან ფარაოჲსისა.

5. მოვიდეს მოსესა იოთორ, სიმამრი მისი, ძენი და ცოლი მისი უდაბნოდ, სადა-იგი დაებანაკა მთასა მას სინასა.

6. უთხრეს მოსეს და ჰრქუეს: ესერა იოთორ, სიმამრი შენი, მოვალს შენდა და ცოლი შენი და ორნი ძენი შენნი მის თანა.

7. [55] და განვიდა მოსე მიგებებად სიმამრისა თჳსისა და თაყუანის-სცა მას და ამბორს-უყო და მოიკითხნეს ურთიერთას და შეიყვანნა იგინი კარავსა თჳსსა.

8. და უთხრა, მოსე სიმამრსა თჳსსა ყოველივე. რაჲცა-იგი უყო უფალმან

ფარაოს და ეგჳპტელთა ისრაჲლისთჳს⁴ და ყოველი შრომაჲ, რომელი შეემთხვა გზასა ზედა, და ვითარ განარინნა იგინი უფალმან კელისაგან ფარაოჲსისა და კელთაგან ეგჳპტელთაჲსა.

9. და განუკრდა იოთორს ყოველთა მათ კეთილთა ზედა, რაჲდენი უყო მათ უფალმან.

10. და თქუა იოთორ: კურთხეულ არს უფალი, რომელმან გიგსნა თქუენ კელთაგან ეგჳპტელთაჲსა და კელთაგან ფარაოჲსთა.

11. აჲ ეცან ძალი, რამეთუ დიდ არს უფალი, უფროჲს ყოველთა ღმერთთა, ამით, რამეთუ ესვიდეს მას.

12. და მოიღო იოთორ, სიმამრმან მოსესმან, მსხუერპლები და შესაწირავი და შეწირა ღმერთისა. მოვიდა აჰრონცა და მოხუცებულნი ისრაჲლისანი ჴამად ჴურისა მოსეს სიმამრისა⁵ თანა წინაშე ღმერთისა.

13. და იყო ხელისაგან დაჯდა მოსე ჴუად ერისა და წინაშე დგა ყოველი ერი მოსესა განთიადითგან მწუხრამდთ.

14. იხილა იოთორ ყოველი, რაჲდენსა უყოფდა ერსა მას, და ჰრქუა მას: რასა-ეგე უყოფ ერსა ამას? რაჲსათჳს შენ ჰპი მარტობა და ყოველი ესე ერი

დგას შენ წინაშე დლითგან ვიღრე მწუხრამდზე?

15. და ჰრქუა მოსე სიმამრსა თუსა: რამეთუ მოვიდის [x] ერი ესე ჩემდა გამოძიებად სამართალისა ღმრთისაგან.

16. რაჟამს არნ მათ შოვრის ცილობაჲ, მოვიდიან ჩემდა და განესაჯი კაცად-კაცადი და ვასწავნი მათ ზრძანება-ნი ღმრთისანი და შჯული მისი.

17. ჰრქუა მოსეს სიმამრმან მისმან: არა მართლ იქმ შენ სიტყუასა მაგას.

18. ჯრწნით განიჯრწნე შენ უთმინობითა, შენცა და ერიცა ესე, რომელ არს შენ თანა. მიძიმე¹ არს შენდა საქმე ესე, ვერ შემძლებელ ხარ შენ ამას ყოფად მარტოჲ.

19. აჲ მე ვასწავო შენ და ისმინე ჩემი და იყოს ღმერთი შენ თანა. ეყავე შენ ერსა მაგას ღმრთისა მიმართ და შესწირინე სიტყუანი მათნი ღმრთისა.

20. და უწამებდ მათ ბრძანებათა ღმრთისათა და შჯულსა მისსა და უწამებდ მათ გზასა, რომელსა ვიდოდიან, და საქმესა², რომელსა იქმოდიან.

21. და შენ თავისა თუსისა გამოირჩიენ კაცნი ყოვლისაგან ერისა, კაცნი ძლიერნი და ღმრთის მსახურნი, კაცნი მართალნი, რომელთა სძულდეს ამჰარ-

ტავენებაჲ, და დაადგინენ იგინი მათ ზედა ათასის თავად და ასის თავად და ერგასის თავად და ათის თავად და მწიგნობარნი შემომყვანებელნი ერი-სანი,

22. და შჯიდენ ყოველსა ეამსა ერსა ამას; და ყოველი სიტყუაჲ მიძიმე მოგართოდიან შენ და სიტყუაჲ აღვილი განსაჯოდიან მათ და აღგიმციროდიან და შეგეწეოდიან შენ.

23. [96] უკუეთუ სიტყუაჲ ესე ჰყო, შეგეწიოს შენ ღმერთი შენი და შეუძლო წინაძლუნავდ და ყოველი ესე ერი მოვიდოდის მშჯლობით აღვილსა თუსსა.

24. და ერჩდა მოსე ემასა სიმამრისა თუსისასა და ყო ეგრე, რავდენი-რაჲ ჰრქუა მას.

25. და დაადგინნა იგინი მათ ზედა ათასის თავად და ასის თავად და ერგასის თავად და ათის თავად და მწიგნობარნი შემომყვანებელნი და განმყვანებელნი,

26. და შჯიდეს ერსა მას ყოველსა ეამსა. ხოლო სიტყუაჲ იგი გარდამრე მიართვან მოსეს და ყოველი სიტყუაჲ აღვილი განსაჯიან მათ.

27. და წარავლინა მოსე სიმამრი თუზი და წარვიდა ქუეყანად თუსა.

19

1. თუესა მესამესა³ გამოსლვითგან ძეთა ისრაელისათათჲ ქუეყანით ეგვპტით, ამას თუესა მოვიდეს იგინი უდაბნოსა მას სინაჲსასა.

2. და წარმოიძრნეს რაფილინით და მოვიდეს უდაბნოსა მას სინაჲსასა და დაიბანაკეს ისრაელთა მუნ წინაშე მთასა მას.

3. და მოსე აღვიდა მთასა მას ღმრთისასა. და უწოდა მას ღმერთმან მიერ მითთ და ჰრქუა ესრე: არქუ სახლსა იაკობისსა და უთხარ ძეთა ისრაელისათა:

4. თქუნე იხილეთ, რავდენი უყავე ეგვპტელთა მათ და აღვისხენ თქუნე

ვითარცა ორბმან ფრთეთა ზედა და მო-
გიყვანენ თქუენ თავისა ჩემისა.

5. და აწ სმენით თუ ისმინოთ ჳმისა
ჩემისაჲ და დაიმარხოთ ჳჯულის [x] ჩემი,
იყვნეთ ერად ჩემდა მოგებულად ყოველ-
თაგან ნათესავთა, რამეთუ ჩემი არს
ყოველი ქუეყანაჲ.

6. თქუენ იყევინით ჩემდა სამეუფოდ¹
სამღელღოდ და ნათესავად წმიდად. ესე
სიტყუაჲ არქუ ძეთა ისრაჲლისათა.

7. მოვიდა მოსე და მოუწოდა მოხუ-
ცებულთა ერისათა და უთხრნა მათ ყო-
ვილნი ესე სიტყუანი, რომელნი უბრძან-
ნა მას ღმერთმან.

8. მიუგო ყოველმან ერმან ერთბამად
და ჰრქუეს: ყოველივე, რაჲცა თქუა
ღმერთმან, ვყოთ და ვისმინოთ. და შე-
წირა მოსე სიტყუაჲ იგი ერისაჲ მის
ღმრთისა.

9. ჰრქუა უფალმან მოსეს: აჰა-ესერა
მე მოვიდეს შენდა სუეტითა ღრუბლი-
საჲთა, რაჲთა ესმას ერსა, გეტყოდი
რაჲ მე შენ, და ჰრწმენეს შენი უკუ-
ნისადმდე. უთხრა მოსე სიტყუაჲ იგი
ერისაჲ ღმერთსა.

10. ჰრქუა უფალმან მოსეს: გარდა-
გუალე და უწამე ერსა მას და წმიდა-
ყვენ იგინი ღლეს და ხვალე, განირცხენ
სამოსელი მათი.

11. და იყვნენ იგინი განზადებულ
მესაჲდ ღლედმდე, რამეთუ ღლესა მესა-
მესა გარდამოჳდეს უფალი მთასა ზედა
სინასა წინაშე ყოვლისა ერისა.

12. და დაადგინო ერი იგი გარემო
და არქუ: ეკრძალებით თათა თქუენთა
და ნუ აღხუალთ მთასა მას შეხებად
რასმე მისა: ყოველი, რომელი შეეხოს
მთასა მას, სიკუდილითა აღესრულოს.

13. არა შეახოთ მას კელი, რამეთუ
ქვითა განიტჳნნეთ, ანუ თუ ისრითა

განიდენენთ; გინა თუ საცხოვარი, გინა
[97] კაცი არა ცხონდეს. რაჲმს ჳმანი
იგი და საყვრი იგი და ღრუბელი წარ-
ვიდეს მთისა მისგან, მაშინ იგინი აღმო-
ვიდნენ მთად.

14. გარდამოვიდა მოსე მიერ მთით
ერისა მის და ჰრქუა მათ ეგრჳთ და
განწმიდნა იგინი. და განირცხეს სამო-
სელი მათი.

15. და ჰრქუა ერსა მას: ნუ შეეხებით
ცოლთა თქუენთა და მჰა-იყვნით სამ
ღლე².

16. და იყო შემდგომად სამისა დღი-
სა, ცისკარს ოდენ იყვნეს ქუხილნი და
ელვანი და ღრუბელი წყუდიადი მთასა
მას სინასა, ჳმაჲ იგი საყვრისაჲ ოხრიდა
დიდად და შეძრწუნდა ყოველი იგი
ერი ზანაქსა მას შინა.

17. და განიყვანა მოსე ერი იგი ბა-
ნაკით შემთხუევედ ღმრთისა და წარ-
დგეს მთასა მას ქუეშე³ სინასა.

18. ხოლო მთაჲ იგი სინაჲ კუმოდა
ყოვლად, რამეთუ გარდამოსრულ იყო
ღმერთი მას ზედა ცეცხლითა და აღვი-
დოდა კუამლი ვითარცა კუამლი საქუმი-
ლისაჲ. და განჰკრთა ერი იგი ფრიად.

19. და იყვნეს ჳმანი იგი საყვრისანი,
რაოდენ ვიდოდეს ურთიერთას, იჳმნე-
ბოდეს ფრიად. მოსე იტყოდა და ღმერ-
თი მიუგებდა მას ჳმითა.

20. და გარდამოსრულ იყო უფალი
მთასა მას სინასა თხემსა მის მთისასა
...და აღვიდა მუნ მოსე.

21. ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა:
გარდაგუალე და უწამე ერსა მას, ნუუჳეთ
მოეახლნენ ღმერთსა განცდად და დაეც-
ნენ მრავალნი მათგანნი.

22. და მღდელნი იგი, რომელნი მი-
ეახლებოდნენ ღმერთსა, წმიდა იყვნენ,

ნუჯღე მო[ა]კუდინოს მათგანი უფალ-
მან.

23. ჰრქუა მოსე ღმერთისა: ეერ გელ-
ეწიფეების ერსა ამას მთასა სინასა შე-
ახლებად, რამეთუ შენ გვწამე ჩუენ და
გუარქუ განშორებად მთასა ამას და
წმიდა ყოფად.

24. ჰრქუა მას უფალმან: გუალე, გარ-
დავედ და აღმოიყვანე აჰრონ შენ თანა,
ხოლო სხუანი იგი მღდელნი ნუ იძრვიედ
აღმოსლვად ღმრთისა, ნუჟუტუ წარწყმიდ-
ნეს მათგანნი უფალმან.

25. გარდამოქდა მოსე ერისა მის და
ჰრქუა ესრეთ.

20

1. და იტყოდა უფალი ყოველთა მათ
სიტყულთა და ჰრქუა:

2. მე ვარ უფალი ღმერთი შენი, რო-
მელმან გამოგიყვანე შენ ეგვპტით სახლი-
საგან კირთებისა.

3. არა იყენენ შენდა ღმერთნი უცხო-
ნი ჩემსა გარეშე¹.

4. არა იქმნე თავისა შენისა კერპი,
არცა ყოველივე მსგავსი, რაოდენი არს
ცასა შინა და რაოდენი არს ქუეყანასა
ზედა და რაოდენი-რაჲ არს წყალთა
შინა ქუეშე² ქუეყანასა.

5. არა თაყუანის-სცე, არცა ჰმსახუ-
რებდე მათ, რამეთუ მე ვარ უფალი
ღმერთი შენი მოშურნე, რომელმან მი-
ვაგი ცოდვაჲ მამათაჲ შეილთა ვიდრე
მესამედ და მეოთხედ ნათესავად მოძულე-
თა ჩემთა

6. და ვცვი³ წყალბოჲ ათასამდე ნა-
თესავად მოყუარეთა ჩემთა და რომელ-
თა დაიმარხნინა ბრძანებანი ჩემნი.

7. არა მოიღო სახელი ღმრთისა შე-
ნისაჲ ამოსა ზედა, რამეთუ არა გან-
წმიდოს იგი უფალმან, რომელმან მოი-
ღოს სახელი უფლისაჲ ამათა ზედა.

8. მოიქსენე ღღჲ იგი შაბათთაჲ და
წმიდა-ყავთ⁴ 98⁵ იგი.

9. ექუს ღღე⁶ იქმოდე დაქმენ ყოვე-
ლი საქმჲ შენი,

10. ხოლო ღღჲ იგი მეშვდე შაბათი
არს უფლისა ღმრთისა შენისაჲ და არა
ჰქმნე საქმჲ, შენ და ძემან შენმან და
ასულმან შენმან და მონამან შენმან და
მჭევალმან შენმან, კარმან შენმან და
კარაულმან შენმან და ყოველმანვე სა-
ცხოვარმან შენმან და მწირმან, რომე-
ლი იყოს შენ შოვრის.

11. რამეთუ ექუსთა მათ ღღეთა შე-
ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქუეყანაჲ, ზღუაჲ
და ყოველი, რაჲ არს მას შინა, და
განისუენა ღღესა მას მეშვდესა. ამისთჳს
აქურთხა ღმერთმან ღღჲ იგი მეშვდჲ
და წმიდა-ყო იგი.

12. პატიგ-ეც მამასა შენსა და ღე-
დისა შენსა, რაჲთა კეთილი გეყოს შენ
და ღღე-გრძელ⁷ იყო ქუეყანასა მას
კეთილსა, რომელი-იგი უფალმან ღმერთ-
მან მოგცეს შენ.

13 [15]. არა კაც-ჰელა.

14 [13]. არა იმრუშო.

15 [14]. არა იპარო.

16. არა ცილი სწამო მოყუსისა შენი
სათჳს.

17. არა გული გათქუმიდეს ცოლსა
მოყუსისა შენისასა⁸,... არცა ყანისა მისი-
სა, არცა მონისა მისისა, არცა მჭევლი-
სა მისისა, არცა ჯარისა მისისა, არცა
კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა სა-

1 გარეშე A. 2 ქუეშე A. 3 ასეა A (მოსალოდნელი იყო: ვუყვი). 4 ღღჲ A. 5 ღღჲ-
გრძელ A. 6 ასეა A (მოსალოდნელი იყო: ცოდვისათჳს მოყუსისა შენისა).

ცხოვრისა მისისა, არცა ყოველი რაჲ იყოს მოყუსისა შენისაჲ.

18. და ყოველი ერი ჰხედვიდა... ვმასა მას საყურისასა და საწუშილსა მას მკუმოლვარესა. შეეწინა ერსა მას ყოველსა და დგეს შორს.

19. და ჰრქეს მოსეს: მეტყოდე შენ და ნუ მეტყვს ჩუენ ღმერთი, ნუჲჲვე მოეწყდეთ.

20. ჰრქუა მათ მოსე: ნუ გეშინინ, [v] რამეთუ გამოცდისა თქუენისათჳს მოვიდა ღმერთი თქუენდა, რაჲთა იყოს შიში მისი თქუენ ზოვრის და რაჲთა არა სცოდოთ.

21. და დგა ერი იგი შორს. ხოლო მოსე შევიდა წყუდიადსა, სადა-იგი იყო ღმერთი.

22. ჰრქუა უფალმან მოსეს: ესე არქუ

სახლსა იაკობისსა და უთხარ ძეთა ისრაელისათა: თქუენ იხილეთ, რამეთუ ზეცით გეტყოდე თქუენ.

23. არა იქნნეთ თავისა თქუენისა კერპნი ოქროსა და ვეცბლისანი.

24. საკურთხეველი ქუეყანით მიშენოთ მე. და შეწირეთ მას ზედა მსხუერპლები თქუენი ცხორებისა თქუენისათჳს, ცხოვარი და ზროხაჲ თქუენი. ყოველსა ადგილსა რომელსა დაესდვა¹ სახელი ჩემი მუნ, მოვიდე და გაკურთხო შენ.

25. უკუეთუ საკურთხეველი ქვათაგან მიშენო მე, არა აღაშენო იგი თლილითა, რამეთუ გელი შენი შეახე² მას ზედა და შეგინებულ არს.

26. არა აღჰკდე აღსაგალთა საკურთხეველისა ჩემისათა, რაჲთა არა გამოჩნდეს სატყუენელი შენი მას ზედა.

21

1. და ესე სამართალები არს, რომელ წინა-დაჲდვა მათ:

2. უკუეთუ მოიგო მონაჲ ებრაელი, ექუს წელ გმონებდეს შენ, ხოლო მეშჯდეს³ წელსა განვიდეს შენგან თავისუფალი მეტად⁴.

3. ნუჲჲუ იგი ხოლო შევიდა მარტოჲ, მარტოცა განვიდეს. უკუეთუ ცოლიცა მის თანა შევიდეს, განვიდეს ცოლიცა იგი მის თანა.

4. უკუეთუ უფალმან სცეს მას [99] ცოლი და უშვს ძეგბ, გინა ასულებ, ცოლი იგი და ყრმანი იყვნენ უფლისა თჳსისა, ხოლო იგი მარტოჲ განვიდეს.

5. და უკუეთუ თქუას მონამან მან: მიყუარს უფალი და ყრმანი, არა განვიდე თავისუფლად,

6. მოიყვანოს იგი უფალმან მისმან

წინაშე საშჯელსა ღმრთისასა და მაშინ წარიყვანოს იგი და მიიყვანოს იგი წყირთლთა კარისათა და განუტურიტოს უფალმან მისმან საღვისითა ყური მისი და ჰმონებდეს მას უკუნისაღმდეგ⁵.

7. უკუეთუ ვინმე მისცეს ასული თჳსი მონასა⁶, არა განვიდეს იგი, ვითარცა-იგი განვიდიან...

8. უკუეთუ არა სათნო-ეყოს უფალსა მას თჳსსა, რომელი-იგი მან აღუთქუა მას, განოიგნეს იგი, ხოლო ნათესაჲსა უცხოსა ვერ კელ-ეწიფებ-ს მისყიდად მისა, ვითარცა შიჲრაცხ-ყო იგი.

9. უკუეთუ ძესა აღუთქუას იგი, მსგავსად სამართლისა⁷ მის ასულთაჲსა უყოს მას.

10. უკუეთუ სხუაჲ მოიყვანოს თავისა თჳსისა, საზრდელი და სამოსელი და რაჲ აღუთქუა, არა დააკლს.

11. უკუეთუ ესე სამივე არა უყოს მას, განვიდეს თავისუფლად თვნიერ ეცხლისა.

12. უკუეთუ ვინმე სცეს და მოკუდეს, სიკუდილით მოკუედინ.

13. უკუეთუ არა ნეფსით, არამედ უფალმან მისცა იგი კელთა მისთა, გცე¹ შენ აღგილი, ვიდრე მიივლტოდის კაცის-მკლველი იგი.

14. უკუეთუ ვინმე უმზიროს მოყუასსა თჳსსა ზაკუევით და მოკლას იგი [v] და მიივლტოდის მუნ, საკურთხეველისა ჩემისაგან გარდამოიყვანეთ და მოკალთ იგი.

15. რომელმან სცეს მამასა თჳსსა და დედასა თჳსსა, სიკუდილით მოკუედინ.

16 (17). რომელმან ბოროტი თქუას მამისათჳს, გინა დედისათჳს, სიკუდილით მოკუედინ.

17 (16). უკუეთუ ვინმე იპაროს ყრმაჲ ძეთაგან ისრაჲლისათა² და ჰმძლავროს და განციოდოს იგი და იპოოს იგი მის თანა, სიკუდილით მოკუედინ.

18. უკუეთუ ილაღებოდინ³ ორნი კაცი და სცეს მოყუასმან მოყუასსა მჯიღითა ანუ ქვითა და არა მოკუდეს, არამედ დაწოლით დაწვეს საწოლსა ზედა

19. და ოლდგეს და განვიდეს კუერთხითა კაცი იგი გარე⁴, უბრალო იყოს, რომელმან-იგი სცა მას, გარნა უქმების მისისათჳს მისცეს მას სამკურნალოჲ.

20. უკუეთუ ვინმე სცეს მონასა თჳსსა, გინა მვეელსა თჳსსა კუერთხითა და მოკუდეს კელსა ქუეშე⁵ მისსა, შურის-გებით შური იძიენ მისგან.

21. უკუეთუ ცხორდეს-ლა ერთ დღე⁶, ანუ ორ დღე⁶, არა შური იძიოს, რამეთუ ვეცხლისა მისისაჲ არს.

22. უკუეთუ იბრძოდინ კაცი ორნი და სცენ დედაკაცსა მიდგომილსა და მოურყუნენ ყრმაჲ მისი არლა გამოხატული, ზღვევით იზღვიოს, რაჲცა დასდვას ქმარმან მის დედაკაცისამან, მისცეს მას ვედრობით.

23. უკუეთუ გამოხატული იყოს, მისცეს მას სული [100] სულისა წილ,

24. თუალი თუალისა წილ, კბილი კბილისა წილ, კელი კელისა წილ, ფერ-კი ფერკისა წილ,

25. ნაწუევიარი ნაწუევიარისა წილ⁷, წყლულემაჲ წყლულეებისა წილ, გუემუ-ლემაჲ გუემულებისა წილ.

26. უკუეთუ ვინმე სცეს თუალსა მონისა თჳსისასა, ანუ თუალსა მვეელისა თჳსისასა და წარმოუგდოს მაჲ, თავისუფლად განუტევენ იგინი თუალისა მათისა⁸ წილ.

27. უკუეთუ ვინმე კბილი მონისა თჳსისაჲ, გინა კბილი მვეელისა თჳსისაჲ სცეს და აღმოჰუარდოს, თავისუფლად განუტევენ იგინი კბილისა მათისა წილ.

28. უკუეთუ ურქინოს კურომან მამაკაცსა ანუ დედაკაცსა და მოკუდეს, ქვითა განიტჳნოს კუროჲ იგი და ჯორცი მისი არა იქამოს, ხოლო უფალი მისი უბრალო იყოს.

29. უკუეთუ მრქენალი იყოს კუროჲ იგი გუშინდითგან და ძულუანდითგან და იწამონ უფალი იგი მისი, არა აღილოს იგი შოვრის და მოკლას მან მამაკაცი ანუ დედაკაცი, კუროჲ იგი ქვითა განიტჳნენ და უფალი მისი მის თანავე მოკუდეს.

30. უკუეთუ საჯსარი დასდვას, მისცეს მას საჯსარი, რაჲცა-იგი დასდვენ მას

¹ სცე A. ² ისრაჲლისათა A (ან აგრე უნდა გასწორებულიყო: ყრმაჲ ძეჲა ისრაჲლისათაჲ). ³ ასე, A. ⁴ გარე A. ⁵ ქუეშე A. ⁶ დღე A. ⁷ ნაწუევიარი ნაწუევიარისა წილ ნაწუევიარი ნაწუევიარისა წილ A. მისისა A.

სულისა მისისა წილ, რომელცა-იგი მოკლა მან.

31. უკუეთუ ძესა ანუ ასულსა ურქინოს, მსგავსად ამისსავე¹ [v] სამართალი უყონ მას.

32. უკუეთუ მონასა ანუ მგველსა ურქინოს კურომან, ვეცხლი ოცდაათი სატირი მისცეს უფალსა მას მათსა და კუროჲ იგი ქვითა განიტუნოს.

33. უკუეთუ ვინმე მოაღოს ჯურღმულსა ანუ აღმოჰყუთედეს ჯურღმულსა და არა დააქუას მას და შთაეარდეს მას ზროხბა ანუ ვირი,

34. უფალმან მის ჯურღმულისამან მისცეს ვეცხლი უფალსა მათსა, ხოლო მეუღარი იგი მისი იყოს.

35. უკუეთუ ვისმანმე კურომან ურქინოს კუროსა მოყუსიანასა და მოკლას, განყიდონ კუროჲ იგი ცოცხალი და განიყონ ვეცხლი იგი და ეგრევე კუროჲ იგი მოკლული განიყონ.

36. უკუეთუ იცოდინან, ვითარმედ კუროჲ იგი მრქენალი იყო ძულუნდითგან და გუშინდითგან და უწყამონ უფალსა მას მათსა და არა მოსპოს კუროჲ იგი მისი, მისცეს კუროჲსა წილ კუროჲ, ხოლო მოკლული იგი მისი იყოს.

22

1 (37). უკუეთუ ვინმე იპაროს ზროხბა ანუ ცხოვარი და დაკლას, გინა განყიდოს, ხუთი ზროხბა მისცეს ერთისა ზროხისათჳს და ოთხი ცხოვარი ერთისა ცხოვრისათჳს.

(22)

2 (1). უკუეთუ გუერდით თხრასა დაეპყრას მპარავი იგი და წყლას ვინმე და მოკუდეს, არა არს მისა კაცის-კლეა.

3 (2). უკუეთუ აღმოსრულ იყოს მზს მის თანა და მოკლას, თანა-მღებ არს იგი სიკუდილისა. არა თუ რაჲ [101] აქუნდეს მას, რაჲმცა ზღო, განყიდენ იგი ნაპარევისა მისთჳს.

4 (3). უკუეთუ დააპყრან და იპოოს გელსა მისსა ნაპარევი ვირითგან ვიდრე ცხოვრადმდე ცოცხალი, ორი წილი ზლოს.

5 (4). უკუეთუ გან- ვინმე -უტეოს საცხოვარი და მოადოოს² ყანაჲ ანუ ვენაჲ,... სხუად ყანაჲ, მისცეს მას ყანისა მისისაგანი მსგავსად ნაყოფიერებისა მისისა. უკუეთუ ყოველი ყანაჲ მოადოოს²,

უმჯობესი ყანაჲ მისი ანუ უმჯობესი ვენაჲ მისცეს მას.

6 (5). უკუეთუ გამოკდეს ცეცხლი და პოვოს ეკალი და მოწყუას კალოჲ, ანუ ყანაჲ სამკალი, ანუ ველი, ზლოს მან, რომელმან-იგი ცეცხლი აღუდგა.

7 (6). უკუეთუ ვინმე მისცეს მოყუასსა თჳსსა ვეცხლი ანუ ჭურჭერი დამარხვად და მი- ვინმე -ჰპაროს სახლისაგან მის კაცისა, უკუეთუ იპოოს მპარავი, მოჰვადოს ორი წილი.

8 (7). უკუეთუ არა იპოოს მპარავი იგი, მოვიდეს სახლისა მის უფალი, წინა-შე ღმრთისა წარმოიღონ * საშჯელი ორთაჲვე, ვითარმედ მან არარაჲ ბოროტი ქმნა ყოვლისათჳს ვედრისა მის მოყუსისა თჳსისა,

9 (8). ყოვლითავე სიტყუთა სიცრუვისაჲთა ზროხითგან და კარაულით, ცხოვრით და სამოსლითგან და ყოვლისავეთჳს წარწყმედულისა, რომლისათჳს იბრალეობდის და რაჲცა [v] იყოს,

1 ასეა A. 2 ასეა A.

* ნახე შენიშვნა შემდეგ გვერდზე.

წინაშე ღმრთისა * წარმოიღონ ორთავე¹ საშჯელი და რომელი ეპოოს ბრალსა მას შინა ღმრთისა ზიერ, მისცეს ორი წილი მოყუასსა თჳსსა.

10 (9). უკუეთუ ვინმე მისცეს მოყუასსა თჳსსა კარაული, ანუ ზროხაჲ, ანუ ცხოვარი. ანუ ყოველივე პირუტყუთაგანი დაჰარხვად და განუტყდეს, ანუ მოკუდეს, ანუ წარიტყუენოს და არაიენ უწყოდეს.

11 (10). ფიცი ღმრთისაჲ იყოს შოვრის მათ ორთავე, ვითარმედ მან არაჲაჲ ბოროტი კმნა ყოვლისათჳს ვედრისა მოყუისსა და ესრელ შეიწყნაროს იგი უფალნან მის ვედრისამან და არაჲაჲ მიჰჳადოს მას.

12 (11). უკუეთუ ვინმე მიჰპაროს მისგან, უზლოს მან უფალსა ვედრისასა.

13 (12). უკუეთუ ნამეტყვე იქმნეს, მიიყვანონ იგი ქამულსა მას ზედა და არა მიჰჳადოს.

14 (13). უკუეთუ ვინმე მისთხოვოს მოყუასსა თჳსსა საცხოვარი რაჲვე და განუტყდეს, ანუ მოკუდეს, ანუ წარიტყუენოს და უფალი იგი მისი არა მის თანა იყოს, მიჰჳადოს.

15 (14). უკუეთუ მის თანა იყოს, არა მიჰჳადოს. უკუეთუ სასყიდლით დადგინებული იყოს, სასყიდლისა მისისა წილ იყავნ მისა.

16 (15). [102] უკუეთუ ვინმე აცთუნოს ქალწული უახოველი და დაწვეს მის თანა, მიიყვანენ იგი თავისა თჳსისა ცოლად.

17 (16). უკუეთუ არა სათნო-უზნდეს, არცა იწებოს მამამან მის ქალიამან მრცემად მას იგი ცოლად, ვეცხლი მო-

სცეს მამასა მის ქალისასა, ვითარცა იგი მიაართუნ ქალწულათჳს.

18 (17). ეწამილეთა ზუჲ ჯურგები².

19 (18). ყოველი რომელი დაწვეს საცხოვრისა თანა, სიკუდილით მოკუდენ.

20 (19). რომელმან უგოს კერხსა, სიკუდილით მოკუდენ, გარნა მხოლოსა ღმრთისა.

21 (20). მწირსა არა ბოროტი უყო, არცა აქირებდეთ მათ, რამეთუ თქუენცა მწირ იყუენით ქუეყანასა მას გვჳკრისასა.

22 (21). [ყოველსა ქერიესა]⁴ და ობოლსა არა ბოროტი უყოთ,

23 (22). უკუეთუ ბოროტი უყოთ და ღალად-ყონ და კმობდენ ჩენდამო, სმენიო ვისმინო ვჲად მათი

24 (23). და განერისხნე გულის წყრომით და მოგწყუდნე თქუენ მახვლითა და იყუნენ ცოლნი თქუენნი ქურიე და შეილნი თქუენნი ობოლ.

25 (24). უკუეთუ ავასხო ვეცხლი ძმასა შენსა მკოდოვსა, რომელი იყოს შენ, შოვრის⁵, არა მოჰკდიდე მას სწრაფით, არა დასდვა მას ვახში.

26 (25). უკუეთუ იჭუთო სამოსელი მოყუისსა შენისაჲ; დასლვასა მზიასა მისცე მას,

27 (26). რამეთუ იგი ხოლო არს სამოსელად მისა და საფარველი არს შიშულობისა მისისაჲ; რადთა დაწვეს იგი? ღალად-თუ-ყოს ჩემდამო, ვისმინო მისი, [v] რამეთუ მოწყალე ვარ.

28 (27). ღმრთისათჳს არა სთქუა ბოროტი და მთავრისათჳს ერისა შენისა არა იტყოდინ ბოროტსა.

1 ორთავე A. 2 ნუ] ანუ A. 3 ანუ A. (ტექსტი შერყენილი ჩანს=მეწამლეთა ნუ ჰზურგებთ, გ. ი. მეწამლეთა ნუ ჰზოგებთ, ნუ ჰზოგავებ?). 4 ყოველსა ქერიესა]—A. 5 შოვრისი] + და A.

* აჲ სიტყვის შემდეგ ხელნაწერში (ფ. 101 v) შეიღებება მე-8 ზეულის ბოლო და მე-9 ზეულის დასაწყისი: „წარმოიღონ საშჯელი ორთავე... კარაულით, ცხოვრით და სამოსლით და“. ვარიანტები: 1—პარველად დაწერილი ტექსტი, ხ—განმეორებული ტექსტი: 8. ვედრისა მის] ვედრისა მისისა ა; 9. სიტყუენისათჳს] სიტყუესათჳსა ხ; სამოსლითგან] სამოსლით და ხ.

29 (28). პირველი ნაყოფი კალთასა შენისაჲ და საწნებლისა შენისაჲ¹ არა დააკლო და პირნშოჲ ძეთა შენთაჲ მომცე მე.

30 (29). ესრეთ ჰყო ზროხაჲ შენი და ცხოვარი შენი და კარაული შენი: შვდ

დღე² იყოს დედისა თანა და მერვესა დღესა მომცე მე იგი.

31 (30). და კაცნი წმიდა იყვენით, ჯორცი ნამწეცაჲი არა შუამოთ, ძალთა მიუგდეთ იგი.

23

1. არა შეიწყნარო სასმენელი ამოჲ, არა დაშჯერდე ცრუესა² მის თანა ყოფად ცრუ მოწამედ.

2. არა შეერთო მრავალთა თანა საქმედ ბოროტისა, არა შეეძინო კრებულისა სიმრავლესა⁴ განდრეკად, რაჲთა გარდაჲციონ საშჯელი.

3. და გლახაკი არა შეიწყალო⁵ საშჯელსა შინა.

4. უკუეთუ შეეშთხო ზროხასა მტერისა შენისასა, ანუ კარაულსა შეტომილსა, მოაქციო იგი და მისცე უფალსა მისსა.

5. უკუეთუ იხილო კარაული მტერისა შენისაჲ დაფრდომილი ტვრთსა ქუეშე⁶, არა თანა-წარჰდე, არამედ აღჰწიო მის თანა.

6. არა გარდაჲციო საშჯელი გლახაკისაჲ⁷ საშჯელსა შინა მისსა.

7. ყოვლისაგან სიტყვსა ბოროტისა განეშორე. უბრალოჲ და მართალი არა მოჰკლა და არა განამართლო უღმრთოჲ ქრთამითა.

8. [103] და ქრთამი არა მოიღო, რამეთუ ქრთამჲან დააბრმნის თულნი მხედველთანი და განრყუნნის სიტყუანი მართალნი.

9. და მწირსა მას არა აჰირეებდეთ, რამეთუ თქუენ იცით სული იგი მწირი-

საჲ, რამეთუ თქუენცა მწირ იყვენით ქუეყანასა ეგვპტისასა.

10. ექუს წელ სთესო ქუეყანაჲ შენი და შეჰკრიბო ნაყოფი მისი,

11. ხოლო მეშვდესა⁸ წელსა მიტევებაჲ ჰყო, დაუტეო იგი და ჰამდენ გლახაკნი⁹ ნათესავისა შენისანი, ხოლო ნეშტი მისი იყოს გვეცთათჲს ველისათა. ეგრეთ ჰყო ვენაჲცოვანი შენი და ლელოვანი შენი.

12. ექუს დღე² იქმნე საქმე შენი და დღესა¹⁰ მეშვდესა... განცხუნოს ჯარჲან შენჲან... და მწირჲან.

13. ყოველი, რომელი გარჲუ თქუენ, დაიმარხეთ და სახელი ღმერთთა უცხოთაჲ არა მოიქსენოთ, არცა ისმეს პირი-საგან თქუენისა.

14. სამ გზის წელიწადსა დღესასწაული¹¹ ჰყვიო ჩემი,

15. დღესასწაული¹¹ უცომოებისაჲ დაიმარხეთ ყოფად: შვდ დღე² შუამდეთ უცომისა, ვითარცა-იგი გამცენ თქუენ ჟამს მას ოდენ თუესა ახალთაჲსა, რამეთუ მას თუესა გამოხუდით ქუეყანით ეგვპტით. არა მეჩუენო წინაშე პირსა ჩემსა ცალიერი.

16. დღესასწაული¹¹ მკისაჲ პირველთა ნაყოფთა შენთაჲ ჰყო საქმეთა შენთაჲ, რაჲცა სთესო ქუეყანასა შენსა, და დღესასწაული¹¹ აღსრულებისაჲ გან-

1. „და საწნებლისა შენისაჲ“ მეორდება A. ში. 2 დღე A. 3 ცროხსა A. 4 სიმრავლესა A. 5 შეიწყალონ A. 6 ქუეშე A. 7 საშჯელსა გლახაკისასა A. 8 მეშვდესა A. 9 გლახანი. A. 10 დღესა. 11 დღესასწაული A.

სლვასა წელიწადისასა შეკრებასა საქმისა შენისასა.

17. [x] სამ გზის წელიწადსა შინა ეზუენოს ყოველი წული შენი წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა.

18. რაჟამს განვასხნე წარმართნი პირისაგან შენისა და განვაგრცნე საზღვარნი შენნი, არა შესწირო ცომსა თანა სისხლი მსხუერპლთა ჩემთაჲ, არცა დაადგრეს ცმელი დღესასწაულთა¹ ჩემთაჲ განთიადმდე.

19. დასაბამი პირველთა ნაყოფთა შენთაჲ შესწირო ტაძრად უფლისა ღმრთისა შენისა. არა შემგებოლო კრავი სძიოთა დედისა თვისისაჲთა.

20. და ესერა მე წარვაელინო ანგელოზი ჩემი წინაშე შენსა, რაჲთა დაგიცევს შენ გზასა ზედა და რაჲთა შეგიყვანოს შენ ქუეყანასა მას, რომლისათვის გეფუცე შენ.

21. ეკრძაღე თავსა შენსა და ისმინე მისი და ნუ ურჩ ექმნები მას, რამეთუ არა შეგინდოს შენ, რამეთუ სახელი ჩემი არს მას ზედა.

22. უკუეთუ სმენით ისმინე სიტყუანი ჩემნი და ჰყო ყოველი, რომელი გამცენ შენ, და დაიცენ აღთქუმანი ჩემნი, იყენით ერად ჩემდა მოპოვნებულად უმეტეს ყოველთა ნათესავთა, რამეთუ ჩემი არს ყოველი ქუეყანაჲ, ხოლო² თქვენ იყენით ჩემდა ერად სამეფოდ, სამღელოდ, ნათესავად წმიდად.

ამით სიტყუათა ეტყუდე ძეთა ისრაელისათა: უკუეთუ სმენით ისმინეთ სიტყუანი ჩემნი და ჰყოთ ყოველივე, რომელსა გეტყვ თქვენ, ვემტერო მტერთა თქვენთა და წინა-აღუდგე წინა-აღმდგომთა თქვენთა.

23. რამეთუ წარვიდეს ანგელოზი ჩემი მძლურად შენდა და [104] შეგიყვანოს შენ ამორეველისა მის და ქეტელინსა და ფერეზელისა, ქანანელისა და გერგესეველისა და იებოსელისა და შემესრნე იგინი.

24. არა თაყუანის-სცე ღმერთთა მათთა³, არცა ჰმსახურებდე მათ. არა ჰქმნე საქმისა მათისაებრ, არამედ დარღუევით დაარღვნე და შემესრვით შემესრნე ძეგლნი იგი მათნი.

25. და ჰმსახურებდეთ უფალსა ღმერთისა თქვენსა, და ეკუთრობო პური თქუენი და ღვინო და წყალი თქუენი და გარე-წარვაქცო საღმობაჲ შენგან.

26. არა იყოს უშვილოჲ, არცა ბერწი ქუეყანასა თქუენსა. რიცხვ დღეთა⁴ შენთაჲ აღვაესო

27. და შიში და ძრწოლაჲ წარვაელინო წინამძლურად შენდა და განვაკრთენ ყოველნი ნათესავნი, რომელთა შეხულ მუნ, და მოვცენ ყოველნი მტერნი შენნი მეოტად.

28. და წარვაელინო ბზიკი უწინარსს შენსა და განასხნეს ამორეველნი იგი და ეველნი, ქანანელნი იგი და ქეტელნი შენგან.

29. არა განვასხნე იგინი წელიწადსა ერთსა, რაჲთა არა ქუეყანაჲ მოვრდეს და განმრავლდეს მკეცი ქუეყანისაჲ შენ ზედა.

30. მცირედ-მცირედ განვასხნე იგინი შენგან, ვიდრემდე აღორძნდე და დაიმკვდრო ქუეყანაჲ.

31. და დავსხნე საზღვარნი შენნი ზღვთ მეწამულითგან ვიდრე ფილისტიმელმდე⁵ და უდაბნოჲთ ვიდრე მდინარედ დიდამდე ეფრატად და მი-

1 დღესასწაულთა A. 2 ხოლო რამეთუ A (არეული ჩანს ერთმანეთში ქარაგმანი ზ და

3 ღმერთთა მათთაჲ მათ A. 4 დღესა A. 5 ფილისტიმელმდე A.

ესტენე ჯელთა თქუენტა მკვდრნი იგი მის ქუეყანისანი და გაეასხქენე იგინი შენგან, ვიდრემდე აღორძნდე და დაიმკვდრო ქუეყანაჲ¹.

32. [არა აღუთქუა]² მათ და ღმერთთა მათთა აღთქუმაჲ.

33. და არცალა სხდენ ქუეყანასა შენსა, რაჲთა არა გაცოდვონ შენ ჩემდამო. უკუეთუ ჰმონებდე შენ ღმერთთა მათთა, იგინი იყვნენ დაბრკოლება შენდა.

24

1. და მოსეს ჰრქუა: აღმოვედ შენ და აპრონ და ნაბად და აბიუდ უფლისა და სამეოც და ათნი მოხუცებულნი ისრაელისანი და თაყუანის-სცენ შორით უფალსა.

2. და შეეახლოს მოსე ხოლო ღმერთსა, ხოლო იგინი არა მიეახლნენ და ერი ნუ აღმოვალნ მათ თანა.

3. შევიდა მოსე და უთხრნა ერსა მას ყოველნი სიტყუანი ღმრთისანი და სამართალნი მისნი. მიუგო ერმან მან კმითა დიდითა და ჰრქუეს: ყოველთავე სიტყუათა რომელთა იტყოდა უფალი, ვცოთ და ვისმინოთ.

4. და დაწერნა მოსე ყოველნი ესე სიტყუანი უფლისანი. აღიმსთო მოსე განთიად და აღაშშნა საკურთხეველი მთასა მას ქუეშე³ ათორმეტითა ქვითა მსგავსად ათორმეტთა ტომთა ისრაელისათა.

5. და წარავლინა მოსე⁴ კაბუკები იგი ძეთა⁵ ისრაელისათა და შეწირეს მსხუერპლები და შესაწირავე იგი ცხორებისაჲ ღმრთისა ზუარაჲები.

6. და მოილო მოსე ზოგი იგი სისხლისაჲ მის და შთაასხა ტაყუკსა, ხოლო ზოგი იგი სისხლისაჲ მის მოაპკურა გარემოჲს საკურთხეველსა შორს.

7. და მოილო წიგნი იგი ზეჟულისაჲ და აღმო[105]უკითხა ყურთა მინმართ

ერისათა და თქუეს: ყოველივე, რომელი თქუა უფალმან, ვცოთ და ვისმინოთ.

8. მოილო მოსე სისხლი იგი, აპკურა ერსა მას და თქუა: ესე არს სისხლი აღთქუმისაჲ, რომელი აღუთქუა უფალმან ყოველთათჳს სიტყუათა ამათ.

9. და აღვიდა მოსე და აპრონ და ნაბად და აბიუდ და სამეოც და ათნი მოხუცებულნი ისრაელისანი

10. და იხილეს, სადა-იგი დგა მუნ ღმერთი ისრაელისაჲ და ქუეშე³ ფერჯთა მისთა ვითარცა კმნულებაჲ აღიზისაჲ ანთრაკი საფირონი ვითარცა სამყაროჲ ცისაჲ სიწმიდით.

11. და რჩეულთაგანი ისრაელისათა არაჲინ მოკლდა არცა ერთი; და იხილეს ადგილი იგი ღმრთისაჲ და კამეს და სუეს.

12. და ჰრქუა უფალმან მოსეს: აღმოვედ ჩემლა მთად და იყავ მუნ და მოგცნე შენ ფიცარნი ქვისანი, ზეჟული და მცნებანი ჩემნი, რომელი დაეწერე ზეჟულის დებად მათა.

13. აღდგა მოსე და ისო წინაშე მდგომელი მისი, აღვიდეს მთასა მას ღმრთისასა.

14. და მოხუცებულთა მათ ჰრქუა: დადუმენით თქუენ მანდა, ვიდრეჲდ ნოვიდე თქუენდა, და აჰა-ესერა აპრონ და ორ თქუენ თანა. უკუეთუ გისმე ელვას საზეჟლი, მივედინ მათა.

1 უკანასკნელი სიტყვები („ვიდრემდე აღორძნდე და დაიმკვდრო ქუეყანაჲ“) გადმოსული ჩანს 30-ე მუხლიდან. 2 არა აღუთქუა—A. 3 ქუეშე A. 4 მოსე A. 5 ძეთა A.

15. და აღვიდეს მოსე და ისო მთასა მას და დაფარა ღრუბელმან მთაჲ იგი.

16. ... და უწოდა უფალი მოსეს მეშვლესა ღლესა ღრუბლით გამო.

17. ხოლო ხილვად იგი დიდებისა ღმრთისაჲ ვითარცა ცეცხლი აღატყდ-

ბოდა [v] თხემსა ზედა მის მთისასა წინაშე ძეთა ისრაელისათა.

18. და შევიდა მოსე შოვრის ღრუბელსა მას და აღვიდა მთასა მას და იყო მუნ მთასა მას ზედა ორმოც დღე¹ და ორმოც ღამე².

25

1. და ეტყოდა უფალი მოსეს და პატყუა:

2. ეტყოდე შენ ძეთა ისრაელისათა: მომართუდ შესაწირავად ყოველთაგან, რომელთა-იგი უნდეს გულსა მათსა, მომართუდ მე პირველ ნაყოფად შესაწირავად ჩემდა.

3. და ესე არს შესაწირავი, რომელ მოიღო მათგან:

4. ოქროჲ და ვეცხლი და რვალი, ოაკინთჲ და ძოწეული და მეწამული მრჩობლი და ბისონი ძახილი და თმაჲ თხისაჲ.

5. და ტყავები ვერძებისაჲ ტარსიკონი და ტყავი სიავი და ძელი ულპოლველი.

6 (7). და ქვაჲ სარდიონი და ანთრაქები გამოსაქანდაკებულად, სამგართათჲს და საწვეთა.

7 (8). და მიქმენით მე სიწმიდჲ და გამოგეცხადოდი თქუნე.

8 (9). და მიქმენ შენ ყოვლისა მისებრ, რომელი გიჩუენო შენ მთასა ზედა, საბჲ კარვისაჲ და საბჲ ყოვლისა კურკრისა მისისაჲ, ეგრეთ ჰქმნე.

9 (10). და ქმენ კილობანი წამებისაჲ ძელთაგან ულპოლველთა³ ორ წყრთა და კერძო [სიგრძჲ მისი, წყრთა და კერძო]⁴ სიერცჲ მისი და წყრთა და კერძო სიმალჲ მისი.

10 (11). და მოპრჩუნო იგი ოქროთა წმიდითა, შინაგან და გარეშე⁵ მოჰლესო;

და აქმნე მას კიდე თხზუ[106]ლად ოქროთა გარემო.

11 (12). და უქმნნე მას ოთხნი გრკალნი ოქროჲსანი და განაცუნე იგინი ოთხთავე კიდეთა მისთა: ორნი იგი გრკალნი ერთ კერძო და ორნი იგი გრკალნი ერთ კერძო მეორესა მას კიდესა.

12 (13). და ჰქმნნე აღსაღებელნი ძელნი ულპოლველნი და შეჰმოსნე იგინი ოქროთა.

13 (14). და განუთხინე აღსაღებელნი გრკალთა მათ, რომელნი იყენენ კიდეთა მათ კილობნისათა, რაჲთა აღილოდის კილობანი იგი მით.

14 (15). და გრკალთა მათ შინა რჩულისათა იყენენ აღსაღებელნი იგი შეურყეველად.

15 (16). და დაჰსხნე საწამებელნი, რომელ მიგცნე შენ, კილობანსა მას შინა.

16 (17). და ჰქმნე სალხინებელი იგი მას ზედა შთასაღებულად ოქროჲსაგან წმიდისა ორ წყრთა და კერძო სიგრძით და წყრთა და კერძო სიერცით.

17 (18). და ჰქმნნე ორნი ქერობინი ოქროჲსანი ქანდაკებულად და დასდგნე იგინი ორთავე მათ კიდეთა სალხინებელისათა,

18 (19). რომელ-იგი ჰქმნნე ერთი ერთ კერძოსა მას კიდესა და ქერობინი იგი ერთი მეორესა მას კიდესა მის

სალხინებელისასა; და ჰქმნენ ორნი ესე ქერობინნი, რაჲთა იყენენ ორთავე მათ კიდეთა.

19 (20). და განუპყრნე ორთავე ფრთენი ზედა-კერძო და ჰფარვიდენ ფრთითა სალხინებელსა მას და პირნი მათნი ურთიერთას მიექცინენ [v] სალხინებელად კერძო.

20 (21). და დასდენ სალხინებელი იგი ზედა-კერძო კილობანსა მას, და კილობანსა მას შთასხნენ საწამებელნი იგი, რომელ მოგარნე შენ.

21 (22). და გამოგეცხადოდი შენ მიერ და გეტყოდი შენ ზედა-კერძო მიერ სალხინებელით შოვრის ორთა მათ ქერობინთა, რომელნი იყენენ ზედა კილობანსა მას საწამებელისასა, და ყოვლისა მისებრ, რომელი გამცნო შენ ძეთა მიმართ ისრაჲლისათა.

22 (23). და ჰქმნე ტაბლად ოქროსაჲ, ორ წყრთა საგრძლ მისი და წყრთა ერთ სიგრძლ მისი და წყრთა და კერძო სიმაღლლ მისი.

23 (24). და აქმნენ მას კიდენი ოქროსანი თხზვით გარემო. და აქმნენ მას გვრგვნი ცილით ერთით გარემო.

24 (25). ...

25 (26). და ჰქმნენ ოთხნი გრკალნი ოქროსანი და განაცუნენ იგინი ოთხ კერძოთავე ფერკტა მისთა (27) ქუეშე-კერძო¹ გვრგვნსა მას.

26. და იყენენ გრკალნი იგი განსაცუმელად აღსაღებელთა მათ, რაჲთა აღილოდიან მით ტაბლად იგი.

27 (28). და ჰქმნენ აღსაღებელნი იგი ძელთაგან ულპოლეელთაჲსა და შექმოსნენ იგინი ოქროსთა წმიდითა და აღილოდიან მით ტაბლად იგი.

28 (29). და ჰქმნენ პინაკები მისი და

ფსიადები, ტაკუები და ციცხუები, რომლითა შესწირვიდენ მით; ოქროსაგან წმიდისა ჰქმნენ იგინი.

29 (30). და დაავო იგი ტაბლასა მას ზედა წინაშე ჩემსა პური სამარადისოჲ წინაშე.

30 (31). და ჰქმნენ სასანთლ [107] ოქროსაგან წმიდისა, ქანდაკებულად ჰქმნენ სასანთლ იგი. ჰერი იგი მისი და რტონი და ტაკუნი და ბირთუნი და შროშანნი მისგანვე იყენენ.

31 (32). ექუსნი რტონი გამოვიდოდიან ერთ კერძო: საშნი რტონი სასანთლისა მის ერთ კერძოჲსანი, და საშნი რტონი სასანთლისა მის ერთ კერძოჲსა მეორისანი.

32 (33). ...

33 (34). და ... ტაკუნი გამოსახულნი ნიგუზაჲებად², ერთსა მას რტოსა ბირთუნი იგი და შროშანნი მისნი.

34 (35). ბირთუ ქუეშე-კერძო¹ რტოთა მათ ორთა მისგანვე და ბირთუ ქუეშე-კერძო¹ ოთხთა მათ რტოთა მისგანვე. ესრეთ იყოს ექუსთა მათ რტოთა მის სასანთლისათა.

35 (34). და სასანთლესა მას ოთხნი ტაკუნი გამოსახულნი ნიგოზაჲებასა.

36. ბირთუები იგი და რტონი მისგანვე იყენენ, ყოვლად მყარი ერთისაგან ოქროსა წმიდისა.

37. და ჰქმნენ სასანთლენი მისნი შუდ და დასდგნენ სასანთლენი იგი და ჰნათობდენ ერთით კერძო პირით.

28. და მოსაყოფელი მისი და ქუეშესაღმელები მისი ოქროსაგან წმიდისა ჰქმნენ.

39. ესე ქური ერთი ქანქარი იყავნ ოქროსაგან წმიდისა.

40. იხილე, ვითარ-ღი ჰქმნენ მსგავსად მისა, რომელი გიჩუენენ შენ მთასა მას ზედა.

26

1. და კარავი იგი ჰქმნე ათ¹ ეზოდან ზეზისაგან ძახილისა და იაკინთისა [v] და ძოწეულისა და მეწამულისა გრებილისა, ქერობინად-ქერობინად ჰქმნე იგი.

2. სიგრძე ეზოვსაჲ მის ერთისაჲ ოც და რვა წყრთა იყოს... ერთისაჲ მის ეზოვსაჲ: საზომი ერთი იყოს ყოველთა მათ ეზოთაჲ.

3. ხუთი ეზოჲ იყოს ურთიერთას მახლობელად ერთი ერთისაგან და ხუთნივე იგი ეზონი იყვნენ შედგმულ მოყუასი მოყუასსა.

4. და უქმნე მას კილოები იაკინთისაჲ დაგძილსა ეზოვსა ერთისასა ერთ კერძო შესაკინძველად. და ესრეთ ჰქმნე ეზოსა მას მეორესა გარეშე² კერძოსა შესაკინძველად.

[ა კ ლ ი ა]

30

[108]... ხოლო კერძოჲ სატირისაჲ მის შესაწირავად უფლისა.

14. ყოველი, რომელი წარმოდგებოდის ახილვასა მას ოცით წლითგანი და უზეშთაჲსი, მოსცენ შესაწირავად უფლისა.

15. მდიდარმან არა შესძინოს და მკოდომან არა დააკლოს კერძოვსა მისგან სატირისა მიცემასა მას შესაწირავად უფლისა და სალხინებელად სულთა თქუენათჳს.

16. და ძოილო ვეცხლი იგი შესაწირავისაჲ ძეთაგან ისრაჲლისათა და მისცე იგი საქმარად კარავსა მას საწამებელისასა. და იყოს იგი საწსენებლად ძეთა ისრაჲლისათა წინაშე უფლისა სალხინებელად სულთა თქუენათჳს.

5... ერგასისი დილები უქმნე ერთ კერძოსა მას მეორესა ეზოსა შესაკინძველად, წინაშე პირისპირ მართლ ემთხვოს ურთიერთას ერთი იგი თითოეულსა.

6. და ჰქმნე კარშიკები ერგასისი კერძოვსაჲ და შეაბრძნო ეზოები იგი ურთიერთას კარშიკებითა მით, და იყოს იგი ერთ კარავ.

7. და ჰქმნე გარდასაბურველი თმისაჲ საბურველად კარვისა მის; ათერთმეტი საბურველი უქმნე მას.

8. საზომი ერთისაჲ მის საბურველისაჲ ოც და ათ წყრთა და ოთხ წყრთა სიგრძე და საბურველისა მის ერთისაჲ: საზომი ვერევე იყავნ ათერ...

17. ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუი:

18. ქმენ ემბაზი რეალისაჲ და ხარისხნი მისნი რეალისანი, რაჲთა დაიბანოდიან კელნი და ფერკნი მათნი, და დასდგა იგი შოკრის კარავსა მას საწამებელისასა... და შთაასხა მას წყალი.

19. და დაიბანოდიან აჰრონ და ძეთა მისთა კელნი და ფერკნი მათნი,

20. ოდეს შევიდოდიან კარვად საწამებელისა, და დაიბანოდიან წყლითა, რაჲთა არა მოწუდენ, რაჲმს მოვიდოდიან იგინი⁴ საკურთხეველსა მას მსახურებად და შეწირვად მსხუერპლისა.

1 ჰქმნე ათ] ჰქმნათ A. 2 გარეშე A. 3 ასეა A. 4 იგი A.

21. ...დაიბანოდიან წყლითა... და იყოს მათა შჯულად საუკუნოდ, მათა და ნათესავისა მათისა შემდგომად მათსა.

22. ეტყოდა უფალი მოსეს და [v] ჰრქუა:

23. და შენ მოიღე სულნელთაგან ყუაველთა მურისაგან რჩეულისა ზუთასი სასწორი, და კინამოვსაგან სულნელისა ზოგი მისევე სასწორისაჲ ორას ერგასი-სი და ლერწამი სულნელი...

24. და იეროსი¹ ზუთასი წმიდაჲ სასწორი და ზეთი ზეთთაგანი საწყაული ერთი².

25. და ჰქმნე იგი ზეთად საცხებელად წმიდაჲ ნელსაცხებელად მენელსაცხებლეთაგან³ ელღონებისათა; ზეთი საცხებელი წმიდაჲ იყოს.

26. და სცხო მით კარავსა მას საწამებელისასა და კიდობანსა მას⁴

27. და ყოველსა ჰურჰერსა მისსა და სასანთლესა მას და ყოველსა ჰურჰერსა მისსა და საკურთხეველსა მას საკუმეველისასა

28. და საკურთხეველსა მას მსხუერპლთასა და ყოველსა ჰურჰერსა მისსა, ტაბლასა და ყოველსა ჰურჰერსა მისსა, ემბაზსა და ზარისხთა მისთა.

29. და განსწმიდო იგი და იყოს წმიდაჲ წმიდათაჲ: ყოველი, რომელი შეეხოს ამათ, განსწმინდეს.

30. და სცხო იგი აპრონს და ძეთა მისთა და განსწმიდნე იგინი მღდელობად ჩემდა.

31. და ძეთა ისრაშლისათა ეტყოდე და არქუ: ზეთად საცხებელად ცხებულე-ბისა წმიდად იყავნ ესე თქუენდა და ნათესავთა თქუენთა.

32. ჯორცსა კაცისასა არა ეცხოს და მსგავსად შეზავებისა მისისა [არა]⁵ ჰქმნე ეგრევე, რამეთუ წმიდა არს და სიწმიდე⁶ იყოს [109] თქუენდა.

33. რომელმან ქმნეს ეგრევე და რომელმან უქმნეს უცხო თესლსა, მოისპოს იგი ერისაგან თჳსისა.

34. და ჰრქუა უფალმან მოსეს: მოიღე შენ სულნელი, შტახსი და ფრცხილი და [ქალ]ბანშ⁷ რჩეული, სწორსწორ იყოს,

35. და ჰქმნე იგინი საკუმეველიად მენელსაცხებლეთა⁸ ქმნულად ნელსაცხებლის მგბოლველთაჲ აღზავებული განრჩეული წმიდაჲ.

36. და მოჰგალო ამისგან წულილად და დასდე იგი წინაშე საწამებელთასა კარავსა⁹ მას საწამებელისასა, ვინაჲ იგი გამოგეცხადო შენ. წმიდა წმიდათა იყოს საკუმეველი იგი თქუენდა.

37. ამის ქმნულებისაებრ არა ჰქმნეთ თავისა თქუენისა საკუმეველი: სიწმიდე⁶ იყოს ესე თქუენდა უფლისა.

38. რომელმან ქმნეს ეგრევე, ვითარ-მცა იყნოსა იგი, წარწყმდეს იგი ერისაგან მისისა.

31

1. ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა:

2. აჰა-ესერა მიწოდებიეს სახელით ბესელშლ, ძმ ორისი, რომელ-იგი არს ორეანი ტომისაგან იუდაისისა.

3. და აღევასო იგი სულითა საღმრ-თოთა, სიბრძნითა და მეცნიერებითა და გულისხმის-ყოფითა ყოველსა სა-ქმესა

1 ასეა A. 2 ასეა A. 3 მენელსაცხებლელთაგან A. 4 კიდობანსა მას]+და სასანთლესა მას A. (ეს სიტყვები შემდეგ მუდმილი ჯვხედება). 5 არა]-A. 6. სიწმიდე A. 7 და ბანშ A. 8 მენელსაცხებლელთა A. 9 კარავსა] და კარსა A.

4. განზრახვად, ხუროთ-მოძღვრებად, საკმელ ოქროჲსა მის და ვეცხლისა და რვალისა და იაკინთისა და ძოწეულისა და მეწამულისა მის [x] სთულისა და ზე-ენისა მის ძახილისა,

5. სამსახურებელსა და საქმესა მას ძელით ხუროებისასა, საკმელ ყოვლისავე საქმისაებრ;

6. და მივსცე მე მას .ელიაბ, ძმ აქისამაქისი ტომისაგან დაანისა, და ყოველსა გულისხმის-ყოფელსა გულით მივეც მეცნიერებაჲ. და ქჳნენ¹ ყოველი, რომელი გიბრძანე:

7. კარავი იგი საწამებელისაჲ და კილობანი იგი შჯულისაჲ და სალხინე-ბელი იგი მას ზედა და შესამზადებელი იგი კარვისაჲ,

8. და საკურთხეველები და ტაბლად და ყოველი ჭურჭერი მისი, ...

9. ემბაზი იგი და ხარისხნი მისნი,

10. და სამოსელი იგი სამსახურებელი² აპრონისი და სამოსელნი იგი ძეთა მის-თანი სამღვდელოდ ჩემდა,

11. და ზეთი იგი ცხებულებისაჲ და საკუმეველი იგი შეზავებული სიწმიდი-საჲ. მსგავსად ყოვლისა, რომელი გიბრ-ძანე შენ, ქჳნენ¹.

12. ეტყოდა უფალი მოსეს და ჰარქუა:

13. ... ეკრძაღენით და შაბათნი ჩემნი დაიმარხენით, რამეთუ არს იგი სასწაუ-

ლი ჩემდამო და თქვენ შოვრის და ნათესავისა თქუენისა, რაჲთა სცნათ, რამეთუ მე ვარ უფალი, რომელი გან-გწმედ, თქუენ.

14. და დაიმარხეთ შაბათი ჩემი, რა-მეთუ წმიდა არს უფლისა მიერ თქუენ შოვრის. რომელმან შეაგინოს იგი, სი-კუდილით მოკუედინ. ყოველმან რომელმან ქჳნეს საქმს მას შინა, მოისპოს სული იგი შოვრის ერსა მისსა.

15. ექუს ღლე³ იქმოდე [110] საქმესა შენსა, ხოლო ღლს იგი მეშვდს განსუე-ნებაჲ არს წმიდაჲ უფლისაჲ. ყოველმან რომელმან ქჳნეს საქმს ღლესა⁴ მას მე-შვდესა, სიკუდილით მოკუედინ.

16. და დაიმარხედ ძეთა ისრაჲლისა-თა შაბათისა მის ყოფად მისა ნათე-სავსა შოვრის მათსა შჯულად

17. შოვრის ჩემსა და შოვრის ძეთა ისრაჲლისათა, სასწაული არს ჩემ წი-ნაშე საუკუნოდ, რამეთუ ექუსთა ღლე-თა შექმნა⁵ ღმერთმან ცანი და ქუეყა-ნაჲ და ღლეა⁶ მას მეშვდესა დააცა-და და...⁶

18. და მოსცნა უფალმან მოსეს, რა-ჲამს დასცხრა სიტყუად მისა მთასა მას ზედა სინასა, ორნი ფიცარნი წამებისა-ნი, ფიცარნი ქვისანი, დაწერილნი თი-თითა ღმრთისაჲთა.

32

1. და ვითარცა იხილა ერმან მან, რამეთუ დაყოვნა მოსე გარდამოსლვად მიერ მთით, შეკრბა ერი იგი აპრონის ზედა და ჰარქუეს: აღდგ და მიქმენ ჩუენ ღმერთნი, რომელნი წინა-მიძლოდნან ჩუენ, რამეთუ კაცსა მას მოსეს, რომელმან

გამომიყვანნა ჩუენ ქუეყანით ეგვიპტით, არა ვიცით რაჲ შევმთხვა მას.

2. და ჰარქუა მათ აპრონ: გამოჰადე-ნით⁷ საყურები⁷ ოქროსაჲ ყურთაგან ცოლთა თქუენთაჲსა და ასულთა თქუენ-თაჲსა...

1 ქჳნენ A. 2 სამსახურებელი A. 3 ღლს A. 4 ღლსა A. 5 ასეა A. 6 აქ A-ში თავისუფალი ადგილია დატოვებული ერთი სიტყვისათვის. 7 ასეა A (დარღვეულია სინტაქსური წესი).

3. და* გამოიკადა ყოველმან ერმან საყურები ოქროდსაჲ ყურთაგან მათთა და მოართუეს აჰრონს.

4. და მოიღო იგი კელთაგან მათთა და გამოკმნა იგი გამოწერით და შეკმნა კბოჲ გამოდნობილად დასხმით და ჰრქუა: ესე არიან ღმერთნი შენნი, ისრაჲლ, რომელთა [v] გამოგიყვანეს შენ ქუეყანით ეგვპტით.

5. და იხილა აჰრონ და უწმნა საკურთხეველი წინაშე მისსა და ქადაგი განავლინა აჰრონ მათა და ჰრქუა: დღესასწაული¹ არს უფლისაჲ ხვალე².

6. და აღიმსთო ხვალისაგან და შეწირა მსხუერპლები და მოიღო შესაწირავი ცხორებისაჲ და დასხდა ერი იგი ქამად და სუმად და აღდგეს სიმღერად.

7. ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა: გარდავედ ადრე ამიერ, რამეთუ ურჩულოჲ³ ყო ერმან შენმან, რომელი გამოიყვანე ქუეყანით ეგვპტით;

8. გარდაჰქდეს ადრე გზისა მისგან, რომელი ამცენ მათ: იქმნეს თავისა მათისა კბოჲ და თაყუანის სცეს მას და თქუეს:

9 (8). ესე არიან ღმერთნი შენნი, ისრაჲლ, რომელთა აღმოგიყვანეს შენ ქუეყანით ეგვპტით.

10. და აწ მიჰუ და განერისხნე გულის წყრომით მათ ზედა და აღვკოცნე იგინი და გყო შენ ნათესავად⁴ დიდად.

11. და ევედრა მოსე უფალსა ღმერთსა და ჰრქუა: რაგასათჳს განჰრისხნებოდა შენსა ზედა გულის წყრომით, რომელი გამოიყვანე ქუეყანით ეგვპტით ძალითა დიდითა და მკლავითა მალლითა?

12. ნუჟუჟე თქუან ეგვპტელთა მათ, ვითარმედ: ზაკუვით განიყვანნა იგინი უფალმან მოწყუედად მათთა ზედა და

აწოცად მათა ქუეყანით. დასცხერ რისხვისაგან გულის წყრომისა შენისა და ლხინება-ყაჲ უეტუთურებისათჳს ამის ერისა შენისა.

13. [111] მოიკსენე აბრაჰამისი, ისაკისი და იაკობისი, მსახურთა შენთაჲ, რომელთა-იგი ეფუცე თავისა შენისა და ეტყოდე მათ და სთქუ, ვითარმედ: განვამრავლო ნათესავი თქუენი ვითარცა ვარსკულაენი ცისანი სიმრავლითა და ყოველი ესე ქუეყანაჲ, რომელ სთქუ მიცემად ნათესავსა მათსა, და დიპყრან იგი უკუნისადმდე.

14. და ლხინება-ყო უფალმან ბოროტისა მისთჳს ერისა, რომელ თქუა ყოფად მათა.

15. და მოიქცა მოსე და გარდამოვიდოდა მიერ მთით და ორნი იგი ფიცარნი წამებისანი კელთა მისთა, ფიცარნი ქეისანი, რომელნი წერილ იყვნეს ორ კერძოვე, იმიერ და ამიერ.

16. და ფიცარნი იგი კმნულნი ღმრთისანი იყვნეს და წერილი იგი იყო წერილი ღმრთისაჲ გამოდგმულ ფიცართა მათ.

17. და ესმა ისოს, ძესა ნავშსსა, კმაჲ იგი ერისაჲ და ჰრქუა მოსეს: კმა ბრძოლისაჲ მესმის ბანაკსა მას.

18. და ჰრქუა მოსე: არა არს კმაჲ ესე მთავართაგან ძლიერებისათა, არცა კმაჲ მთავართაგან ძლევისათა, არამედ კმაჲ მთავართაგან ღვნისათა⁵ მესმის.

19. და ვითარცა მიეახლა ბანაკსა მას, იხილა კბოჲ იგი და მძნობრები და განრისხნა მოსე გულის წყრომით და განუტევნა კელთაგან თჳსთა ორნი იგი ფიცარნი და შემუსრნა იგინი მთასა მას ქუეშე⁶.

1 დღესასწაული A. 2 ზედალ A. 3 ასეა A (=ურჩულობაჲ?). 4 ნათესავ A. 5 ღვნისაჲ A. ქუეშე A.

20. და მოიღო ჯბოჲ იგი, რომელ ქენეს, [v] და დაწუა იგი ცეცხლითა და დამუსრა იგი მწულილად და შთააბნია იგი წყალსა მას და ასუა ძეთა ისრა-ლისათა.

21. და ჰრქუა მოსე აჰრონს: რაჲ გიყო ერმან ამან, რამეთუ მოაწიე ამთ ზედა ცოდვამ დიდი?

22. და ჰრქუა აჰრონ მოსეს: ნუ გან-ჰრისხნები, უფალო, რამეთუ შენ იცი სულვამ¹ ერისაჲ ამის.

23. რამეთუ მრქუეს მე: მიქმენ ჩუენ ღმერთნი, რომელნი წინა-მიძღოდიან, რამეთუ მოსე, კაცი იგი, რომელმან გა-წომიყვანა ჩუენ ეგვპტით, არა ვიციოთ რაჲ შეემთხვა მას.

24. და ვარქუ მათ: ვის აქუს ოქროჲ, ჯამოიუნ. და მომცეს მე და შევაბნიე კეცხლსა და გამოვდა ჯბოჲ ესე.

25. და ვითარცა იხილა მოსე ერი იგი, რამეთუ განქარდეს და რამეთუ კანაქარენა იგინი აჰრონ მოსაცხრო-ჟლად მტერთა მათთა,

26. დადგა ბჳეთა თანა ბანაკისათა და თქუა: ვინ არს უფლისა კერძო, მოვედ-ნ ჩემდა! და მოვიდეს მისა ყო-ველნი ძენი ლევისნი.

27. და ჰრქუა მათ: ამას იტყვს უფა-ლი ღმერთი ისრაჲლისაჲ: შეიბნ კაცად-კაცადმან მახელი წელთა თჳსთა და განვლეთ და მოაქციეთ ბჳითი-ბჳედ ბანაკისა მევისგან, და მოკალნ კაცად-კაცადმან ძმამ თჳსი და კაცად-კაცადმან

მოყუასი თჳსი და კაცად-კაცადმან მა-ხლობელი თჳსი.

28. და ყვეს ძეიჲა ლევისთა², ვითარცა ეტყოდა მათ [112] მოსე. და დაეცნეს მას ღლესა შინა სამ ათასნი კაცი.

29. და ჰრქუა მათ მოსე: აღასრულეთ ჳელითა თქუენითა ღლეს უფლისა მი-მართ კაცად-კაცადმან ძესა ზედა თჳსსა და ძმასა მოციმად თქუენდა კურთხე-ვისა.

30. და იყო ზეალისაგან და ჰრქუა მოსე ერსა მას: თქუენ სცოდეთ ცოდვამ დიდი, და აწ აღვიდე მე ღმრთისა, რაჲთა გილხინოს ცოდვათა თქუენთა.

31. მოიქცა მოსე უფლისა და თქუა: გევედრები, უფალო: ცოდა ერმან ცოდ-ვამ დიდი და იქმნნეს თავისა თჳსისა კერპნი ოქრომისანი.

32. და აწ მი-თუ-უტეივებ ცოდვათა მათთა, მიუტევენ. უკუეთუ არა, აღმჯო-ცე მეცა წიგნისა მისგან, რომელსა და-მწერე.

33. და ჰრქუა უფალმან მოსეს: რო-მელმან ცოდა, აღმჯოცო იგი წიგნისაგან ჩემისა.

34. ხოლო აწ ვიდოდე და წარუძედუ ერსა მაგას აღგილსა მას, რომელსა გარქუ³ შენ. აჰა-ესერა ანგელოზი ჩემი წარგიძლუეს წინაშე პირსა შენსა. რო-მელსა ღლესა მოვჳხედო, მოვჳდაო მათ ზედა ცოდვამ მათი.

35. და მოვსრა მე უფალმან ერისაგან მის ჳბოვსა საქმისათჳს, რომელ-იგი ქმნა აჰრონ.

33

1. და ჰრქუა უფალმან მოსეს: გუალე, აღვედ ამიერ შენ და ერი ეგე შენი, რომელი გამოიყვანე ქუეყანით ეგვპტით,

ქუეყანასა მას, რომელსა ეგფუცე აბრა-ჰამს და ისაკს და იაკობს და ვარქუ: ნათესავსა შენსა [v] მივსცე იგი.

2. და თანა-მიეველინო ანგელოზი ჩემი ფწინარეს შენსა და განასხნეს ქანანელნი იგი და ამორეველნი და ქეტელნი და ფერეზელნი და გერგესეველნი და იებოსელნი

3. და შეგიყვანოს შენ ქუეყანასა მას, რომელსა გამოდის სძმ და თაფლჲ, ხოლო მე არა აღვიდე თქუენ თანა, რამეთუ ერი ეგე ქედ-ფიცხელი არს, რაჲთა არა აღვკოცენ იგინი გზასა ზედა.

4. და ესმა ერსა მას სიტყუაჲ ესე ბოროტი და იგლოედეს გლოვით.

5. და ჰრქუა უფალმან ძეთა ისრაჲლისათჲ: თქუენ ერი ქედ-ფიცხელი ხართ. ეკრძალენით, ნუუკუე წყლულებჲაჲ სხუად-ცა მოვჰყადო თქუენ ზედა და აღვკოცენ თქუენ. და აწ განიძარცუეთ სამოსელი დიდებისა თქუენისაჲ და სამკაული და გიჩუენო თქუენ, რაჲ გიყო თქუენ.

6. და განიძარცუეს ძეთა ისრაჲლისათა სამოსელი მათი და სამკაული მათსა მას ქორებს.

7. და მოიღო მოსე კარავი იგი მისი და აღჰმართა გარეშე¹ ბანაკსა მას, კარავი საწამებელი. და იყო, ყოველი, რომელი ეძიებდა უფალსა, განვიდოდა კარვად გარეშე¹ ბანაკსა მას.

8. და რაჲმს მივალნ მოსე ბანაკსა მას, დგან ერი იგი და იხედავენ კაცად-კაცი კარით კარვისა თუხისაჲთ და ჰხედდენ, მი-რაჲ-ვალნ მოსე, ვიდრემდე. შევიდეს კარავსა მას.

9. და ვითარცა შევიდის მოსე კარავსა მას, [173] გარდამოვდის სუეტი იგი² ღრუბლისაჲ და დადგის კართა თანა მის კარვისათა და ეტყვნ უფალი მოსეს.

10. და ჰხედვიდა ყოველი იგი ერი სუეტსა მას ღრუბლისასა, მდგომარესა კართა მათ ზედა მის კარვისათა, და

დგან ყოველი იგი ერი და თაყუანის-სცის კაცად-კაცადმან კარით კარვისა თუხისაჲთ.

11. და ეტყოდა მოსეს უფალი პირის-პირ, ვითარცა-იგი ვინ ჰზრახენ თუხსა მეგობარსა, და მოვიღინის ბანაკად. ხოლო მსახური იგი მოსესი ისო ქაბუკი არა გამოვიდის კარგით.

12. და ჰრქუა მოსე უფალსა: აჰა შენ მეტყვ აღყვანებასა მას ერისასა და შენ არა გამომიცხადებ, ვის-იგი მოავლინებ ჩემ თანა, ხოლო შენ მარქუ მე: გიცი შენ უფროჲს ყოველთასა და მადლი გაქუს ჩემ მიერ.

13. უკუეთუ ეპოვე მადლი შენ წინაშე, გამომიცხადე მე თავი შენი და განცხადებულად გიხილო შენ, რაჲთა ვცნა მე, ვითარმედ ეპოვე მადლი წინაშე შენსა და გულსიხმად-ყო, ვითარმედ ერი შენი არს ნათესავი ესე.

14. და ჰრქუა უფალმან: მე თავიდი წინა-წარგიძლუე და შეგიყვანო შენ.

15. და ჰრქუა უფალსა მოსე: უკუეთუ შენ არა მოხუალ ჩუენ თანა, ნუ აღმიყვანებ ამიერ.

16. და ვითარ საცნაურ იყოს კეშმარიტად, რამეთუ ეპოვე მადლი შენ წინაშე. მე და ერმან ამან შენმან? არამედ მოსლვასა მას შენსა ჩუენ თანა ვიდიდნეთ მე და ერი შენი უფროჲს ყოველთა [v] ნათესაიეთა, რომელნი არიან ქუეყანასა ზედა.

17. ჰრქუა უფალმან მოსეს: ეგეცა სიტყუაჲ, რომელ სიტუ, ეყოვე, რამეთუ გიპოვნიეს მადლი წინაშე ჩემსა და გიცხ შენ უმეტეს ყოველთასა.

18. და ჰრქუა მოსე უფალსა: მიჩუენ დიდებჲა თავისა შენისაჲ.

19. და ჰრქუა უფალმან მოსეს: მე წარვიდე წინაშე შენსა დიდებითა ჩემითა

1 გარეშე A. 2 „იგი“ შეორდება A-ში.

და უწოდი სახელითა უფლისაჲთა წინა-
შე შენსა, შევიწყალო, რომელი შევიწყა-
ლო, და შევიწყნარო, რომელი შევი-
წყნარო.

20. და ჰრქუა უფალმან მოსეს: ვერ
ძალ-გიც პირისა ჩემისა ხილვად, რამეთუ
არა არს კაცი, რომელმანმცა იხილა პი-
რი ჩემი და ცხონდა.

21. და ჰრქუა უფალმან: აჰა-ესერა

აღგილი შენ წინაშე და სდგე შენ
კლდესა ზედა.

22. რაჟამს წარვიდეს დიდებაჲ ჩემი,
დაგდვა შენ ჯურელსა კლდისასა და
დაგფარო კელითა ჩემითა შენ ზედა,
ვიდრემდე წარვიდე,

23. და აღვილო კელი ჩემი და მაშინ
იხილო ზურგიით ჩემსა, ხოლო პირი ჩემი
არა იხილო.

34

1. და ჰრქუა უფალმან მოსეს: გამო-
ქმნენ თავისა შენისა ორნი ფიცარნი
ქვისანი ვითარცა-იგი პირველნი და
აღმოვედ ჩემდა მთასა მას, და დაეწერნე
ფიცართა მათ სიტყუანი იგი, რომელ
იყვნეს პირველთა მათ ფიცართა, რო-
მელნი შეჰმუსრენ.

2. და იყავ შენ განმზადებულ¹. გან-
თიად. და აღმოხვდე მთასა სინასა და
დადგე მუნ მწუერვალსა მთისასა.

3. და ნუვინ აღმოვალნ შენ თანა
და ნუ...

[ა კ ლ ი ა]

38

(37)

[114] ... ოქროსანი ოთხთავე
კიდეთა მისთა: ორი ერთ კერძო და
ორი ერთ კერძო,

4. სიერცისაებრ მათ განსაცუმელთაჲ-
სა, რაჲთა აღილოდიან იგი მით.

5 (6). და ქმნა სალხინებელი იგი მას
ზედა ოქროსაგან წმიდისა,

6 (7). და ქმნა ორნი იგი ქერობინნი
ოქროსანი:

7 (8). ქერობინი ერთი კიდესა მას სა-
ლხინებელისა ერთისასა და ქერობინი ერ-
თი კიდესა მას სალხინებელისა მეორისასა,

8 (9). ჭფარვილეს ფრთითა მათითა
სალხინებელსა მას.

9 (10). და ქმნა ლანკლაჲ იგი წინაშე
ოქროსაგან წმიდისა

10 (13). და უქმნნა მას ოთხნი კარ-
შიკნი ოქროსანი: ორნი კარშიკნი ერთ
კერძოსა კიდესა და ორნი კარშიკნი
კიდესა მას მეორესა სიერცით, რაჲთა
აღილოდიან იგი ულლითა მით.

11 (14,15). და უღელნი იგი კიდობნი-
სანი და ტაბლისანი ქმნა და შემოსნა
იგინი² ოქროთა.

12 (16). და ქმნა სასანოვაგე³ იგი
ქურქერი ტაბლისაჲ მის: პინაკები იგი და
ფიალები და ფეშხენები და გოვზაკები,
რომლითა შეწირის მით, ოქროჲ ყო-
ველი.

13 (17). და ქმნა სასანთლჲ იგი,
რომელი ენთებოდის, მყარი, ოქროსაჲ.

14. კერი იგი (18) და რტონი ორ-
კერძოვე გუერდთა მისთა,

15. მისგანვე რტოთა მისთა გამო-
მცენარედ გამომატებულ, სამნი იმიერ
[v] და სამნი ამიერ, განსწორებით ურ-
თიერთას.

16. და სასანთლენი მათნი, რომელნი
დგენ მწუერვალთა მათთა ნიგუზის
სახედ¹ მათგანვე და დასადგმელნი მათ-
განვე, რაჟთა იყენენ სანთელნი იგი მათ
ზედა; და დასადგმელი მეშვდე² წუერსა
სანთლისასა თხემსა ზედა-კერძო, მყარი
ყოვლად ოქროასაჲ;

17 (23,24). და შვდნი სანთელნი მის-
ნი მას ზედა ოქროასანი და მარწყზნი
მისნი ოქროასანი და აღსაღებელნი მის-
ნი ოქროასანი.

18 (36, 34, 36). ამან შემოსნა ვეცხლი-
თა სუეტნი იგი და დასხმით უქმნა
სუეტთა მათ კარშიკნი ოქროასანი და
შემოსნა მოქლონი იგი ოქროათა და
შემოსნა სუეტნი იგი კრეტსაბელთან
ოქროათა და უქმნა აღსაწვენელნი
ოქროასანი.

19. ამან ქმნა კარშიკნი იგი ოქრო-
სანი კარვისანი და კარშიკნი ეზოასანი
და კარშიკნი რეალისანი განსაშარტებ-
ლად ზედა-კერძო საბურველისა მის
კარვისა.

20. ამან გამოადნენა სუეტის თაენი
იგი ვეცხლისანი და სუეტის თაენი იგი
კარისა მის კარვისანი რეალისანი და
ბქეთა მათ ეზოასითა და იდაყუნი
უქმნა ვეცხლისანი სუეტთა მათ. ამან
შემოსნა იგინი³ ვეცხლითა.

21 (38, 21). [115] ამან ქმნა მანები
იგი კარვისაჲ და მანები ეზოასაჲ ყოვე-
ლი რეალისაჲ.

(38)

22 (1,2). ამან ქმნა საკურთხეველი
იგი რეალისაჲ საცეცხურთა მათგან

რეალისათა, რომელნი იყენეს კაცთა
მათ ჰომის მკრებელთა კრებულისა მის
კორცისა.

23 (3). ამან ქმნა ყოველივე იგი სა-
სანოვაგე ჰურჰერი საკურთხეველისაჲ:
ხარისხი მისი და საცეცხური მისი და
ფიალები მისი და ფუცხუები მისი რეა-
ლისაჲ.

24 (4). ამან ქმნა გარე-მოსადგმელ-
ნი იგი საკურთხეველისაჲ ქმნული კან-
კლელად ქუეშე⁴ საცეცხურისა მის ქუე-
მო-რე⁵ ვილრე საშოვალადმდე მისა
(5,6) და განასხნა მას ოთხნი გრკალ-
ნი ოთხთა მათ კიდეთა გარე-მოსადგმე-
ლისათა მის საკურთხეველისათა რეალი-
სათა⁶ (7) სივრცელ მოქლონთა მათ, და
აღილოდიან მით საკურთხეველი იგი.

25 (37,29). ამან ქმნა ზეთი იგი ცხე-
ბისაჲ წმიდაჲ⁷ და შეზავებული იგი სა-
კუმეველი რჩეული ქმნული მენელსა-
ცხებლეთ⁷ მგბოლველთაჲ.

26 (38,8). ამან ქმნა საბანელი იგი
რეალისაჲ და ხარისხი მისი რეალისაჲ⁸
სარკეთა მათგან მმარხველთა დედათაჲ-
სა, რომელნი მმარხვილდეს წინაშე კართა
მის კარვისა მის საწამებელისათა, დღე-
სა მას, რომელსა აღჰმართა იგი.

27 (40,30-32). და ქმნა საბანელი
იგი, [v] რაჟთა იბანდენ მას შინა მოსე
და აჰრონ და ძენი მისნი ჰელოა და
ფერჰთა მათთა, შე-რაჲ-ვილოდიან იგინი
კარვად საწამებელისა ანუ ოდეს მოვიდო-
დიან საკურთხეველად მსახურებად მისა,
დაიბანოდიან მისგან, ვითარცა უბრძანა
უჟალმან მოსეს.

1 მწუერვალთა მათთა ნიგუზის სახედ] მწუერვალთა მათთანი: გუელის სახედ A.
2 მეშვდესა ზა A. 3 იგი A, 4 ქლშშ A. 5 ქუემორ A. 6 ჯერ დაუწერია „რეალისანი“, შემ-
დგმ გადუსწორებია. 7 მენელსაცხებლელთ A. 8 რეალი A.

39

(38)

1 (24) ყოველი ოქროჲ, რომელი შეგესახურა საქმესა მას ყოელისა მისებრ საქმისა წმიდათაჲსა, იყო ოქროჲსა მის შესაწირავისა, ოც და ცხრა ქანქარ და შუდას და ოც და ათ სიკლა სიკლითა მით წმიდითა.

2 (25). და ვეცხლი შეწირული აღ-რაცხილთა ზათგან კაცთა კრებულისათა ას¹ ქანქარ და ათას შუდას და სამეოც და ათხუთმეტ სიკლა (26) და დრაქმე ერთი თავად-თავად ნაზოგალი სიკლი-საჲ, სიკლითა მით წმიდითა.

3. ყოველი, რომელი წარმოვიდოდა ახილვასა მას ოცით წლითგანი და უზეშთაჲსი, სამეოცისა მის ბევრისაჲ და სამ ათას ხუთას ერგასისაჲ.

4 (27). და იყო ათი იგი ქანქარი ვეცხლსაჲ გამოსადნობელად დასხმით სუეტის თავებად კარვისა მის და სუე-ტის თავად კრეტსაბმელისა.

5. ასი სუეტის თავები ასისა მის ქანქარისაჲ, ქანქარი ერთი იყო სუეტის თავი ერთი.

6 (28). და [ათას]² შუდას სამეოც და ათხუთმეტ სიკლაჲ [116] ქმნეს იდაყუე-ბად სუეტებისა მის და ოქრო-ცხებულ სუეტის თავები იგი და შეემკო იგი.

7 (29). და რვალი იგი შესაწირავი-საჲ ოთხას სამეოც და ათ ქანქარ და ორ ათას ოთხას სიკლაჲ.

8 (30). და ქმნა მისგან...

9. ... (31) ხარისხები იგი ბჭეთა მათ ეზოჲსათაჲ და მანაებად კარვისა და მანაებად ეზოჲსა მის გარემო საკურთხე-ველისა მის.

10. ... და ყოველი ჭურჭერი საკურთხე-ველისაჲ და ყოველი საქმარი საკურ-თხეველისაჲ მის საწამებელისაჲ.

11 (32). და ყვეს ძეთა ისრაჲლისათა ეგრე, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს.

12. ხოლო ნეშტი იგი ოქროჲსაჲ მის შეწირულისაჲ ქმნეს სამსახურებელად წინაშე უფლისა.

(39)

13 (1). და ნეშტი იაკინთისაჲ და ძოწეულისაჲ და მეწამულისაჲ და ზეზი-საჲ ქმნეს სამოსლად სამსახურებელად აპრონისა, რაჲთა ჰმსახურებდეს მით სი-წმიდესა მას შინა.

14 (33). და მოიღეს სამოსელი იგი მოსეს წინაშე და კარავი იგი და ყოვე-ლი ჭურჭერი მისი და მოქლონები და ხარისხები შისი და სუეტები.

15 (35). და კიდობანი იგი შჯულის-საჲ და აღსაპყრობელნი მისნი.

16 (38). და საკურთხეველი და ყო-ველი ჭურჭერი მისი და ზეთი იგი ცხე-ბისაჲ და საკუმეველი იგი შეზავებისაჲ (37). და სასანთლ³ იგი წმიდაჲ

17. და სანთელნი მისნი, [v] სანთელ-ნი სანთებელნი და ზეთი იგი ნათლისაჲ.

18 (38). და ტაბლაჲ იგი წინაშე დასაგებელი და ყოველივე სასანოვაგე³ ჭურჭერი მისი და პურნი იგი შესაწირავ-თანი.

19 (41). და სამოსლები იგი სიწმი-დისაჲ, რომელ არიან⁴ აპრონისი, და სამოსელნი იგი ძეთა მისთანი სამღდე-ლონი.

20 (40). და საბურველი იგი წარმო-საყოფელი ეზოჲსაჲ, სუეტნი და ხარისხ-

ნი მისნი და კრეტსაბმელი [კარისა]¹ კარვისაჲ მის და ბჳისაჲ მის ეზოჲსაჲ.

21. და ყოველივე ჭურჭერი კარვისაჲ და ყოველი საჳმარი მისი, (34) მაშეკბი იგი ტყაუებისა ვერძთაჲსაჲ ენდროჲს ფერი და ბურვილი იგი ტყაუებისა მის სიავისათაჲ და სხუათა მათ სახურველები იგი, (40) და მანები იგი და ყოვე-

ლივე საჳმარი საჳმისაჲ მის კარვისა საწამებელისაჲ,

22. რავდენი უბრძანა უფალმან მისეს; ეგრე ყუეს ძეთა ისრაჲლისათა ყოველივე მომზადებაჲ.

23 (43). და იხილა მოსე ყოველი იგი ქმნილი და მოჰმზადა იგი, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს, ეგრეთ მოეკმნა იგი. და აკურთხნა იგინი მოსე.

40

1. და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა:

2. ერთსა დღესა თჳსა მის პირველისასა თჳს თავსა აღჰმართო შენ კარავი ეგე საწამებელისაჲ.

3. და დასდგა კილობანი იგი წამებლისაჲ და [117] დაჰბურო კილობანი იგი საბურველითა.

4. და შეიღო ტაბლად იგი და დაავო მას ზედა დასაგებელი მისი და მიიღო სასანთლჳ იგი და დასდგნე მას ზედა სანთელნი მისნი

5. და დასდგა საკურთხეველი იგი ოჲროჲსაჲ კუმეჲად საკუმეველისა წინაშე კილობანსა მას საწამებელისასა. და დაჰბურო საბურველი იგი კრეტსაბმელისაჲ კარსა მას კარვისა საწამებელისასა.

6. და საკურთხეველი იგი ნაყოფთაჲ დასდგა წინაშე კარსა კარვისა მის საწამებელისასა (8) და მოადგა ეზოჲ გარემო

7 (9). და მოიღო ზეთი იგი ცხებისაჲ და სცხო კარავსა მას და ყოველი რაჲ არს მას შინა და განსწმიდო იგი და ყოველი ჭურჭერი მისი, და იყოს წმიდა;

8 (10). და სცხო საკურთხეველსა მას

ნაყოფთასა და ყოველსა ჭურჭერსა მისსა

9. და განსწმიდო საკურთხეველი იგი და იყოს წმიდა წმიდათა.

10 (12). და მოიყვანო აჰრონ და ძენი მისნი წინაშე კარსა კარვისა მის საწამებელისასა და განჰბანნე იგინი წყლითა.

11 (13). და შემოსო აჰრონს სამსელი იგი წმიდაჲ და სცხო მას და წმიდა იყოს იგი ჩემდა მღდელად.

12 (14). და ძენი მისნი მოიყვანნე და შემოსო მათ სამოსელი.

13 (15). და სცხო მათ, ვითარცა-იკის ცხე მამასა მათსა, და მღდლობდეს იგინი ჩემ წინაშე...

14 (16). [ს] და ყო ეგრე მოსე, ვითარცა-იგი უბრძანა მას უფალმან, ეგრეცა კმნა.

15 (17). და იყო თუესა მას პირველსა მეორესა წელსა გამოსლვასა მათსა ეგჳტით თჳს თავსა აღემართა კარავი იგი.

15 (18). და აჰმართა მოსე კარავი იგი და დადგნა სუეტის თაენი მისნი და განათხიზნა მოჰლონნი იგი და აჰმართა სუეტის თაენი მისნი.

17 (19). და განჰმართა ეზოები იგი კარავსა მას და დაჰბურა საბურველი იგი

ქარვისაჲ მის მას ზედა-კერძო, ვითარცა-იგი უბრძანა უფალმან მოსეს.

18 (20). და მოიხუნა საწამებელნი იგი და შთასხნა ივინი კიღობანსა მას და განუთხინა ულელნი იგი ქუეშე-კერძო¹ კიღობანსა მას.

19 (21). და შეიღო კიღობანი იგი შინგან კარავსა მას და დაჰპურა საფარველი იგი კრეტსაბმელისაჲ და დაფარა კიღობანი იგი წამებისაჲ, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს.

20 (22). და დადგა ტაბლად იგი კარავსა მას შინა საწამებელისასა... ჩრდილოდთ კერძო გარეშე-კერძო კრეტსაბმელსა მას კარვისა მის საწამებელისასა.

21 (23). და დაავო მას ზედა პური იგი შესაწირავი წინაშე უფლისა, ვითარცა [უბრძანა]² უფალმან მოსეს.

22 (24). და დადგა სასანთლ³ იგი კარავსა მას საწამებელისასა აღვილსა მას სამხრით კერძო.

23 (25). და დადგნა სანთ[118]ელნი იგი მისნი მას ზედა წინაშე უფლისა, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს.

24 (26). და დადგა საკურთხეველი ოქროსაჲ კარავსა მას შინა საწამებელისაჲ წინაშე კრეტსაბმელსა მას.

25 (27). და აკუმია საკუმეველი იგი აღ-ზავებული მას ზედა, ვითარცა-იგი უბრძანა უფალმან მოსეს.

26 (29). და საკურთხეველი იგი ნაყოფთაჲ დადგა კართა თანა კარვისა მის საწამებელისათა.

27 (33). და აღდგა ეზოჲ იგი გარემო კარავსა მას და საკურთხეველსა. და აღასრულა მოსე⁴ ყოველივე იგი საქმე.

28 (34). და დაფარა ღრუბელმან კარავი იგი საწამებელისაჲ და აღივსო დიდებითა უფლისაჲთა კარავი იგი.

29 (35). და ვერ გელ-ეწიფა მოსეს შესლვად კარავსა მას საწამებელისასა, რამეთუ აგრძელობდა მას ზედა ღრუბელი იგი და დიდებითა უფლისაჲთა აღივსო კარავი იგი.

30 (36). რაჲმს აღმაღლდის ღრუბელი იგი კარვისა მისგან, აღებნიან ძენი ისრაელისანი წარძრვად ვანითურთ მათით.

31 (37). უკუეთუ არა აღიმაღლდის ღრუბელმან მან, არა აღებნიან ძრვად მუნ დღემდემ⁵, ვიდრემდემ⁶ აღიმაღლდის ღრუბელმან მან,

32 (38). რამეთუ ღრუბელი იყო კარავსა მას ზედა დღისი და ცეცხლი იყო მას ზედა ღამე⁷ [წინაშე]⁸ ყოველისა ისრაელისა ყოველსა მას ვანის ძრვასა მათსა.

დიდებოჲ ღმერთსა! დაეხსნულა წიგნი გამოხსლვათაჲ.

1 ქუეშე-კერძო A. 2 უბრძანა—A. 3 სასანთლ³ სასანთლ³ A. 4 მოსე A. 5 დღემდემ A. 6 ვიდრემდემ A. 7 ღამე A. 8 წინაშე—A.